ნარკოტიკების მოხმარებისა და სხვა პრობლემური ქცევების რისკ და დამცავი ფაქტორების კვლევა საქართველოს მოზარდებსა და ახალგაზრდებში

კვლევის ანგარიში

თბილისი, საქართველო 2019

კვლევა ჩატარდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ახალგაზრდების პოლიტიკის მართვის დეპარტამენტის ინიციატივითა და დაფინანსებით

ნარკოტიკების მოხმარებისა და სხვა პრობლემური ქცევების რისკ და დამცავი ფაქტორების კვლევა საქართველოს მოზარდებსა და ახალგაზრდებში

ავტორები:

...

თამარ სირბილაძე
მაია კობაიძე
მაია ჯავახიშვილი
თამარ ქიქინაძე
მამუკა ბენაშვილი

კვლევის ანგარიში

რეფერირებისთვის:
სირბილაძე თ., ჯავახიშვილი მ., კობაიძე მ., ქიქინაძე თ., ბენაშვილი მ. (2019). ნარკოტიკების მოხმარებისა და სხვა პრობლემური ქცევების რისკ და დამცავი ფაქტორების კვლევა საქართველოს მოზარდებსა და ახალგაზრდებში. თბილისი, საზოგადოებრივი გაერთიანება ბემონი

კვლევა ჩატარდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ახალგაზრდების პოლიტიკის მართვის დეპარტამენტის ინიციატივითა და დაფინანსებით

მომზადებულია:

საზოგადოებრივი გაერთიანება ბემონის მიერ

შავიშვილის 2, 0186 თბილისი, საქართველო
ელ.ფოსტა: bemoni@bemoni.ge http://bemonidrug.org.ge

საველე მუშაობა: ნოემბერი-დეკემბერი, 2018

ანგარიში: 2019

მადლიერების გამოხატვა

წინამდებარე ანგარიში ბევრი ორგანიზაციისა და ადამიანის ერთობლივი მუშაობის შედეგია, რომელთა ძალისხმევის გარეშე ამ დოკუმენტში წარმოდგენილი მონაცემების შეგროვება ვერ მოხერხდებოდა. პირველ რიგში, მადლიერებას გამოვხატავთ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიმართ, რომლის ინიციტივითა და მხარდაჭერით საქართველოში პირველად გახდა შესაძლებელი ამ მნიშვნელოვანი კვლევის ჩატარება. უაღრესად მადლიერები ვართ სამინისტროს ახალგაზრდების პოლიტიკის მართვის დეპარტამენტისა, თანამშრომლობისა და მხარდაჭერისათვის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ქალბატონებს: ხათუნა თოდაძეს და მზია ტაბატაძეს, და ბატონებს: დავით ოთიაშვილს, დავით ვადაჭკორიას და მამუკა ჯიბუტს, კვლევის ინსტრუმენტების დახვეწაში გაწეული დახმარებისთვის.

კვლევის ერთ-ერთ ყველაზე რთულ ასპექტს საველე სამუშაო წარმოადგენდა. მადლობელი ვართ და ვაფასებთ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების, სკოლების, უნივერსიტეტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლების წვლილს, რომლებიც დაგვეხმარნენ რესპონდენტებთან წვდომაში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია საველე კოორდინატორებისა და კვლევის ადმინისტრატორების თავდაუზოგავი შრომა, რამაც შესაძლებელი გახადა კვლევის მოკლე ვადებში ეფექტური ჩატარება.

დაბოლოს, ჩვენი გულწრფელი მადლობა მათ, ვინც დაგვითმო დრო, მიიღო კვლევაში მონაწილეობა და გაგვიზიარა საკუთარი გამოცდილება - ჩვენს რესპონდენტებს - მოზარდებსა და ახალგაზრდებს, მათ მშობლებსა და მასწავლებლებს.

შინაარსი

შემაჯამებელი მიმოხილვა

თავი 1. რისკზე ორიენტირებული პრევენციული მოდელი

→ ახალგაზრდების პრობლემური ქცევა: რისკი და დაცვა
→ სოციალურ-ეკოლოგიური მიდგომა პრევენციისადმი

თავი 2. მეთოდოლოგია

→ საკვლევი არეალი
→ კვლევის ამოცანები და სამიზნე ჯგუფები
→ კვლევის ინსტრუმენტები
→ შერჩევის დიზაინი
→ კვლევის ადმინისტრირება
→ მონაცემთა შეყვანა და ანალიზი
→ კვლევის დემოგრაფია

თავი 3. თამბაქოს, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარება

→ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება სიცოცხლის და ბოლო 30 დღის განმავლობაში
→ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების დაწყების ასაკი
→ ნივთიერებათა მოხმარებასთან დაკავშირებული რისკის აღქმა
→ ნარკოტიკების შესახებ ინფორმაციის წყაროები

თავი 4. სხვა ანტისოციალური ქცევები

→ აზარტული თამაშები
→ გამოცდილება სხვა ანტისოციალურ ქცევებთან დაკავშირებით
→ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება და სხვა პრობლემური ქცევები

თავი 5. რისკ და დამცავი ფაქტორები

→ ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებენ ინდივიდუალურ დონეზე
→ ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებენ ურთიერთობების დონეზე
  ⇒ ოჯახი
  ⇒ სკოლა
  ⇒ თანატოლები
→ ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებენ თემის დონეზე

თავი 6. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

→ ძალადობა სკოლებში
→ სკოლის მასწავლებლებისა და მშობლების კომუნიკაცია
→ მასწავლებლებისა და მშობლების დამოკიდებულება ნარკოპოლიტიკის მიმართ
→ მასწავლებლებისა და მშობლების მოსაზრებები პრევენციასთან დაკავშირებით

თავი 7. შეჯამება და რეკომენდაციები

გამოყენებული ლიტერატურა

დიაგრამების ჩამონათვალი

დიაგრამა 1. რისკის/დამცავი ფაქტორები და სოციალურ-ეკოლოგიური მოდელის დონეების კატეგორიები

დიაგრამა 2. ქალაქები, სადაც ჩატარდა რისკ და დამცავი ფაქტორების კვლევა

დიაგრამა 3. ნივთიერებების პრობლემური მოხმარება ბოლო 30 დღის მანძილზე

დიაგრამა 4. არალეგალური ფსიქოაქტიური ნივთიერებების ცხოვრების მანძილზე მოხმარების გავრცელების დონე

დიაგრამა 5. არალეგალური ფსიქოაქტიური ნივთიერებების ცხოვრების მანძილზე მოხმარების გავრცელების დონე

დიაგრამა 6. ძირითადი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების ადრეული დაწყება

დიაგრამა 7. ინფორმაციის წყაროები და მათი სანდოობა სკოლის მოსწავლეებს შორის

დიაგრამა 8. ინფორმაციის წყაროები და მათი სანდოობა სტუდენტებს შორის

დიაგრამა 9. ანტისოციალური ქცევის დაწყება ადრეულ ასაკში

დიაგრამა 10. მორალური ფასეულობები, განათლების საფეხურის მიხედვით

(საშუალო მაჩვენებლები)

დიაგრამა 11. მორალური ფასეულობები, სქესის მიხედვით (საშუალო მაჩვენებლები)

დიაგრამა 12. მეამბოხეობა ახალგაზრდებში, განათლების საფეხურის მიხედვით (საშუალო მაჩვენებლები)

დიაგრამა 13. მეამბოხეობა ახალგაზრდებში, სქესის მიხედვით (საშუალო მაჩვენებლები)

დიაგრამა 14. პრობლემების გადაჭრის უნარის ფლობა (საშუალო მაჩვენებლები)

დიაგრამა 15. პრობლემების გადაჭრის უნარის ფლობა სქესის მიხედვით (საშუალო მაჩვენებლები)

დიაგრამა 16. ახალგაზრდების დეპრესიული განცდები, განათლების საფეხურის მიხედვით (საშუალო მაჩვენებლები)

დიაგრამა 17. ახალგაზრდების დეპრესიული განცდები, სქესის მიხედვით (საშუალო მაჩვენებლები)

დიაგრამა 18. ემოციური თვითრეგულირების უნარი ახალგაზრდებში, განათლების საფეხურის მიხედვით (საშუალო მაჩვენებლები)

დიაგრამა 19. ემოციური თვითრეგულირების უნარი ახალგაზრდებში სქესის მიხედვით (საშუალო მაჩვენებლები)

დიაგრამა 20. ახალგაზრდები, ვისთვისაც მნიშვნელოვანია რელიგია და ვინც მონაწილეობდა რელიგიური მსახურებაში (საშუალო მონაცემები)

დიაგრამა 21. მშობლების მიერ თამბაქოს მოხმარება

დიაგრამა 22. ოჯახში არსებობს მკაფიო წესები ალკოჰოლური სასმელების მიღებასთან და ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებით

დიაგრამა 23. ოჯახური კონტროლის ნაკლებობა,სკოლის მოსწავლეები (საშუალო მაჩვენებლები)

დიაგრამა 24. ოჯახური კონფლიქტი (საშუალო მაჩვენებლები)

დიაგრამა 25. მშობლებთან სიახლოვე (საშუალო მაჩვენებლები)

დიაგრამა 26. ოჯახის ცხოვრებაში ჩართულობა და წახალისება (საშუალო მაჩვენებლები)

დიაგრამა 27. სასწავლებლისადმი დაბალი მიკუთვნებულობა (საშუალო მაჩვენებლები)

დიაგრამა 28. სკოლის კონსულტანტი ნივთიერებათა მოხმარების საკითხებზე

დიაგრამა 29. სკოლის შესაძლებლობები და წახალისება პროსოციალური ჩართულობისთვის (საშუალო მაჩვენებლები)

დიაგრამა 30. თემის არაორგანიზებულობა (საშუალო მაჩვენებლები)

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1. ახალგაზრდების პრობლემური ქცევების რისკ და დამცავი ფაქტორები

ცხრილი 2. რაოდენობრივი კვლევის კითხვარის საკვლევი საკითხები

ცხრილი 3. შერჩევის ზომის გადანაწილება ქალაქებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიხედვით

ცხრილი 4. რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე საგანმანათლებლო დაწესებულებები

ცხრილი 5. კვლევის მონაწილეთა დემოგრაფიული მახასიათებლები

ცხრილი 6. კვლევის მონაწილეთა გულწრფელობა

ცხრილი 7. ბოლო 30 დღის მანძილზე დღიურად მოხმარებული სიგარეტების რაოდენობა

ცხრილი 8. ნებისმიერი ალკოჰოლური სასმელის მოხმარების სიხშირე ცხოვრების და ბოლო 30 დღის მანძილზე

ცხრილი 9. გადამეტებული სმის ეპიზოდების სიხშირე ბოლო თვის განმავლობაში, განათლების საფეხურის მიხედვით

ცხრილი 10. სკოლის მოსწავლეებში ცხოვრების მანძილზე არალეგალური ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების სიხშირე

ცხრილი 11. კოლეჯის/უნივერსიტეტის სტუდენტებში ცხოვრების მანძილზე არალეგალური ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების სიხშირე

ცხრილი 12. სკოლის მოსწავლეებში ბოლო 30 დღის მანძილზე არალეგალური ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების სიხშირე

ცხრილი 13. კოლეჯის/უნივერსიტეტის სტუდენტებში ბოლო 30 დღის მანძილზე

არალეგალური ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების სიხშირე

ცხრილი 14. ძირითადი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების დაწყების ასაკი, განათლების საფეხურის მიხედვით

ცხრილი 15. ძირითადი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების დაწყების ასაკი, სქესის მიხედვით, მოსწავლეები

ცხრილი 16. ძირითადი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების დაწყების ასაკი, სქესის მიხედვით, სტუდენტები

ცხრილი 17. ძირითადი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების დაწყების საშუალო ასაკი

ცხრილი 18. ნივთიერებათა მოხმარებასთან დაკავშირებული რისკის აღქმა, სკოლის მოსწავლეები

ცხრილი 19. ნარკოტიკების შესახებ ინფორმაციის წყაროები, სქესის მიხედვით

ცხრილი 20. ინფორმაციის წყაროების სანდოობა, სქესის მიხედვით

ცხრილი 21. სხვადასხვა აზარტულ თამაშში ახალგაზრდების ჩართვის სიხშირე ბოლო 1 წლის განმავლობაში, განათლების საფეხურის მიხედვით

ცხრილი 22. სხვადასხვა აზარტულ თამაშში ახალგაზრდების ჩართვის სიხშირე ბოლო 1 წლის განმავლობაში, სქესის მიხედვით

ცხრილი 23. ანტისოციალური ქცევების პრევალენტობა ბოლო 12 თვის განმავლობაში

ცხრილი 24. ანტისოციალური ქცევის დაწყების ასაკი

ცხრილი 25. ანტისოციალური ქცევის სიხშირე ბოლო 12 თვის განმავლობაში, განათლების საფეხურის მიხედვით

ცხრილი 26. ანტისოციალური ქცევის სიხშირე სკოლის მოსწავლეებში, სქესის მიხედვით

ცხრილი 27. ანტისოციალური ქცევის სიხშირე კოლეჯის/უნივერსიტეტის სტუდენტებში, სქესის მიხედვით

ცხრილი 28. სკოლის მოსწავლეების პირადი განწყობები ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების მიმართ

ცხრილი 29. სტუდენტების პირადი განწყობები ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების მიმართ

ცხრილი 30. ახალგაზრდების პირადი განწყობები ანტისოციალური ქცევების მიმართ, სქესის მიხედვით

ცხრილი 31. მორალური ფასეულობები, განათლების საფეხურის მიხედვით

ცხრილი 32. მორალური ფასეულობები, სქესის მიხედვით

ცხრილი 33. მეამბოხეობა, განათლების საფეხურის მიხედვით

ცხრილი 34. მეამბოხეობა, სქესის მიხედვით

ცხრილი 35. ახალგაზრდების მიერ პრობლემების გადაჭრის უნარის ფლობა, განათლების საფეხურის მიხედვით

ცხრილი 36. ახალგაზრდების მიერ პრობლემების გადაჭრის უნარის ფლობა, სქესის მიხედვით

ცხრილი 37. ახალგაზრდების დეპრესიული განცდები, განათლების საფეხურის მიხედვით

ცხრილი 38. ახალგაზრდების დეპრესიული განცდები, სქესის მიხედვით

ცხრილი 39. ახალგაზრდების დეპრესიული განცდები სქესის მიხედვით, ბათუმი

ცხრილი 40. ემოციური თვითრეგულირების უნარი ახალგაზრდებში, განათლების საფეხურის მიხედვით

ცხრილი 41. ემოციური თვითრეგულირების უნარი ახალგაზრდებში, სქესის მიხედვით

ცხრილი 42. პროსოციალური ქცევის გამოცდილება ბოლო 12 თვის განმავლობაში, განათლების დონის მიხედვით

ცხრილი 43. პროსოციალური ქცევის გამოცდილება ბოლო 12 თვის განმავლობაში, სქესის მიხედვით

ცხრილი 44. რელიგიის მნიშვნელობა, განათლების საფეხურის მიხედვით

ცხრილი 45. რელიგიის მნიშვნელობა, სქესის მიხედვით

ცხრილი 46. მონაწილეობა რელიგიურ მსახურებაში

ცხრილი 47. როგორ ატარებენ ახალგაზრდები თავისუფალ დროს, განათლების საფეხურის მიხედვით

ცხრილი 48. როგორ ატარებენ ახალგაზრდები თავისუფალ დროს, სქესის მიხედვით

ცხრილი 49. მშობლების დამოკიდებულება ნივთიერებების მოხმარებისა და სხვა ანტისოციალური ქცევების მიმართ, სკოლის მოსწავლეები

ცხრილი 50. და-ძმების გამოცდილება, განათლების საფეხურის მიხედვით

ცხრილი 51. ნივთიერებათა მოხმარებასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები ახალგაზრდების ოჯახის წევრებში

ცხრილი 52. ოჯახური კონტროლის ნაკლებობა, სკოლის მოსწავლეები

ცხრილი 53. ოჯახური კონტროლის ნაკლებობა,სტუდენტები

ცხრილი 54. ოჯახური კონფლიქტი, სკოლის მოსწავლეები

ცხრილი 55. ოჯახური კონფლიქტი, სტუდენტები

ცხრილი 56. ოჯახური კონფლიქტი, სქესის მიხედვით

ცხრილი 57. მშობლებთან სიახლოვე, განათლების საფეხურის მიხედვით

ცხრილი 58. მშობლებთან სიახლოვე, სქესის მიხედვით

ცხრილი 59. ოჯახის ცხოვრებაში ჩართულობა და წახალისება განათლების საფეხურის მიხედვით

ცხრილი 60. ოჯახის ცხოვრებაში ჩართულობა და წახალისება სქესის მიხედვით

ცხრილი 61. სკოლის გაცდენა ბოლო 4 კვირის განმავლობაში, კომბინირებული ნიმუში

ცხრილი 62. სკოლის გაცდენა ბოლო 4 კვირის განმავლობაში, სქესის მიხედვით

ცხრილი 63. სასწავლებლისადმი დაბალი მიკუთვნებულობა, განათლების საფეხურის მიხედვით

ცხრილი 64. სასწავლებლისადმი დაბალი მიკუთვნებულობა, სქესის და განათლების საფეხურის მიხედვით

ცხრილი 65. სკოლის შესაძლებლობები და წახალისება პროსოციალური ჩართულობისთვის, სქესის მიხედვით

ცხრილი 66. თანატოლების დამოკიდებულება ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების მიმართ, განათლების საფეხურის მიხედვით

ცხრილი 67. თანატოლების დამოკიდებულება ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების მიმართ, სქესის მიხედვით

ცხრილი 68. მეგობრების გამოცდილება ნივთიერებების მოხმარებასთან, სხვა ანტისოციალურ და პროსოციალურ ქცევებთან დაკავშირებით, განათლების საფეხურის მიხედვით

ცხრილი 69. მეგობრების გამოცდილება ნივთიერებების მოხმარებასთან, სხვა ანტისოციალურ და პროსოციალურ ქცევებთან დაკავშირებით, სქესის მიხედვით

ცხრილი 70. ანტისოციალური და პროსოციალური ქცევის წახალისება თანატოლების მხრიდან, მოსწავლეები

ცხრილი 71. ანტისოციალური და პროსოციალური ქცევის წახალისება თანატოლების მხრიდან, სტუდენტები

ცხრილი 72. ფსიქოაქტიური ნივთიერებების ხელმისაწვდომობა, სქესისა და განათლების საფეხურის მიხედვით

ცხრილი 73. გადასვლა და მობილობა ცხოვრების მანძილზე, განათლების საფეხურის მიხედვით

ცხრილი 74. გადასვლა და მობილობა ბოლო წლის მანძილზე

ცხრილი 75. წესები და ნორმები ნარკოტიკების მოხმარებასთან მიმართებით, მოსწავლეები

ცხრილი 76. წესები და ნორმები ნარკოტიკების მოხმარებასთან მიმართებით, სტუდენტები

ცხრილი 77. წესები და ნორმები ნარკოტიკების მოხმარებასთან მიმართებით, განათლების საფეხურის მიხედვით

ცხრილი 78. თემის არაორგანიზებულობა, განათლების საფეხურის მიხედვით

ცხრილი 79. თემის არაორგანიზებულობა, სქესის მიხედვით

ცხრილი 80. ძალადობა უბანში, განათლების საფეხურის მიხედვით

ცხრილი 81. ძალადობა უბანში, სქესის მიხედვით

ცხრილი 82. თემის შესაძლებლობები და წახალისება პროსოციალური ჩართულობისთვის, განათლების საფეხურის მიხედვით

ცხრილი 83. თემის შესაძლებლობები და წახალისება პროსოციალური ჩართულობისთვის, სქესის მიხედვით

ცხრილი 84. უბნისადმი დაბალი მიკუთვნებულობა, განათლების საფეხურის მიხედვით

ცხრილი 85. უბნისადმი დაბალი მიკუთვნებულობა, სქესის მიხედვით

ცხრილი 86. მოზარდების უსაფრთხოების განცდა, სქესის მიხედვით

ცხრილი 87. მოსწავლეების მხრიდან ფიზიკური და ფსიქოლოგიური ვიქტიმიზაცია ბოლო ერთი წლის განმავლობაში

ცხრილი 88. მასწავლებლების მხრიდან უხეში მოპყრობა

შემაჯამებელი მიმოხილვა

პრევენციული მეცნიერება ხაზს უსვამს იმ ინდიკატორების ანუ პრედიქტორების (კერძოდ, რისკისა და დამცავი ფაქტორების) გამოვლენის მნიშვნელობას, რომლებიც ადგენენ მოზარდის პრობლემური ქცევის ალბათობას, რათა ეფექტურად მოხდეს ამ ქცევების თავიდან აცილება. რისკისა და დამცავი ფაქტორების ანალიზი არის ყველაზე მძლავრი ხელმისაწვდომი ინსტრუმენტი იმის გასარკვევად, თუ რა უწყობს ხელს მოზარდის როგორც დადებით, ასევე უარყოფითი ქცევას, ასევე, ეს ანალიზი გვეხმარება ახალგაზრდებისთვის წარმატებული პრევენციული პროგრამების შემუშავებაში. რისკისა და დამცავი ფაქტორების შეფასებით ვლინდება ის კონკრეტული ფაქტორები, რომლებიც აქტუალურია მოცემულ თემში/საზოგადოებაში და მათ პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ. ეს პროცესი ასევე ხელს უწყობს პრევენციის მიზანმიმართული, მტკიცებულებებზე დაფუძნებული და ეფექტური პროგრამების შერჩევას, რომლებიც მიმართული იქნება გამოვლენილ აქტუალურ რისკ და დამცავ ფაქტორებზე და, შესაბამისად, გაზრდიან წარმატების ალბათობას.

აქამდე, საქართველოში არ ჩატარებულა კვლევა ახალგაზრდებში ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების და სხვა პრობლემური ქცევების რისკ და დამცავი ფაქტორების გამოსავლენად. წინამდებარე კვლევა დაიგეგმა ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად და ჩატარდა საქართველოს სამ დიდ საუნივერსიტეტო ქალაქში: თბილისში (დედაქალაქი), ქუთაისში (იმერეთის რეგიონი) და ბათუმში (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა).

კვლევის მიზანია საქართველოს მოზარდებსა და ახალგაზრდებში ნარკოტიკების მოხმარებისა და სხვა პრობლემური ქცევების რისკ და დამცავი ფაქტორების შესწავლა, ასევე, რისკ და დამცავ ფაქტორებსა და ახალგაზრდების პრობლემურ ქცევებს შორის ურთიერთკავშირის დადგენა. კვლევის სამიზნე ჯგუფები: 14-24 წლის მოზარდები და ახალგაზრდები (სკოლის მოსწავლეები; პროფესიული კოლეჯების და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები); სკოლის მოსწავლეების (უფროსკლასელების) მშობლები; სკოლის მასწავლებლები.

კვლევის ფარგლებში კონკრეტული სეგმენტის შესწავლა განხორციელდა როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის მეთოდების საშუალებით. კერძოდ, სკოლის მოსწავლეებთან და პროფესიული კოლეჯების/უმაღლესი

რისკ და დამცავი ფაქტორები, რომლებიც გარკვეულწილად განსაზღვრავენ ახალგაზრდების მიერ ნარკოტიკების მოხმარებისა და სხვა პრობლემური ქცევების განხორციელების ალბათობას, პრევენციული ჩარევის პერსპექტიულ სამიზნეებს წარმოადგენენ.

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს, საქართველოში პირველად გამოიყენოს რისკ და დამცავი ფაქტორების მოდელი ქართველი ახალგაზრდების წინაშე არსებული პრობლემების გასაგებად.

სასწავლებელების სტუდენტებთან ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა (თვითადმინისტრირებადი კითხვარით), ხოლო მშობლებთან და სკოლის მასწავლებლებთან გამოყენებული იყო თვისებრივი კვლევის მეთოდი - ფოკუს ჯგუფის დისკუსიის ტექნიკა.

კვლევისათვის საჭირო მახასიათებლების მისაღებად, შერჩევითი ერთობლიობა განისაზღვრა მოსწავლეთა და ახალგაზრდობის 4000 დასრულებული ინტერვიუთი (რაოდენობრივი კვლევა), და მასწავლებელთა და მშობელთა 24 დისკუსიით ფოკუს ჯგუფებში (თვისებრივი კვლევა). გამოკვლევისათვის გამოყენებული იქნა სტრატიფიცირებული მარტივი შემთხვევითი შერჩევა. შერჩევის ყველა დონეზე ტერიტორიული ნიშნით დიდი გაფანტულობის თავიდან ასაცილებლად გამოვიყენეთ კლასტერული შერჩევა და ბოლოს მარტივი შემთხვევითი შერჩევა. სულ, კვლევაში მონაწილეობა მიიღო 207-მა საგანმანათლებლო დაწესებულებამ. ანალიზისთვის გამოყენებული იქნა 4000 დასრულებული კითხვარი.

დასკვნები

ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება და სხვა პრობლემური ქცევები

1. თამბაქო. მაღალია თამბაქოს ცხოვრების მანძილზე მოხმარების და ბოლო თვეში რეგულარული მოხმარების მაჩვენებელი და **საკმაოდ მაღალია თამბაქოს ადრეულ ასაკში მოხმარების მაჩვენებელი**. ადრეულ ასაკში (14 წლამდე) სიგარეტი მოწეული აქვს ყოველ მეოთხე ახალგაზრდას, ხოლო 10 წლამდე ასაკში - ყოველ მეათეს.

ყოველი მეოთხე სკოლის მოსწავლე და სტუდენტების თითქმის ორი მესამედი ყოველდღე ეწეოდა სიგარეტს ბოლო ერთი თვის განმავლობაში; რაც შეეხება ბოლო ერთი თვის მანძილზე დღიურად მოხმარებული სიგარეტების რაოდენობას, თამბაქოს მომხმარებლებიდან **ყოველი მეხუთე მოსწავლე და თითქმის ყოველი მესამე სტუდენტი ყოველდღიურად ეწევა ნახევარ კოლოფ სიგარეტს ან მეტს.**

გამოვლინდა კავშირი თამბაქოს ბოლო თვეში ყოველდღიურ მოხმარებასა და თამბაქოს ყოველდღიური მოხმარების საფრთხის აღქმას შორის - იმ ახალგაზრდებში, ვინც თამბაქოს ყოველდღიურ მოხმარებას ნაკლებად საფრთხის შემცველად აღიქვამს, უფრო მაღალია ბოლო თვეში თამბაქოს რეგულარული მოხმარების მაჩვენებელი.

2. ალკოჰოლი. ახალგაზრდების აბსოლუტურ უმრავლესობას მოუხმარია ესა თუ ის ალკოჰოლური სასმელი ცხოვრების მანძილზე.

მაღალია ბოლო თვეში სასმელის მიღებისა და გადამეტებული სმის მაჩვენებლები - ყოველმა მეოთხე მოსწავლემ დაადასტურა ზედიზედ 5 ან მეტი ჭიქა ალკოჰოლური სასმელის დალევა ბოლო თვეში ერთხელ ან ორჯერ, ხოლო ყოველ მეათე სტუდენტს ბოლო თვეში ჰქონდა 10 ან მეტი გადამეტებული სმის ეპიზოდი.

ალკოჰოლის ადრეულ (14 წლამდე) ასაკში მოხმარებას ადასტურებს ახალგაზრდების დაახლოებით ნახევარი, **10 წლამდე ასაკში ალკოჰოლური სასმელი დალეული აქვს ყოველ მეხუთე ახალგაზრდას და თითქმის ამდენივე ახალგაზრდას ალკოჰოლური სასმელების რეგულარული მიღება დაწყებული აქვს 14-17 წლის ასაკში.**

მოსწავლეების თითქმის ნახევარი თვლის, რომ მათი მშობლებისთვის მისაღებია, თუ ისინი ხანდახან ღვინოს დალევენ. მშობლებიც თვლიან, რომ მისაღებია მოზარდობის ასაკში უფროსებთან ერთად სუფრასთან მცირე რაოდენობით ღვინის დალევა, რადგან ღვინო ბევრი ტრადიციის შემადგენელი ნაწილია და ბავშვები სწავლობენ ამ ტრადიცებსაც და ალკოჰოლის ზომიერ მოხმარებასაც, თუმცა მიუღებლად მიაჩნიათ დათრობა.

3. მარიხუანა (კანაფი). **მარიხუანა გასინჯული აქვს თითქმის ყოველ მეხუთე მოსწავლეს, ხოლო სტუდენტებში ცხოვრების მანძილზე მოხმარების მაჩვენებელი მოსწავლეებისას ორჯერ აღემატება.**

ყოველ მეათე მოსწავლეს ბოლო თვის განმავლობაში 1-2-ჯერ მოუწევია მარიხუანა; ბოლო თვეში ყოველ მეხუთე სტუდენტს მოუწევია მარიხუანა, ხოლო ყოველ მეათეს ბოლო 30 დღის განმავლობაში მარიხუანა მოხმარებული აქვს 10-ჯერ ან მეტჯერ.

მარიხუანას პირველად მოხმარების ასაკად ყველაზე ხშირად დასახელდა **14-17 წელი.**

იმ მოსწავლეებსა და სტუდენტებში, ვინც მარიხუანას რეგულარულ მოხმარებას ნაკლებად საფრთხის შემცველად აღიქვამს, უფრო მაღალია ბოლო თვეში მარიხუანას მოხმარების მაჩვენებელი.

კვლევის თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში გამოკითხული მოსწავლეების მშობლების დიდი ნაწილი შეშფოთებულია მოზარდებს შორის მარიხუანას მოხმარების გავრცელებით. მშობლებს წარმოდგენაც კი უჭირთ, რომ მათმა შვილმა შეიძლება მარიხუანა მოწიოს და ძალიან აშინებთ ამაზე ფიქრიც კი. ზოგისთვის ეს იმდენად წარმოუდგენელია, რომ არც კი უფიქრია, რა რეაქცია ექნება, თუ მისი შვილი მარიხუანას მოწევს. მშობლებმა არ იციან, როგორ უნდა მიხვდნენ, თუ მათმა შვილმა მარიხუანა მოიხმარა.

ჩვენ შევადარეთ სკოლის მოსწავლეებს შორის მარიხუანას მოხმარების ჩვენს მიერ მიღებული მონაცემები ალკოჰოლის, თამბაქოსა და სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების შემსწავლელი ევროპის სკოლების კვლევის (ESPAD) 2016 წლის მონაცემებს. აღმოჩნდა, რომ **ბოლო ორ წელიწადში ორივე ინდიკატორი - ცხოვრების მანძილზე და ბოლო 30 დღეში მოხმარება გაიზარდა:** მოსწავლეებში მარიხუანას ცხოვრების მანძილზე მოხმარება 11%-დან 17,5%-მდე გაიზარდა, ხოლო **ბოლო 30 დღის განმავლობაში მოსწავლეებს შორის მოხმარების ინდიკატორი 2-ჯერ და მეტად გაიზარდა: იყო 4% და გახდა 9.3%.**

4. სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებები. ყველაზე გავრცელებული არალეგალური ნარკოტიკი მარიხუანაა. რაც შეეხება სხვა არალეგალური ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებას, ვაჟებს ყველაზე მეტად მოუხმარიათ LSD, სპაისები („ბიო“) და ექსტაზი. გოგონებს - საძილე საშუალებები, LSD და ინჰალანტები.

როდესაც შევადარეთ სკოლის მოსწავლეებს შორის სხვადასხვა არალეგალური ნარკოტიკის ცხოვრების მანძილზე მოხმარების ჩვენს მიერ მიღებული მონაცემები ალკოჰოლის, თამბაქოსა და სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების შემსწავლელი ევროპის სკოლების კვლევის (ESPAD) 2016 წლის მონაცემებთან, აღმოჩნდა, რომ ბოლო ორ წელიწადში ეს მაჩვენებელი პრაქტიკულად არ შეცვლილა ექსტაზის შემთხვევაში, უმნიშვნელოდ გაიზარდა LSD-ს და „ბიოს“ შემთხვევაში; გაიზარდა საინექციო ნარკოტიკების მოხმარება და მკვეთრად შემცირდა ინჰალანტებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მოხმარება.

5. ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებული რისკის აღქმა. მოსწავლეები, ძირითადად, სწორად აფასებენ ფსიქოაქტიური ნივთიერებების სისტემატურ და ხშირ მოხმარებასთან დაკავშირებულ რისკებს. მაგრამ აღსანიშნავია, რომ **მოსწავლეების დიდი ნაწილი ადეკვატურად ვერ აფასებს იმ ნივთიერებების ეპიზოდური მოხმარების საფრთხეს, რომელთა ერთჯერადი მოხმარებაც კი მაღალი რისკის შემცველია (LSD, ბიო, ექსტაზი, ამფეტამინი).**

ასევე არასათანადოდ აფასებენ მარიხუანას მოხმარების საფრთხეს - **ყოველი მეხუთე მოსწავლე თვლის, რომ მარიხუანას ყოველდღიური მოხმარება არ არის სახიფათო.**

ანალიზის შედეგად გამოიკვეთა უკუპროპორციული დამოკიდებულება თამბაქოს, ალკოჰოლის, მარიხუანას და ფსიქოტროპული მედიკამენტების მოხმარების აღქმულ რისკსა და ამ ნივთიერებათა ბოლო თვეში მოხმარებას შორის როგორც მოსწავლეებში, ასევე სტუდენტებში; კერძოდ, რაც უფრო უსაფრთხოდ აღიქმება ამ ნივთიერებების მოხმარება, მით უფრო მაღალია ბოლო თვეში მათი მოხმარების მაჩვენებელი.

ასევე, **გამოვლინდა კავშირი ე.წ „კლუბური ნარკოტიკების“ მოხმარების საფრთხის ნაკლებად აღქმასა და ცხოვრების და ბოლო თვის მანძილზე მათ მოხმარებას შორის.**

6. ნარკოტიკების შესახებ ინფორმაციის წყაროები. სკოლის მოსწავლეებს ინფორმაცია ნარკოტიკების შესახებ ძირითადად მიუღიათ მშობლებისგან, მასწავლებლებისგან და თანაკლასელებისგან, ხოლო სტუდენტებს - თანაკურსელებისგან, მასწავლებლებისგან და მშობლებისგან.

ინფორმაციის საიმედოობისა და სანდოობის საკითხის განხილვის დროს, გასათვალისწინებელია ერთი საკითხი - მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდამ შეიძლება ისარგებლოს ინფორმაციის გარკვეული წყაროთი, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს წყარო ყველაზე სანდო ან დამაჯერებელია მისთვის. **მოსწავლეებთანაც და სტუდენტებთანაც ინფორმაციის ყველაზე სანდო წყაროდ დასახელდნენ მშობლები და მასწავლებლები/ლექტორები, ხოლო თანატოლებისგან მიღებულ ინფორმაციას ახალგაზრდები ნაკლებად ენდობიან.**

მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის წყაროდ ხშირად არ იყვნენ დასახელებული სპეციალისტები და ექიმები, საკმაოდ მაღალია მაჩვენებელი, რომლითაც ისინი მიიჩნევიან ინფორმაციის სანდო წყაროდ.

მშობლები მოზარდებისთვის ნარკოტიკების შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, მაგრამ აცნობიერებენ, რომ აკლიათ ინფორმაცია და არგუმენტები შვილებთან სასაუბროდ.

მასწავლებელებიც მიიჩნევენ, რომ ამ საკითხებზე სასაუბროდ არ ყოფნით კომპეტენცია. იმისათვის, რომ მასწავლებლებმა შეძლონ მოსწავლეებთან ნარკოტიკების მოხმარების პრობლემაზე საუბარი, ესაჭიროებათ გადამზადება. მასწავლებლებს არ ჰქონდათ ინფორმაცია, რომ მასწავლებლებისთვის განკუთვნილ ინტერნეტგვერდებზე გამოქვეყნებულია სახელმძღვანელოები პედაგოგებისთვის - როგორ იმუშაონ მოსწავლეებთან ცხოვრების ჯანსაღი წესის საკითხებზე, ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების კუთხით.

მასწავლებლებმა გაგვიზიარეს გამოცდილება, რომ არაფორმალურ გარემოში საკუთარ მოსწავლეებთან ახლებურ, უკეთეს კონტაქტს ამყარებენ და თვლიან, რომ ასეთ თემებზე საუბარი უფრო შედეგიანი იქნება, თუ ეს არ მოხდება ტრადიციული გაკვეთილის ფორმით.

7. ინფორმაციის მიღების გზები (საკომუნიკაციო არხები). მოსწავლეებისთვის ნარკოტიკების შესახებ ინფორმაციის მიღების ყველაზე ხშირად დასახელებული საშუალება ტელევიზიაა, თუმცა სასურველ წყაროდ ტელევიზიის დასახელების სიხშირე დაბალია. ასევე მაღალი სიხშირით დასახელდა ინფორმაციის მიღების გზად სოციალური ქსელები, თუმცა სასურველ საკომუნიკაციო არხებს შორის სოციალური ქსელების დასახელების სიხშირე კიდევ უფრო დაბალია.

საკმაოდ მაღალი აღმოჩნდა ინფორმაციის მიღების გზად გაკვეთილების და სკოლაში ჩატარებული აქციების/ტრენინგების დასახელების სიხშირე.

სასურველ გზებს შორისაც ყველაზე ხშირად დასახელდა სკოლაში ჩატარებული ტრენინგები/აქციები და გაკვეთილები. ასევე, დასახელდა ვებ-გვერდები, აუდიოვიზუალური მასალა (საგანმანათლებლო ვიდეოკლიპები), მობილური აპლიკაციები.

თვისებრივი კვლევის თანახმად, მასწავლებლები ერთხმად აღიარებენ, რომ მედია დიდ გავლენას ახდენს მოზარდების დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების მიმართ. განსაკუთრებით აღნიშნავენ ბოლო დროს მარიხუანასთან დაკავშირებულ აჟიოტაჟს და თვლიან, რომ მედია საშუალებებიდან ხშირად მოდის მცდარი და საზიანო ინფორმაცია.

მშობლების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მედიასაშუალებები არასწორ ინფორმაციას ავრცელებენ მარიხუანასთან დაკავშირებით და ეწევიან პროპაგანდას.

8. ანტისოციალური ქცევები. პრობლემურ ქცევებს შორის, როგორც მოსწავლეებთან, ისე სტუდენტებთან, **ყველაზე გავრცელებულია ფულზე თამაში. მოსწავლეებს შორის მეორე ადგილზეა რაიმეს მოპარვა, ხოლო სტუდენტებს შორის - სასწავლებელში მისვლა არაფხიზელ მდგომარეობაში.**

აზარტული თამაშების ყველაზე გავრცელებული ფორმა, რომელზეც გასული წლის განმავლობაში ახალგაზრდებმა ფული დახარჯეს, ყოველ მეოთხე სკოლის მოსწავლისთვის არის **ნიძლავი ფულზე** და თითქმის ყოველი მეოთხე სტუდენტისათვის - **ონლაინ კაზინო.**

მშობლების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მოსწავლეები არ დადიან კაზინოში ან ტოტალიზატორში, თუმცა თამაშობენ ონლაინ.

9. ნივთიერებათა მოხმარება და სხვა ანტისოციალური ქცევები. **ის ახალგაზრდები, რომელთაც ოდესმე მოუხმარიათ ფსიქოაქტიური ნივთიერებები, უფრო ხშირად აღნიშნავდნენ სხვა ანტისოციალურ ქცევებში ჩართვას, ვიდრე ისინი, ვინც უარყოფდნენ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებას.**

მოსწავლეებში არალეგალური ნარკოტიკების მოხმარება კორელაციაშია ისეთ ანტისოციალურ ქცევებთან, როგორიცაა მანქანის ან მოტოციკლის მოპარვა, მაღაზიიდან ფულის გადაუხდელად მალულად რაიმეს წამოღება, ზიანის მიყენების მიზნით ვინმეზე თავდასხმა. სტუდენტებში მაღალი კორელაცია გამოვლინდა საინექციო ნარკოტიკების მოხმარებასა და ნარკოტიკების გაყიდვას/ ქურდობას შორის.

რისკ და დამცავი ფაქტორები

ფაქტორები ინდივიდუალურ დონეზე

→ შეხედულებები, განწყობები, გრძნობები → ქცევის მკაფიო სტანდარტები (მორალური ფასეულობები) → მეამბოხეობა → პრობლემების გადაჭრის უნარი → ემოციური კეთილდღეობა: დეპრესიული განცდები → ემოციური კეთილდღეობა: ემოციური თვითრეგულირება → პოზიტიური (პროსოციალური) ქცევის გამოცდილება → გამოცდილება ცხოვრების სხვა სფეროებში - რელიგიურობა, თავისუფალი დრო

10. ახალგაზრდების განწყობა ნივთიერებათა მოხმარებისა და სხვა ანტისოციალური ქცევების მიმართ. სკოლის მოსწავლეებისთვის მისაღებია, თუ მათი ასაკის ადამიანი ეწევა თამბაქოს ან ელექტროსიგარეტს; რეგულარულად, თუნდაც კვირაში ერთხელ სვამს ლუდს, ღვინოს. **ყოველი მეხუთე მოსწავლე ვაჟისთვის მისაღებია მარიხუანას მოწევაც. იგივე ქცევები მისაღებია სტუდენტების უფრო მეტი რაოდენობისთვის, მაგრამ ჩამონათვალს ემატება მაგარი სასმელების რეგულარული, კვირაში ერთხელ მოხმარება.**

ვაჟებს შორის უფრო გამოხატულია დადებითი განწყობები ანტისოციალური ქცევების მიმართ, ვიდრე გოგონებს შორის. **ვაჟებისთვის პრობლემურ ქცევებს შორის ყველაზე მისაღები აღმოჩნდა ხშირად ჩხუბი და სკოლის/სასწავლებლის უმიზეზოდ გაცდენა.**

მოსწავლეებშიც და სტუდენტებშიც გამოვლინდა ურთიერთკავშირი თითქმის ყველა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების მიმღებლობასა და ალკოჰოლური სასმელების, თამბაქოს და მარიხუანას მოხმარებას შორის. სტუდენტებში ასევე გამოიკვეთა ე.წ. კლუბური ნარკოტიკების მიმღებლობის კორელაცია ალკოჰოლის, მარიხუანას და სხვა არალეგალური ნივთიერებების მოხმარებასთან.

ასევე, გამოვლინდა კორელაცია ანტისოციალური ქცევების მიმღებლობასა და ანტისოციალური ქცევების გამოცდილებას შორის. მოსწავლეებში გამოიკვეთა რამდენიმე ანტისოციალური ქცევა, რომელთა მიმღებლობა უკავშირდება კითხვარში დასახელებული ყველა ანტისოციალური ქცევის გამოცდილებას. ეს ქცევებია მაღაზიიდან რაიმეს წამოღება ფულის გადაუხდელად და ფულის გამოძალვა ან ჩაგვრა. სტუდენტებში ანტისოციალური ქცევა ყველაზე მაღალ კორელაციაშია ისეთი ქცევების მიმღებლობასთან, როგორიცაა ცეცხლსასროლი იარაღის ტარება, მანქანის მართვა ალკოჰოლის ან ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ, ნარკოტიკის გაყიდვა და ფულის გამოძალვა.

11. ქცევის მკაფიო სტანდარტები (მორალური ფასეულობები). ითვლება, რომ ახალგაზრდა, რომელსაც ჩამოყალიბებული აქვს სოციალურად მისაღები ქცევის მკაფიო სტანდარტები, უფრო ნაკლებად მოიხმარს ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს და ნაკლებად ერთვება ანტისოციალურ ქცევებში.

ჩვენი კვლევის თანახმად, ახალგაზრდების დაახლოებით მესამედი იზიარებს პოზიტიური ქცევის სტანდარტებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ **ყოველი მესამე ვაჟისთვის და ყოველი მეხუთე გოგონასთვის მისაღებია რაიმეს უკითხავად აღება**.

მორალურ ფასეულობებსა და ნარკოტიკების მოხმარებას შორის ურთიერთკავშირი არ გამოვლინდა, მაგრამ დადასტურდა კავშირი ფასეულობებსა და ანტისოციალურ ქცევას შორის - ახალგაზრდები, რომლებიც იზიარებენ მორალურ ფასეულობებს, ნაკლებად ერთვებიან ანტისოციალურ ქცევებში.

12. მეამბოხეობა. ყოველი მესამე ახალგაზრდა თვლის, რომ მეამბოხეა; როგორც გოგონების, ასევე ვაჟების ნახევარზე მეტისთვის მისაღებია წესების უგულებელყოფა და დაახლოებით ამდენივე ადასტურებს, რომ უყვარს გარისკვა. მოსწავლეებში გამოვლინდა კავშირი რისკიანობასა და ალკოჰოლური სასმელების მოხმარებას შორის.

13. პრობლემების გადაჭრის უნარი. ახალგაზრდების თითქმის ნახევარს მიაჩნია, რომ აქვს პრობლემების გადაჭრის უნარი. მოსწავლეებში გამოჩნდა კავშირი პრობლემის გადაჭრის უნარსა და ფსიქოტროპული წამლების მოხმარებას შორის - რაც უფრო კარგ შეფასებას აძლევს ახალგაზრდა პრობლემის გადაჭრის საკუთარ უნარს, მით ნაკლებია ფსიქოტროპული წამლების მოხმარების მაჩვენებელი, ხოლო სტუდენტებთან ასეთი კავშირი დაფიქსირდა ინექციური ნარკოტიკების მოხმარებასთან მიმართებით. როგორც მოსწავლეებში, ასევე სტუდენტებში გამოიკვეთა პრობლემის გადაჭრის უნარსა და ანტისოციალურ ქცევებს შორის უკუპროპორციული კავშირი.

14. ემოციური კეთილდღეობა: დეპრესიული განცდები. **ყოველი მეხუთე ახალგაზრდა ადასტურებს დეპრესიული განცდების არსებობას.**

საყურადღებო განსხვავება გამოვლინდა ბათუმელ ვაჟებსა და გოგონებს შორის. დეპრესიული განწყობის მქონე გოგონების რაოდენობა თითქმის ორჯერ აღემატება ვაჟებისას.

მოსწავლეებში დეპრესიულ განცდებსა და ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებას შორის კავშირი არ გამოვლინდა; სტუდენტებთან კი გამოვლინდა კავშირი დეპრესიასა და მარიხუანას/ფსიქოტროპული წამლების მოხმარებას შორის. დეპრესიულ განცდებსა და ანტისოციალურ ქცევებს შორის ასოციაციური კავშირი არ დაფიქსირდა.

15. რაც შეეხება პოზიტიური სოციალური, ანუ პროსოციალური ქცევების გამოცდილებას ბოლო ერთი წლის განმავლობაში, საკმაოდ მაღალია იმ ახალგაზრდების რაოდენობა, ვისაც აქვს ეს გამოცდილება, მაგრამ დაბალია ასეთი ქცევების სიხშირე.

კავშირი პროსოციალურ ჩართულობასა და ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებას შორის არ არის; თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ **იმ მოსწავლეებს შორის, ვისაც გააჩნია პროსოციალური ქცევის გამოცდილება, მარიხუანა არასდროს მოუწევია დაახლოებით 80%-ს.**

16. რელიგიურობა. მოზარდებისა და ახალგაზრდების უმრავლესობისთვის რელიგიას მათ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. რაც შეეხება რელიგიურ მსახურებაში მონაწილეობას, ახალგაზრდების დაახლოებით მესამედი არასოდეს ესწრება და დაახლოებით ამდენივე წელიწადში რამდენიმეჯერ ესწრება რელიგიურ მსახურებას.

მოსწავლეებშიც და სტუდენტებშიც გამოვლინდა უკუპროპორციული კავშირი რელიგიურობასა და ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებას შორის, ანუ, იმ ახალგაზრდებში, ვისთვისაც მნიშვნელოვანია რელიგია და ვინც მონაწილეობს რელიგიურ მსახურებაში, ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების მაჩვენებელი შედარებით დაბალია. რელიგიურობასა და ანტისოციალურ ქცევას შორის კავშირი კვლევაში არ გამოვლინდა.

16. თავისუფალ დროს ყოველდღიურად ინტერნეტით გართობას და ონლაინ ურთიერთობას უთმობს დროს როგორც მოსწავლეების, ისე სტუდენტების უდიდესი ნაწილი. დაბალია მათი რაოდენობა, ვინც ყოველდღიურად კითხულობს ან რეგულარულად დადის კინოში, თეატრში და სპორტულ სანახაობებზე. ახალგაზრდების თითქმის ნახევარი ყოველდღიურად მონაწილეობს საოჯახო საქმეებში. ყოველი მესამე მოსწავლე და ყოველი მეხუთე სტუდენტი ყოველდღეა დაკავებული სპორტით, ფიზიკური ვარჯიშით. ყოველი მეოთხე გოგონა არასოდეს ვარჯიშობს. პასუხი „არასოდეს“ ყველაზე ხშირია კითხვაზე: „რამდენად ხშირად ხართ დაკავებული ხელოვნებით (ხატვა, ცეკვა, მუსიკა და სხვ.).“

როგორც თვისებრივ კვლევაში მონაწილე მასწავლებლებმაც და მშობლებმაც აღნიშნეს, მოზარდები ზედმეტად დიდ დროს უთმობენ ინტერნეტს, სოციალურ ქსელებს. მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ თავისუფალ დროს გართობა ახალგაზრდებისთვის ძირითადად ალკოჰოლის მოხმარებით ხდება. მშობლების აზრით, მოზარდები ერთობიან იმით, რომ ხანდახან იკრიბებიან დაბადების დღეებზე, კაფეებში, კარაოკე-ბარებში. ცალკეულ შემთხვევებში, უფროსკლასელები არდადეგებზე მუშაობენ.

სკოლის მოსწავლეებში გამოჩნდა კავშირი თავისუფალ დროს წვეულებებზე, კაფეებში და ბარებში სიარულსა და მაგარი სასმელების მოხმარებას შორის. სტუდენტების მონაცემებით, გამოვლინდა უკუპროპორციული დამოკიდებულება ინტერნეტის მოხმარება/საოჯახო საქმეებში მონაწილეობასა და ნარკოტიკების მოხმარება/ანტისოციალურ ქცევებს შორის.

ფაქტორები ურთიერთობის დონეზე

ოჯახი	→ მშობლების დამოკიდებულება ნარკოტიკების მოხმარებისა და სხვა ანტისოციალური ქცევების მიმართ → ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებისა და სხვა ანტისოციალური ქცევის ოჯახური ისტორია → მშობლების წესები და მოლოდინები ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან მიმართებით → ოჯახური კონფლიქტი → ოჯახთან სიახლოვე → ოჯახის შესაძლებლობები და წახალისება პროსოციალური ჩართულობისთვის
სკოლა/სხვა საგანმანათლებლო დაწესებულება	→ აკადემიური მოსწრება → სკოლისადმი/საგანმანათლებლო დაწესებულებისადმი მიკუთვნებულობა → შესაძლებლობები და წახალისება პროსოციალური ჩართულობისთვის

თანატოლები	→ შეხედულებები, განწყობები → გამოცდილება ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან, სხვა ანტისოციალურ და პროსოციალურ ქცევებთან დაკავშირებით → ანტისოციალური და პროსოციალური ქცევის წახალისება თანატოლების მხრიდან

17. მშობლების დამოკიდებულება ნარკოტიკების მოხმარებისა და სხვა ანტისოციალური ქცევების მიმართ. ახალგაზრდების დიდი ნაწილის აზრით, მათი მშობლებისთვის მიუღებელია, თუ მათი შვილები მოიხმარენ თამბაქოს, მარიხუანას და სხვა არალეგალურ ნარკოტიკებს, მაგრამ მისაღებია, თუ ხანდახან დალევენ ალკოჰოლს; ასევე მიუღებელია სხვადასხვა პრობლემური ქცევის განხორციელება; თუმცა, ყოველი მეათე მოსწავლე თვლის, რომ მისი მშობლებისთვის მისაღებია, თუკი ის ვინმესთან იჩხუბებს.

მშობლებთან ალკოჰოლურ სასმელებზე საუბრისას ირკვევა, რომ მათთვის არაფერია ცუდი იმაში, რომ მოზარდმა 1-2 ჭიქა ღვინო დალიოს, თუმცა მიუღებლად მიაჩნიათ დათრობა. მშობლები ასევე აღნიშნავენ, რომ საოჯახო ან რელიგიურ დღესასწაულებზე თითქმის ყველა ოჯახში მიღებულია, რომ მოზარდებმა შეიძლება ცოტაოდენი ღვინო დალიონ.

მოსწავლეებშიც და სტუდენტებშიც ნივთიერებების მოხმარების გამოცდილება კავშირშია მშობლების მიმღებლობასთან ახალგაზრდების მიერ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების მიმართ; ასევე, დადასტურდა ნივთიერებების მოხმარებასა და მშობლების მხრიდან ანტისოციალური ქცევების მიმღებლობას შორის ურთიერთკავშირი. მოსწავლეებში ანტისოციალური ქცევების გამოცდილება ასევე დაკავშირებულია მშობლების მხრიდან ანტისოციალური ქცევების მიმღებლობასთან და მშობლების მხრიდან არალეგალური ნივთიერებების მოხმარების მიმღებლობასთან.

18. ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებისა და სხვა ანტისოციალური ქცევის ოჯახური ისტორია. ყოველი მეათე ახალგაზრდა ადასტურებს, რომ მათი ოჯახის წევრს ჰქონია სერიოზული პრობლემები ალკოჰოლის ან ნარკოტიკის მოხმარების გამო, მაგრამ არ გამოვლინდა კავშირი ოჯახის წევრებში ნივთიერებათა მოხმარებასთან დაკავშირებულ სერიოზულ პრობლემებსა და ახალგაზრდების მიერ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებას შორის. ასევე, არ გამოვლინდა კავშირი მშობლების მიერ თამბაქოს მოხმარებასა და ახალგაზრდების მიერ თამბაქოს მოხმარებას შორის.

19. მშობლების წესები და მოლოდინები ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან მიმართებით. ყოველი ხუთი ახალგაზრდიდან ოთხი აღნიშნავს, რომ მათ ოჯახში არსებობს მკაფიო წესები ალკოჰოლური სასმელების მიღებასთან და ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებით. თითქმის ყოველი მეხუთე მოსწავლე ადასტურებს მშობლების მხრიდან კონტროლის სისუსტეს. ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ **არსებობს უკუპროპორციული კავშირი ალკოჰოლური სასმელების მიღებასთან და ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებით ოჯახში მკაფიო წესების არსებობას/მშობლების მხრიდან კონტროლსა და მაგარი ალკოჰოლური სასმელის, მარიხუანას და სხვა არალეგალური ნარკოტიკების მოხმარებას შორის.**

20. ოჯახთან სიახლოვე. ახალგაზრდების სამმა მეოთხედმა აღნიშნა, რომ მშობლებთან ახლო ურთიერთობა აქვს. მშობლებთან სიახლოვის შეფასებისას გამოვლინდა, რომ ახალგაზრდებს მშობლებთან ყოფნა სიმოვნებთ, თუმცა ნაკლებად უზიარებენ მათ თავიანთ აზრებს და განცდებს. ამავე დროს, დედებთან მეტ დროს ატარებენ და უფრო დედებს უზიარებენ თავიანთ აზრებს და განცდებს, ვიდრე მამებს.

მოსწავლეებთან ოჯახთან სიახლოვესა და ნივთიერებების მოხმარებას/ანტისოციალურ ქცევებს შორის ურთიერთკავშირი არ არის. სტუდენტებთან გამოვლინდა უკუპროპორციული დამოკიდებულება მშობლებთან სიახლოვესა და მარიხუანა/ფსიქოტროპული წამლების მოხმარებას შორის. ასევე, გამოვლინდა პირდაპირპროპორციული კავშირი მშობლებთან სიახლოვესა და პროსოციალურ ქცევებს შორის და უკუპროპორციული კავშირი მშობლებთან სიახლოვესა და ანტისოციალურ ქცევებს შორის.

21. ოჯახის შესაძლებლობები და წახალისება პროსოციალური ჩართულობისთვის. მხოლოდ სტუდენტებში გამოვლინდა უკუპროპორციული დამოკიდებულება ოჯახში პროსოციალურ შესაძლებლობებსა და ანტისოციალურ ქცევას შორის. მოსწავლეებშიც და სტუდენტებშიც შექება და წახალისება ასევე უკუპროპორციულ კავშირშია ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან; არ გამოიკვეთა ურთიერთკავშირი შექებას/წახალისებასა და ანტისოციალურ ქცევებს შორის.

მშობლების ერთი ნაწილი ამბობს, რომ ყოველთვის აღნიშნავს, როცა მის შვილს რაიმე კარგად გამოსდის და ამბობს, რომ შექება ბევრად უფრო კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს ბავშვებზე; მშობლების მეორე ნაწილი კი ამბობს, რომ უფრო ხშირად შენიშვნებს აძლევენ შვილებს. რაც შეეხება ოჯახის საქმეებში მონაწილეობას, ზოგი მშობელი ცდილობს, შვილი არ მოაცდინოს სწავლას და ამ მოსაზრებით თვითონვე არიდებს საოჯახო საქმეებს.

22. ახალგაზრდების აკადემიური მოსწრება. მოსწავლეებთანაც და სტუდენტებთანაც გამოიკვეთა უკუპროპორციული კავშირი აკადემიურ მოსწრებასა და მარიხუანას მოხმარებას შორის და დადებითი ურთიერთკავშირი აკადემიურ მოსწრებასა და პროსოციალურ ქცევებს შორის.

23. ახალგაზრდების დამოკიდებულება სკოლის/საგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ. საკმაოდ მაღალია იმ მოსწავლეების რაოდენობა, ვისაც სიამოვნებს სკოლაში ყოფნა და შედარებით ნაკლებია იმ მოსწავლეების რიცხვი, ვინც თვლის, რომ საინტერესოა ის, რაც სკოლაში ისწავლება. **ყოველ მეათე მოსწავლეს არ სიამოვნებს სკოლაში ყოფნა; ყოველმა მეოთხემ აღნიშნა, რომ ბოლო თვის განმავლობაში სკოლა გააცდინა იმიტომ, რომ არ უნდოდა სკოლაში ყოფნა; ამდენივესთვის არ აღმოჩნდა საინტერესო ის, რასაც სკოლაში სწავლობს.** მოსწავლეებთან შედარებით, ბევრად მეტია იმ სტუდენტების რიცხვი, ვისთვისაც სასიამოვნოა სასწავლებელში ყოფნა და საინტერესოა ის, რასაც სწავლობს.

მოსწავლეებთან გამოჩნდა, რომ არსებობს უკუპროპორციული კავშირი სკოლისადმი მიკუთვნებულობასა და ნივთიერებების მოხმარებას შორის და ეს მიკუთვნებულობა ხელს უწყობს მოზარდების ჩართვას პროსოციალურ ქცევებში. სტუდენტებში სასწავლებლისადმი მიკუთვნებულობის განცდა უკუპროპორციულ კავშირშია მაგარი ალკოჰოლური სასმელების, მარიხუანას და სხვა ნარკოტიკების მოხმარებასთან.

24. მშობლებისა და მასწავლებლების მოსაზრებები სკოლასთან დაკავშირებით. მასწავლებლების ყველა ჯგუფში ისმოდა საკუთარი სკოლის მხოლოდ პოზიტიური შეფასება, თუმცა ისიც აღნიშნეს, რომ **„ზოგადად სკოლა არ უყვართ ბავშვებს, მაგრამ**

სკოლაში გატარებული დრო კი მოსწონთ“. მასწავლებლებმა თქვეს, რომ თამბაქოს და ალკოჰოლის მოხმარების საკითხი მკაცრად კონტროლდება ყველა სკოლაში და არსებობს სანქციები სკოლის შინაგანაწესის დარღვევისთვის. ასევე, **ყველა მშობელი აღნიშნავს, რომ სკოლებში მკაცრი კონტროლია და ამით კმაყოფილები არიან.** მასწავლებლებთან დისკუსიის დროს აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ სკოლაში წიგნის წაკითხვა მოსწავლეთა დასჯის ნაირსახეობას წარმოადგენს.
*

25. სკოლის/სასწავლებლის შესაძლებლობები და წახალისება პროსოციალური ჩართულობისთვის. მოსწავლეების საკმაოდ დიდმა რაოდენობამ აღნიშნა, რომ სკოლაში არის შესაძლებლობა, მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღონ საკლასო აქტივობების დაგეგმვაში და სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში. რაც შეეხება სპორტულ სექციებში, კლუბებში და სხვა კლასგარეშე აქტივობებში ჩართვას, სკოლებში ამის შესაძლებლობა ნაკლებადაა.

მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეების ნახევარზე მეტი ამბობს, რომ მასწავლებლები ამჩნევენ და აღნიშნავენ მათ წარმატებებს, გაცილებით ნაკლები ამბობს, რომ ამ წარმატების შესახებ მასწავლებლები მშობლებსაც ატყობინებენ. მშობლების მოსაზრებები ამ საკითხებთან დაკავშირებით ცოტა განსხვავებულია - ისინი თვლიან, რომ სკოლა არ ზრუნავს მოსწავლეების წახალისებაზე. როგორც მოსწავლეებთან, ისე სტუდენტებთან გამოჩნდა, რომ **სასწავლებელში პროსოციალური შესაძლებლობების არსებობა, ასევე, შექება და წახალისება ხელს უწყობს პროსოციალურ ქცევებს.**

26. თანატოლების შეხედულებები, განწყობები. ყოველი მეათე მოსწავლე და ყოველი მეოთხე სტუდენტი მიიჩნევს, რომ მისი მეგობრებისთვის მისაღებია, თუ ის მოწევს მარიხუანას; ასევე, თითქმის ყოველი მეხუთე მოსწავლე ფიქრობს, რომ მისი მეგობრებისთვის მისაღებია, თუ ის ყოველდღე დალევს 1-2 ჭიქა ალკოჰოლურ სასმელს.

მოსწავლეებთანაც და სტუდენტებთანაც გამოიკვეთა, რომ **თანატოლების მიერ როგორც ლეგალური, ისე არალეგალური ნივთიერებების მოხმარების მიმართ მიმღებლობასა და ამ ნივთიერებების მოხმარებას შორის პირდაპირპროპორციული დამოკიდებულებაა.** ანტისოციალურ ქცევებთან კავშირშია თანატოლების მიმღებლობა მარიხუანას, ფსიქოტროპული წამლებისა და LSD/ბიო/ექსტაზი/ამფეტამინის და სხვა ნივთიერებების მოხმარების მიმართ.

27. თანატოლების გამოცდილება ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან, სხვა ანტისოციალურ და პროსოციალურ ქცევებთან დაკავშირებით. **მოსწავლეთა ნახევარზე ცოტა ნაკლები ამბობს, რომ მისი უახლოესი 4 მეგობრიდან თუნდაც ერთს მოუწევია მარიხუანა და ყოველი მეხუთე მოსწავლის მეგობარს გაუსინჯავს ე.წ. კლუბური ნარკოტიკები.** რაც შეეხება მეგობრების სხვა ანტისოციალურ ქცევებში ჩართულობას, ყველაზე ხშირად დასახელდა მეგობარი, რომელსაც უთამაშია ფულზე და მალულად წამოუღია მაღაზიიდან რაიმე ფულის გადაუხდელად. **ყოველ მეოთხე მოსწავლეს ჰყავს მეგობარი, რომელსაც მაღაზიიდან მალულად წამოუღია რაიმე ფულის გადაუხდელად.**

მეგობრების პროსოციალური ქცევებიდან ყველაზე ხშირად დასახელდა სასკოლო აქტივობებში, კლუბებში და წრეებში მონაწილეობა, რელიგიურ მსახურებაში მონაწილეობა. ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებთანაც და სტუდენტებთანაც **არსებობს ურთიერთკავშირი ახალგაზრდების პრობლემურ ქცევებში მონაწილეობასა და მათი მეგობრების მიერ ნივთიერებების მოხმარების/ანტისოციალური ქცევების გამოცდილებას შორის, ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების ჩათვლით.**

28. ანტისოციალური და პროსოციალური ქცევის წახალისება თანატოლების მხრიდან. **მოსწავლეების ნახევარზე მეტი თვლის, რომ მარიხუანას მოწევამ შეიძლება ხელი შეუწყოს პოპულარობას თანატოლებს შორის.** სტუდენტებში გამოვლინდა ურთიერთკავშირი მარიხუანას და კლუბური ნარკოტიკების მოხმარების „მოდურობასა“ და ამ ნივთიერებების მოხმარებას შორის.

ფაქტორები თემის/უბნის დონეზე

→ ფსიქოაქტიური ნივთიერებების ხელმისაწვდომობა → გადასვლა და მობილობა → წესები და ნორმები ნარკოტიკების მოხმარებასთან და სხვა ანტისოციალურ ქცევებთან მიმართებით → შესაძლებლობები და წახალისება პროსოციალური ჩართულობისთვის → დამოკიდებულება საკუთარი უბნის მიმართ

29. ფსიქოაქტიური ნივთიერებების ხელმისაწვდომობა. **ყოველ მეხუთე მოსწავლეს და ყოველ მეორე სტუდენტს მიაჩნია, რომ მარიხუანა ადვილად ხელმისაწვდომია;** კლუბური ნარკოტიკების ადვილად ხელმისაწვდომობაზე მიუთითებს ყოველი მეათე მოსწავლე და ყოველი მესამე სტუდენტი. საძილე და დამამშვიდებელი აბების ადვილად ხელმისაწვდომობა დაადასტურა ყოველმა მერვე მოსწავლემ და სტუდენტების მესამედზე მეტმა.

მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანთათვის თამბაქოს და ალკოჰოლური სასმელების მიყიდვა აკრძალულია, ძალიან მაღალია იმ მოსწავლეთა რაოდენობა, ვინც ამბობს, რომ ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო მათთვის ადვილად ხელმისაწვდომია.

მოსწავლეებშიც და სტუდენტებშიც ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება კავშირშია მათ ხელმისაწვდომობასთან.

მასწავლებლებიც და მშობლებიც ერთხმად აღნიშნავენ, რომ ბოლო ხანებში განსაკუთრებით თვალშისაცემია მარიხუანას ადვილად ხელმისაწვდომობა. მასწავლებლები ამბობენ, რომ არასრულწლოვნებს ე.წ. კლუბური ნარკოტიკების შეძენა შეუძლიათ ინტერნეტით.

30. წესები და ნორმები ნარკოტიკების მოხმარებასთან და სხვა ანტისოციალურ ქცევებთან მიმართებით. მოსწავლეების თითქმის ნახევარი არ იზიარებს მოსაზრებას, რომ თუ მის უბანში არასრულწლოვანი ქუჩაში დალევს ლუდს, ღვინოს ან მაგარ სასმელს ან მოწევს მარიხუანას, პოლიცია სათანადო ზომებს მიიღებს.

დაახლოებით **ყოველ მესამე მოსწავლეს მიაჩნია, რომ მისი უბნის ახალგაზრდებისთვის მისაღებია, თუკი მოზარდი მოწევს თამბაქოს, მარიხუანას და დალევს ალკოჰოლურ სასმელს;** ყოველი მეორე სტუდენტი კი ადასტურებს, რომ მისი უბნის ახალგაზრდებისთვის მისაღებია, თუკი მათი თანატოლი მიიღებს ზემოთ აღნიშნულ ნივთიერებებს; **ყოველი მესამე სტუდენტის აზრით, მათი უბნის ახალგაზრდებისთვის ასევე მისაღებია „ბიოს“ და ფსიქოტროპული მედიკამენტების მოხმარება**.

ყოველი მეხუთე ახალგაზრდა არ გრძნობს თავს დაცულად თავის უბანში; მოსწავლეების და სტუდენტების თითქმის ნახევარი ეთანხმება მოსაზრებებს: „ითვლება, რომ ჩემი უბნისთვის დამახასიათებელია ჩხუბები“ და „ითვლება, რომ ჩემი უბნისთვის დამახასიათებელია „საქმის გარჩევები“.

რაც შეეხება უბანში ძალადობას, ყოველმა მეოთხე მოსწავლემ და ყოველმა მეხუთე სტუდენტმა აღიარა, რომ უბანში მიმართეს დამამცირებელი სიტყვით ან სახელით და თითქმის ყოველ მეხუთე ახალგაზრდას დასცინეს ან უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდეს სხვების თანდასწრებით.

მოსწავლეებში გამოვლინდა ურთიერთკავშირი თემის არაორგანიზებულობასა და ისეთ ანტისოციალურ ქცევას შორის, როგორიცაა რაიმეს მოპარვა; ხოლო სტუდენტებში თემის არაორგანიზებულობა კავშირშია ფსიქოტროპული მედიკამენტების და საინექციო ნარკოტიკების მოხმარებასთან. სტუდენტებში გამოვლინდა კავშირი უბანში ძალადობასა და მარიხუანას, საინექციო ნარკოტიკების და ფსიქოტროპული მედიკამენტების მოხმარებას შორის. ასევე, დაფიქსირდა ურთიერთკავშირი უბანში ძალადობასა და ისეთ ანტისოციალურ ქცევებს შორის, როგორიცაა ნარკოტიკის გაყიდვა და მანქანის/მოტოციკლის მოპარვა.

31. უბნის შესაძლებლობები და წახალისება პროსოციალური ჩართულობისთვის. ახალგაზრდების ნახევარზე მეტი აღნიშნავს, რომ მათ უბანში ხელმისაწვდომია სპორტული სექციები, მაგრამ რაც შეეხება საცურაო აუზს, სხვადასხვა კლუბებსა და წრეებს, ფიტნეს ცენტრებს, ეს დაწესებულებები ნაკლებად ხელმისაწვდომია.

მოსწავლეებისა და სტუდენტების დააახლოებით ნახევარი აღნიშნავს, რომ მათ უბანში არიან უფროსები, ვისთანაც შეუძლიათ, ისაუბრონ მნიშვნელოვან თემებზე, რომლებიც სტიმულს აძლევენ, რომ მეტი კარგი საქმე აკეთონ და რომლებიც ამაყობენ მათით, როდესაც რამე კარგს აკეთებენ.

მოსწავლეებში გამოვლინდა კავშირი უბანში პროსოციალურ შესაძლებლობებსა (ადამიანები, რომლებიც სტიმულს აძლევენ, მეტი კარგი რამ აკეთონ, არის საცურაო აუზები) და პროსოციალურ ქცევას შორის. მოსწავლეებთან და სტუდენტებთან უბანში პროსოციალურ შესაძლებლობებს და ნივთიერებების მოხმარებას/ანტისოციალურ ქცევებს შორის ურთიერთკავშირი არ აღმოჩნდა.

მასწავლებლები და მშობლები აღნიშნავენ, რომ სპორტული კომპლექსები და წრეები კიდეც რომ იყოს მათ უბანში, ფასიანია და ყველასთვის ხელმისაწვდომი არ არის.

32. ძალადობა სკოლებში. **მოსწავლეების უმრავლესობა სკოლაში თავს უსაფრთხოდ გრძნობს.** მოსწავლეების დიდი უმრავლესობა უარყოფს სკოლაში თანატოლების მხრიდან ძალადობას ბოლო ერთი წლის მანძილზე; თანატოლების მხრიდან ძალადობის ყველაზე ხშირი ფორმა, რომელიც ყოველმა მესამე მოსწავლემ დაასახელა, არის: „დამცინა, შეარცხვინა ან უხერხულ მდგომარეობაში ჩამაგდო სხვების თანდასწრებით“.

მასწავლებლების მხრიდან მოსწავლეებთან უხეში მოპყრობის გამოვლინებებიდან ყველაზე ხშირად დასახელდა ყვირილი ძალიან ხმამაღლა და აგრესიულად, დამამცირებელი სიტყვით ან სახელით მიმართვა და გალანძღვა. მოსწავლე ვაჟების ორი მესამედი ადასტურებს, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში მასწავლებელს უყვირია მისთვის და გაულანძღავს, ხოლო ერთი მესამედი აღიარებს, რომ მასწავლებელმა მიმართა დამამცირებელი სიტყვებით.

როგორც თვისებრივმა კვლევამ გამოავლინა, მასწავლებლები უარყოფენ სკოლაში ბულინგის არსებობას. საუბარში ირკვევა, რომ ბულინგად მიიჩნევენ მხოლოდ სერიოზულ ფიზიკურ ძალადობას. ჩაგვრის სხვა ფორმები შეუმჩნეველი რჩებათ ან არ მიაჩნიათ ჩაგვრად.

33. სკოლის მასწავლებლებისა და მშობლების კომუნიკაცია. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ საკმაოდ ბევრი საშუალებაა მშობლებთან კომუნიკაციისთვის - ელექტრონული ჟურნალები, სოციალური ქსელები, სატელეფონო კავშირი და მოკლე ტექსტური შეტყობინებები, ყოველ პარასკევს მშობლებს შეუძლიათ სკოლაში მისვლა და მასწავლებლებთან შეხვედრა. მიუხედავად კომუნიკაციის ამდენი საშუალებისა, მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ზოგი მშობელი ნაკლებად ინტერესდება შვილის სასკოლო ცხოვრებით და საუბრობენ მშობელთან თანამშრომლობის აუცილებლობაზე.

34. მასწავლებლებისა და მშობლების დამოკიდებულება ნარკოპოლიტიკის მიმართ. მასწავლებლები დადებითად აფასებენ არასრულწლოვნებისთვის თამბაქოს და ალკოჰოლის მიყიდვის შეზღუდვას, მაგრამ იმასაც აღნიშნავენ, რომ ეს კანონი ხშირად ირღვევა კონტროლის არარსებობის გამო. მშობლების და მასწავლებლების უმრავლესობა უკმაყოფილოა მარიხუანას მოხმარებასთან დაკავშირებული კანონის ლიბერალიზაციის გამო. მათი აზრით, ამან გამოიწვია ის, რომ არასრულწლოვნებს შორის გაიზარდა მარიხუანას მოხმარება.

35. მასწავლებლებისა და მშობლების მოსაზრებები პრევენციასთან დაკავშირებით. მასწავლებლებთან საუბარში ირკვევა, რომ **სკოლებში არ არსებობს ფსიქოაქტიური ნივთიერებების ავადმოხმარების პრევენციის გეგმა.** ნარკოტიკების მოხმარების პრევენცია პედაგოგების ნაწილისთვის მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებით შემოიფარგლება; ზოგიერთს არასწორად ესმის პრევენციის მნიშვნელობა - ისინი პრევენციად მიიჩნევენ მხოლოდ უკვე მომხდარ ფაქტებზე რეაგირებას.

ზოგიერთი მასწავლებელი უფრო შემოქმედებითად უდგება საკითხს - აჩვენებენ ფილმებს და შემდეგ მიმდინარეობს დისკუსია, რაც ბავშვებს ძალიან მოსწონთ. ზოგ სკოლაში ყოფილა, რომ მოწვეულ სპეციალისტებს ჩაუტარებიათ მოსწავლეებისთვის ლექცია. მაგრამ სისტემატური, გეგმაზომიერი ღონისძიებების არსებობის შესახებ არცერთ ჯგუფში არ უსაუბრიათ.

თუ მოსწავლეს გაუჩნდა შეკითხვა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით, სკოლებში არ არის გამოყოფილი ერთი კონკრეტული კომპეტენტური პირი. გამოითქვა ისეთი აზრიც, რომ პრევენცია მრავალკომპონენტიანია და სხვადასხვა საშუალებით უნდა განხორციელდეს. ზოგიერთი პედაგოგი არ თვლის საჭიროდ მოსწავლეებთან ამ თემებზე საუბარს. ზოგადად, მასწავლებლებს აკლიათ მოტივაცია, რადგან თვლიან, რომ მათი შრომა არ ფასდება სათანადოდ და დაკარგეს ავტორიტეტი.

მასწავლებლები თვლიან, რომ მხოლოდ სკოლა ვერ იტვირთავს ნარკოტიკების მოხმარებისა და სხვა ანტისოციალური ქცევების პრევენციას. მშობლებმა აღნიშნეს, რომ ოჯახს პრევენციის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მშობლების უდიდესი ნაწილი თვლის, რომ პირველ რიგში საჭიროა ამ საკითხებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ჩატარება. მშობლების აზრით, კარგი შედეგი ექნება ამ თემებზე თვალსაჩინო მასალის (ფილმები, ვიდეორგოლები) დემონსტრირებას. **მშობლები ხაზგასმით აღნიშნავდნენ იმის საჭიროებას, რომ პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია კომპლექსური მიდგომა.**

რისკ და დამცავი ფაქტორების და პრობლემური ქცევების ურთიერთდამოკიდებულება

კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მეშვეობით შეფასდა რისკ და დამცავი ფაქტორების კავშირი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან და სხვა ანტისოციალურ ქცევებთან. შესწავლილი 40 ფაქტორიდან, გამოვლინდა 22 ფაქტორის ასოციაციური კავშირი ნივთიერებების მოხმარებასთან და 17 ფაქტორის კავშირი ანტისოციალურ ქცევებთან.

შედეგები წარმოდგენილია ცხრილში:

Y - გამოვლინდა დადებითი კორელაციური კავშირი (პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება)

χ - გამოვლინდა უარყოფითი კორელაციური კავშირი (უკუპროპორციული დამოკიდებულება)

ფაქტორები	ფსიქოაქტიური ნივთიერებები		ანტისოციალური ქცევები		პროსოციალური ქცევები	
	მოსწ.	*სტუდ.*	*მოსწ.*	*სტუდ.*	*მოსწ.*	*სტუდ.*
ფაქტორები ინდივიდუალურ დონეზე						
ნივთიერებების მოხმარების გამოცდილება			Y	Y		
ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებული რისკის აღქმა	χ	χ				
ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების მიმღებლობა	Y	Y				
ანტისოციალური ქცევების მიმღებლობა			Y	Y		
ქცევის მკაფიო სტანდარტები (მორალური ფასეულობები)			χ	χ		
მეამბოხეობა	Y					
პრობლემების გადაჭრის უნარი	χ	χ	χ	χ		
ემოციური კეთილდღეობა: დეპრესიული განცდები		Y				
ემოციური კეთილდღეობა: ემოციური თვითრეგულირება						
პოზიტიური სოციალური (პროსოციალური) ქცევის გამოცდილება						
რელიგიურობა	χ	χ				
თავისუფალ დროს წვეულებებზე, კაფეებში და ბარებში სიარული	Y					
თავისუფალ დროს ინტერნეტის მოხმარება/საოჯახო საქმეებში მონაწილეობა		χ		χ		
ფაქტორები ურთიერთობების დონეზე						
ოჯახი						
მშობლების მიმღებლობა ახალგაზრდის მიერ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების მიმართ	Y	Y	Y	Y		
მშობლების მხრიდან ახალგაზრდის ანტისოციალური ქცევების მიმღებლობა	Y	Y	Y			
მშობლების მიერ თამბაქოს მოხმარება						

ნივთიერებათა მოხმარებასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები ოჯახის წევრებში						
ოჯახში მკაფიო წესები ალკოჰოლური სასმელების მიღებასთან და ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებით	χ	χ				
მშობლების მხრიდან კონტროლი	χ	χ	χ	χ		
ოჯახური კონფლიქტი						
მშობლებთან სიახლოვე		χ		χ	Y	Y
ოჯახის შესაძლებლობები პროსოციალური ჩართულობისთვის				χ		
ოჯახში წახალისება პროსოციალური ჩართულობისთვის	χ	χ				
სკოლა/სხვა საგანმანათლებლო დაწესებულება						
აკადემიური მოსწრება	χ	χ			Y	Y
სკოლისადმი/საგანმანათლებლო დაწესებულებისადმი მიკუთვნებულობა	χ	χ				
შესაძლებლობები პროსოციალური ჩართულობისთვის					Y	Y
წახალისება პროსოციალური ჩართულობისთვის					Y	
თანატოლები						
თანატოლების მიმღებლობა ნივთიერებების მოხმარების მიმართ	Y	Y	Y	Y		
მეგობრების მიერ ფსიქოატიური ნივთიერებების მოხმარება	Y	Y		Y		
მეგობრების მიერ ანტისოციალური ქცევის განხორციელება	Y	Y	Y	Y		
ნივთიერებათა მოხმარების წახალისება თანატოლების მხრიდან		Y		Y		
ანტისოციალური ქცევის წახალისება თანატოლების მხრიდან				Y		
პროსოციალური ქცევის წახალისება თანატოლების მხრიდან					Y	Y
ფაქტორები თემის/უბნის დონეზე						
ფსიქოაქტიური ნივთიერებების ხელმისაწვდომობა	Y	Y				
გადასვლა და მობილობა						
წესები და ნორმები ნარკოტიკების მოხმარებასთან და სხვა ანტისოციალურ ქცევებთან მიმართებით						
თემის არაორგანიზებულობა		Y	Y			
უბანში ძალადობა			Y	Y		
უბანში პროსოციალური შესაძლებლობები					Y	
დამოკიდებულება საკუთარი უბნის მიმართ						

რეკომენდაციები

პოლიტიკა და პრაქტიკა

ახალგაზრების მიერ ნარკოტიკების მოხმარებასა და ანტისოციალურ ქცევებთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად, პოლიტიკა და პროგრამები მიმართული უნდა იყოს ამ პრობლემების გამომწვევ უშუალო მიზეზებზე.

პოლიტიკა და პროგრამები ზემოქმედებს რისკისა და დამცავ ფაქტორების სხვადასხვა დონეებზე, მათ შორის, თემის, ოჯახის, სკოლის და პიროვნულ დონეზე. ოჯახის, თემის ან პიროვნულ დონეზე განხორციელებული მიზანმიმართულ პროგრამებთან ერთად, გამოყენებული უნდა იყოს უფრო ფართომასშტაბიანი ჩარევა მთელი მოსახლეობის დონეზე, რათა ეფექტურად მოხერხდეს კონკრეტული რისკ-ფაქტორების შემცირება და დამცავი ფაქტორების გაძლიერება.

გარკვეულმა რისკ ფაქტორებმა შეიძლება გამოიწვიოს ქცევითი გადახრის ნებისმიერი ფორმა, მათ შორის, ნარკოტიკების მოხმარებაც. აქედან გამომდინარე, მხოლოდ ნარკოტიკებზე მიმართულ პროფილაქტიკას შეიძლება შედეგად მოჰყვეს ის, რომ "დაძაბულობამ" სხვა გამოსასვლელი "არხი" იპოვოს. დევიაციური ქცევა მიიღებს არა ნარკომანიის, არამედ სხვა ფორმას (აგრესიული, სუიციდური, იმპულსური ქცევები და ა.შ.). პრევენცია ფართო გაგებით ყველა ფორმის ქცევითი გადახრის პროფილაქტიკას გულისხმობს. არსებობს მყარი რისკის ფაქტორები, რომელთა შეცვლა შეუძლებელია პრევენციული პროგრამებით, მაგრამ შესაძლებელია ინდივიდზე მათი ზეგავლენის შემცირება მათდამი დამოკიდებულების შეცვლის, მათთან გამკლავების უნარ-ჩვევების სწავლების და დაცვითი ფაქტორების გაძლიერების გზით.

ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების პირველადი პრევენცია - ეს არის სოციალური, საგანმანათლებლო და სამედიცინო-ფსიქოლოგიური ღონისძიებების კომპლექსი; შესაბამისად, პრევენციული სტრატეგიების შემუშავებასა და დანერგვაში უნდა მონაწილეობდეს სპეციალისტების მულტიდისციპლინური გუნდი - განათლების სფეროს წარმომადგენელი, პრევენციაში გამოცდილების მქონე ექიმი-ნარკოლოგი და ფსიქოლოგი.

1. უნდა შეიქმნას სკოლასა და თემზე მიმართული პრევენციული პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ეროვნული სტანდარტები, რათა მოხერხდეს ამ პროგრამების მთელი ქვეყნის მასშტაბით დანერგვა. ამისათვის სასურველია სამუშაო ჯგუფის შექმნა განათლების სფეროსა და პრევენციის სპეციალისტების მონაწილეობით, რომელსაც დაევალება: *1. პრევენციული საქმიანობის მინიმალური სტანდარტების შემუშავება; 2. ასაკობრივი თავისებურებების შესაბამისი პრევენციული პროგრამების შექმნა და პილოტირება; 3. სკოლის პერსონალისათვის საგანმანათლებლო ტრენინგ-პროგრამების მომზადება; 4. ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის მომზადება; 5. პროფილაქტიკური ღონისძიებების მონიტორინგისა და ეფექტურობის შეფასების სისტემის შემუშავება.*

2. მიზანშეწონილია, დაინერგოს კომპლექსური პრევენციული პროგრამები ინტეგრაციული მიდგომის გამოყენებით, რომელიც გულისხმობს პროფილაქტიკური სტრატეგიების (კომპონენტების) სხვადასხვა კომბინაციებით გამოყენების ვარიანტებს: 1. *ფაქტობრივი ინფორმაციის მიწოდება;* 2. *პრევენციული განათლება* - ფსიქო-სოციალური უნარ-ჩვევების სწავლება ინტერაქტიური მეთოდების გამოყენებით. ახალგაზრდების მიერ იმ უნარ-ჩვევების ათვისება, რომლებიც ხელს უწყობს მათი თვითშეფასების ამაღლებას, გადაწყვეტილების მიღების, კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციური და სხვა უნარების

განვითარებას; *3. პოზიტიური ალტერნატივების შეთავაზება* - სახალისო, სტრუქტურირებული აქტივობები უფროსების მონაწილეობით, გართობასთან და დასვენებასთან ერთად; *4. მშობლებზე მიმართული პრევენციული სტრატეგიები* ეფექტური პრევენციული პროგრამების მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. ასეთი პროგრამები მშობლებს მიაწვდის სათანადო ინფორმაციას ალკოჰოლისა და ნარკოტიკების შესახებ და ასწავლის, როგორ დაიცვან საკუთარი შვილები ნარკოტიკების მოხმარების რისკისაგან.

3. პრევენციული სტრატეგია ბევრად უფრო ეფექტურია, თუ წინმსწრებ ხასიათს ატარებს - მყარი, სასურველი განწყობების ჩამოყალიბება შესაძლებელია იმ მომენტამდე, სანამ მოზარდი დაიწყებს ამა თუ იმ პრობლემური ქცევის განხორციელებას. იმის გათვალისწინებით, რომ კვლევის მონაცემებით მაღალია ადრეულ ასაკში თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარების დაწყების მაჩვენებელი, სასურველია, ლეგალურ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით (თამბაქო, ალკოჰოლი, მედიკამენტები) ბავშვებთან პრევენციული მუშაობა დაიწყოს 10 წლის ასაკამდე. უნდა შემუშავდეს ამ ასაკობრივ ჯგუფზე მიმართული პრევენციული პროგრამები ასაკობრივი და კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით.

4. კვლევამ გამოავლინა, რომ მოსწავლეებშიც და სტუდენტებშიც მაღალია გადამეტებული სმის მაჩვენებელი. ალკოჰოლის მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემების პრევენცია უნდა ითვალისწინებდეს კულტურულ ფაქტორებს და მიმართული უნდა იყოს ალკოჰოლის ზომიერი და უსაფრთხო მოხმარების მნიშვნელობაზე.

5. მოსწავლეებში მარიხუანას ბოლო თვეში მოხმარების (აქტიური მოხმარება) მაჩვენებელი უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ორჯერ და მეტჯერ გაიზარდა. მშობლებიც და მასწავლებლებიც შეშფოთებული არიან მოზარდებს შორის მარიხუანას მოხმარების გავრცელებით. სასურველია სკოლებში მარიხუანას მოხმარებასთან დაკავშირებული პრევენციული მუშაობის გაძლიერება და გეგმაზომიერი, მიზანმიმართული მასობრივი საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვა და განხორციელება.

6. ის ახალგაზრდები, რომელთაც ოდესმე მოუხმარიათ ფსიქოაქტიური ნივთიერებები, უფრო ხშირად აღნიშნავდნენ სხვა ანტისოციალურ ქცევებში ჩართვას. სხვა პრობლემურ ქცევებს შორის ახალგაზრდებში ყველაზე გავრცელებულია აზარტული თამაშები. ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, 16-24 წ ასაკობრივ ჯგუფში აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების ჩამოყალიბების რისკი სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით ორჯერ უფრო მაღალია [1]. ქიმიური და ქცევითი დამოკიდებულების პრევენციის კომპლექსურ პროგრამებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აზარტული თამაშების თემას.

7. კვლევით დადასტურდა, რომ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება კორელაციაშია, ერთი მხრივ, ამ ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებული რისკის არასათანადოდ აღქმასთან, და, მეორე მხრივ, მათი მოხმარების მიმღებლობასთან. ახალგაზრდებთან პრევენციული მუშაობის დროს, ფაქტობრივი ინფორმაციის მიწოდებასთან ერთად, მნიშვნელოვანია თვალსაჩინო, ემოციური ზემოქმედების მქონე მასალის და პრონარკოტიკული განწყობების შეცვლაზე მიმართული ინტერაქტიური მეთოდების გამოყენება.

8. მიუხედევად იმისა, რომ ახალგაზრდებმა ნარკოტიკების შესახებ ინფორმაციის მიღების ყველაზე სანდო წყაროდ მშობლები და პედაგოგები დაასახელეს, მშობლები აღიარებენ, რომ აკლიათ სათანადო ინფორმაცია, ხოლო მასწავლებლები ამბობენ,

[1] G. Meyer. Problem Gambling in Europe: challenges, Prevention and Interventions. 2009

რომ ესაჭიროებათ გადამზადება. უნდა შემუშავდეს მშობლებზე მიმართული და მასწავლებლებზე მიმართული პრევენციული სტრატეგიები.

9. მნიშვნელოვანია გარემოზე ფოკუსირებული, ანუ საზოგადოებრივ პოლიტიკაზე ორიენტირებული პრევენციული სტრატეგიების განხორციელება. ნარკოტიკებთან დაკავშირებული სასკოლო პოლიტიკის შექმნა და განხორციელება სკოლებში ნარკოტიკების მოხმარების თავიდან აცილების ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ ინსტრუმენტს და წარმატებულ პრევენციულ სტრატეგიას წარმოადგენს. ნარკოტიკებთან დაკავშირებული სკოლის პოლიტიკის მიზანია სასკოლო გარემოში ისეთი ატმოსფეროს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ნარკოტიკების მოხმარებისადმი აქტიურად ნეგატიური პოზიციის ჩამოყალიბებას.

10. მოსწავლეებშიც და სტუდენტებშიც ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება კავშირშია მათ ხელმისაწვდომობასთან. მშობლებისა და მასწავლებლების აზრით, მიუხედავად იმისა, რომ თამბაქოსა და ალკოჰოლური სასმელების გაყიდვა არასრულწლოვნებზე კანონით აკრძალულია, ამ წესს ყველა არ იცავს და არის შემთხვევები, რომ მოზარდები თავისუფლად ყიდულობენ თამბაქოსაც და ალკოჰოლურ სასმელებსაც; ბევრგან სიგარეტი ქუჩაში იყიდება ღერებით. სასურველია არსებული საკანონმდებლო რეგულაციების აღსრულების მონიტორინგის მექანიზმების გაძლიერება.

11. ახალგაზრდებში აქტუალურია შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ტელევიზია, სკოლაში/სასწავლებელში ჩატარებული ტრენინგები და აქციები.

მედია აქტივობების კომბინირება სხვა პრევენციულ სტრატეგიებთან დაგვეხმარება ნარკოტიკების შესახებ ახალგაზრდების ცოდნის, შეხედულებებისა და დამოკიდებულების შეცვლაში.

ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებაზე და სხვა პრობლემურ ქცევებზე მიმართული პრევენციული მუშაობის დროს ეფექტურია მეთოდები, რომლებიც დაფუძნებულია ინტერაქტიურ საშუალებებზე – ურთიერთობის დიალოგურ სტილზე, მეცადინეობების აგების ჯგუფურ პრინციპზე და ცხოვრებისეული უნარების ფორმირების ფსიქოტექნიკურ მეთოდებზე.

12. სასურველია თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული პრევენციული ჩარევების დანერგვა. ჩარევა, რომელიც იყენებს კომპიუტერულ, მობილურ და ვებ-ტექნოლოგიებს, მიმზიდველია ახალგაზრდებისთვის და ნაკლებ დანახარჯებს მოითხოვს. დღეისათვის საქართველოში ახალგაზრდების აბსოლუტურ უმრავლესობას აქვს მობილური ტელეფონი და ინტერნეტთან წვდომა. ჩვენი კვლევის შედეგების თანახმად, ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა ყოველდღე სარგებლობს ინტერნეტით და სოციალური ქსელებით. პრევენციული გზავნილებისა და აუდიოვიზუალური მასალის (მაგალითად, საგანმანათლებლო ვიდეორგოლების) გავრცელება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით დაგვიზოგავს დროსაც და ფულსაც.

13. პროსოციალური ქცევა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც მოზარდებს ნარკოტიკების მოხმარებისა და სხვა ანტისოციალური ქცევებისაგან იცავს. ეფექტური პრევენციული პროგრამები ეხმარება ახალგაზრდებს პროსოციალური ქცევების ფორმირებაში. სასწავლებლებმა უნდა გააძლიერონ ძალისხმევა, რათა გაიზარდოს ახალგაზრდების მოხალისეობა და პროსოციალური ქცევების განხორციელების სურვილი. კვლევამ გამოავლინა, რომ ოჯახშიც, სკოლაშიც და

თემშიც მოზარდებს ნაკლებად ეძლევათ შესაძლებლობა, რომ აქტიურად ჩაერთონ პროსოციალურ საქმიანობაში და პოზიტიურად გაატარონ თავისუფალი დრო. ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია ახალგაზრდული კლუბების ქსელის შექმნით, სადაც ახალგაზრდები მოსინჯავენ თავიანთ შესაძლებლობებს, ისწავლიან სიძნელეებთან გამკლავებას, დაამყარებენ პოზიტიურ ურთიერთობებს და შეიძენენ სხვადასხვა უნარ-ჩვევებს.

14. მშობლების და მასწავლებლების ნაწილს არასწორად ესმის პრევენციის მნიშვნელობა. ნარკოტიკების მოხმარების პრევენცია პედაგოგების ნაწილისთვის მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებით შემოიფარგლება; ზოგიერთი კი მხოლოდ უკვე მომხდარ ფაქტებზე რეაგირებას მიიჩნევს პრევენციად. მშობლების, მასწავლებლების და მთლიანად საზოგადოების ინფორმირება პირველადი პრევენციის არსის, მნიშვნელობისა და ეფექტურობის შესახებ ხელს შეუწყობდა პრევენციული პროგრამების ფართომასშტაბიან დანერგვას.

კვლევა

თავიდან რომ ვგეგმავდეთ ამ კვლევას, გარკვეულ ცვლილებებს შევიტანდით. პირველ რიგში, ეს ეხება კვლევის ჩატარებაზე გამოყოფილ დროს, რომელიც არ აღმოჩნდა საკმარისი ასეთი მასშტაბური კვლევისთვის და მუდმივი ცაიტნოტის მდგომარეობაში ამყოფებდა მკვლევართა ჯგუფს. ამას გარდა, შევამცირებდით კითხვარის მოცულობას, თუმცა ზოგიერთ საკითხს უფრო ჩაღრმავებულად შევისწავლიდით: მაგ., მორალური ფასეულობები, მოსწავლეების აზრი მანდატურების სამსახურზე.

მიუხედავად განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სრული მხარდაჭერისა და დახმარებისა, ზოგიერთი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელობა შეშფოთებით, ზოგი კი გულგრილად შეხვდა ჩვენს თხოვნას და უარი თქვა კვლევაში მონაწილეობაზე. უარის მიზეზები სხვადასხვა იყო: „ჩვენთვის ეს საკითხები არ არის აქტუალური“, „ამ თემებზე ჩვენს ბავშვებთან საუბარი არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად“, „ჩვენი მოსწავლეების მშობლებს ეს არ მოეწონება (კერძო სკოლები)“, „ჩვენს სტუდენტებს ბევრი საქმე აქვთ და ვერ მოიცლიან კვლევაში მონაწილეობისთვის“ და ა.შ. ასეთი დამოკიდებულება კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ მიუხედავად იმისა, რომ დღეს ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ნარკომანიის პრობლემაზე, საზოგადოება მაინც ვერ აცნობიერებს ბოლომდე როგორც ამ პრობლემის, ასევე მსგავსი კვლევების აქტუალობას და მნიშვნელობას.

1. აუცილებელია რისკისა და დამცავი ფაქტორების ცვლილების დინამიკის შესწავლა, რაც საშუალებას იძლევა, გავაფრთხილოთ გადაწყვეტილების მიმღები პირები სიტუაციის გაუარესების შემთხვევაში, ან, პირიქით, წარვუდგინოთ მტკიცებულებები, რომ პრევენციული ღონისძიებები მუშაობს. ამისთვის საჭიროა მსგავსი კვლევების გარკვეული პერიოდულობით გამეორება მომავალში.

2. სამომავლოდ, უნდა დაიგეგმოს კვლევები, რომელთა საფუძველზე შემუშავდება ახალი პრევენციული მიდგომები როგორც პოლიტიკის, ასევე პროგრამულ დონეზე, და შეფასდება არსებული მიდგომების ეფექტურობა.

თავი 1. რისკზე ორიენტირებული პრევენციული მოდელი

ახალგაზრდების პრობლემური ქცევა: რისკი და დაცვა

მტკიცებულებების მზარდი რაოდენობა მიუთითებს, რომ სხვადასხვა ფსიქოლოგიური, სოციალური და ქცევითი ფაქტორი ხელს უწყობს ადამიანების ჯანმრთელობის დაცვას, განსაკუთრებით მოზარდობის პერიოდში (ჯანმო 2002). ჯანმრთელობისთვის საზიანო შედეგის მომტანი მიზეზები თანდათან უფრო მეტად ხდება პრევენციული მეცნიერების ინტერესის საგანი, რაც გულისხმობს პიროვნებასა და მის გარემოში არსებული რისკის შემცირებას და დამცავი ფაქტორების გაძლიერებას. ახალგაზრდების მიკროსოციალურ გარემოცვაში არსებული რისკისა და დამცავი ფაქტორების შეფასება საშუალებას გვაძლევს, გამოვავლინოთ მოცემული გარემოცვისთვის დამახასიათებელი კონკრეტული ფაქტორები და სწორედ მათზე მივმართოთ პრევენციული მუშაობა*.

რისკის ფაქტორი არის პიროვნული ან გარემოსთან დაკავშირებული მახასიათებელი, მდგომარება ან ქცევა, რომელიც ზრდის უარყოფითი შედეგების შესაძლებლობას. დამცავი ფაქტორი არის პიროვნული ან გარემოსთან დაკავშირებული მახასიათებელი, მდგომარება ან ქცევა, რომელიც ამცირებს სტრესული მოვლენების ზემოქმედების შედეგებს; ზრდის ინდივიდის უნარს, თავი აარიდოს რისკებს ან საფრთხეებს; ხელს უწყობს სოციალური და ემოციური კომპეტენციის ჩამოყალიბებას**. ტერმინის „დამცავი ფაქტორის“ ნაცვლად, ზოგჯერ, იგივე მნიშვნელობით გამოიყენება შემდეგი ტერმინები: მედეგობა (Resiliency), განვითარების აქტივები (Developmental Assets) ან ახალგაზრდების პოზიტიური განვითარება (positive youth development). ყველა ეს ტერმინი გულისხმობს ძლიერი მხარეების განვითარებაზე მიმართული მიდგომის გამოყენებას ბავშვებთან, ახალგაზრდებთან და მათ გარემოცვასთან მუშაობის დროს. ***

ახალგაზრდების პოზიტიური განვითარების მიდგომის ეფექტურობას მრავალი კვლევა ადასტურებს. ეს არის

სამეცნიერო კვლევების საკმაოდ დიდი რაოდენობა გვიჩვენებს, რომ რაც უფრო მეტი რისკ ფაქტორი მოქმედებს მოზარდებზე, მით მეტია მათ მიერ ნარკოტიკების მოხმარების დაწყების ან სხვა პრობლემური ქცევების განხორციელების ალბათობა.

ასევე, მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ სხვადასხვა დამცავი ფაქტორის ზემოქმედება ამცირებს ამ პრობლემური ქცევების გავრცელებას.

ამ თავში წარმოდგენილია რისკისა და დამცავ ფაქტორებთან დაკავშირებული არსებითი და კონცეპტუალური საკითხების მიმოხილვა.

* 2016 Montana Prevention Needs Assessment Survey. Montana Department of Public Health and Human Services

** Kipke M, ed. Risks and Opportunities: Synthesis of Studies on Adolescence. Washington, DC: National Academies Press; 1999.

*** Risk and Protective Factors for Adolescent Substance Use (and other Problem Behavior). Alaska Division of Behavioral Health, 2011

თანამედროვე მიდგომა, რომელიც აღიარებს, რომ ყველა მოზარდს გააჩნია გარკვეული ძლიერი მხარეები და, როდესაც ხდება ამ ძლიერი მხარეების შერწყმა ჯანსაღი განვითარებისთვის საჭირო რესურსებთან, მოზარდი/ახალგაზრდა პოზიტიური მიმართულებით ვითარდება.

პრევენციული მეცნიერება ხაზს უსვამს იმ ინდიკატორების ანუ პრედიქტორების (კერძოდ, რისკისა და დამცავი ფაქტორების) გამოვლენის მნიშვნელობას, რომლებიც ადგენენ მოზარდის პრობლემური ქცევის ალბათობას (Catalano et al., 2012; Coie et al., 1993; Fraser, 2004), რათა ეფექტურად მოხდეს ამ ქცევების თავიდან აცილება (Hawkins, Catalano, & Miller, 1992). მას შემდეგ, რაც კვლევებმა დაადასტურა პრობლემური ქცევების განმაპირობებელი მთელი რიგი რისკ ფაქტორების არსებობა, შემუშავდა პროფილაქტიკური ღონისძიებები, რომლებიც წარმატებით ამცირებენ რისკებს (Fraser, 2004; Hawkins et al., 1992; Welsh & Farrington, 2007). კვლევებით ასევე დადასტურებულია, რომ მოზარდებში პრობლემური ქცევების განმაპირობებელი რისკის შემცირება ამ ქცევების თავიდან აცილების ეფექტური სტრატეგიაა (Farrington, 2000; Welsh & Farrington, 2007) და სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით, მოზარდები ყველაზე ადვილად ექცევიან რისკების ზემოქმედების ქვეშ (Catalano et al., 2012; Masten & Cicchetti, 2010). წლების განმავლობაში ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ დამცავი ფაქტორები, პირიქით, აფერხებენ პრობლემური ქცევების განვითარებას (Bowers et al., 2011; Hartman, Turner, Daigle, Exum, & Cullen, 2009; Hawkins et al., 1992; Lösel & Farrington, 2012; O'Donnell, Hawkins, & Abbott, 1995); უამრავი კვლევაა ჩატარებული მოზარდებზე რისკ და დამცავი ფაქტორების ზემოქმედების შესახებ, მაგრამ მწირი მონაცემები არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იცვლება ეს ფაქტორები შემდგომ პერიოდში, ახალგაზრდების განვითარების კვალდაკვალ (Fraser, 2004; Van Der Put et al., 2011)[2].

პრევენციული კვლევების თანახმად, მოზარდებისა და ახალგაზრდების მიერ ნარკოტიკების მოხმარებასა და სხვა პრობლემურ ქცევებთან დაკავშირებულია შემდეგი რისკ და დამცავი ფაქტორები:

ცხრილი 1. ახალგაზრდების პრობლემური ქცევების რისკ და დამცავი ფაქტორები[3]

დამცავი ფაქტორები	**რისკ ფაქტორები**
პიროვნული მახასიათებლები ან პირობები ოჯახში, სკოლაში ან საზოგადოებაში, რომლებიც ხელს უწყობენ ახალგაზრდებს, წარმატებით გაუმკლავდნენ ცხოვრებისეულ გამოწვევებს და არსებულ რისკ ფაქტორებს	პიროვნული მახასიათებლები ან პირობები ოჯახში, სკოლაში ან საზოგადოებაში, რომლებიც ზრდიან იმის ალბათობას, რომ ახალგაზრდები ჩაერთვებიან პრობლემურ ქცევებში
ოჯახი → ოჯახისადმი მიკუთვნებულობის განცდა → აღზრდის პოზიტიური სტილი → ორივე მშობელი ოჯახში → მშობლების განათლების მაღალი დონე → სკოლის მიმართ მშობლების მაღალი	**ოჯახი** → პრობლემური ქცევის ოჯახური ისტორია → ოჯახის მართვის პრობლემები → ოჯახური კონფლიქტი → ოჯახის წევრის ან ახლობლის თვითმკვლელობა

[2] B. K. Elizabeth Kim, Sabrina Oesterle, Richard F. Catalano, and J. David Hawkins. Change in Protective Factors Across Adolescent Development. J Appl Dev Psychol. 2015.

[3] Risk and Protective Factors for Adolescent Substance Use (and other Problem Behavior). Alaska Division of Behavioral Health, 2011

მოლოდინები	→ მშობლების ჩართულობა პრობლემურ ქცევებში → ფსიქოაქტიური ნივთიერებების ან იარაღის ხელმისაწვდომობა ოჯახში
სკოლა → სკოლისადმი მიკუთვნებულობა → მზრუნველი სასკოლო გარემო → ახალგაზრდების მონაწილეობა კლასგარეშე საქმიანობაში	**სკოლა** → აკადემიური ჩამორჩენილობა → მოსწავლესა და სკოლას შორის ჯანსაღი ურთიეთკავშირის არარსებობა
თემი/უბანი → პოზიტიური კავშირები ახალგაზრდებსა და უფროსებს შორის → უსაფრთხო, მხარდამჭერი ატმოსფერო სამეზობლოში → ძლიერი სათემო ინფრასტრუქტურა (სერვისების ხელმისაწვდომობა საჭიროებისამებრ) → ადგილობრივ და სახელმწიფო დონეზე ისეთი პოლიტიკისა და პროგრამების არსებობა, რომლებიც მხარს უჭერენ ჯანსაღ ნორმებსა და ბავშვთა/ახალგაზრდულ პროგრამებს → თემის საქმეებში ახალგაზრდების მონაწილეობის შესაძლებლობა და ხელშეწყობა	**თემი/უბანი** → ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ხელმისაწვდომობა → ნორმები და ფასეულობები თემში → ცეცხლსასროლი იარაღის ხელმისაწვდომობა → ხშირი გადასვლა და მობილობა → სამეზობლოსადმი არასაკმარისი მიკუთვნებულობის განცდა და თემის დეზორგანიზაცია → სიღარიბე
პიროვნული - თანატოლები → მნიშვნელოვან აქტივობებში ჩართულობა → ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები და სოციალური კომპეტენცია → კულტურული იდენტობა → პოზიტიური პიროვნული თვისებები → დადებითი თვითშეფასება → თანატოლების დადებითი როლური მოდელები → რელიგიური იდენტობა	**პიროვნული - თანატოლები** → ბავშვზე ძალადობის (ფიზიკური, სექსუალური) ან სხვა ოჯახური ძალადობის გამოცდილება → კულტურული იდენტობისა და კავშირების დაკარგვა → კონსტიტუციური ფაქტორები → ადრეული და განმეორებადი ანტისოციალური ქცევა → პრობლემური ქცევის მქონე მეგობრები → დადებითი ან არასაკმარისად უარყოფითი დამოკიდებულება პრობლემური ქცევების მიმართ (რისკის ან ზიანის ადეკვატური აღქმის არარსებობა) → ჯგუფის წევრობა, რომლის ქცევაც ითვლება დანაშაულად ან საზოგადოებისთვის მიუღებლად

სოციალურ-ეკოლოგიური მიდგომა პრევენციისადმი

მოზარდებსა და ახალგაზრდებში ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების ეფექტური პრევენციული პროგრამა საჭიროებს კონტექსტუალური რისკ და დამცავი ფაქტორების გამოვლენას. ამდენად, სოციალურ-ეკოლოგიური მოდელით დიდი ხანია სარგებლობენ

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში განხორციელებული ჩარევების შესასწავლად. ამ თეორიული მიდგომის პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ კონტექსტუალური გარემოს (მაგ., ოჯახი, სკოლა, სამეზობლო) ურთიერთქმედება პიროვნებასთან ხელს უწყობს ჯანსაღ ქცევას ან, პირიქით, წარმოშობს არაჯანსაღ ქცევებს[4].

ჩვენი ქცევა გარკვეულ კონტექსტში ხორციელდება. ჩვენზე ზეგავლენას ახდენს არა მარტო ჩვენთვის დამახასიათებელი თავისებურებები ანდა ის, თუ რას ვფიქრობთ ან რისი გვჯერა, არამედ ჩვენი სხვებთან ურთიერთობა, სხვადასხვა ორგანიზაციები და ჯგუფები, რომელთაც ჩვენ მივეკუთვნებით და უფრო ფართო საზოგადოება, რომლის ფარგლებშიც ფუნქციონირებენ ეს ორგანიზაციები და ჯგუფები. სოციალურ-ეკოლოგიური მოდელი (სემ) გვიჩვენებს, თუ როგორ ახდენს ინდივიდზე პირდაპირ ზეგავლენას ოჯახი, თანატოლები და საზოგადოება, რომელიც, თავის მხრივ, მოქმედებს არაპირდაპირი გავლენის მქონე კომპლექსურ გარემოში.

სოციალურ-ეკოლოგიური მოდელი მოიცავს რამდენიმე დონეს, რომლებიც გულისხმობს ადამიანის ურთიერთქმედების სხვადასხვა კონტექსტსა და პირობას. ამ მოდელში ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მოზარდების მიერ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებაზე, გადანაწილებულია ოთხ დონეზე - პიროვნულ, ურთიერთობების, თემის/უბნის და საზოგადოებრივ დონეებზე:

→ პიროვნული: მოიცავს პიროვნების სპეციფიკურ მახასიათებლებს, როგორიცაა ასაკი, განათლების დონე, შემოსავალი, ჯანმრთელობა და ფსიქოსოციალური თავისებურებები.

→ ურთიერთობების: მოიცავს ინდივიდის უახლოეს სოციალურ წრეს - ოჯახის წევრებს, თანატოლებს, მასწავლებლებს და სხვა ახლობლებს, რომელთაც შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ ინდივიდის ქცევაზე.

→ თემის/უბნის: მოიცავს იმ ინსტიტუტებს, სადაც ხორციელდება სოციალური ურთიერთობები: სასწავლებელი, სამუშაო ადგილი, თემი/უბანი

→ საზოგადოებრივი: მოიცავს ფართო საზოგადოებრივ ფაქტორებს, როგორიცაა სოციალური და კულტურული ნორმები. ამ დონის შესაბამისი სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორებია ჯანმრთელობის, ეკონომიკური, საგანმანათლებლო და სოციალური პოლიტიკა, რომლებიც ხელს უწყობს მოსახლეობის ეკონომიკურ, სოციალურ კეთილდღეობას ან ჯანმრთელობას[5].

სოციალურ-ეკოლოგიური მოდელის თითოეული დონე შეიძლება განიხილებოდეს, როგორც გავლენის დონე, და ასევე, როგორც პრევენციის საკვანძო სამიზნე.

დიაგრამა 1 გვიჩვენებს ახალგაზრდების პრობლემური ქცევების იმ რისკის/დამცავ ფაქტორებს, რომლებიც შესწავლილ იქნა წარმოდგენილ კვლევაში. ეს ფაქტორები განლაგებულია სოციალურ-ეკოლოგიური მოდელის მიხედვით, რომელიც საშუალებას გვაძლევს, გავითვალისწინოთ ის განსხვავებული კონტექსტები, სადაც საერთო რისკ და დამცავი ფაქტორები არსებობს.

---

[4] Golden SD, Earp JA. Social ecological approaches to individuals and their contexts: twenty years of health education & behavior health promotion interventions. Health Educ. 2012.

[5] Building on Strengths: Main Findings on Protective Factors and Programs. SAMHSA's Center for the Application of Prevention Technologies, 2016

დიაგრამა 1. რისკის/დამცავი ფაქტორები და სოციალურ-ეკოლოგიური მოდელის დონეების კატეგორიები

რისკისა და დამცავი ფაქტორების ანალიზი არის ყველაზე მძლავრი ხელმისაწვდომი ინსტრუმენტი იმის გასარკვევად, თუ რა უწყობს ხელს მოზარდის როგორც დადებით, ასევე უარყოფითი ქცევას, ასევე, ეს ანალიზი გვეხმარება ახალგაზრდებისთვის წარმატებული პრევენციული პროგრამების შემუშავებაში. ახალგაზრდების პოზიტიური განვითარების ხელშესაწყობად და პრობლემური ქცევების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია იმ ფაქტორების გათვალისწინება, რომლებიც განაპირობებენ ამ შედეგებს. რისკისა და დამცავი ფაქტორების შეფასებით ვლინდება ის კონკრეტული ფაქტორები, რომლებიც აქტუალურია მოცემულ თემში/საზოგადოებაში და მათ პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ. ეს პროცესი ასევე ხელს უწყობს პრევენციის მიზანმიმართული, მტკიცებულებებზე დაფუძნებული და ეფექტური პროგრამების შერჩევას, რომლებიც მიმართული იქნება გამოვლენილ აქტუალურ რისკ და დამცავ ფაქტორებზე და, შესაბამისად, გაზრდიან წარმატების ალბათობას[6].

[6] Communities That Care Youth Survey Report. Anytown County. Prepared by Rothenbach Research and Consulting, LLC

თავი 2. მეთოდოლოგია

საკვლევი არეალი

საქართველო არის სახელმწიფო ევრაზიაში, კავკასიის რეგიონში, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ესაზღვრება ჩრდილოეთიდან რუსეთი, სამხრეთიდან თურქეთი და სომხეთი, და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან აზერბაიჯანი. ქვეყნის ფართობი შეადგენს 69 700 კვ. კმ-ს, დედაქალაქი არის თბილისი. საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა 1991 წელს.

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, მოსახლეობის რაოდენობაა 3 713 804. საქართველოს მოსახლეობის 47,7 პროცენტს მამაკაცები შეადგენენ, ხოლო 52,3 პროცენტს - ქალები; მოსახლეობის 86,8 პროცენტს ქართველები შეადგენენ, 6,3 პროცენტს - აზერბაიჯანელები, ხოლო 4,5 პროცენტს - სომეხი ეროვნების მოსახლეობა.

საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, „ახალგაზრდად“ ითვლება 14-29 წლის პირი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ამ ასაკობრივ კატეგორიაში საქართველოს მოსახლეობის ყოველი მეხუთე პირი ხვდება (15-დან 29 წლამდე ასაკის მოსახლეობის რაოდენობა 814,300-ის ტოლია; მათ შორის - 51%-ს შეადგენენ მამაკაცები, ხოლო 41%-ს - ქალები).

საქართველოს განათლების სისტემა მოიცავს ზოგად, უმაღლეს და პროფესიულ განათლებას. განათლება სავალდებულოა 6-14 წლის ბავშვებისთვის. საქართველოში სრულ ზოგად განათლებას აქვს სამი საფეხური: დაწყებითი (6 წელი, 6-12 წლის ასაკობრივი ჯგუფი), საბაზო (3 წელი, 12-15 წლის ასაკობრივი ჯგუფი) და საშუალო (3 წელი, 15-18 წლის ასაკობრივი ჯგუფი), ან, როგორც ალტერნატივა, პროფესიული განათლება (2 წელი). საქართველოში უმაღლესი განათლება სამი საფეხურისგან შედგება: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა.

პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში ქართველი ახალგაზრდები სხვადასხვა გამოწვევების წინაშე დგანან. 2016 წელს, ფრიდრიხ ებერტის ფონდის (FES) სამხრეთ კავკასიის რეგიონაოლურმა ოფისმა ჩაატარა კვლევა ქართველ ახალგაზრდებზე (თაობა გარდამავალ პერიოდში. ახალგაზრდების კვლევა 2016 - საქართველო), რათა ეკვლია მათი აღქმები, შეგნება, მოლოდინები და დამოკიდებულება ცვალებად გარემოსთან მიმართებაში. გამოკითხვის შედეგები ადასტურებს პოლიტიკის მიმართ ახალგაზრდების გულგრილობის შესახებ სხვა კვლევების მიგნებებს.

ამ თავში მოცემულია კვლევაში გამოყენებული მეთოდოლოგიური სტრატეგია. კერძოდ, აღწერილია არეალი, სადაც ჩატარდა კვლევა, განმარტებულია შერჩევის, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის დროს გამოყენებული მიდგომები.

განხილული საკითხები:

- → საკვლევი არეალი
- → კვლევის ამოცანები და სამიზნე ჯგუფები
- → კვლევის ინსტრუმენტები
- → შერჩევის დიზაინი
- → კვლევის ადმინისტრირება
- → მონაცემთა შეყვანა და ანალიზი
- → კვლევის დემოგრაფია

დაბალი პოლიტიკური ჩართულობის გარდა, ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობაც უმნიშვნელოა.

კვლევის თანახმად, საქართველოს ახალგაზრდები ყველაზე მეტად საკუთარ ოჯახებს ენდობიან. ათიდან შვიდი (70%) ახალგაზრდა მშობლების სახლში ცხოვრობს და მათი უმრავლესობისთვის, შემოსავლის ძირითად წყაროს მშობლები წარმოადგენენ (62%). გამოკითხულთა მხოლოდ 3%-ს არა აქვს ფინანსური პრობლემები და შეუძლია, თავად უზრუნველყოს საკუთარი თავი. მეორე მხრივ, ახალგაზრდების 11%-ს საკვებისთვისაც კი არა აქვს საკმარისი ფული. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით კრიტიკულია მდგომარეობა სოფლებში[7].

ნარკოტიკების მოხმარება და მოხმარებასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის, სოციალური და ეკონომიკური შედეგები საქართველოს საზოგადოებრივი პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ქვეყანაში ფსიქოაქტიური ნივთიერებების ავადმოხმარების გავრცელების შემაშფოთებელი ზრდა შეინიშნება. ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა სავარაუდო რაოდენობის ბოლო შეფასების თანახმად [8] , 2016 წელს, საქართველოში ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა სავარაუდო რაოდენობა იყო 52,500, ხოლო ნაციონალური პრევალენტობა - 2,24% 18-64 წლის მოსახლეობაზე გადათვლით და 1,41% ზოგად პოპულაციაზე გადათვლით. ნარკოტიკების ავადმოხმარება თანდათან გავრცელდა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში და სოციალურ ფენებში და დღეს ამ პრობლემამ ახალგაზრდა თაობაც მოიცვა.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ 2015 წელს ჩატარებული ალკოჰოლის, თამბაქოსა და სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების შემსწავლელი ევროპის სასკოლო კვლევის (ESPAD) თანახმად, საქართველოში თამბაქო მოსწავლეთა 43%-ს ერთხელ მაინც მოუწევია: გოგონებში ეს მაჩვენებელი 30%-ია, ხოლო ბიჭებში - 54%. რეგულარულ მწეველთა რაოდენობა კი 12%-ია (ბიჭების - 18%, გოგონების - 5%). მოსწავლეთა 21%-მა (ბიჭების 28% და გოგონების 13%) მოწევა პირველად 13 წლის ან უმცროს ასაკში სცადა. მოსწავლეების 85%-მა (ბიჭების 86% და გოგონების 83%) აღნიშნა, რომ ცხოვრების განმავლობაში ერთხელ მაინც მიუღია ალკოჰოლი; მოსწავლეთა 43%-მა განაცხადა, რომ ალკოჰოლი მიიღო უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში, ხოლო მოსწავლეთა 22% (ბიჭების 29% და გოგონების 13%) დამთვრალა 13 წლის ან უმცროს ასაკში. მოსწავლეების 11%-მა აღნიშნა, რომ სიცოცხლის განმავლობაში ერთხელ მაინც აქვს გასინჯული მარიხუანა ან ჰაშიში (კანაფი). ქართველ მოსწავლეთა შორის, მარიხუანის ან ჰაშიშის (კანაფი) გარდა, ყველაზე გავრცელებული ნარკოტიკებია – ტრანკვილიზატორები და სედატიური საშუალებები (ექიმის დანიშნულების გარეშე)[9].

ტრადიციულად, საქართველოს ნარკოპოლიტიკა უფრო ორიენტირებულია ნარკოტიკების მოწოდების შემცირებაზე და არა ნარკოტიკების მოთხოვნის შემცირებაზე და პრევენციაზე. ქვეყანაში მიმდინარე პრევენციული აქტივობები უმეტესწილად არ ეფუძნება სამეცნიერო მტკიცებულებას და არ ფასდება ეფექტიანობის, ეთიკისა თუ ხარისხის თვალსაზრისით, გაეროს სტანდარტების შესაბამისად. იმისთვის, რომ პრევენციული პროგრამა ეფექტიანი

[7] Generation in Transition. Youth Study 2016 – Georgia. Friedrich-Ebert-Stiftung

[8] Population Size Estimation of People who Inject Drugs in Georgia 2016. Study Report. Prepared by: Bemoni Public Union (BPU) Curatio International Foundation (CIF). 2017

[9] The European School Survey on Tobacco, Alcohol and Other Drugs. ESPAD Report 2016. National Centre for Disease Control and Public Health

იყოს, იგი უნდა ეყრდნობოდეს მეცნიერებას, გულდაგულ დაინერგოს და ხელმისაწვდომი იყოს პოპულაციისთვის მთელი ცხოვრების მანძილზე [10].

აქამდე, საქართველოში არ ჩატარებულა კვლევა ახალგაზრდებში ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების და სხვა პრობლემური ქცევების რისკ და დამცავი ფაქტორების გამოსავლენად. წინამდებარე კვლევა დაიგეგმა ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად და ჩატარდა საქართველოს სამ დიდ საუნივერსიტეტო ქალაქში: თბილისში (დედაქალაქი), ქუთაისში (იმერეთის რეგიონი) და ბათუმში (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა).

დიაგრამა 2-ზე წარმოდგენილია საქართველოს რუკა იმ ქალაქების მითითებით, სადაც ჩატარდა მოცემული კვლევა:

დიაგრამა 2. ქალაქები, სადაც ჩატარდა რისკ და დამცავი ფაქტორების კვლევა

კვლევის ამოცანები და სამიზნე ჯგუფები

კვლევის მიზანია საქართველოს მოზარდებსა და ახალგაზრდებში ნარკოტიკების მოხმარებისა და სხვა პრობლემური ქცევების რისკ და დამცავი ფაქტორების შესწავლა და რისკ და დამცავ ფაქტორებსა და ახალგაზრდების პრობლემურ ქცევებს შორის ურთიერთკავშირის დადგენა.

კვლევის ამოცანები:

1. შეფასდეს მოზარდებსა და ახალგაზრდებში ისეთი პრობლემური ქცევების გავრცელება, როგორიცაა თამბაქოს, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარება და სხვა დევიაციური ქცევები (ამ ცნებით აღინიშნება არალეგალური ან ანტისოციალური ქმედებები, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა ხასიათის სამართლებრივ და სოციალურ ნორმათა დარღვევას).

[10] Javakhishvili, J., Otiashvili, D., Tabatadze, M., Bergen-Cico, D., The Drug Situation in Georgia, Annual Report 2014, Tbilisi, 2016

2. შეფასდეს ნარკოტიკების მოხმარებისა და სხვა პრობლემური ქცევების რა რისკ და დამცავი ფაქტორები არსებობს საზოგადოებაში, ოჯახში, სკოლაში, თანატოლების წრეში.

3. შემუშავდეს რეკომენდაციები პრევენციული ღონისძიებების დასაგეგმად და განსახორციელებლად სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე

სამიზნე ჯგუფები:

1. 14-24 წლის მოზარდები და ახალგაზრდები:
   ა) სკოლის მოსწავლეები;
   ბ) პროფესიული კოლეჯების და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები;

2. სკოლის მოსწავლეების (უფროსკლასელების) მშობლები;

3. სკოლის მასწავლებლები

კვლევის ფარგლებში კონკრეტული სეგმენტის შესწავლა განხორციელდა როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის მეთოდების საშუალებით. კერძოდ, სკოლის მოსწავლეებთან და პროფესიული კოლეჯების/უმაღლესი სასწავლებელების სტუდენტებთან ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა (თვითადმინისტრირებადი კითხვარით), ხოლო მშობლებთან და სკოლის მასწავლებლებთან გამოყენებული იყო თვისებრივი კვლევის მეთოდი - ფოკუს ჯგუფის დისკუსიის ტექნიკა.

კვლევის ინსტრუმენტები

რაოდენობრივი კვლევა წარმოადგენს ამერიკის შეერთებულ შტატებში შექმნილი „საზოგადოება, რომელიც ზრუნავს - ახალგაზრდების კვლევის“ (The Communities That Care Youth Survey) საქართველოსთვის ადაპტირებულ ვარიანტს. ადაპტაცია საჭირო იყო იმისთვის, რომ, ერთი მხრივ, კვლევა ყოფილიყო ქართული რეალობის შესაბამისი და, მეორე მხრივ, მორგებოდა უფრო ფართო ასაკობრივ დიაპაზონს - 14-დან 24 წლამდე.

რაოდენობრივი კვლევის კითხვარს საფუძვლად დაედო საქართველოში და აშშ-ში გამოყენებული კვლევის ინსტრუმენტები:

1. The Communities That Care Youth Survey: Measuring Risk and Protective Factors for Substance Use, Delinquency, and Other Adolescent Problem Behaviors 2016 Florida Youth Substance Abuse Survey (FYSAS)
2. Arkansas Prevention Needs Assessment 2017 Student Survey
3. 2016 Florida Youth Substance Abuse Survey (FYSAS)
4. 2016 Arizona Youth Survey
5. 2013 State and Local Youth Risk Behavior Survey Questionnaire. The National Youth Risk Behavior Surveillance Survey (YRBSS), conducted by the Centers for Desease Control and prevention, Division of Adolescent and School Health
6. „ქცევაზე ზედამხედველობის კვლევა ახალგაზრდებში: აივ ინფექცია/შიდსთან მიმართებაში ცოდნის, განწყობებისა და ქცევის შესწავლა სკოლის მოსწავლეებსა და უნივერსიტეტის სტუდენტებში თბილისში, საქართველო“ (2012, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით განხორციელებული საქართველოში აივ პრევენციის პროექტი)

7. ალკოჰოლის, თამბაქოსა და და სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების შემსწავლელი ევროპის სკოლების კვლევა

რაოდენობრივ კვლევაში გამოყენებული იყო ორი თვითადმინისტრირებადი კითხვარი: (1) კითხვარი სკოლის მოსწავლეებისთვის; (2) კითხვარი პროფესიული კოლეჯებისა და უნივერსიტეტების სტუდენტებისთვის.

კითხვარში რამდენიმე სექციაა, რომლებიც, დემოგრაფიული მახასიათებლების გარდა (13 კითხვა), მოიცავს შეკითხვებს პრობლემური ქცევების რისკ/დამცავი ფაქტორების შესახებ სოციალურ-ეკოლოგიური მოდელის შემდეგ დონეებზე (ცხრილი 2):

ცხრილი 2. რაოდენობრივი კვლევის კითხვარის საკვლევი საკითხები

პიროვნული დონე	მოსაზრებები, განწყობები, გრძნობები (4 კითხვა)	
	გამოცდილება თამბაქოს, ალკოჰოლის და ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებით (25 კითხვა)	
	გამოცდილება სხვა ანტისოციალურ ქცევებთან დაკავშირებით (3 კითხვა)	
	პროსოციალური ქცევის გამოცდილება (2 კითხვა)	
	გამოცდილება ცხოვრების სხვა სფეროებში (2 კითხვა)	
ურთიერთობების დონე	***ოჯახი:***	მშობლების დამოკიდებულება ნარკოტიკების მოხმარებისა და სხვა ანტისოციალური ქცევების მიმართ (1 კითხვა); ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებისა და სხვა ანტისოციალური ქცევის ოჯახური ისტორია (4 კითხვა); წესები და ნორმები ოჯახში (5 კითხვა)
	სკოლა:	აკადემიური მოსწრება (2 კითხვა); დამოკიდებულება სკოლის მიმართ (12 კითხვა); შესაძლებლობები პროსოციალური ჩართულობისათვის (4 კითხვა); წახალისება პროსოციალური ჩართულობისთვის (2 კითხვა)
	თანატოლები:	მოსაზრებები, განწყობები (2 კითხვა); გამოცდილება თამბაქოს, ალკოჰოლის და ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებით (1 კითხვა); გამოცდილება სხვა ანტისოციალურ ქცევებთან დაკავშირებით (1 კითხვა); პროსოციალური ქცევის გამოცდილება (1 კითხვა)
თემის/უბნის დონე	ნარკოტიკების ხელმისაწვდომობა (5 კითხვა)	
	გადასვლა და მობილობა (4 კითხვა)	
	წესები და ნორმები ნარკოტიკების მოხმარებასთან და სხვა ანტისოციალურ ქცევასთან მიმართებაში (7 კითხვა)	
	შესაძლებლობები პროსოციალური ჩართულობისათვის (4 კითხვა)	
	დამოკიდებულება საკუთარი უბნის მიმართ (4 კითხვა)	
ნარკოტიკების შესახებ ინფორმაციის წყაროები (4 კითხვა)		

ასევე, შემუშავდა ფოკუს ჯგუფის გზამკვლევები მშობლებისა და პედაგოგებისთვის.

შეჯერების, თარგმნისა და ადაპტაციის შემდეგ, კითხვარები შეფასებისთვის გადაეგზავნა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და ნარკოლოგიის სფეროში კვლევის გამოცდილების მქონე ექსპერტებს. შემდეგ ჩატარდა კითხვარების პილოტირება. საპილოტე კვლევის შედეგად შეიქმნა ინსტრუმენტების საბოლოო ვერსიები, რომელებიც შეთანხმდა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან.

კვლევის დიზაინი

საკვლევი პოპულაციის გენერალური ერთობლიობა ჩამოყალიბდა განათლების სამინისტროდან მოწოდებული მონაცემების საფუძველზე, სადაც მოცემული იყო საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარე ყველა ზოგადი განათლების სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა მე-9 კლასიდან მე-12 კლასის ჩათვლით ცალ-ცალკე სკოლების მიხედვით; აგრეთვე, ქ. თბილისში, ქ. ქუთაისში და ქ. ბათუმში არსებული პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების სია სპეციალობების, სასწავლო წლის და აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობის მითითებით (2018 წლის სექტემბრის მდგომარეობით მოქმედი სიები).

განათლების სამინისტროდან მოწოდებული ბაზის საფუძველზე, გენერალური ერთობლიობა განისაზღვრა 219 274 ერთეულით, რომელიც გადანაწილებული იყო 479 საგანმანათლებლო დაწესებულებაში. მათი 62,6 პროცენტი (137 224) სწავლობდა უმაღლეს სასწავლებელში, 33,0 პროცენტი (72 469) ზოგადი საგანმანათლებლო სკოლის 9-12 კლასებში და მხოლოდ 4,4 პროცენტი (9 581) - პროფესიულ სასწავლებელში.

კვლევისათვის საჭირო მახასიათებლების მისაღებად, შერჩევითი ერთობლიობა განისაზღვრა მოსწავლეთა და ახალგაზრდობის 4000 დასრულებული ინტერვიუთი (რაოდენობრივი კვლევა), და მასწავლებელთა და მშობელთა 24 დისკუსიით ფოკუს ჯგუფებში (თვისებრივი კვლევა).

შერჩევითი ერთობლიობა, გენერალური ერთობლიობის შესაბამისად, პროპორციულად გადანაწილდა საგანმანათლებლო საფეხურების მიხედვით:

ცხრილი 3. შერჩევის ზომის გადანაწილება ქალაქებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიხედვით

	სულ	საგანმანათლებლო დაწესებულება		
		საშუალო სკოლა	პროფესიული კოლეჯი	უნივერსიტეტი
სულ	4000	2800	400	800
მათ შორის:				
თბილისი	1940	1120	180	640
ბათუმი	1020	840	100	80
ქუთაისი	1040	840	120	80

ამრიგად, გამოკვლევისათვის გამოყენებული იქნა სტრატიფიცირებული მარტივი შემთხვევითი შერჩევა. სტრატიფიცირებისათვის გამოყენებული იქნა შემდეგი პარამეტრები:

→ სასწავლებლის ტიპი: ზოგადი განათლება (სკოლა 9-12 კლასები), პროფესიული განათლება და უმაღლესი განათლება.
→ ქალაქები: ქ. თბილისი, ქ. ბათუმი და ქ. ქუთაისი.

ქვესტრატებად გამოყენებულ იქნა სკოლებში კლასები, პროფესიულ სასწავლებლებში პროფესიული განათლების საფეხური და სპეციალობა, უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლებლის პროფილი და სპეციალობა. შერჩევის ყველა დონეზე ტერიტორიული ნიშნით დიდი გაფანტულობის თავიდან ასაცილებლად გამოვიყენეთ კლასტერული შერჩევა და ბოლოს მარტივი შემთხვევითი შერჩევა.

არსებული შერჩევის დიზაინი საშუალებას გვაძლევს, მიღებული შედეგები 95 %-იანი სანდოობით განვაზოგადოთ იმ პირობით, რომ შეფასების ცდომილება არ აღემატებოდეს 5 %-ს.

კვლევის ადმინისტრირება

მკვლევარებმა შეიმუშავეს კვლევის პროტოკოლი (ოქმი), სადაც დეტალურად არის აღწერილი კვლევის მეთოდოლოგია. ამას გარდა, შემუშავდა ინფორმირებული თანხმობის ფორმები კვლევის მონაწილეებისთვის. რამდენადაც კვლევის სამიზნე სეგმენტში ასევე შედიან ახალგაზრდები 18 წელს ქვევით, აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფთან გამოკითხვის ჩატარებამდე აუცილებელია დამატებით თანხმობის მოპოვება პოტენციური რესპონდენტის მშობლის ან პასუხისმგებელი პირისგან.

კვლევის პროტოკოლი, კითხვარებთან და ინფორმირებული თანხმობის ფორმებთან ერთად, გადაეცა ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრის ბიოსამედიცინო კვლევის ეთიკის კომიტეტს (OHRP #IRB00006106) და მიიღო კომიტეტისგან ნებართვა აღნიშნული კვლევის ჩატარებაზე (#18-005).

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის დეპარტამენტთან კონსულტაციების საფუძველზე, შეირჩა საველე კოორდინატორები ბათუმსა და ქუთაისში და კვლევის 40 ზედამხედველი: 20 თბილისში და 10-10 ბათუმსა და ქუთაისში.

მომზადდა დეტალური წერილობითი ინსტრუქციები საველე კოორდინატორებისა და კვლევის ზედამხედველებისთვის; ასევე, შეიქმნა აღრიცხვის ფორმები საველე კოორდინატორებისთვის, კვლევის ზედამხედველებისთვის და თვისებრივი კვლევისთვის.

სამივე საკვლევ ქალაქში საგანმანათლებლო დაწესებულებების (სკოლების, პროფესიული კოლეჯების და უნივერსიტეტების) შერჩევის შემდეგ, ამ დაწესებულებების ხელმძღვანელებს მივმართეთ წერილობით კვლევის თაობაზე. პრობლემები წარმოიშვა შერჩეული სასწავლებლების ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების პროცესში კვლევაში მონაწილეობასთან დაკავშირებით. ზოგიერთი სასწავლებლების ხელმძღვანელებთან რამდენიმე შეხვედრა გახდა საჭირო, რათა დაგვერწმუნებია ისინი, რომ მათი აღსაზრდელების კვლევაში ჩართვა არანაირ რისკთან არ არის დაკავშირებული - ამან გააჭიანურა და გაართულა მონაცემთა შეგროვების პროცესი. მიუხედავად ჩვენი ძალისხმევისა, ზოგიერთი სასწავლებლის ხელმძღვანელებმა უარი განაცხადეს კვლევაში

ჩართვაზე და საჭირო გახდა მათი ჩანაცვლება სხვა დაწესებულებებით. საბოლოოდ, კვლევაში მონაწილეობა მიიღო 207-მა საგანმანათლებლო დაწესებულებამ.

სკოლების ხელმძღვანელებს ვთხოვეთ, შერჩევაში მოხვედრილი მოსწავლეების მშობლებისთვის, გამოკითხვამდე, სულ ცოტა, ერთი კვირით ადრე, მიეწოდებინათ ინფორმაცია კვლევასთან დაკავშირებით და მშობლის ინფორმირებული თანხმობის ფორმები და მოეპოვებინათ მათგან ხელმოწერილი თანხმობის ფორმები მათი შვილების კვლევაში მონაწილეობაზე.

რესპონდენტები კითხვარებს თავად ავსებდნენ მცირე ჯგუფებში სკოლის ან უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილ საკლასო ოთახში ან აუდიტორიაში. შერჩეული მოსწავლეები და სტუდენტები წინასწარ იყვნენ ინფორმირებული ინტერვიუს დროის შესახებ, რომლის შერჩევაც სასწავლო პროცესის მიხედვით ხდებოდა – მეცადინეობების დაწყების წინ ან დასრულების შემდეგ. საველე სამუშაოები ჩატარდა 2018 წლის ნოემბერ-დეკემბერში. კითხვარის შევსებას სჭირდებოდა 35-50 წუთი.

გამოკითხვის დაწყების წინ, კვლევის ზედამხედველები უხსნიდნენ ახალგაზრდებს, რომ კვლევაში მონაწილეობა ანონიმური და სრულიად ნებაყოფლობითია, რომ მათი ვინაობა არსად არ დაფიქსირდება; აცნობდნენ კითხვარის შევსების ინსტრუქციას.

რაოდენობრივი კვლევის მონაცემების შეგროვების პარალელურად, საზოგადოებრივი გაერთიანება ბემონის გამოცდილმა მოდერატორებმა სამივე ქალაქის სკოლებში ჩაატარეს თვისებრივი კვლევა - დისკუსიები მშობლებისა და მასწავლებლების ფოკუს ჯგუფებში. დისკუსიები გრძელდებოდა დაახლოებით 50-70 წუთი და თითოეულ სესიაში მონაწილეობდა 9-12 ადამიანი. დისკუსიის მონაწილეებისგან წინასწარი თანხმობის მიღების შემდეგ, გაკეთდა ყველა სესიის აუდიოჩანაწერი, რომელთა საფუძველზეც მომზადდა დისკუსიების დეტალური ტრანსკრიპტები.

კვლევის ადმინისტრირების პროცესში არანაირი დარღვევა არ გამოვლენილა. კვლევის პროტოკოლით გათვალისწინებული ყველა ასპექტი სათანადოდ განხორციელდა, მონაწილეთა კონფიდენციალობის სრული დაცვის ჩათვლით.

მონაცემთა შეყვანა და ანალიზი

რაოდენობრივი კვლევა

რესპოდენტების მიერ შევსებული კითხვარების ჩაბარების პროცესში კვლევის ადმინისტრატორები თხოვდნენ რესპონდენტებს, გადაეხედათ კითხვარისათვის და შეევსოთ უპასუხოდ დარჩენილი ან არასწორად შევსებული (მაგ., სადაც უნდა ყოფილიყო ერთი სავარაუდო პასუხი და მოხაზული იყო ორი ან მეტი და ა.შ.) კითხვები.

რესპოდენტებისგან მიღებული კითხვარების საბოლოო სახით ჩაბარების შემდგომ, კვლევის ადმინისტრატორები ახდენდნენ მათ კოდიფიცირებას შერჩევისთვის საჭირო საიდენტიფიკაციო ნომრების მისაღებად. თითოეული ქალაქის კვლევის კოორდინატორებმა უზრუნველყვეს შევსებული კითხვარების მოგროვება და ბემონის თბილისის ოფისში ორგანიზებულად გადაგზავნა.

კითხვარებში არსებული მონაცემების შეტანა განხორციელდა კვლევის პროცესში წინასწარ შედგენილი პროგრამის MS ACCESS გამოყენებით. პროგრამაში თითოეული მაჩვენებლისთვის განსაზღვრული იყო დასაშვები თეორიული შეზღუდვები შეტანისას

დაშვებული შეცდომების აღმოსაფხვრელად. სკოლების, უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლებისათვის განკუთვნილი კითხვარების შეტანა მოხდა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად.

მონაცემთა კომპიუტერში შეტანის დასრულების შემდეგ, თითოეულმა მაჩვენებელმა გაიარა არითმეტიკული და ლოგიკური კონტროლის სამუშაოები. ამ პროცესის შემდეგ მოხდა მონაცემთა შეწონვა და თითოეულ კითხვარს მიენიჭა შერჩევის პროცესში განსაზღვრული წონა. შეწონვის შემდეგ მიღებული შედეგები საკმარისი არის შერჩევითი 4000 რესპოდენტის პასუხების განზოგადებისთვის მთელ გენერალურ ერთობლიობაზე (219,274 სტუდენტი და მოსწავლე).

დამუშავებული, გასუფთავებული და შეწონილი ბაზა გადავიტანეთ სტატისტიკურ პროგრამაში SPSS Statistics 23 და ჩავატარეთ აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკის საჭირო სამუშაოები. ანალიზისთვის გამოვიყენეთ შემდეგი სტატისტიკური მეთოდები:

- → სიხშირული ანალიზი;
- → ბივარიაციული ანალიზი;
- → საშუალოთა ანალიზი;
- → T ტესტი;
- → დისპერსიული ანალიზი;
- → კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი.

მონაცემთა სანდოობა და ვალიდობა

ჩვენს მიერ შემუშავებული რაოდენობრივი კვლევის კითხვარები შეიცავდა როგორც დიქოტომურ, ასევე სკალაზე განსასაზღვრ დახურული ტიპის კითხვებს. კითხვების დასმისას დაცული იყო მათი თანმიმდევრულად განლაგების პრინციპი: ზოგადი ტიპის ინტენსიური კითხვები - უხერხული კითხვები. კითხვარში გამოყენებული ტერმინები არის გასაგები, ის საშუალებას აძლევს რესპოდენტს გამოსაკითხი ცვლადების მიმართ დარჩეს ნეიტრალური და გათვალისწინებულ იქნა რესპოდენტის შესაძლებლობა, გასცეს შესაბამის კითხვებს ადეკვატური პასუხები (ასაკობრივი ზღვარი).

კითხვარის განათლების, მეცნიერების, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმების შემდეგ, მოხდა მისი პილოტირება სკოლის, პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებში. თითოეული ჯგუფისთვის შემთხვევით შეირჩა 15-15 რესპოდენტი (ჯამურად 45 რესპოდენტი). პილოტაჟი განხორციელდა 2 ეტაპად ორ კვირიანი შუალედით (ჯამურად 90 რესპოდენტი). შედეგების გაანალიზების შემდგომ მოხდა კორექტირების შეტანა და კითხვარების საბოლოო სახის ფორმირება.

კვლევის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა იმ მეთოდების გამოყენებას, რომლებიც ხელს უწყობდა შინაგანი, გარეგანი, შინაარსის, კონსტრუქციის და ა.შ. ვალიდობის ტიპების გაუმჯობესებას.

პილოტირების დროს 2 ეტაპიანმა კვლევამ, ასევე ძირითადი კვლევის მონაცემებისა და პილოტირების მონაცემების შედარებამ საშუალება მოგვცა, გაგვეანალიზებინა კვლევის სანდოობა როგორც სტაბილობის, ასევე შინაგანი შეთანხმებულობის სახით. ანუ, ჩვენს კვლევაში გამოყენებული ინსტრუმენტები საშუალებას იძლევა, სხვადასხვა დროში და რესპოდენტთა სხვადასხვა ჯგუფებში გარანტირებულად, თანმიმდევრულობით და განმეორებითად მივიღოთ ერთმანეთთან მკვეთრად ახლოს მდგომი შედეგები. ამასთან, სანდოობის ალფა კოეფიციენტი (კრონბახის ალფა) ჯამურად და თითოეული ძირითადი ჯგუფისთვის იყო 0,7-ზე მეტი ან მასთან მიახლოებული.

ამრიგად, აღნიშნული ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს მიერ გამოყენებული ინსტრუმენტები, არჩეული კვლევის დიზაინი და მიღებული შედეგები არის სანდო და ვალიდური და მათი განზოგადება შესაძლებელია კვლევისთვის განსაზღვრულ მთელ გენერალურ ერთობლიობაზე.

თვისებრივი კვლევა

ტრანსკრიპტების სიღრმისეული განხილვისა და ანალიზის შემდეგ, მკვლევარებმა მოახდინეს პრიორიტეტული საკითხების საწყისი კოდირება. გამოყენებული იქნა თემატური ანალიზის მეთოდი. კოდები შეირჩა სოციალურ-ეკოლოგიური მოდელის თემების მიხედვით. თვისებრივი კვლევის ფარგლებში მოპოვებული მონაცემები წარმოდგენილია წინამდებარე ანგარიშში თემატურად, ქვეთავების მიხედვით, რაოდენობრივი კვლევის მონაცემებთან ერთად.

კვლევის დემოგრაფია

რაოდენობრივი კვლევა

მონაცემთა შეგროვების დროს, 120-მა მშობელმა არ მოგვცა თანხმობა მათი შვილების კვლევაში ჩართვაზე; წინასწარ შერჩეული 42 პოტენციური რესპონდენტი არ გამოცხადდა სასწავლებელში დათქმულ დროს, ხოლო 11-მა უარი განაცხადა კითხვარის შევსებაზე. ამ დანაკლისის ჩანაცვლება მოხდა სხვა ახალგაზრდებით შერჩევის წესის შესაბამისად. საბოლოო ჯამში, სახეზეა 4000 დასრულებული კითხვარი, რომლებიც გამოყენებული იქნა ანალიზისთვის.

ცხრილი 4. რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე საგანმანათლებლო დაწესებულებები

ქალაქი	საგანმანათლებლო დაწესებულება			სულ
	საშუალო სკოლა	პროფესიული კოლეჯი	უნივერსიტეტი	
თბილისი	51	12	33	96
ქუთაისი	39	8	3	50
ბათუმი	42	11	8	61
სულ	**132**	**31**	**44**	**207**

რაოდენობრივი კვლევის რესპონდენტთა დემოგრაფიული მახასიათებლების აღწერა მოცემულია ცხრილში 5.

ცხრილი 5. კვლევის მონაწილეთა დემოგრაფიული მახასიათებლები

მახასიათებლები	თბილისი		ქუთაისი		ბათუმი		სულ (#)
	#	%	#	%	#	%	
სქესი							
მამრობითი	670	16.7	500	12,5	503	12,6	1673
მდედრობითი	1273	31,8	537	13,4	517	12,9	2327
ასაკი							
14-17 წ	1117	27,9	832	20,8	767	19,2	2716
18-24 წ	757	18,9	169	4,2	222	5,5	1148
25 წ და მეტი	57	1,4	29	0,7	18	0,5	104

განათლების საფეხური							
საშუალო სკოლის მოსწავლე	1120	28	840	21	840	21	2800
მეცხრე კლასი	320	8	273	6,8	186	4,7	779
მეათე კლასი	310	7,8	259	6,5	215	5,4	784
მეთერთმეტე კლასი	300	7,5	60	1,5	287	7,2	747
მეთორმეტე კლასი	190	4,8	148	3,7	152	3,8	490
პროფესიული კოლეჯის სტუდენტი	183	4,6	117	2,9	100	2,5	400
უნივერსიტეტის სტუდენტი	640	16	80	2	80	2	800
იძულებით გადაადგილებული პირი							
დიახ	168	4,2	63	1,6	37	0,9	268
არა	1775	44, 4	974	24,4	983	24,5	3732
მშობლები მუშაობენ საზრვარგარეთ							
არა	1713	42,8	779	19,5	893	22,3	3385
დიახ, დედა	100	2,5	120	3	29	0,7	249
დიახ, მამა	96	2,4	67	1,7	81	2	244
დიახ, ორივე	34	0,9	71	1,8	17	0,4	122
ვისთან ერთად ცხოვრობთ							
დედა	1624	40,6	899	22,5	960	24	3483
მამა	1339	33,5	726	18,2	846	21,2	2911
დედინაცვალი	30	0,7	38	0,9	14	0,3	82
მამინაცვალი	17	0,4	31	0,7	9	0,2	57
დედობილი	9	0,2	23	0,5	1	0,02	33
მამობილი	9	0,2	30	0,7	3	0,07	42
მეურვე	14	0,3	21	0,5	10	0,2	45
ბებია	573	14,3	366	9,1	382	9,5	1321
ბაბუა	264	6,6	146	3,6	201	5	611
სხვა ნათესავი	273	6,8	120	3	102	2,5	495
და, დები	873	21,1	384	9,6	426	10,6	1683
ძმა, ძმები	1061	26,5	631	15,7	626	15,6	2318
სხვა ბავშვები	30	0,7	28	0,7	27	0,6	85
დედის განათლების დონე							
არასრული საშუალო	126	3,1	39	1	48	1, 2	213
საშუალო	307	7,7	279	6,9	259	6,5	845
პროფესიული	346	8,6	199	5	180	4,5	725
არასრული უმაღლესი	138	3,4	55	1,4	45	1,1	238
უმაღლესი	1026	25,6	465	11,6	488	12,2	1979
მამის განათლების დონე							
არასრული საშუალო	122	3	46	1,1	32	0,8	200
საშუალო	441	11	282	7	257	6,4	980
პროფესიული	363	9	274	6,8	209	5,2	846
არასრული უმაღლესი	157	3,9	82	2,1	60	1,5	299
უმაღლესი	860	21,5	353	8,8	462	11,5	1675
ქორწინება							
დაქორწინებულია	73	1,8	27	0,7	12	0,3	112
არ არის დაქორწინებული	750	18,7	170	4,2	168	4,2	1088
დასაქმება							
მუშაობს	241	6	36	0,9	48	1,2	325
არ მუშაობს	582	15,6	161	4	132	3,3	875
ოჯახის შემოსავლის დონე							
მაღალი (მდიდარი)	69	1,7	51	1,3	91	2,3	211

საშუალოზე მაღალი	564	14,2	362	9	355	8,9	1281
საშუალო	1148	28,7	548	13,7	549	13,7	2245
საშუალოზე დაბალი	149	3,4	74	1,9	24	0,6	247
ღარიბი	13	0,3	2	0,05	1	0,02	16

კვლევის მონაწილეთა გულწრფელობა

კითხვარის ბოლოს, რესპონდენტებს ვუსვამდით კითხვას: „რამდენად გულწრფელად გაეცი პასუხი კითხვარში დასმულ შეკითხვებს?“ და ვთავაზობდით პასუხების რამდენიმე ვარიანტს: „ძალიან გულწრფელად ვპასუხობდი“, „უფრო ხშირად გულწრფელად ვპასუხობდი“, „ზოგჯერ გულწრფელად ვპასუხობდი“, „იშვიათად ვპასუხობდი გულწრფელად“, „საერთოდ არ ვიყავი გულწრფელი“.

როგორც მეექვსე ცხრილში მოცემული რესპონდენტების პასუხებიდან ჩანს, კვლევის მონაწილეები საკმაოდ გულწრფელები იყვნენ კითხვარის შევსების დროს.

ცხრილი 6. კვლევის მონაწილეთა გულწრფელობა

რამდენად გულწრფელად გაეცი პასუხი კითხვარში დასმულ შეკითხვებს?	**სქესისა და განათლების საფეხურის მიხედვით**					**მხოლოდ განათლების საფეხურის მიხედვით**	
	მოსწავლეები		სტუდენტები			მოსწავლეები	სტუდენტები
	მამრ (%)	მდედრ (%)	მამრ (%)	მდედრ (%)			
ძალიან გულწრფელად ვპასუხობდი	68,7	83,8	55,1	76,6		77,5	69,3
უფრო ხშირად გულწრფელად ვპასუხობდი	58,4	41,6	37,3	19,7		18,8	25,7
ზოგჯერ გულწრფელად ვპასუხობდი	2,4	1,6	4,2	3,7		1,9	3,9
იშვიათად ვპასუხობდი გულწრფელად	2,8	1,1	2,9	0		1,8	1
საერთოდ არ ვიყავი გულწრფელი.	0	0	0,4	0		0	0,1

თავი 3. ალკოჰოლის, თამბაქოსა და ნარკოტიკების მოხმარება

ამ თავში წარმოდგენილია ინფორმაცია საკვლევ ქალაქებში მოზარდებისა და ახალგაზრდების მიერ თამბაქოს, ალკოჰოლისა და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების შესახებ; ინფორმაცია ფსიქოაქტიური ნივთიერებების ხელმისაწვდომობის, ამ ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებული განწყობებისა და საფრთხის აღქმის შესახებ.

განხილული საკითხები:

- → ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება სიცოცხლის და ბოლო 30 დღის განმავლობაში
- → ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების დაწყების ასაკი
- → ნივთიერებათა მოხმარებასთან დაკავშირებული რისკის აღქმა
- → ნარკოტიკების შესახებ ინფორმაციის წყაროები

ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება სიცოცხლის და ბოლო 30 დღის განმავლობაში

განმარტებები

გავრცელების (პრევალენტობის) მაჩვენებლებლად გამოიყენება იმ მოსწავლეებისა და სტუდენტების პროცენტული რაოდენობა, რომლებმაც დაადასტურეს ამა თუ იმ ნივთიერების თუნდაც ერთხელ მოხმარება დროის განსაზღვრულ მონაკვეთში. ჩვენს კვლევაში შედეგები წარმოდგენილია დროის ორი მონაკვეთის მიხედვით: მოხმარება ცხოვრების მანძილზე და ბოლო 30 დღის მანძილზე.

ოდესმე მოუხმარია (მოხმარება ცხოვრების მანძილზე) - არის იმ მოსწავლეებისა და სტუდენტების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებსაც სიცოცხლის განმავლობაში თუნდაც ერთხელ მოუხმარიათ კონკრეტული ფსიქოაქტიური ნივთიერება.

მოხმარება ბოლო 1 თვის მანძილზე (ბოლო 30 დღის განმავლობაში) - გვიჩვენებს იმ მოსწავლეებისა და სტუდენტების პროპორციას, რომლებმაც თუნდაც ერთხელ მოიხმარეს ფსიქოაქტიური ნივთიერება კვლევაში ჩართვამდე უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში. ბოლო 30 დღის განმავლობაში მოხმარება ნივთიერების მიმდინარე, ამჟამინდელი გამოყენების დონის უფრო მგრძნობიარე მაჩვენებელია.

დარღვევები სატრანსპორტო საშუალების მართვის დროს - იზომება რესპონდენტების მიერ ორ შეკითხვაზე გაცემული დადებითი პასუხების პროპორციის მიხედვით, რომლებიც ეხება მათ ქცევას ალკოჰოლის მოხმარებასა და მანქანის ტარებასთან დაკავშირებით ბოლო თვის განმავლობაში. კერძოდ, ეს არის იმ ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა, რომლებმაც აღიარეს, რომ ბოლო 30 დღის განმავლობაში ერთხელ მაინც განახორციელეს შემდეგი ქცევები: 1. ბოლო 30 დღის განმავლობაში ვიმგზავრე მანქანით, რომელსაც მართავდა ნასვამი ადამიანი; 2. ბოლო 30 დღის განმავლობაში ვმართავდი მანქანას ან სხვა სატრანსპორტო საშუალებას ნასვამ მდგომარეობაში.

თამბაქოს მოხმარება სიცოცხლის და ბოლო 30 დღის განმავლობაში

კვლევის შედეგების თანახმად, სკოლის მოსწავლეების დაახლოებით ნახევარს (49%) და კოლეჯის/უნივერსიტეტის სტუდენტების ორ მესამედს (61.5%) ოდესმე მოუხმარია თამბაქო. ოდესმე მოუწევია სკოლის მოსწავლე ვაჟების 56.6%-ს და მოსწავლე გოგონების 43.5%-ს. ასევე, მაღალია იმ სტუდენტი ვაჟების რაოდენობა, ვისაც ოდესმე მოუწევია სტუდენტ გოგონებთან შედარებით (75.5% და 54.2%).

ბოლო თვის განმავლობაში თამბაქოს რეგულარული მომხმარების მაჩვენებლების მიხედვით, მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა ასაკობრივ ჯგუფებს შორის - ყოველი მეოთხე სკოლის მოსწავლე (24.3%) და სტუდენტების თითქმის ორი მესამედი (60.7%) ყოველდღე ეწეოდა სიგარეტს ბოლო 30 დღის განმავლობაში. ბოლო 30 დღეში ყოველდღიურად მოიხმარდა სიგარეტს მოსწავლე ვაჟების 30,2% და მოსწავლე გოგონების - 20%; სტუდენტი ვაჟების 74,8% და სტუდენტი გოგონების 53,4%.

რაც შეეხება ბოლო 30 დღის მანძილზე დღიურად მოხმარებული სიგარეტების რაოდენობას, ახალგაზრდების 14% (ყოველი მეხუთე მოსწავლე (20.3%) და თითქმის ყოველი მესამე სტუდენტი (28.2%)) ყოველდღიურად ეწევა ნახევარ კოლოფ სიგარეტს ან მეტს. ქალაქებს შორის ამ მონაცემების შედარებამ გვიჩვენა, რომ ყოველდღიურად 10 ღერზე მეტ სიგარეტს ეწევა ქუთაისელი და ბათუმელი ახალგაზრდების მეტი რაოდენობა (40.6% და 42,5%), ვიდრე თბილისელი ახალგაზრდები (23,6%). ამ მაჩვენებლის გენდერულ ჭრილში განხილვისას აღმოჩნდა, რომ ვაჟების უფრო მეტი რაოდენობა ეწევა დღეში 10 ღერ სიგარეტს და მეტს, ვიდრე გოგონების.

ცხრილი 7. ბოლო 30 დღის მანძილზე დღიურად მოხმარებული სიგარეტების რაოდენობა

ბოლო 30 დღის განმავლობაში რა სიხშირით ეწეოდი სიგარეტს?	მოსწავლეები		სტუდენტები	
	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)
დღეში ერთიდან ხუთ ღერამდე	23,1	22,9	28,1	41,1
დაახლოებით ნახევარი კოლოფი დღეში	17,1	8,2	16,2	10,6
დაახლოებით ერთი კოლოფი დღეში	4,1	0,8	19,2	2,6
დაახლოებით ერთ-ნახევარი კოლოფი დღეში	2	5,8	6,6	1,1
დღეში ორი კოლოფი ან მეტი	1	1,3	5,3	0

ალკოჰოლის მოხმარება სიცოცხლის და ბოლო 30 დღის განმავლობაში

მოზარდებისა და ახალგაზრდების დიდ უმრავლესობას, 89.3%-დან (მოსწავლეები) 94.3%-მდე (სტუდენტები) ოდესმე მოხმარებული აქვს ალკოჰოლური სასმელი (ლუდი, ღვინო ან მაგარი ალკოჰოლური სასმელები). თუმცა, მათ შორის, ვისაც გაუსინჯავს ალკოჰოლური სასმელი, ყველა არ ადასტურებს მის ბოლო თვეში მოხმარებას - სკოლის მოსწავლეებს შორის, გოგონების 28.8%-ს და ვაჟების 46.7%-ს ბოლო თვეში მოუხმარია ლუდი, გოგონების 38.3%-ს და ვაჟების 49.9%-ს - ღვინო, ხოლო გოგონების 34.4%-ს და ვაჟების 44.5%-ს - მაგარი სასმელები. რაც შეეხება სტუდენტებს, მათ შორის ეს მაჩვენებელი ასე გადანაწილდა: ლუდი - გოგონების 41.9% და ვაჟების 70.2%, ღვინო - გოგონების 52.9% და ვაჟების 71.2%, მაგარი სასმელები - გოგონების 48.7% და ვაჟების 66.3% (დიაგრამა 3).

ცხოვრების და ბოლო 30 დღის მანძილზე ალკოჰოლის მოხმარების გავრცელების (პრევალენტობის) მაჩვენებლები იმაზე მიუთითებს, რომ ალკოჰოლი კვლავ რჩება

მოზარდებსა და ახალგაზრდებს შორის ყველაზე მეტად მოხმარებად ფსიქოაქტიურ ნივთიერებად. ზოგადად, ვაჟები უფრო ხშირად მოიხმარენ ალკოჰოლურ სასმელებს, ვიდრე გოგონები. ცხოვრების მანძილზე და ბოლო 30 დღეში ალკოჰოლის მოხმარების სიხშირე, განათლების საფეხურის მიხედვით, შეჯამებულია ცხრილში 8. ეს ცხრილი გვიჩვენებს იმ მოსწავლეებისა და სტუდენტების პროცენტულ რაოდენობას, ვინც ცხოვრების და ბოლო 30 დღის მანძილზე სხვადასხვა სიხშირით მოიხმარა ალკოჰოლური სასმელი.

ცხრილი 8. ნებისმიერი ალკოჰოლური სასმელის მოხმარების სიხშირე ცხოვრების და ბოლო 30 დღის მანძილზე

	შემთხვევების რაოდენობა ცხოვრების მანძილზე				
	0	1-2	3-5	6-9	10 ან მეტი
	%	%	%	%	%
სკოლის მოსწავლეები	25.4	27,8	12.1	7	27.7
კოლეჯის/უნივერსიტეტის სტუდენტები	17.2	17.53	17.7	6.1	41.4
	შემთხვევების რაოდენობა ბოლო 30 დღის განმავლობაში				
	0	1-2	3-5	6-9	10 ან მეტი
	%	%	%	%	%
სკოლის მოსწავლეები	60.8	25,8	5	2.5	5.8
კოლეჯის/უნივერსიტეტის სტუდენტები	44.8	30.5	7.2	2.9	14.3

გადამეტებული სმა - „სმა დასათრობად“, დროის მოკლე ინტერვალში ალკოჰოლის გადაჭარბებული რაოდენობით მოხმარება. გადამეტებული სმის გავრცელების ინდიკატორი - იმ ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა, ვინც დაადასტურა ზედიზედ 5 ან მეტი ჭიქის დალევა ბოლო 30 დღის განმავლობაში. გადამეტებულ სმასთან დაკავშირებული შედეგები ალკოჰოლის მოხმარების მეტად მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს. გადამეტებული სმის პრევალენტობის მაჩვენებელი 36.3%-ის ტოლია (მოსწავლეებში - 31.8%, სტუდენტებში - 38.5%). უნდა აღინიშნოს, რომ იმ ახალგაზრდების რაოდენობა, ვისაც ბოლო თვის განმავლობაში 10-ჯერ ან მეტჯერ ჰქონია გადამეტებული სმის ეპიზოდი, საკმაოდ მაღალია (3,1% მოსწავლეებისთვის და 11,2% სტუდენტებისთვის). როგორც მოსალოდნელი იყო, ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია ვაჟებს შორის, ვიდრე გოგონებში.

ცხრილი 9. გადამეტებული სმის ეპიზოდების სიხშირე ბოლო თვის განმავლობაში, განათლების საფეხურის მიხედვით

	ეპიზოდების რაოდენობა ბოლო 30 დღის განმავლობაში				
	0	1-2	3-5	6-9	10 ან მეტი
	%	%	%	%	%
მოსწავლეები	68,2	23,2	3,5	2,1	3,1
სტუდენტები	61,5	18,2	6,1	3	11,2

მოცემულ კვლევაში ნივთიერებათა პრობლემური მოხმარება ბოლო 30 დღის განმავლობაში იზომება შემდეგი ინდიკატორებით: გადამეტებული სმა, დღიურად 10 ან მეტი ღერი სიგარეტის მოწევა, მანქანის მართვა ნასვამ მდგომარეობაში და მგზავრობა მანქანით, რომელსაც მართავდა ნასვამი ადამიანი. მოსწავლეების შემთხვევაში პრობლემური მოხმარების საშუალო პრევალენტობა 17.7%-ის ტოლია, ხოლო სტუდენტების შემთხვევაში - 20,9%-ია.

დიაგრამა 3. ნივთიერებების პრობლემური მოხმარება ბოლო 30 დღის მანძილზე



სხვა ნარკოტიკების მოხმარება სიცოცხლის და ბოლო 30 დღის განმავლობაში

კვლევამ გამოავლინა, რომ სკოლის მოსწავლეების 17.5%-ს (მათ შორის, ვაჟები 65% და გოგონები - 35%) ცხოვრების მანძილზე თუნდაც ერთხელ მოუხმარია კანაფი (მარიხუანა). სტუდენტებს შორის მარიხუანას ცხოვრების მანძილზე მოხმარების საერთო მაჩვენებელი 2-ჯერ და მეტჯერ მაღალია სკოლის მოსწავლეებთან შედარებით და 40.5%-ს უტოლდება (მათ შორის, ვაჟები 84% და გოგონები - 16%). თუ გავაანალიზებთ ამ მაჩვენებელს სტუდენტების სქესის მიხედვით, დავინახავთ, რომ ყოველ მეოთხე სტუდენტ გოგონას და ყოველი სამი სტუდენტი ვაჟიდან ორს გასინჯული აქვს მარიხუანა (24.3% და 71.9%).

ბოლო 30 დღის განმავლობაში მარიხუანა მოხმარებული აქვს ახალგაზრდების 15.7%-ს, მათ შორის, სკოლის მოსწავლეების 9.3%-ს (მათ შორის ვაჟები 61.2% და გოგონები - 38.8%). მოსწავლე გოგონებიდან ბოლო ერთ თვეში მარიხუანა მოუწევია 4.3%-ს, მოსწავლე ბიჭებიდან - 16.1%-ს. ცხოვრების მანძილზე მოხმარების მაჩვენებლის მსგავსად, ამ ნარკოტიკის ბოლო თვის განმავლობაში მოხმარების გავრცელება სტუდენტებს შორის

ასევე 2-ჯერ მაღალია სკოლის მოსწავლეებთან შედარებით და 18.6%-ს უტოლდება (მათ შორის, 74.2% ვაჟია და 25.8% გოგონაა). მდედრობითი სქესის სტუდენტების 8.5%-მა და მამრობითი სქესის სტუდენტების 38.2%-მა მოწია მარიხუანა ბოლო 30 დღის მანძილზე.

კვლევის თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში გამოკითხული მოსწავლეების მშობლების დიდი ნაწილი შეშფოთებულია მოზარდებს შორის მარიხუანას მოხმარების გავრცელებით.

„მთავარი პრობლემა რაც არის, ესაა მარიხუანა. ბავშვები ეწევიან. მასიური მოხმარება ხდება 11-12-ე კლასში. სასმელი ნაკლებად. მთავარი პრობლემა, რასაც ვხედავ, არის სიგარეტი და მარიხუანა.“ (თბილისი)

„ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენს და ძალიან გავრცელებულია ბავშვებში... და ეს ლეგალიზაციაც რაც დაუშვეს, ამის მოხმარების ფაქტებიც გვხვდება, მაგალითად, პადიეზდებში“ (ბათუმი)

„როგორ უნდა მოწიონ, ბოთლში როგორ უნდა შეაკეთონ მარიხუანა - ეს ყველაფერი 5-ე კლასელმა უკვე იცის, იმიტომ, რომ ბევრჯერ აქვს დანახული უფროსებისგან“ (ბათუმი)

როგორც ზემოთ გაირკვა, მოზარდებსა და ახალგაზრდებს შორის ყველაზე გავრცელებული არალეგალური ნარკოტიკი მარიხუანაა. თუმცა, ზოგიერთი მოსწავლე და სტუდენტი სხვა არალეგალურ ნარკოტიკებზეც არ ამბობს უარს. დიაგრამებში 4 და 5 შეჯამებულია მოზარდებსა და ახალგაზრდებს შორის არალეგალური ფსიქოაქტიური ნივთიერებების (მარიხუანას გამოკლებით) ცხოვრების და ბოლო 30 დღის მანძილზე მოხმარების გავრცელების დონე:

დიაგრამა 4. არალეგალური ფსიქოაქტიური ნივთიერებების ცხოვრების მანძილზე მოხმარების გავრცელების დონე



* სპაისი (ჩვენთან „ბიოს“ ეძახიან) - სპაისები მიეკუთვნება ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების (აფნ) ჯგუფს. სპაისი არის გამომშრალი მცენარეული მასალის ნაზავი, რომელიც გაჟღენთილია სინთეზური კანაბინოიდებით. სპაისს ასევე უწოდებენ "სინთეზურ მარიხუანას".
** ინჰალანტები - აქროლადი ნივთიერებები (წებო, აცეტონი და საყოფაცხოვრებო ქიმიის სხვა ნაწარმი). შეცვლილი ფსიქიკური მდგომარეობის მისაღწევად ხდება მათი შესუნთქვა (ინჰალაცია)
*** საძილეები - იგულისხმება ფსიქოტროპული მედიკამენტები (საძილე და დამაშვიდებელი საშუალებები)
**** ატს - ამფეტამინის ტიპის სტიმულანტები (ამფეტამინი/მეთამფეტამინი)

დიაგრამა 5. არალეგალური ფსიქოაქტიური ნივთიერებების ბოლო თვის მანძილზე მოხმარების გავრცელების დონე



ცხოვრების და ბოლო 30 დღის მანძილზე არალეგალური ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების სიხშირის მაჩვენებლები წარმოდგენილია ცხრილებში 10-13. ეს ცხრილები გვიჩვენებს იმ ახალგაზრდების პროცენტულ მაჩვენებლებს, რომლებიც დროის კონკრეტული პერიოდის განმავლობაში (ცხოვრების მანძილზე, ბოლო თვეში) გარკვეული სიხშირით იყენებდნენ ამ ნივთიერებებს. ამ ცხრილებისთვის გამოყენებული შემთხვევების რაოდენობა ხუთ კატეგორიად არის დაყოფილი: 0 შემთხვევა, 1-2 შემთხვევა, 3-5 შემთხვევა, 6-9 შემთხვევა, 10 ან მეტი შემთხვევა.

ცხრილი 10. სკოლის მოსწავლეებში ცხოვრების მანძილზე არალეგალური ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების სიხშირე

ცხოვრების მანძილზე რამდენჯერ მიგიღია ქვემოთ ჩამოთვლილი ნივთიერებები?	შემთხვევების რაოდენობა ცხოვრების მანძილზე									
	0		1-2		3-5		6-9		10 ან მეტი	
	მამრ (%)	მდედრ (%)	მამრ (%)	მდედრ (%)	მამრ (%)	მდედრ (%)	მამრ (%)	მდედრ (%)	მამრ (%)	მდედრ (%)
მარიხუანა	68,6	92.5	15.6	3.8	3.1	0,8	2,3	0,2	10,4	2,6
ელ-ეს-დე (LSD)	95	98.6	2,2	0,8	1	0	1	0	0,8	0,7
სპაისები („ბიო“)	94.4	99.5	3	0.5	0.6	0	1	0	1	0
ექსტაზი (MDMA)	93.3	99.4	3.7	0.4	0.8	0.2	1.2	0	1	0
ინჰალანტები	95.1	95.4	2.7	2.5	0.4	0.6	1.2	0.3	0.5	1.1
ატს	93.4	99.1	3.7	0.6	0.7	0.2	1.5	0	0.7	0
ფსიქოტროპული ნივთიერებები	94.3	96.3	3.3	2.4	0.4	0.9	1.6	0.2	0.4	0.2
საინექციო ნარკოტიკები	96.5	99.4	1.2	0.3	0.2	0.2	1	0	1	0

ცხრილი 11. კოლეჯის/უნივერსიტეტის სტუდენტებში ცხოვრების მანძილზე არალეგალური ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების სიხშირე

ცხოვრების მანძილზე რამდენჯერ მიგიღია ქვემოთ ჩამოთვლილი ნივთიერებები?	შემთხვევების რაოდენობა ცხოვრების მანძილზე									
	0		1-2		3-5		6-9		10 ან მეტი	
	მამრ (%)	მდედრ (%)	მამრ (%)	მდედრ (%)	მამრ (%)	მდედრ (%)	მამრ (%)	მდედრ (%)	მამრ (%)	მდედრ (%)
მარიხუანა	28.1	75.7	33.7	13.2	2.1	2.9	1.1	1.2	35	7
ელ-ეს-დე (LSD)	80.5	96,1	9	0,8	4,1	2	2,1	0	4,2	1,2
სპაისები („ბიო“)	80,8	97,4	9,5	0.7	1,4	1,2	5,4	0,1	2,9	0,7
ექსტაზი (MDMA)	81,8	96,1	7,1	0,1	5,7	0,6	1,3	1,9	4,1	1,2
ინჰალანტები	93,3	97,2	2	1	1,3	0,1	2	1,2	1,5	0,6
ატს	86,8	95,8	5,2	2,5	2,2	0,6	3	0,6	2,7	0,6
ფსიქოტროპული ნივთიერებები	86,8	94,6	5,7	3	1,3	0,6	1,5	1,2	4,6	0,7
საინექციო ნარკოტიკები	91,1	98,2	1,8	0	2,4	1,2	1,7	0,6	3,1	0

ცხრილი 12. სკოლის მოსწავლეებში ბოლო 30 დღის მანძილზე არალეგალური ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების სიხშირე

ბოლო 30 დღის მანძილზე რამდენჯერ მიგიღია ქვემოთ ჩამოთვლილი ნივთიერებები?	შემთხვევების რაოდენობა ბოლო 30 დღის მანძილზე									
	0		1-2		3-5		6-9		10 ან მეტი	
	მამრ (%)	მდედრ (%)	მამრ (%)	მდედრ (%)	მამრ (%)	მდედრ (%)	მამრ (%)	მდედრ (%)	მამრ (%)	მდედრ (%)
მარიხუანა	83,9	95,7	10,5	1,9	1,5	0,9	2,4	0,6	1,8	0,8
ელ-ეს-დე (LSD)	95,9	99	1,4	1	1	0	1,1	0	0,7	0
სპაისები („ბიო“)	96,4	99,8	1	0,2	0,1	0	1,6	0	0,9	0
ექსტაზი (MDMA)	94,5	99,5	2,7	0,5	1,1	0	1,3	0	0,5	0
ინჰალანტები	95,6	97,7	1,8	1,7	0,5	0,4	1,6	0,3	0,5	0
ატს	97	99	1,2	0,2	0,5	0,2	1,1	0	0,3	0
ფსიქოტროპული ნივთიერებები	97,2	98,9	1,1	0,7	0,2	0,4	1	0	0,4	0
საინექციო ნარკოტიკები	95,7	99,1	1,5	0,9	0,5	0	1,2	0	1,1	0

ცხრილი 13. კოლეჯის/უნივერსიტეტის სტუდენტებში ბოლო 30 დღის მანძილზე არალეგალური ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების სიხშირე

ბოლო 30 დღის მანძილზე რამდენჯერ მიგიღია ქვემოთ ჩამოთვლილი ნივთიერებები?	შემთხვევების რაოდენობა ბოლო 30 დღის მანძილზე									
	0		1-2		3-5		6-9		10 ან მეტი	
	მამრ (%)	მდედრ (%)	მამრ (%)	მდედრ (%)	მამრ (%)	მდედრ (%)	მამრ (%)	მდედრ (%)	მამრ (%)	მდედრ (%)
მარიხუანა	61,8	91,5	17,3	7,5	5,7	1	5,4	0	9,8	0
ელ-ეს-დე (LSD)	89,9	97,8	5	0,3	2,1	0	0,1	1,3	3	0,6
სპაისები („ბიო“)	90,8	97,3	4,8	2,6	2,1	0	0,5	0,1	1,8	0
ექსტაზი (MDMA)	88,7	95	6,3	2,4	2	1,3	2,3	0,7	0,7	0,6
ინჰალანტები	93,5	97,9	0,7	0,9	2,7	1,2	0,5	0	2,7	0
ატს	92,1	97,4	1,8	0,7	2,9	1,2	1,8	0,8	1,4	0
ფსიქოტროპული ნივთიერებები	90,4	97,4	3,1	2	0,7	0	1,7	0,6	4	0
საინექციო ნარკოტიკები	93,3	98	1,7	0,6	1,6	0	0,1	0,7	3,4	0,8

ფსიქოტროპული მედიკამენტები (საძილე და დამამშვიდებელი საშუალებები) რეცეპტით გასაცემი მედიკამენტების საკმაოდ გავრცელებული ჯგუფია, მაგრამ საკმაოდ გავრცელებულია მათი მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე, თვისებრივი კვლევის დროს, მოსწავლეების მშობლებმა ყურადღება გაამახვილეს მოზარდების მიერ ფსიქოტროპული მედიკამენტების მოხმარებაზე და აღნიშნეს, რომ ეს პრობლემაც საყურადღებოა.

„ახლა ალკოჰოლით ისე არ არიან დაინტერესებული, როგორც აბებით და სხვადასხვა მედიკამენტებით“ (თბილისი)

„ზოგჯერ შემიმჩნევია, არც ალკოჰოლის სუნი აქვს, არც მარიხუანის და მაინც გაბრუებულია. ამ შემთხვევაში რა ხდება, არ ვიცი. ბავშვები ამბობენ, რომ ტაბლეტებიაო“ (ქუთაისი)

ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების დაწყების ასაკი

პირები, რომლებიც ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებას ადრეულ ასაკში იწყებენ (ჩვეულებრივ, ნივთიერებების მოხმარების დაწყების ადრეულ ასაკად 14 წლამდე ასაკი მიიჩნევა), შემდგომში ფსიქოსოციალურ, საგანმანათლებლო და ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოცენების უფრო მაღალი რისკის წინაშე დგანან (DeWit et al, 2000; Heeren, Jamanka, Howland, 2000). კვლევების შედეგად გამოვლინდა, რომ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების ადრეულ დამწყებებს შორის ბევრად უფრო გამოხატულია პიროვნული და ოჯახური რისკ-ფაქტორები, ვიდრე იმ ახალგაზრდებს შორის, ვინც მოგვიანებით დაიწყო ნივთიერებების მოხმარება (Hayatbakhsh et al, 2008; Gale´ra et al, 2010; Hayatbakhsh & Williams, 2013; Donovan & Molina, 2011; McCarty et al, 2012). მოხმარების ადრეული დაწყება დაკავშირებულია ძალადობის, სხვადასხვა ასოციალური ქცევის, აკადემიური ჩამორჩენილობის და სკოლის ხშირი გაცდენების მომატებულ რისკთან (Ellickson et al, 2004; Swahn, Bossarte & Sullivent, 2008; Ucker et al, 2005; Flory et al, 2004).

ჩვენ გვაინტერესებდა, რომელ ასაკში დაიწყეს მოზარდებმა და ახალგაზრდებმა თამბაქოს, ალკოჰოლისა და მარიხუანას მოხმარება. ასაკობრივი კატეგორიები შემდეგნაირად დავყავით: „10 წლის ან ნაკლების“, „11-13 წლის“, „14-17 წლის“, „18 წლის ან მეტის“.

ცხრილი 14. ძირითადი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების დაწყების ასაკი, განათლების საფეხურის მიხედვით

რამდენი წლის იყავი, როცა პირველად:	10 წლის ან ნაკლების		11-13 წლის		14-17 წლის		18 წლის ან მეტის	
	მოსწ. (%)	სტუდ. (%)	მოსწ. (%)	სტუდ. (%)	მოსწ. (%)	სტუდ. (%)	მოსწ. (%)	სტუდ. (%)
მოწიე სიგარეტი, თუნდაც ერთი ნაფაზი	9.5	9.7	17.1	13.6	18.7	24.1	0.4	14.9
დალიე ერთ-ორ ყლუპზე მეტი ლუდი, ღვინო ან მაგარი სასმელი (მაგალითად არაყი, კონიაკი, ვისკი)	24.8	21.5	33.3	21.1	30.9	37.3	0.3	14.3
მოწიე მარიხუანა	0.6	1.8	2.5	1.9	12.2	16	0.7	20.9
დაიწყე ალკოჰოლური სასმელის რეგულარული მიღება, თუნდაც თვეში ერთხელ ან ორჯერ	1.9	1.8	4.9	2.6	14.7	21.5	0.3	21.8

მათ შორის, ვისაც მოუხმარია ფსიქოაქტიური ნივთიერებები, ადრეულ ასაკში (14 წლამდე) სიგარეტი მოწეული აქვს მოსწავლეების 26.6%-ს და სტუდენტების 23.3%-ს; ალკოჰოლის ადრეულ ასაკში მოხმარებას ადასტურებს მოსწავლეების 58,2% და სტუდენტების 42,6%, ხოლო მარიხუანას 14 წლამდე ასაკში მოხმარებას - მოსწავლეების 3.1% და სტუდენტების 3.7%. ალკოჰოლის რეგულარულ მომხმარებლებს შორის ამა თუ იმ რეგულარობით ადრეულ ასაკში დაუწყია მოხმარება მოსწავლეების 6.8%-ს და სტუდენტების 4.4%-ს.

ცხრილი 15. ძირითადი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების დაწყების ასაკი, სქესის მიხედვით, მოსწავლეები

რამდენი წლის იყავი, როცა პირველად:	10 წლის ან ნაკლების		11-13 წლის		14-17 წლის		18 წლის ან მეტის	
	მდედრ (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ (%)	მამრ. (%)	მდედრ (%)	მამრ. (%)
მოწიე სიგარეტი, თუნდაც ერთი ნაფაზი	7	13	13,9	21,6	18,1	19,6	0,3	0,6
დალიე ერთ-ორ ყლუპზე მეტი ლუდი, ღვინო ან მაგარი სასმელი (მაგალითად არაყი, კონიაკი, ვისკი)	14,7	38,6	36	29,5	37,5	29,7	0,3	0,4
მოწიე მარიხუანა	0,3	1	1,2	4,3	5,5	21,5	0,4	1,2
დაიწყე ალკოჰოლური სასმელის რეგულარული მიღება, თუნდაც თვეში ერთხელ ან ორჯერ	1,2	2,9	3,4	7	14,7	14,7	0,1	0,5

ნივთიერებების მოხმარების ადრეული დაწყების მონაცემების სქესის მიხედვით გადათვლისას აღმოჩნდა, რომ სკოლის იმ მოსწავლეებს შორის, ვისაც მოუხმარია თამბაქო, ადრეულ ასაკში (14 წლამდე) სიგარეტი მოწეული აქვს გოგონების 20.9%-ს და ბიჭების 34.6%-ს; მათ შორის, ვისაც მოუხმარია ალკოჰოლი, ადრეულ ასაკში მოხმარებას ადასტურებს მოსწავლე გოგონების 50,7% და მოსწავლე ბიჭების 68.1%, ხოლო მათ შორის, ვისაც მოუხმარია მარიხუანა, 14 წლამდე ასაკში მოხმარებას - მოსწავლე გოგონების 1.5% და მოსწავლე ბიჭების 5.3%. ალკოჰოლის რეგულარული მოხმარება ადრეულ ასაკში დაუწყია გოგონების 4.6%-ს და ბიჭების 9.9%-ს.

ცხრილი 16. ძირითადი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების დაწყების ასაკი, სქესის მიხედვით, სტუდენტები

რამდენი წლის იყავი, როცა პირველად:	10 წლის ან ნაკლების		11-13 წლის		14-17 წლის		18 წლის ან მეტის	
	მდედრ (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ (%)	მამრ. (%)	მდედრ (%)	მამრ. (%)
მოწიე სიგარეტი, თუნდაც ერთი ნაფაზი	6,7	15,5	10,1	15,5	19,1	33,8	17,2	10,4
დალიე ერთ-ორ ყლუპზე მეტი ლუდი, ღვინო ან მაგარი სასმელი (მაგალითად არაყი,	13,4	37,3	20,7	21,9	42,6	26,9	17,3	8,6

კონიაკი, ვისკი)								
მოწიე მარიხუანა	0,4	4,5	0,5	4,6	8,1	31,2	14,8	32,9
დაიწყე ალკოჰოლური სასმელის რეგულარული მიღება, თუნდაც თვეში ერთხელ ან ორჯერ	0,7	4,1	1,2	5,3	16,7	31	22,2	21,2

კოლეჯის/უნივერსიტეტის იმ სტუდენტებს შორის, ვისაც მოუხმარია ძირითადი ფსიქოაქტიური ნივთიერებები, ადრეულ ასაკში (14 წლამდე) სიგარეტი მოწეული აქვს სტუდენტი გოგონების 16.8%-ს და სტუდენტი ვაჟების 31%-ს; ალკოჰოლის ადრეულ ასაკში მოხმარებას ადასტურებს სტუდენტი გოგონების 34.1% და სტუდენტი ვაჟების 59.2%, ხოლო მარიხუანას 14 წლამდე ასაკში მოხმარებას - სტუდენტი გოგონების 0.9% და სტუდენტი ვაჟების 9.1%. ალკოჰოლის რეგულარული მოხმარება ადრეულ ასაკში დაუწყია სტუდენტი გოგონების 1.9%-ს და ვაჟების 8.4%-ს

ქალაქებს შორის განსხვავება გამოჩნდა თამბაქოს და მარიხუანას ადრეულ მოხმარებაში. იმ ახალგაზრდებს შორის, ვისაც მოუხმარია ფსიქოაქტიური ნივთიერებები, სიგარეტი 14 წლამდე მოუწევია ბათუმელი ახალგაზრდების 40,4%-ს, ქუთაისელი ახალგაზრდების 25,1%-ს და თბილისელების 22,5%-ს. რაც შეეხება მარიხუანას, ადრეულ ასაკში მოუწევია ბათუმელების 11,5%-ს, ქუთაისელების 7,9%-ს და თბილისელების 2,1%-ს.

კვლევის კომბინირებული ნიმუშის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ მათ შორის, ვისაც მოუწევია თამბაქო, ყოველმა მეექვსე ახალგაზრდამ პირველად 10 წლის ასაკში ან უფრო ადრე მოწია, ხოლო ყოველმა მეოთხემ თამბაქო გასინჯა 11-13 წლის ასაკში; ყოველ მეოთხე ახალგაზრდას ალკოჰოლური სასმელი გასინჯული აქვს 10 წლამდე ასაკში და დაახლოებით ამდენივეს - 11-13 წლის ასაკში. მათ შორის, ვინც რეგულარულად სვამს ალკოჰოლურ სასმელებს, რეგულარული მოხმარების დაწყებას 10 წლამდე ასაკში ადასტურებს ყოველი მეოცე ახალგაზრდა, ხოლო 11-13 წლის ასაკში - თითქმის ყოველი მეათე ახალგაზრდა.

ცხრილი 17. ძირითადი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების დაწყების ასაკი

რამდენი წლის იყავი, როცა პირველად:	10 წ. ან ნაკლების (%)	11-13 წ. (%)	14-17 წ. (%)	18 წ. ან მეტის (%)	სულ (%)
მოწიე სიგარეტი, თუნდაც ერთი ნაფაზი	17	26	39,2	17,8	56,9
დალიე ერთ-ორ ყლუპზე მეტი ლუდი, ღვინო ან მაგარი სასმელი (მაგალითად არაყი, კონიაკი, ვისკი)	24,4	27,1	38	10,5	92,6
მოწიე მარიხუანა	4,2	6,4	45,4	43,9	32,4
დაიწყე ალკოჰოლური სასმელის რეგულარული მიღება, თუნდაც თვეში ერთხელ ან ორჯერ	4,8	8,6	49,2	37,5	39,2

დიაგრამა 6. ძირითადი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების ადრეული დაწყება



ამ თვალსაზრისით, თვისებრივი კვლევის მონაცემები ასეთია: სკოლის მასწავლებლების აზრით, თამბაქოს მოხმარებას მოზარდები იწყებენ, ძირითადად, 12-13 წლის ასაკში, მაგრამ არის ცალკეული შემთხვევები, როცა 7-8 წლის ბავშვებიც დაუნახავთ, რომ ეწევიან. აღნიშნავენ, რომ ბიჭები და გოგონები ერთდროულად იწყებენ თამბაქოს მოხმარებას. მშობლების უმეტესობა თვლის, რომ მოზარდები თამბაქოს მოხმარებას იწყებენ 11-12 წლის ასაკში. ნაწილის აზრით კი უფრო 14-15 წლის ასაკში იწყებენ მოწევას. შეუნიშნავთ ერთეული შემთხვევები, რომ 8-9 წლის ბავშვები ეწეოდნენ. მშობლები აღნიშნავენ, რომ მოზარდები ბოლო დროს უფრო დაუფარავად ეწევიან:

> *„შევხვედრილვარ, 11 წლის გოგო-ბიჭები ესე თავისუფლად, ხის ქვეშ დგანან და ეწევიან, არ მიაჩნიათ დასამალად. ეს უფრო დიდი პრობლემაა, რომ სირცხვილად ვეღარ აღიქვამენ, ვერც საშიშად და ვერც იმად, რომ ჯანმრთელობისთვის მავნეა“. (თბილისი)*

მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ მოზარდები ალკოჰოლური სასმელების მოხმარებას თამბაქოსთან შედარებით უფრო გვიან იწყებენ - 15-16 წლის ასაკში, როგორც ბიჭები, ისე გოგონები. ეს ხდება, ძირითადად, ექსკურსიებზე, დაბადების დღეებზე და სხვა

დღესასწაულებზე. გამოითქვა აზრი, რომ სკოლის მოსწავლეებს შორის გავრცელებულია, მოდურად ითვლება ლუდის დალევა:

> *„არსებობს ეგეთი სტერეოტიპი - იმდენად ჯიგარი გოგოა, რომ ლუდი და ფეხბურთი უყვარს“ (თბილისი); „უყვარს თუ არ უყვარს, მოდაა და კაი ტიპობა რომ უნდა დაამტკიცოს, ლუდი უნდა უყვარდეს“ (თბილისი).*

მშობლების აზრით, ალკოჰოლის მოხმარებას მოზარდები იწყებენ 14-15 წლის ასაკში, ზოგის აზრით, 15- 16 წლის ასაკში, მაგრამ ხაზს უსვამენ, რომ 1-2 ჭიქით შემოიფარგლებიან, ბევრს არ სვამენ: *„ხდება ხოლმე, რომ 1-2 ჭიქა, თორემ ამ ასაკის 13-16 წლის ბავშვები რომ მთვრალი დადიოდნენ, ეს არ მინახია“ (თბილისი).* მშობლები ყველა ჯგუფში აღნიშნავენ, რომ ქართული ტრადიციების გამო, ყველა ოჯახში ხდება, რომ მოზარდები უფროსებთან ერთად სუფრაზე 1-2 ჭიქა ღვინოს სვამენ, მაგრამ იმასაც აღნიშნავენ, რომ თუ მოზარდებს ეძლევათ საშუალება უფროსების გარეშე მიიღონ სასმელი, უპირატესობას ანიჭებენ ლუდს ან მაგარ სასმელებს.

მარიხუანას მოხმარების დაწყების ასაკთან დაკავშირებით მასწავლებლებს არა აქვთ ინფორმაცია. აღნიშნავენ, რომ სკოლაში მარიხუანას მოხმარების შემთხვევები არ ყოფილა, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ბოლო დროს მარიხუანა განსაკუთრებით ადვილად ხელმისაწვდომი გახდა, თბილისელი მასწავლებლები ვარაუდობენ, რომ 15-16 წლის ასაკიდან იწყებენ მარიხუანას მოწევას, ხოლო ქუთაისში თვლიან, რომ თამბაქოს მოხმარების პარალელურად იწყებენ მარიხუანას მოხმარებას. *„7-8-ე კლასელი მარიხუანასაც თავისუფლად გასინჯავს“ (ქუთაისი).*

ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებული რისკის აღქმა

ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული რისკის აღქმა გულისხმობს ნივთიერებების როგორც ეპიზოდური, ასევე რეგულარული მოხმარებით გამოწვეული ზიანის აღქმის შეფასებას. ახალგაზრდებმა, რომლებიც ნაკლებად ან ვერ აღიქვამენ თამბაქოს, ალკოჰოლის ან სხვა ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებულ რისკებს, უფრო მეტი ალბათობით შეიძლება დაიწყონ ამ ნივთიერებების ავადმოხმარება (McCambridge and Strang, 2004; Tomar and Hatsukami, 2007). ადრინდელი კვლევები გვიჩვენებს, რომ ნარკოტიკების მოხმარების საზიანო შედეგების რისკების აღქმა უკუპროპორციულ კავშირშია მოხმარების პრევალენტობასთან (Millstein & Halpern-Felsher, 2002; Wild, Hinson, Cunningham, & Bacchiochi, 2001).

იმის გასარკვევად, თუ რამდენად აცნობიერებენ მოზარდები და ახალგაზრდები ამა თუ იმ ფსიქოაქტიური ნივთიერების მოხმარებასთან დაკავშირებულ რისკებს, მათ ვუსვამდით შეკითხვას: “როგორ ფიქრობ, რამდენად უქმნის ადამიანი საფრთხეს საკუთარ თავს (ფიზიკური ჯანმრთელობის მხრივ, ემოციურად და სხვ.) თუ ეს ადამიანი: ...“, რასაც თან მოყვებოდა 17-პუნქტიანი ჩამონათვალი თამბაქოს, ალკოჰოლისა და სხვა ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებით, მოხმარების სხვადასხვა ინტენსივობის მითითებით.

თითოეული პუნქტისთვის, პასუხები შემდეგ კატეგორიებად იყოფოდა: „არანაირი საფრთხე“, „ნაკლებად სახიფათო“, „საშუალოდ სახიფათო“, ძალიან სახიფათო “.

კვლევის მონაცემების თანახმად (ცხრილი 18), მოხმარებასთან დაკავშირებული რისკის შეფასების პროცენტული სიდიდეები მნიშვნელოვნად ვარიირებს ნივთიერებების მიხედვით. ყველაზე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა სიგარეტის, ღვინის და მაგარი ალკოჰოლური სასმელების რეგულარულ მოხმარებასთან მიმართებით. რაც შეეხება არალეგალურ ნარკოტიკებს, შემდეგი ნივთიერებების ხშირი ან რეგულარული მოხმარება იქნა მიჩნეული მაღალი პოტენციური რისკის შემცველად: კანაფი (მარიხუანა), სპაისები („ბიო“), ექსტაზი (MDMA), ამფეტამინები და ფსიქოტროპული ნივთიერებები (საძილე/დამამშვიდებელი მედიკამენტები).

ცხრილი 18. ნივთიერებათა მოხმარებასთან დაკავშირებული რისკის აღქმა, სკოლის მოსწავლეები

როგორ ფიქრობ, რამდენად უქმნის ადამიანი საფრთხეს საკუთარ თავს (ფიზიკური ჯანმრთელობის მხრივ, ემოციურად, და სხვ.) თუ ეს ადამიანი:	არანაირი საფრთხე		ნაკლებად სახიფათო		საშუალოდ სახიფათო		ძალიან სახიფათო	
	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)
ეწევა სიგარეტს ზოგჯერ	6,6	4.3	18	20,4	33,9	40,6	41,5	34,7
ეწევა 10 ღერ სიგარეტზე ნაკლებს ყოველდღე	3,9	1,8	14,8	11,4	26,1	31,5	55,3	55,4
ეწევა 10-20 ღერ სიგარეტს ყოველდღე	4,6	1,7	3,9	1,7	18,2	13,9	73,3	81,9
ეწევა 1 კოლოფ, ან კოლოფზე მეტ სიგარეტს ყოველდღიურად	3,7	0,7	4,3	3	9,6	7,4	82,4	88,8
ეწევა ხანდახან მხოლოდ ელექტრო სიგარეტს	18,2	11	34	40	28,8	32	18,5	16,8
ეწევა სისტემატურად ელექტრო სიგარეტს	14,2	5,3	24,8	16,6	30,6	40,1	44	56
სვამს 1 ბოთლ (0.3ლ) ლუდს კვირაში 1-2 ჯერ	16,3	12,5	38,3	32,3	25,4	35	20,1	20,1
სვამს 1 ბოთლ ლუდს თითქმის ყოველდღე	5,9	4,7	21,4	15,7	37,5	31,2	35,2	48,4
სვამს 1-2 ჭიქა ღვინოს კვირაში 1-2 ჯერ	20,7	15,3	33,7	29,9	25,9	29,6	19,6	25,2
სვამს 1 ლიტრამდე ღვინოს თითქმის ყოველდღე	3,8	0,9	8,5	7,4	25,4	15,3	62,2	76,3
სვამს 50-100 მლ (1-2 არყის ჭიქა) მაგარ სასმელს (არაყი, ვისკი, სხვა) კვირაში 1-2 ჯერ	9,4	5,4	16,5	16	35,6	32	38,5	46,6
სვამს 50-100 მლ (1-2 არყის ჭიქა) მაგარ სასმელს თითქმის ყოველდღე	3,4	1,1	13	7	19,5	18,2	64,1	73,7
ეწევა მარიხუანას (პლანს) კვირაში 1-2-ჯერ	8,2	2,7	15,6	10,1	25,6	21,7	50,7	65,6

ეწევა მარიხუანას (პლანს) ყოველდღე	4,2	1,9	7,7	6,5	12,3	7,9	75,9	83,7
მოიხმარს LSD-ს, ბიოს, ექსტაზის (MDMA), ამფეტამინს იშვიათად (წელიწადში რამდენიმეჯერ)	5,2	3,5	5,5	8	17,1	15,6	72,2	72,8
მოიხმარს LSD-ს, ბიოს, ექსტაზის (MDMA), ამფეტამინს ხშირად (თვეში 1-2-ჯერ მაინც)	3,3	1,6	6,4	3,7	9,9	9,1	80,4	85
სვამს ფსიქოტროპულ წამლებს ექიმის დანიშნულების გარეშე	3,1	1	3,1	3,3	14,3	10,3	79,5	85,3

იმის დასადგენად, არის თუ არა ურთიერთკავშირი ნივთიერებათა მოხმარებასთან დაკავშირებული რისკის აღქმასა და ამ ნივთიერებების მოხმარების პრევალენტობას შორის, შევაფასეთ ოთხი ძირითადი ფსიქოაქტიური ნივთიერების (თამბაქო, ალკოჰოლი, მარიხუანა, ფსიქოტროპული მედიკამენტები) მოხმარების აღქმული რისკის კორელაციური კავშირი ამ ნივთიერებების ბოლო თვეში მოხმარებასთან.

ანალიზის შედეგად გამოიკვეთა უარყოფითი კორელაცია თამბაქოს, ალკოჰოლის, მარიხუანას და ფსიქოტროპული მედიკამენტების მოხმარების აღქმულ რისკსა და ამ ნივთიერებათა ბოლო თვეში მოხმარებას შორის როგორც მოსწავლეებში, ასევე სტუდენტებში; კერძოდ, რაც უფრო უსაფრთხოდ აღიქმება ამ ნივთიერებების მოხმარება, მით უფრო მაღალია ბოლო თვეში მათი მოხმარების მაჩვენებელი. ასევე, გამოვლინდა ურთიერთკავშირი ე.წ „კლუბური ნარკოტიკების“ მოხმარების საფრთხის ნაკლებად აღქმასა და მათი ცხოვრების და ბოლო თვის მანძილზე მოხმარებას შორის.

ნარკოტიკების შესახებ ინფორმაციის წყაროები

ძალიან მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ ვის მიმართავენ მოზარდები და ახალგაზრდები ინფორმაციისა და რჩევისათვის ალკოჰოლსა და ნარკოტიკებთან დაკავშირებით, რათა სწორად დავგეგმოთ მიზანმიმართული საგანმანათლებლო სტრატეგიები. დღევანდელი ახალგაზრდები ცხოვრობენ მოზღვავებული ინფორმაციის სამყაროში და მათთვის ხელმისაწვდომია ინფორმაციის წყაროების ფართო სპექტრი (Quintero & Bundy, 2011). თუმცა, პრევენციის სპეციალისტების საწუხარი ისაა, რომ ახალგაზრდებისთვის იოლად ხელმისაწვდომი ზოგიერთი "არაოფიციალური" ინფორმაცია შეიძლება არაზუსტი იყოს და ხელი შეუწყოს ახალგაზრდებში ნარკოტიკების მოხმარებას.

ინფორმაციის წყაროები და მათი სანდოობა

კვლევის მონაწილეებს წარვუდგინეთ წყაროების ჩამონათვალი, ვისგანაც შეიძლებოდა მიეღოთ ინფორმაცია ნარკოტიკებთან დაკავშირებით და ვთხოვეთ, აღენიშნათ ყველა, ვისგანაც მიუღიათ მსგავსი ინფორმაცია.

სკოლის მოსწავლეებმა ნარკოტიკების შესახებ ინფორმაციის წყაროდ ყველაზე ხშირად დაასახელეს მშობლები (55.3%), მასწავლებლები (53%) და თანაკლასელები (47%). სტუდენტებმა ინფორმაციის წყაროდ დაასახელეს თანაკურსელები (59.4%), მასწავლებლები (51.6%) და მშობლები (46%). ინფორმაციის წყაროდ ყველაზე ნაკლებად მოსწავლეებმა დაასახელეს ამ სფეროში მომუშავე ექსპერტები (7.8%), ექიმები (8.3%), პოლიციელი (8.3%) და მოძღვარი (8.5%). მსგავსი სურათია სტუდენტების შემთხვევაშიც.

ამ მონაცემების გენდერულ ჭრილში გაანალიზებისას გაირკვა, რომ მოსწავლე გოგონები ინფორმაციის წყაროებიდან ყველაზე ხშირად ასახელებენ მასწავლებლებს, მშობლებს და თანაკლასელებს, ხოლო ვაჟებისთვის პირველ ადგილზეა მშობლები და შემდეგ - მასწავლებლები და თანაკლასელები. ორივე სქესის სტუდენტებისთვის პირველ ადგილზეა თანაკურსელები, შემდეგ მოდის მასწავლებლები და თანაკლასელები, ხოლო მშობლები მეოთხე ადგილზეა (ცხრილი 19).

ცხრილი 19. ნარკოტიკების შესახებ ინფორმაციის წყაროები, სქესის მიხედვით

ინფორმაციის წყაროები	მოსწავლეები		სტუდენტები	
	მამრ (%)	მდედრ (%)	მამრ (%)	მდედრ (%)
სკოლის მასწავლებლები	20.4	32.6	45.0	55.0
თანაკლასელები	17.2	29.8	38.2	40.9
კოლეჯის/უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლები	-	-	39.6	44.2
თანაკურსელები	-	-	60.4	58.9
მშობლები	23.3	31.0	40.6	48.7
და-ძმები	6.6	9.7	21.6	26.0
ნარკოტიკის ყოფილი მომხმარებელი	11.5	6.1	38.6	19.4
თანატოლები უბანში	11.5	12.4	41.3	22.6
უფროსები უბანში	13.0	8.0	40.2	15.0
ნარკოტიკის მომხმარებელი	6.7	3.8	28.7	17.2
მოძღვარი	3.8	4.7	22.9	17.9
ექიმი	8.5	9.6	36.2	26.2
პოლიციელი	5.2	3.0	19.2	12.9
ამ სფეროში მომუშავე ექსპერტი	4.4	3.4	20.3	13.7
სხვა	2.5	7.7	6.1	12.2

ინფორმაციის საიმედოობისა და სანდოობის საკითხის განხილვის დროს, გასათვალისწინებელია ერთი საკითხი - მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდამ შეიძლება ისარგებლოს ინფორმაციის გარკვეული წყაროთი, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს წყარო ყველაზე სანდო ან დამაჯერებელია მისთვის.

კითხვაზე, ვისგან მიღებული ინფორმაცია მიაჩნიათ სანდოდ, ორივე ასაკობრივ ჯგუფში პირველი ადგილები შეინარჩუნეს მშობლებმა და მასწავლებლებმა/ლექტორებმა. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის წყაროდ ხშირად არ იყვნენ დასახელებული სპეციალისტები და ექიმები, საკმაოდ მაღალია მაჩვენებელი, რომლითაც ისინი მიიჩნევიან

ინფორმაციის სანდო წყაროდ: ექიმები - მოსწავლეებისთვის 27.3%, სტუდენტებისთვის 34.5%, ხოლო ამ სფეროში მომუშავე სპეციალისტები დასახელდა მოსწავლეებში 24.8% და სტუდენტებში 27.2% სიხშირით.

ცხრილი 20. ინფორმაციის წყაროების სანდოობა, სქესის მიხედვით

ინფორმაციის წყაროები	მოსწავლეები		სტუდენტები	
	მამრ (%)	მდედრ (%)	მამრ (%)	მდედრ (%)
სკოლის მასწავლებლები	15.1	21.7	31.6	29.4
თანაკლასელები	12.3	8.4	14.6	12.3
კოლეჯის/უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლები	-	-	29.6	36.9
თანაკურსელები	-	-	14.9	13.2
მშობლები	23.2	35.2	52.7	55.9
და-ძმები	7.2	9.8	21.3	15.7
ნარკოტიკის ყოფილი მომხმარებელი	9.3	10.2	21.3	25.9
თანატოლები უბანში	5.4	2.1	13.3	2.9
უფროსები უბანში	8.3	3.0	19.2	7.5
ნარკოტიკის მომხმარებელი	4.5	4.2	18.7	9.3
მოძღვარი	6.6	8.3	20.4	20.0
ექიმი	10.3	17.1	30.2	36.8
პოლიციელი	7.1	7.8	14.8	14.9
ექსპერტი	8.7	16.1	26.4	27.6
სხვა	1,3	3	6.1	3.8

დიაგრამა 7. ინფორმაციის წყაროები და მათი სანდოობა სკოლის მოსწავლეებს შორის



დიაგრამა 8. ინფორმაციის წყაროები და მათი სანდოობა სტუდენტებს შორის



თვისებრივმა კვლევამ გამოავლინა, რომ მშობლები მოზარდებისთვის ნარკოტიკების შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას მნიშვნელოვნად მიიჩნევენ:

> *„ამ ბოლო დროს ყველა ოჯახში არის მაგაზე საუბარი. ყველა ცდილობს, თავისი შვილი აარიდოს ამ მავნებელ რაღაცას“ (ბათუმი);*
>
> *„მარტო ოჯახმა შეიძლება ბევრი ვერაფერი ვერ გააკეთოს, მაგრამ ბავშვმა ოჯახში აუცილებლად უნდა მიიღოს ინფორმაცია“ (თბილისი).*

მაგრამ მშობლები აცნობიერებენ, რომ აკლიათ ინფორმაცია, უჭირთ შვილების დარწმუნება: *„შენ, მშობელი რაღაცას უმტკიცებ და ის სხვა ინფორმაციაზე დაყრდნობით რაღაცეებს გიმტკიცებს, ძალიან უძლური ვართ მერე“ (ბათუმი); „ცოდნა გვჭირდება. სიამოვნებით მოვისმენდით ლექციის ან ტრენინგის სახით“ (თბილისი).*

ზოგი მშობელი, გარდა იმისა, რომ ელაპარაკება შვილს ამ თემაზე, ცდილობს, მოიძიოს ინფორმაცია სხვადასხვა საშუალებით და გაუზიაროს შვილს: *„კონკრეტულად მარიხუანაზე ძალიან ბევრი საინტერესო კლიპია გადაღებული, კომპეტენტური აზრია გამოთქმული პროფესიონალების მიერ და როდესაც ვნახე ეს ვიდეორგოლი ორივე ჩემს შვილს*

გადავუგზავნე“ (თბილისი); „ჩემ გოგონას ვაყურებინე - კანაფზე იყო ტელევიზორში, რა შედეგი შეიძლება მოყვეს. კარგად იყო გაკეთებული“ (ქუთაისი).

მშობლები აღნიშნავენ, რომ როდესაც ბიოლოგიასა და სამოქალაქო განათლებაში გადიან გეგმით გათვალისწინებულ თემებს ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების შედეგებთან დაკავშირებით, ბავშვები თავად მოიძიებენ მასალებს და აკეთებენ პრეზენტაციებს: *„ჩემი შვილი როდესაც გადიოდა ბიოლოგიაში ცხოვრების ჯანსაღ წესთან დაკავშირებით, ალკოჰოლის მავნებლობაზე, სახლში ბავშვებმა პრეზენტაციები გააკეთეს და წარადგინეს“ (ქუთაისი); „მაგალითად, იყო, როდესაც ბიოლოგიაში გადიოდნენ ფილტვებთან და სხვა ორგანოებთან დაკავშირებით, თემა იყო მისადაგებული და კლასის დამრიგებელმა და მასწავლებელმა მოიყვანეს ექიმები და ჩაუტარეს ბავშვებს რამოდენიმე კლასში. იყო შემთხვევა, მშობელი ექიმებიც მოიყვანეს“ (ქუთაისი).* მაგრამ იყვნენ ისეთი მშობლებიც, რომლებმაც არ იცოდნენ, რომ სკოლაში ბავშვები ამ თემებს სწავლობენ.

ერთ-ერთმა მშობელმა აღნიშნა, რომ ძალიან ეფექტურია ადრეულ ასაკში ინფორმაციის მიწოდება:

> *„ძალიან დიდი როლი ითამაშა დაბალ კლასებში ჩატარებულმა ბიოლოგიის მასწავლებლის ანტირეკლამამ თამბაქოს მიმართებით. იმდენად ჩაებეჭდათ რომ ეს ცუდია ჯანმრთელობისთვის და განვითარებისთვის, რომ დღემდე მოყვებათ“ (ქუთაისი).*

თითქმის ყველა სკოლაში პედაგოგები აღნიშნავდნენ, რომ ნარკოტიკების მოხმარებისა და სხვა პრობლემური ქცევების თემაზე საუბარი ყველაზე უკეთ ფსიქოლოგს შეუძლია:

> *“სკოლაში რომ ფსიქოლოგი გვყავდეს და თვეში ერთხელ მაინც კლასში შედიოდეს და ბავშვებს ესაუბრებოდეს, ძალიან კარგი იქნებოდა“ (თბილისი);*
>
> *„ყველა კლასში ფსიქოლოგიური გაკვეთილი უნდა დაემატოს კვირაში ერთხელ. არა მარტო ვისაც სჭირდება, არამედ ყველასთვის, ყველა თემასთან დაკავშირებით ჯობია ფსიქოლოგს გაესაუბროს“ (თბილისი);*
>
> *„სკოლას ჭირდება ფსიქოლოგი აუცილებლად არა მარტო ამ საკითხებთან დაკავშირებით, არის უამრავი სხვა საკითხიც...“ (ქუთაისი).*

მასწავლებლები თვლიან, რომ სკოლაში უფრო ხშირად უნდა ტარდებოდეს ლექციები მოწვეული სპეციალისტების მიერ და ხდებოდეს თემატური ფილმების ჩვენება და განხილვა:

> *„ბავშვებს ჩავუტაროთ ლექციები. ფსიქოლოგმა ... მედიცინის მუშაკიც... თუნდაც შსს თანამშრომელმა... ყველა მხრიდან დაინახონ ბავშვებმა*

უარყოფითი გავლენა“ (თბილისი);

„ამ საკითხზე არ იყო, მაგრამ ფილმების ჩვენება დავიწყე. ვუყურებდით ერთად, ვმსჯელობდით ერთად და იმდანად შეიცვალა ამ ბავშვების ქცევა გაკვეთილზე, რომ მე ვფიქრობ, რომ ეს დადებითად აისახა მათზე“ (თბილისი).

იმისათვის, რომ მასწავლებლებმა შეძლონ მოსწავლეებთან ნარკოტიკების მოხმარების პრობლემაზე საუბარი, ესაჭიროებათ *„გადამზადება“...*

„მეტი ლიტერატურა მოზარდებისთვის, პედაგოგებისთვის, მშობლებისთვის... თეორიას პლუს სავარჯიშოები, ტრენინგები“ (თბილისი);

„სახელმძღვანელო უნდა არსებობდეს და გეგმა“ (ბათუმი); „მასწავლებელსაც ესაჭიროება გადამზადება, რომ სწორად იყოს ინფორმირებული და არასწორი ინფორმაცია არ მიაწოდოს“.

არცერთმა მასწავლებელმა არ იცოდა, რომ მასწავლებლებისთვის განკუთვნილ ინტერნეტგვერდებზე გამოქვეყნებულია სახელმძღვანელოები მასწავლებლებისთვის - როგორ იმუშაონ მოსწავლეებთან ცხოვრების ჯანსაღი წესის საკითხებზე, ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების კუთხით.

მასწავლებლებმა გაგვიზიარეს გამოცდილება, რომ არაფორმალურ გარემოში საკუთარ მოსწავლეებთან ახლებურ, უკეთეს კონტაქტს ამყარებენ და თვლიან, რომ ასეთ თემებზე საუბარი უფრო შედეგიანი იქნება, თუ ეს არ მოხდება ტრადიციული საგაკვეთილო ფორმით:

„არაფორმალურ გარემოში ბავშვებთან საუბარი იქნება სასურველი. მოსწონთ და უკუკავშირი მაშინვეა, მყისიერად“ (თბილისი);

„ფილმებს ვაჩვენებთ და მიდის მერე დებატები. თქვენ წარმოიდგინეთ, მწეველიც და არამწეველიც, დებატებში რომ გადადის, ძალიან ინტერესდებიან და უამრავი შეკითხვა აქვთ“ (თბილისი).

ინფორმაციის მიღების არსებული და სასურველი გზები

შეკითხვაზე, თუ რა გზით (არხებით) მიუღიათ ინფორმაცია ნარკოტიკების შესახებ, მოსწავლეებმა ყველაზე ხშირად დაასახელეს ტელევიზია (74.7%), სოციალური ქსელები (67.7%) და ვებ-გვერდები (56.3%). საკმაოდ მაღალი აღმოჩნდა ინფორმაციის წყაროდ გაკვეთილების (38.8%) და სკოლაში ჩატარებული აქციების/ტრენინგების (27.1%) დასახელების სიხშირე. სტუდენტებმა ყველაზე ხშირად დაასახელეს სოციალური ქსელები (80.9%), ტელევიზია (74.8%) და ვებ-გვერდი (56.5%). ასევე ხშირად დაასახელეს სკოლაში ჩატარებული გაკვეთილები (34.5%) და სკოლაში ჩატარებული აქციები/ტრენინგები (30.3%).

დაბოლოს, პასუხად კითხვაზე: „რა გზით ისურვებდი სანდო ინფორმაციის მიღებას ნარკოტიკების შესახებ?“ სკოლის მოსწავლეებმა ყველაზე ხშირად დაასახელეს სკოლაში ჩატარებული ტრენინგები/აქციები (47%), შემდეგ - გაკვეთილები (20.3%) და სოციალური ქსელები (12.9%); ასევე, დასახელდა ტელევიზია, ვებ-გვერდები, მობილური აპლიკაციები და აუდიოვიზუალური მასალა (მაგ., საგანმანათლებლო ვიდეო-კლიპები). სტუდენტებს შორის, სასურველ საკომუნიკაციო არხებად ყველაზე ხშირად დასახელდა ტელევიზია (44.1%), სასწავლებელში ჩატარებული ტრენინგი/აქცია (40.8), სოციალური ქსელები (38.6%), სპეციალური ლიტერატურა (24.%); შემდეგ მოდის ვებ-გვერდები, საგანმანათლებლო ვიდეოკლიპები, მობილური აპლიკაციები.

თვისებრივი კვლევის თანახმად, მასწავლებლები ერთხმად აღიარებენ, რომ მედია დიდ გავლენას ახდენს მოზარდების დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების მიმართ. განსაკუთრებით აღნიშნავენ ბოლო დროს მარიხუანასთან დაკავშირებულ აჟიოტაჟს და თვლიან, რომ მედია საშუალებებიდან ხშირად მოდის მცდარი და საზიანო ინფორმაცია:

„ერთ-ერთი ცნობილი პიროვნება რომ ამბობს, რომ თქვენ რომ გიყვართ, ეს ლექსი ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში დავწერე, თქვენ რომ ძალიან გიყვართ, ეს სიმღერა ნარკოტიკული თრობის პროცესში დავწერე... ეს ძალიან მოქმედებს ამ ახალგაზრდებზე. ამათ მართლა გონიათ, რომ... ოღონდ სერიოზულად ჰგონიათ...“ (თბილისი);

„...როდესაც ბავშვს ესმის, რომ ეს არაფერზე არ მოქმედებს... როდესაც საპრეზიდენტო კანდიდატი გამოდის და ამბობს, რომ მე ვარ მომხმარებელი, ამას ისმენენ პატარები და ფიქრობენ, რომ ეს არ არის ცუდი“ (ქუთაისი);

„ერთერთ გადაცემაში იყო ერთხელ, წებო არ შეიძლებაო და მეორე დღეს წებო აღარ იშოვებოდა. ანტირეკლამა იქცა რეკლამად. ისეთი რაღაცა, რაც ხელმისაწვდომია, იაფია, სწორედ იმას მოსინჯავს ბავშვი. ამიტომ ფრთხილად უნდა შევარჩიოთ, როგორი ტიპის რეკლამას გავუშვებთ ტელევიზორში, ძალიან ფრთხილად“ (ბათუმი);

„იმდენია საუბარი იმაზე, რომ ნებადართული გახდა (მარიხუანა), რომ ეს მაპროვოცირებელია. კი გვითხრეს, რომ აქედან ამ ასაკამდე დასჯადია, მაგრამ ამას ჩვენ ვგებულობთ, ბავშვებს ამას ვერ გააგებინებ. მათ იციან, რომ ეს არის უკვე დასაშვები და დამთავრდა“ (თბილისი);

„ყველაფერს განსაზღვრავს მედია. ტელევიზიით მათთვის ავტორიტეტები გამოდიან და ახდენენ იმ ყველაფრის პოპულარიზაციას“ (თბილისი).

მშობლების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მედიასაშუალებები არასწორ ინფორმაციას ავრცელებენ მარიხუანასთან დაკავშირებით და ეწევიან პროპაგანდას:

> *„გამოდიან საკმაოდ ცნობილი პიროვნებები და გისაბუთებენ, რომ არაფერს არ ვნებს, პირიქით, კარგიც არის. ამას ბავშვები ისმენენ და საშრობივით იწოვენ“ (თბილისი);*
>
> *„ეხლა რომ არის მარიხუანას პროპაგანდა ტელევიზიიდან. უარყოფით მხარეზე არავინ არ საუბრობს. საუბარია, როგორი სამკურნალოა და ა.შ.“ (თბილისი);*
>
> *„ხშირად გამიგია, კიბოს კურნავსო. არასწორი ინფორმაცია მოდის და არვინ არ ლაპარაკობს, რა უარყოფითი შედეგი აქვს ამ მარიხუანას“ (ბათუმი);*
>
> *„უი რა კარგი ყოფილაო, წამალიაო. ბავშვმა რა იცის, რა არის. გონია მართლა კარგი“ (ბათუმი).*

მშობლების ნაწილისთვის ცნობილია მასალები ინტერნეტში, რომლებიც სასარგებლო ინფორმაციას შეიცავს: *„მე პირდად ვიცი, რომ კონკრეტულად მარიხუანაზე ძალიან ბევრი საინტერესო კლიპია გადაღებული. კომპეტენტური აზრია გამოთქმული პროფესიონალების მიერ“ (თბილისი); „ფეისბუქში იმას რომ წერენ, არ ვნებსო, იმასაც ხომ წერენ, რამდენ რაღაცას იწვევს“ (თბილისი).*

გამოითქვა აზრი, რომ მედიას მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის საქმეში *„თუ ჩაერთვება მედია, ძაან კარგი იქნება. რაღაც რომ მოხდება, მერე გამოთქვამენ აზრებს და მიდის მედიაში ამაზე საუბარი“ (თბილისი); „ტელევიზიას აქვს ძალიან დიდი როლი. სკოლაზე მეტად არის მიმართულების მიმცემი ყველაფერში“ (ქუთაისი).*

თავი 4. სხვა პრობლემური ქცევები

ამ თავში გადმოცემულია კვლევის ძირითადი შედეგები მოზარდებისა და ახალგაზრდების სხვა პრობლემურ ანუ ანტისოციალურ ქცევებთან დაკავშირებით. თანამედროვე ფსიქოლოგია განსაზღვრავს ანტისოციალურ ქცევას, როგორც ქცევას, რომელიც არღვევს კონკრეტულ საზოგადოებაში მიღებულ ან აღიარებულ ნორმებს, ღირებულებებს და პრინციპებს.

განხილული საკითხები:

→ აზარტული თამაშები

→ სხვა ანტისოციალური ქცევები

→ ნივთიერებების მოხმარება და სხვა პრობლემური ქცევები

აზარტული თამაში

დღევანდელი ბავშვები და მოზარდები ცხოვრობენ საზოგადოებაში, სადაც მრავლადაა აზარტული თამაშები, იოლად ხელმისაწვდომია და ხდება ამ თამაშების რეკლამირება და პოპულარიზაცია. აზარტული თამაშების ასეთი ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით, ინტერნეტში, სულ უფორ მეტ ცდუნებას უჩენს ახალგაზრდებს, ჩაერთონ ამ თამაშებში. (Jacobs, 2000).

მიუხედავად იმისა, რომ აზარტული თამაშები რეკლამირდება, როგორც გართობის უვნებელი ფორმა, თამაშის პროცესი ისევე ზემოქმედებს თავის ტვინის დამაჯილდოვებელ და ნეიროგადამცემ სისტემებზე, როგორც ნარკოტიკების ავადგამოყენება. კვლევებით დასტურდება, რომ აზარტული თამაშებით გატაცება ასოცირებულია ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარების რისკთან (Hardoon & Derevensky, 2002; Winters & Anderson, 2000). აზარტომანიას ახალგაზრდებში თან სდევს ქცევითი გადახრები და დანაშაულებრივი ქმედებები, ცუდი აკადემიური მოსწრება, სკოლის გაცდენისა და მიტოვების მაღალი მაჩვენებლები, ოჯახის წევრებთან და თანატოლებთან ურთიერთობების *გაუარესება* (Hardoon et al., 2002; Wynne, Smith, & Jacobs, 1996).

ჩვენი კვლევის მონაცემები იმაზე მიუთითებს, რომ, სკოლის მოსწავლეების 14.3%-ს და კოლეჯის/უნივერსიტეტის სტუდენტების 24.2%-ს უთამაშია ფულზე ბოლო 1 წლის განმავლობაში. ვაჟები უფრო მეტად თამაშობენ აზარტულ თამაშებს, ვიდრე გოგონები. აზარტულ თამაშებში ჩართულობის მაჩვენებელი უფრო მაღალია სტუდენტებში, ვიდრე მოსწავლეებში. თუკი ამ მონაცემებს ქალაქების მიხედვით გადავხედავთ, აღმოჩნდება, რომ ახალგაზრდების აზარტულ თამაშებში ჩართვის თვალსაზრისით განსხვავება არ არის.

აზარტული თამაშების ყველაზე გავრცელებული ფორმა, რომელზეც გასული წლის განმავლობაში ახალგაზრდებმა ფული დახარჯეს, სკოლის მოსწავლეებისთვის არის ნიძლავი ფულზე (23.8%) და სტუდენტებისათვის - ონლაინ კაზინო (22.3%). მომდევნო ადგილზე მოსწავლეებშიც და სტუდენტებშიც აღმოჩნდა "სხვა აზარტული თამაშები".

ცხრილი 21. სხვადასხვა აზარტულ თამაშში ახალგაზრდების ჩართვის სიხშირე ბოლო 1 წლის განმავლობაში, განათლების საფეხურის მიხედვით

ბოლო ერთი წლის განმავლობაში რამდენად ხშირად გითამაშია ფულზე:	შემთხვევების რაოდენობა ბოლო 1 წლის განმავლობაში									
	0		1-2		3-5		6-9		10-ჯერ ან მეტჯერ	
	მოსწ. (%)	სტუდ. (%)	მოსწ. (%)	სტუდ. (%)	მოსწ. (%)	სტუდ. (%)	მოსწ. (%)	სტუდ. (%)	მოსწ. (%)	სტუდ. (%)
თამაში ონლაინ კაზინოში	92.3	77.7	3.6	13.8	1.2	2.8	0.5	1.2	2.4	4.6
თამაში ტოტალიზატორში	96.3	83.3	1.7	8.8	0.2	2.9	0.2	0.5	1.6	4.5
ბანქოს თამაში	91.7	85.7	3.7	6.2	1.8	3.1	0.2	0.5	2.6	4.5
სხვა აზარტული თამაშები	90.2	81.7	5.2	11.1	1	2	0.8	1.9	2.8	3.4
ნიძლავი ფულზე	76.2	84.3	16.2	10.3	3.8	1.4	1.3	0.7	2.5	3.2

სტუდენტებმა, მოსწავლეებისგან განსხვავებით, უპასუხეს შეკითხვას კაზინოში თამაშთან დაკავშირებით. აღმოჩნდა, რომ კაზინოში არცერთხელ არ უთამაშია სტუდენტების 86.8%-ს, 1-2-ჯერ - 8.3%-ს; 3-5-ჯერ - 2.9%-ს; 6-9-ჯერ - 0; 10-ჯერ ან მეტჯერ - 1.9%.

ცხრილი 22. სხვადასხვა აზარტულ თამაშში ახალგაზრდების ჩართვის სიხშირე ბოლო 1 წლის განმავლობაში, სქესის მიხედვით

ბოლო ერთი წლის განმავლობაში რამდენად ხშირად გითამაშია ფულზე:	შემთხვევების რაოდენობა ბოლო 1 წლის განმავლობაში									
	0		1-2		3-5		6-9		10-ჯერ ან მეტჯერ	
	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)
თამაში ონლაინ კაზინოში	64,6	92,9	18,7	5,6	3,9	1,2	2,4	0,07	10,3	0,1
თამაში ტოტალიზატორში	73	96	13,7	2,3	3,4	1,2	0,4	0,3	9,4	0,1
ბანქოს თამაში	77,5	93,6	10,7	2,3	2,9	2,5	1,1	0	7,7	1,7
სხვა აზარტული თამაშები	72,9	91,2	14,3	6,1	3,3	0,7	2,3	1,1	7,2	0,8
ნიძლავი ფულზე	71,6	87,4	19,5	8,1	2,3	2,1	1,5	0,6	5,1	1,7

სკოლის მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეებიც არიან ჩართული ისეთ საყოველთაოდ გავრცელებულ პრობლემაში, როგორიცაა აზარტული თამაშები. მართალია, კაზინოში არასრულწლოვნებს არ უშვებენ, მაგრამ ტოტალიზატორში *„7-ე კლასელებიც კი დადიან“ (ბათუმი).* ონლაინ ფულზე თამაში კი ყველასათვის ხელმისაწვდომია:

„კაზინოებში ალბათ ნაკლებად დადიან, მაგრამ ელექტრონულად ხელმისაწვდომია და მათი გამოყენება ჩვეულებრივად შეუძლიათ“ (ქუთაისი).

მშობლების უმრავლესობა უარყოფს, რომ მოსწავლეები თამაშობენ კაზინოში ან ტოტალიზატორში: *„სკოლაში კი არა ქალაქშიც არ მსმენია, რომ სკოლის მოსწავლე თამაშობდეს“ (ქუთაისი); „შეიძლება არიან ერთეულები, მაგრამ ჩვენ გამოცდილებაში - არა“ (თბილისი);* მხოლოდ რამდენიმე მშობელმა აღნიშნა, რომ მოზარდები თამაშობენ ონლაინ:

„ინტერნეტი უფრო ხელმისაწვდომია“; “მე გამიგია, რომ ინტერნეტით თამაშობენ, მოუგიათ 20 ლარი, 30 ლარი“ (თბილისი)

„ინტერნეტში, როგორც ვიცი, თამაშობენ არასრულწლოვნები სხვისი პირადობით“ (თბილისი).

გამოცდილება სხვა ანტისოციალურ ქცევებთან დაკავშირებით

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანტისოციალური ქცევები მოიცავს იმ ქცევებს, რომლებიც არღვევს სოციალურ ნორმებს და სხვა ადამიანების პიროვნულ და საკუთრების უფლებებს. მოცემულ ქვეთავში წარმოგიდგენთ კვლევის შედეგებს ახალგაზრდების ისეთ ქცევებთან დაკავშირებით, როგორიცაა დანის ან სხვა ცივი იარაღის ტარება ან სასწავლებელში მიტანა, რაიმეს მოპარვა, ნარკოტიკის გაყიდვა, ვინმეზე თავდასხმა ზიანის მიყენების მიზნით, სხვისი ქონების განზრახ დაზიანება და სხვ.

მოსწავლეებსა და სტუდენტებში ანტისოციალური ქცევების პრევალენტობა მოცემულია ცხრილში 23:

ცხრილი 23. ანტისოციალური ქცევების პრევალენტობა ბოლო 12 თვის განმავლობაში

ანტისოციალური ქცევა	განათლების საფეხური	
	მოსწავლეები (%)	სტუდენტები (%)
დანის ან სხვა ცივი იარაღის ტარება	8.9	11
ნარკოტიკების გაყიდვა	3.5	4.1
მანქანის ან მოტოციკლის, მოპედის, ველოსიპედის მოპარვა ან მოპარვის მცდელობა	2	4.8
სხვა რამის მოპარვა	10.7	8.1
სკოლიდან დროებით დათხოვნა	2.3	-
დაკავება პოლიციის მიერ	4	3.1
ვინმეზე თავდასხმა ზიანის მიყენების მიზნით	5.3	4.4
სკოლაში/სასწავლებელში მისვლა ნასვამ მდგომარეობაში ან ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ	7.6	11.8
სკოლაში/სასწავლებელში დანის ან სხვა ცივი	4	6.2

იარაღის მიტანა		
სხვისი საკუთრების განზრახ დაზიანება ან განადგურება (არ ითვლება ოჯახის საკუთრება)	7	5.6
მაღაზიიდან რაიმეს მალულად წამოღება ფულის გადაუხდელად	9.9	5.6
ფულზე თამაში	14.3	27.2

მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სკოლაში ცივი იარაღის ტარების შემთხვევები პრაქტიკულად არ არის. მანდატურები აკონტროლებენ მოსწავლეებს და თუ ოდესმე მსგავსი ფაქტი ყოფილა, მკაცრი რეაგირება მოჰყოლია - პოლიციის ჩარევისა და მშობლების დაჯარიმების ჩათვლით. *„მაგას სკოლაში ნამდვილად ვაკონტროლებთ. ასეთი შემთხვევები არ გვქონია. ყველანაირად ვცდილობთ ეს არ გამოგვეპაროს“ (ბათუმი).*

დისციპლინის დარღვევებიდან მასწავლებლები ასახელებენ მხოლოდ დაგვიანებას და გაკვეთილების თვითნებურად მიტოვებას. თუმცა ზოგი მასწავლებელი ხაზს უსვამს მოსწავლეების მომატებულ აგრესიულობას:

> „არიან ბავშვები, თითიდან გამოწოვილი პრობლემების გამო ერთმანეთს ეკამათებიან, ეჩხუბებიან. გამოხვალ ბიჭო, მერე, სკოლის უკან და ხდება გარჩევა“ (ბათუმი).

ანტისოციალური ქცევის დაწყების ასაკი

ადამიანები ანტისოციალურ ქცევებს ყველაზე მეტად გარდატეხის ასაკში ახორციელებენ. როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ყველაზე ხშირად დასახელებულ ანტისოციალურ ქცევებს შორის მოსწავლეებშიც და სტუდენტებშიც ლიდერობს ფულზე თამაში, რასაც მოსწავლეებში მოსდევს რაიმეს მოპარვა და დანის ტარება, ხოლო სტუდენტებთან სასწავლებელში მისვლა არაფხიზელ მდგომარეობაში და დანის ან სხვა ცივი იარაღის ტარება.

რაც შეეხება ანტისოციალური ქცევის დაწყების ასაკს, კვლევის თანახმად, დანის ტარებას მოზარდები და ახალგაზრდები უფრო ხშირად 14-17 წლის ასაკში იწყებენ. მოსწავლეების 2.4%-მა და სტუდენტების 2.9%-მა დაადასტურა სხვებზე თავდასხმა ზიანის მიყენების მიზნით 10 წლის ასაკში ან უფრო ადრე.

ცხრილი 24. ანტისოციალური ქცევის დაწყების ასაკი

ქცევა	10 წ. ან ნაკლების		11-13 წ		14-17 წ		18 წ. ან მეტის	
	მოსწ (%)	სტუდ (%)	მოსწ (%)	სტუდ (%)	მოსწ (%)	სტუდ (%)	მოსწ (%)	სტუდ (%)
სკოლიდან დროებით დათხოვნა	0.4	1.1	0.7	1.1	0.7	2.1	_	0.4
დაკავება პოლიციის მიერ	0.4	0.6	0.7	1.7	1.5	1.2	-	0.4
დანის ან სხვა ცივი იარაღის ტარება	1.2	3.4	2.2	2	4.5	6.5	-	1.6
ვინმეზე თავდასხმა	2.4	2.9	1.8	1.7	1.4	2.2	-	0.5

ზიანის მიყენების მიზნით								
ჯგუფის წევრობა, რომლის ქცევაც ითვლება წვრილმან დანაშაულად ან საზოგადოებისთვის მიუღებლად	1.2	0.4	0.8	1	1.2	1.4	0,1	0.1

დიაგრამა 9. ანტისოციალური ქცევის დაწყება ადრეულ ასაკში



* ჯგუფის წევრობა, რომლის ქცევაც ითვლება წვრილმან დანაშაულად ან საზოგადოებისთვის მიუღებლად

ანტისოციალური ქცევის სიხშირე

კითხვას „ბოლო 1 წლის (12 თვის) განმავლობაში რამდენჯერ ყოფილა, რომ…“ მოყვებოდა ანტისოციალური ქცევების ჩამონათვალი და ვთავაზობდით პასუხების რამდენიმე ვარიანტს: „არცერთხელ“, „1-2-ჯერ“, „3-5-ჯერ“, „6-9-ჯერ“, „10-ჯერ ან მეტჯერ“. როგორც ცხრილი 25-დან ჩანს, ქცევის სიხშირეს „წელიწადში 1-2-ჯერ“ ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებლები შეესაბამება. წელიწადში 10-ჯერ ან მეტჯერ ნარკოტიკების გაყიდვას აღნიშნავს სტუდენტების 2.1%, ხოლო წელიწადში 10-ჯერ ან მეტჯერ ფულზე თამაშს - სტუდენტების 6.3%.

ცხრილი 25. ანტისოციალური ქცევის სიხშირე ბოლო 12 თვის განმავლობაში, განათლების საფეხურის მიხედვით

	შემთხვევების რაოდენობა ბოლო 12 თვის განმავლობაში									
	0		1-2		3-5		6-9		10 ან მეტი	
	მოსწ. (%)	სტუდ. (%)	მოსწ. (%)	სტუდ. (%)	მოსწ. (%)	სტუდ. (%)	მოსწ. (%)	სტუდ. (%)	მოსწ. (%)	სტუდ. (%)
დანის ან სხვა ცივი იარაღის ტარება	91,1	89	6,9	4,8	0,6	3	0,6	1,4	0,9	1,9
ნარკოტიკების გაყიდვა	96,5	95,9	1,1	0,5	0,9	1,1	1,5	0,4	0	2,1
მანქანის ან მოტოციკლის, მოპედის, ველოსიპედის მოპარვა ან მოპარვის მცდელობა	98	95,2	0,7	2,1	0,1	0,9	0,6	1	0,6	0,8
სხვა რამის მოპარვა	89,3	91,9	8,7	3,6	0,7	2,7	0	1,1	1,2	0,8
სკოლიდან დროებით დათხოვნა	97,7	-	0,8	-	0,3	-	0,6	-	0,6	-
დაკავება პოლიციის მიერ	96	96,9	2,8	1,5	0,5	0,9	0,1	0,3	0,6	0,4
ვინმეზე თავდასხმა ზიანის მიყენების მიზნით	94,7	95,6	4	1,9	0,4	0,7	0,2	0,6	0,6	1,2
სკოლაში/სასწავლებელში მისვლა ნასვამ მდგომარეობაში ან ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ	94,4	88,2	5,8	6,6	0,7	1	0,1	3,2	0,9	0,9
სკოლაში/სასწავლებელში დანის ან სხვა ცივი იარაღის მიტანა	96	93,8	2,1	2,6	0,7	1,2	0,1	0,5	1,1	1,8
სხვისი საკუთრების განზრახ დაზიანება ან განადგურება (არ ითვლება ოჯახის საკუთრება)	93	94,4	4,6	2,9	1	0,6	0,5	0,8	1	1,3
მაღაზიიდან რაიმეს მალულად წამოღება ფულის	90,1	94,4	7,7	2,1	0,6	1,6	0,5	0,1	1,2	1,7

გადაუხდელად										
ფულზე თამაში	85,7	72,8	8	13,2	2	5,1	1,9	2,4	2,4	6,3

როგორც მოსალოდნელი იყო, ანტისოციალური ქცევის სიხშირე უფრო მაღალია ბიჭებს შორის, ვიდრე გოგონებში.

ცხრილი 26. ანტისოციალური ქცევის სიხშირე სკოლის მოსწავლეებში, სქესის მიხედვით

ქცევა	შემთხვევების რაოდენობა ბოლო 12 თვის განმავლობაში									
	0		1-2		3-5		6-9		10 or more	
	მამრ (%)	მდედრ (%)	მამრ (%)	მდედრ (%)	მამრ (%)	მდედრ (%)	მამრ (%)	მდედრ (%)	მამრ (%)	მდედრ (%)
დანის ან სხვა ცივი იარაღის ტარება	86.7	94.2	10.8	4	0.8	0.4	0.5	0.6	1.2	0.7
ნარკოტიკების გაყიდვა	95.1	97.5	1.3	1	1.5	0.4	0	0	2.2	1
მანქანის ან მოტოციკლის, მოპედის, ველოსიპედის მოპარვა ან მოპარვის მცდელობა	96.5	99	1.4	0.2	0.2	0	1.5	0	0.5	0.8
სხვა რამის მოპარვა	83.6	93.5	14	5	0.6	0.8	0	0	1.8	0.8
სკოლიდან დროებით დათხოვნა	95.8	99	2	0	0.3	0.2	1.5	0	0.4	0.8
დაკავება პოლიციის მიერ	93.4	97.9	4.9	1.3	1.3	0	0.1	0	0.4	0.8
ვინმეზე თავდასხმა ზიანის მიყენების მიზნით	92	96.8	6.3	2.2	1	0	0.2	0.2	0.5	0.8
სკოლაში/სასწავლებელში მისვლა ნასვამ მდგომარეობაში ან ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ	89	94.9	8.6	3.8	0.8	0.6	0.4	0	1.2	0.8
სკოლაში/სასწავლებელში დანის ან სხვა ცივი იარაღის მიტანა	94.6	97	3.3	1.3	1	0.4	0	0.1	1.1	1.1
სხვისი საკუთრების განზრახ დაზიანება ან განადგურება (არ ითვლება ოჯახის საკუთრება)	91.5	94.1	5.5	3.9	1.2	0.8	1.1	0	0.7	1.2
მაღაზიიდან რაიმეს მალულად წამოღება ფულის გადაუხდელად	84.1	94.4	12.2	4.4	1.2	0.1	0.7	0.4	1.7	0.8
ფულზე თამაში	76.6	92.4	11	5.7	4.4	0.3	4.5	0	3.5	1.6

ცხრილი 27. ანტისოციალური ქცევის სიხშირე კოლეჯის/უნივერსიტეტის სტუდენტებში, სქესის მიხედვით

ქცევა	შემთხვევების რაოდენობა ბოლო 12 თვის განმავლობაში									
	0		1-2		3-5		6-9		10 or more	
	მამრ (%)	მდედრ (%)	მამრ (%)	მდედრ (%)	მამრ (%)	მდედრ (%)	მამრ (%)	მდედრ (%)	მამრ (%)	მდედრ (%)
დანის ან სხვა ცივი იარაღის ტარება	80	93.6	9.4	2.4	4.2	2.4	1	1.5	5.3	0.1
ნარკოტიკების გაყიდვა	90.2	98.8	0.7	0.4	3.1	0.1	0.1	0.6	6	0.1
მანქანის ან მოტოციკლის, მოპედის, ველოსიპედის მოპარვა ან მოპარვის მცდელობა	89.8	98	4.2	1.1	1	0.9	2.8	0	2.3	0
სხვა რამის მოპარვა	82.2	96.9	6.3	2.2	7.4	0.2	2	0.6	2.1	0.1
სკოლიდან დროებით დათხოვნა	92.2	99.3	3.3	0.6	2.3	0.2	1	0	1.3	0
დაკავება პოლიციის მიერ	93.1	96.9	1.4	2.1	0.4	0.8	1.6	0.1	3.4	0.1
ვინმეზე თავდასხმა ზიანის მიყენების მიზნით	77.1	94	10.6	4.6	2.9	0	6.9	1.3	2.6	0.1
სკოლაში/სასწავლებელში მისვლა ნასვამ მდგომარეობაში ან ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ	88.8	96.4	3.9	2	2.4	0.6	1.1	0.1	3.8	0.9
სკოლაში/სასწავლებელში დანის ან სხვა ცივი იარაღის მიტანა	89.5	96.9	6.6	1	0.5	0.6	1.2	0.7	2.3	0.9
სხვისი საკუთრების განზრახ დაზიანება ან განადგურება (არ ითვლება ოჯახის საკუთრება)	88.2	97.6	4.4	0.9	3.6	0.6	0.4	0	3.5	0.9
მაღაზიიდან რაიმეს მალულად წამოღება ფულის გადაუხდელად	54.3	82.4	19.4	10.1	9.5	2.9	3.4	1.9	13.4	2.7

ნივთიერებათა მოხმარება და სხვა ანტისოციალური ქცევები

კვლევებით დადასტურებულია, რომ ერთი და იგივე რისკ-ფაქტორი ხელს უწყობს არა ერთი რომელიმე პრობლემური ქცევის (მაგ., ნივთიერებების მოხმარების დაწყება), არამედ სხვადასხვა ქცევითი პრობლემების აღმოცენებას. ჩვეულებრივ, ნარკოტიკების მოხმარება ასოცირებულია სხვა პრობლემურ ქცევებთან. ეს იმას ნიშნავს, რომ როდესაც რისკ-ფაქტორების ინტენსივობა მცირდება, ეს ხელს უწყობს ბავშვის/მოზარდის დაცვას მრავალგვარი ქცევითი გადახრისაგან.

გავაანალიზეთ შესაძლო თანაფარდობა ფსიქოაქტიური ნივთიერებების ცხოვრების მანძილზე მოხმარებასა და სხვა პრობლემურ ქცევებს შორის.

აღმოჩნდა, რომ ის ახალგაზრდები, რომელთაც ოდესმე მოუხმარიათ ფსიქოაქტიური ნივთიერებები, უფრო ხშირად აღნიშნავდნენ სხვა ანტისოციალურ ქცევებში ჩართვას, ვიდრე ისინი, ვინც უარყოფდნენ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებას. მოსწავლეებთან შედარებით სტუდენტებს შორის უფრო მაღალი კორელაციაა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასა და ანტისოციალურ ქცევებს შორის. სტუდენტებში თამბაქოს და ალკოჰოლური სასმელების მოხმარებასთან კორელაციაშია აზარტული თამაშები.

მოსწავლეებში თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარება კორელაციაშია დანის ან სხვა ცივი იარაღის ტარებასთან, სკოლაში არაფხიზელ მდგომარეობაში მისვლასთან და ფულზე თამაშთან.

მოსწავლეების მიერ ცხოვრების მანძილზე მარიხუანას მოხმარება კორელაციაშია ფულზე თამაშთან; ბოლო თვეში მარიხუანას მოხმარება კი კორელაციაშია სკოლაში არაფხიზელ მდგომარეობაში მისვლასთან.

რაც შეეხება სხვა არალეგალური ნარკოტიკების მოხმარებას, მოსწავლეებში ისინი კორელაციაშია ისეთ ანტისოციალურ ქცევებთან, როგორიცაა მანქანის ან მოტოციკლის მოპარვა, მაღაზიიდან ფულის გადაუხდელად მალულად რაიმეს წამოღება, ზიანის მიყენების მიზნით ვინმეზე თავდასხმა. ამასთან ერთად, კორელაციაშია სკოლიდან დროებით დათხოვნასთან და პოლიციის მიერ დაკავებასთან. სტუდენტებში მაღალი კორელაცია გამოვლინდა საინექციო ნარკოტიკების მოხმარებასა და ნარკოტიკების გაყიდვას/ ქურდობას შორის.

თავი 5. რისკ და დამცავი ფაქტორები

მოზარდების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესების მცდელობები, როგორც წესი, მიმართულია კონკრეტული ქცევითი პრობლემების მოგვარებაზე, როგორიცაა ნივთიერებათა მოხმარება, ძალადობა და სხვა ქცევითი გადახრები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთ-ერთი მიდგომა, რომელიც ცდილობს, ახსნას და გაუმკლავდეს ახალგაზრდების პრობლემურ ქცევებს, არის რისკისა და დამცავი ფაქტორების მოდელი.

სხვა ეკოლოგიური მიდგომების მსგავსად, რისკისა და დაცვის მოდელი სწავლობს მოწყვლადობის მახასიათებლებს მომატებული რისკისა და შესაბამისი დაცვის არარსებობის პირობებში (Mrazek & Haggerty, 1994). ჩვეულებრივ, რისკისა და დაცვის მოდელის მიდგომა გამოიყენება სამედიცინო სფეროში გულის დაავადებების, ავთვისებიანი სიმსივნეებისა და ფსიქიკური დაავადებების გააზრებისა და კონტროლისთვის (Newcomb, Maddahian & Bentler, 1986). ეს მოდელი მნიშვნელოვანია კონკრეტულ სფეროში პოლიტიკის დაგეგმვისთვის, რადგან მიმართულია პრობლემური ქცევების თავიდან აცილებაზე „ამ ქცევების წინაპირობების შემსუბუქებით, შემცირებით ან აღმოფხვრით“ (Hawkins, Catalano & Miller, 1992)*.

ფაქტორები პიროვნულზე დონეზე

მოზარდების სოციო-დემოგრაფიული და პიროვნული მახასიათებლები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებული ინდივიდუალური გადაწყვეტილებების ფორმირებაში (Petraitis et al., 1995). ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებული რისკ ფაქტორების მრავალი კვლევა მიუთითებს დემოგრაფიული განსხვავებების (სქესი, ასაკი) ზეგავლენაზე (Hawkins et al., 1992; Johnston et al., 2006; Scheier, 2001). მოზარდის დეპრესიული სიმპტომები, ქცევითი პრობლემები და აკადემიური უნარები მნიშვნელოვანი პიროვნული ფაქტორებია, რომლებიც გავლენას ახდენენ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებაზე. გარდა ამისა, მოზარდების მიერ ნივთიერებათა ავადმოხმარების კონტექსტის გასაგებად, ასევე საყურადღებოა მათი განწყობების (პირადი ფასეულობები და მრწამსი) მნიშვნელობა (Petraitis et al., 1998) **.

ამ თავში შეჯამებულია რისკისა და დამცავი ფაქტორების კვლევის შედეგები. მონაცემები განვალაგეთ სამ დონეზე: 1.პიროვნული დონე (შიდაპერსონალური ფაქტორები), 2. ურთიერთობების დონე (პიროვნებათაშორისი ფაქტორები), 3. თემის/უბნის დონე (ინსტიტუციური და საზოგადოებრივი ფაქტორები).

განხილული საკითხები:

→ ფაქტორები პიროვნულ დონეზე
→ ფაქტორები ურთიერთობების დონეზე
  ⇨ ოჯახი
  ⇨ სკოლა
  ⇨ თანატოლები
→ ფაქტორები თემის/უბნის დონეზე

* Andrew M. Fox. An Examination of Risk and Protective Factors, Drug Use, and Delinquency in Trinidad and Tobago. Arizona State University, 2004

** Connell et al. Social-ecological influences on patterns of substance use among non-metropolitan high school students. Am J Community Psychol. 2010 March

შეხედულებები, განწყობები, გრძნობები

ახალგაზრდების განწყობა ნივთიერებათა მოხმარებისა და სხვა ანტისოციალური ქცევების მიმართ

რისკის აღქმასთან ერთად, ფსიქოაქტიური ნივთიერებების პრევალენტობასთან ასევე პირდაპირ კავშირშია ახალგაზრდების პირადი განწყობები ამ ნივთიერებების მოხმარების მიმართ (Bachman, Johnston & O'Malley, 1996). ნივთიერებების მოხმარებისა და სხვა ანტისოციალური ქცევების მიმართ პირადი განწყობები იზომება პასუხებით შეკითხვაზე: "რამდენად მისაღებია შენთვის, როცა შენი ასაკის ადამიანი...". ამ კითხვას მოჰყვება 17 პუნქტისაგან შემდგარი ჩამონათვალი. აქედან ნივთიერებების მოხმარებას ეხება 9 პუნქტი.

ცხრილი 28. სკოლის მოსწავლეების პირადი განწყობები ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების მიმართ

რამდენად მისაღებია შენთვის, როცა შენი ასაკის ადამიანი:	სრულიად მიუღებელია		მიუღებელია		მისაღებია		სავსებით მისაღებია	
	მამრ (%)	მდედრ (%)	მამრ (%)	მდედრ (%)	მამრ (%)	მდედრ (%)	მამრ (%)	მდედრ (%)
თითქმის ყოველდღე სვამს 1-2 ჭიქა ალკოჰოლურ სასმელს	58,6	66,1	31,9	26,1	8,3	7	1,2	0,8
სვამს ლუდს რეგულარულად, თუნდაც კვირაში ერთხელ	35,3	37,7	30	36,1	28,7	23,6	6,1	2,6
სვამს ღვინოს რეგულარულად, თუნდაც კვირაში ერთხელ	36,8	38,3	32,9	35,9	24,7	22,9	5,7	2,9
სვამს მაგარ სასმელს (არაყს, კონიაკს, ვისკის) რეგულარულად, თუნდაც კვირაში ერთხელ	45,2	53,7	35,6	31,8	15,1	12,5	4,1	2,1
ეწევა სიგარეტს	40	38,9	31,5	33,2	22,5	23,8	6	4,1
ეწევა ელექტრონულ სიგარეტს	28,7	29	29,4	30,3	31,8	33,5	10,1	7,2
ეწევა მარიხუანას	52,1	65	27,8	24,4	14,6	8,6	5,4	2
მოიხმარს LSD-ს, ბიოს, ექსტაზის (MDMA), ამფეტამინს ან სხვა ნარკოტიკს	80,5	86,8	13,1	9,9	3,9	3	2,5	0,3
მოიხმარს ფსიქოტროპულ წამლებს ექიმის დანიშნულების გარეშე	79	87	18,1	10,6	2	1,9	1	0,2

ცხრილი 29. სტუდენტების პირადი განწყობები ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების მიმართ

რამდენად მისაღებია შენთვის, როცა შენი ასაკის ადამიანი:	სრულიად მიუღებელია		მიუღებელია		მისაღებია		სავსებით მისაღებია	
	მამრ (%)	მდედრ (%)	მამრ (%)	მდედრ (%)	მამრ (%)	მდედრ (%)	მამრ (%)	მდედრ (%)
თითქმის ყოველდღე სვამს 1-2 ჭიქა ალკოჰოლურ სასმელს	40,6	53	35,6	31,8	18,6	11,6	5,2	3,6
სვამს ლუდს რეგულარულად, თუნდაც კვირაში ერთხელ	25,8	28,2	20,8	27,2	41,2	38,4	12,2	6,2
სვამს ღვინოს რეგულარულად, თუნდაც კვირაში ერთხელ	26,5	29,9	24,6	25,7	35,6	37,6	13,3	6,8
სვამს მაგარ სასმელს (არაყს, კონიაკს, ვისკის) რეგულარულად, თუნდაც კვირაში ერთხელ	29,8	36,2	29,3	29,2	33,1	27,2	7,8	7,4
ეწევა სიგარეტს	21,1	24,2	18	32,5	42	30,7	18,9	12,6
ეწევა ელექტრონულ სიგარეტს	21,4	19,1	15,4	24,6	39,8	43	23,3	13,3
ეწევა მარიხუანას	33,5	54,5	23,9	23,3	28,8	18,7	13,8	3,5
მოიხმარს LSD-ს, ბიოს, ექსტაზის (MDMA), ამფეტამინს ან სხვა ნარკოტიკს	73,4	82,6	10,5	11,6	13,8	5,2	2,3	0,7
მოიხმარს ფსიქოტროპულ წამლებს ექიმის დანიშნულების გარეშე	77,5	83,7	14	15	7	1,2	1,5	41
მოიხმარს ჰეროინს, სუბუტექსს ან სხვა საინექციო ნარკოტიკებს	77,2	90,9	14,3	8,4	3,9	0,7	4,5	0,1

ცხრილებიდან ჩანს, რომ როგორც სტუდენტებს შორის, ისე მოსწავლეებში საკმაოდ მაღალია მიმღებლობა ალკოჰოლის, თამბაქოს, ელექტრონული სიგარეტის და მარიხუანას მოხმარების მიმართ.

ფსიქოაქტიური ნივთიერებების მიმღებლობასა და ამ ნივთიერებების ცხოვრების მანძილზე მოხმარებას შორის ასოციაციური კავშირის დადგენის მიზნით ჩატარებულმა ჩაღრმავებულმა ანალიზმა გამოავლინა, რომ:

მოსწავლეებში ალკოჰოლური სასმელების, თამბაქოს და მარიხუანას მოხმარება ასოცირებულია თითქმის ყველა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების მიმღებლობასთან. შედარებით დაბალია კორელაცია ღვინისა და ლუდის მოხმარებასა და LSD, „ბიოს“, ექსტაზის მოხმარების მიმღებლობას შორის. თუმცა კორელაცია შედარებით მაღალია ლსდ, ბიოს, ექსტაზის მოხმარების მიმღებლობასა და მარიხუანას, თამბაქოს და მაგარი სასმელების მოხმარებას შორის.

სტუდენტებს შორის თამბაქოს, ალკოჰოლის, მარიხუანას და ფსიქოტროპული წამლების მოხმარების მიმღებლობასა და ამ ნითიერებების ოდესმე მოხმარებას შორის გამოიკვეთა დადებითი კორელაცია. ფსიქოტროპული წამლების და საინექციო ნარკოტიკების მიმღებლობას დაბალი კორელაცია აქვს ალკოჰოლის მოხმარებასთან და საშუალოზე მაღალი კორელაცია - მარიხუანას და სხვა არალეგალური ნივთიერებების მოხმარებასთან. ე.წ. კლუბური ნარკოტიკების მიმღებლობას ახასიათებს დადებითი კორელაცია ალკოჰოლის მოხმარებასთან და მაღალი კორელაცია მარიხუანას და სხვა არალეგალური ნივთიერებების მოხმარებასთან.

როგორც ცხრილი 30 გვიჩვენებს, ვაჟებს შორის უფრო გამოხატულია დადებითი განწყობები ანტისოციალური ქცევების მიმართ, ვიდრე გოგონებს შორის.

ცხრილი 30. ახალგაზრდების პირადი განწყობები ანტისოციალური ქცევების მიმართ, სქესის მიხედვით

რამდენად მისაღებია შენთვის, როცა შენი ასაკის ადამიანი:	სრულიად მიუღებელია		მიუღებელია		მისაღებია		სავსებით მისაღებია	
	მამრ (%)	მდედრ (%)	მამრ (%)	მდედრ (%)	მამრ (%)	მდედრ (%)	მამრ (%)	მდედრ (%)
სკოლაში მისვლა დანით ან სხვა ცივი იარაღით	77,5	80,3	17,9	17,5	4,1	1,5	0,6	0,7
რაიმეს მოპარვა	67,1	77,6	28,3	21,8	4,1	0,5	0,6	0
ხშირად ჩხუბი	39,5	50,6	45,2	42,7	13,8	6,6	1,5	0,2
ვინმეზე თავდასხმა იმ განზრახვით, რომ ზიანი მიაყენოს	74,6	86,6	21,5	13	3,3	0,2	0,6	0,2
სკოლის გაცდენა, როცა მშობლებს სკოლაში ჰგონიათ	41,5	41,6	40,6	44	15,5	13,3	2,4	1,1
ფულზე თამაში	55,1	72,8	31	22,1	13	4,8	1	0,3
მაღაზიიდან რაიმეს მალულად წამოღება ფულის გადაუხდელად	68,3	78,8	26,3	17,6	4,3	3,6	1,1	0
ვინმესთვის ფულის გამოძალვა ან დაჩაგვრა	83,8	92,1	13,7	7,4	1,3	0,2	1,2	0,3

გამოვლინდა კორელაცია ანტისოციალური ქცევების მიმღებლობასა და ანტისოციალური ქცევების გამოცდილებას შორის. მოსწავლეებში გამოიკვეთა რამდენიმე ანტისოციალური ქცევა, რომელთა მიმღებლობა უკავშირდება კითხვარში დასახელებული ყველა ანტისოციალური ქცევის გამოცდილებას. ეს ქცევებია მაღაზიიდან რაიმეს წამოღება ფულის გადაუხდელად და ფულის გამოძალვა ან ჩაგვრა.

სტუდენტებს შორის შედარებით მაღალია კორელაცია ანტისოციალური ქცევების მიმღებლობასა და ანტისოციალური ქცევის გამოცდილებას შორის. კორელაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებლებია ისეთი ქცევების მიმღებლობასთან, როგორიცაა ცეცხლსასროლი იარაღის ტარება, მანქანის მართვა ალკოჰოლის ან ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ, ნარკოტიკის გაყიდვა და ფულის გამოძალვა.

ქცევის მკაფიო სტანდარტები (მორალური ფასეულობები)

ახალგაზრდა, რომელსაც ჩამოყალიბებული აქვს პოზიტიურ ღირებულებათა სისტემა და იცის რა არის სწორი და რა - არასწორი, უფრო ნაკლებად მოიხმარს ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს და ნაკლებად ერთვება ანტისოციალურ ქცევებში.

დამცავი ფაქტორი „მორალური ფასეულობები“ იზომება შემდეგი დებულებებით (ცხრილები 31 და 32):

ცხრილი 31. მორალური ფასეულობები, განათლების საფეხურის მიხედვით

დებულებები	სავსებით ვეთანხმები		ვეთანხმები	
	მოსწ. %	სტუდ. %	მოსწ. %	სტუდ. %
უმჯობესია, მშობლებს სიმართლე უთხრა მაშინაც კი, როცა იცი, რომ ეწყინებათ ან დაგსჯიან	49,1	49,2	35	35,1
როცა ვინმე მეჩხუბება ან მიბრაზდება, მეც იგივეთი არ ვპასუხობ	20,4	15,4	51,1	38,6
	არ ვეთანხმები		**სრულიად არ ვეთანხმები**	
ჩემი აზრით, არაფერია ცუდი იმაში, თუ რაიმეს უკითხავად აიღებ	28,1	28,3	46,6	49,4

ცხრილი 32. მორალური ფასეულობები, სქესის მიხედვით

დებულებები	სავსებით ვეთანხმები		ვეთანხმები	
	მამრ. %	მდედრ. %	მამრ. %	მდედრ. %
უმჯობესია, მშობლებს სიმართლე უთხრა მაშინაც კი, როცა იცი, რომ ეწყინებათ ან დაგსჯიან	43,2	52,7	36	34,4
როცა ვინმე მეჩხუბება ან მიბრაზდება, მეც იგივეთი არ ვპასუხობ	21,7	29	14	13,8
	არ ვეთანხმები		**სრულიად არ ვეთანხმები**	
ჩემი აზრით, არაფერია ცუდი იმაში, თუ რაიმეს უკითხავად აიღებ	28,3	28,1	40,5	53,1

დიაგრამები 10-11 გვიჩვენებს იმ ახალგაზრდების პროპორციას, ვისაც ქცევის მკაფიო სტანდარტები გააჩნია.

დიაგრამა 10. მორალური ფასეულობები, განათლების საფეხურის მიხედვით (საშუალო მაჩვენებლები)



დიაგრამა 11. მორალური ფასეულობები, სქესის მიხედვით (საშუალო მაჩვენებლები)



მორალურ ფასეულობებსა და ნარკოტიკების მოხმარებას შორის კორელაცია არ დადასტურდა. რაც შეეხება მორალური ფასეულობების კავშირს ანტისოციალურ ქცევებთან, მოსწავლეებთან გამოვლინდა უარყოფითი კორელაცია მშობლებისთვის სიმართლის თქმასა და თითქმის ყველა ანტისოციალურ ქცევას შორის, ხოლო სტუდენტებში - მშობლებისთვის სიმართლის თქმასა და ისეთი ანტისოციალური ქცევების გამოცდილებას შორის, როგორიცაა ქურდობა და სხვისი საკუთრების დაზიანება.

მეამბოხეობა

ახალგაზრდები, რომლებიც მიზეზს ეძებენ, რომ აჯანყდნენ ან დამოუკიდებლობის დემონსტრირება მოახდინონ, ნარკოტიკების მოხმარების უფრო მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან (Fromme, Katz, & Rivet, 1997; Goldman, Greenbaum, & Darkes, 1997; Leigh & Stacy, 1993; Wiers, Hoogeveen, Sergeant, & Gunning, 1997). ამას გარდა, ქცევითი გადახრების მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულება და დამოუკიდებლობის ძლიერი მოთხოვნილება დაკავშირებულია სხვა ანტისოციალურ ქცევებში ჩართვის უფრო მაღალ ალბათობასთან.

ახალგაზრდებში მეამბოხეობის ხარისხის შესაფასებლად გამოყენებული იყო შემდეგი დებულებები: მიყვარს „ცეცხლთან თამაში“ - მოსინჯვა, რამდენად მოვახერხებ სარისკო სიტუაციებიდან თავის დაძვრენას; როცა წესები რაიმეში ხელს მიშლის, წესებს არაფრად ვაგდებ; ხშირად ვაკეთებ იმის საწინააღმდეგოს, რასაც მეუბნებიან მხოლოდ იმიტომ, რომ ვინმეს ნერვები მოვუშალო.

ცხრილი 33. მეამბოხეობა, განათლების საფეხურის მიხედვით

დებულება	*სავსებით ვეთანხმები*		*ვეთანხმები*	
	მოსწავლეები (%)	სტუდენტები (%)	მოსწავლეები (%)	სტუდენტები (%)
მიყვარს „ცეცხლთან თამაში“ - მოსინჯვა, რამდენად მოვახერხებ სარისკო სიტუაციებიდან თავის დაძვრენას	18	23,9	39,4	35
როცა წესები რაიმეში ხელს მიშლის, წესებს არაფრად ვაგდებ	15,5	14,3	49,4	43
ხშირად ვაკეთებ იმის საწინააღმდეგოს, რასაც მეუბნებიან მხოლოდ იმიტომ, რომ ვინმეს ნერვები მოვუშალო	16,4	10,8	24,2	28,8

დიაგრამა 12. მეამბოხეობა ახალგაზრდებში, განათლების საფეხურის მიხედვით (საშუალო მაჩვენებლები)



ცხრილი 34. მეამბოხეობა, სქესის მიხედვით

დებულება	*სავსებით ვეთანხმები*		*ვეთანხმები*	
	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)
მიყვარს „ცეცხლთან თამაში“ - მოსინჯვა, რამდენად მოვახერხებ სარისკო სიტუაციებიდან თავის დაძვრენას	25,4	20	39,9	34,6
როცა წესები რაიმეში ხელს მიშლის, წესებს არაფრად ვაგდებ	22,5	10,1	45,7	44,8
ხშირად ვაკეთებ იმის საწინააღმდეგოს, რასაც მეუბნებიან მხოლოდ იმიტომ, რომ ვინმეს ნერვები მოვუშალო	14,1	11,8	29,6	25,9

დიაგრამა 13. მეამბოხეობა ახალგაზრდებში, სქესის მიხედვით
(საშუალო მაჩვენებლები)



მხოლოდ მოსწავლეებში გამოვლინდა კორელაცია რისკიანობასა და ალკოჰოლური სასმელების მოხმარებას შორის; ხოლო მეამბოხეობასა და ანტისოციალურ ქცევებს შორის კორელაციური კავშირი არ დადასტურდა.

პრობლემების გადაჭრის უნარი

მაღალი სოციალური კომპეტენციის მქონე ახალგაზრდებს შესწევთ პოზიტიური ურთიერთობის უნარი და ნაკლებად ერთვებიან პრობლემურ ქცევებში. მოცემულ კვლევაში ჩვენ გვაინტერესებდა, როგორ აფასებენ ახალგაზრდები პრობლემების გადაჭრის საკუთარ უნარს.

ცხრილი 35. ახალგაზრდების მიერ პრობლემების გადაჭრის უნარის ფლობა, განათლების საფეხურის მიხედვით

დებულება	*სავსებით ვეთანხმები*		*ვეთანხმები*	
	მოსწავლეები (%)	სტუდენტები (%)	მოსწავლეები (%)	სტუდენტები (%)
როცა პრობლემა მაქვს, ვცდილობ, მოვძებნო გადაჭრის საუკეთესო გზა	66,1	62,7	25,9	28,7
კარგად გამომდის პრობლემების მოგვარება	32,7	30,7	54	54,9

დიაგრამა 14. პრობლემების გადაჭრის უნარის ფლობა (საშუალო მაჩვენებლები)



ცხრილი 36. ახალგაზრდების მიერ პრობლემების გადაჭრის უნარის ფლობა, სქესის მიხედვით

დებულება	*სავსებით ვეთანხმები*		*ვეთანხმები*	
	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)
როცა პრობლემა მაქვს, ვცდილობ, მოვძებნო გადაჭრის საუკეთესო გზა	60,4	65,8	29,5	26,8
კარგად გამომდის პრობლემების მოგვარება	34,6	29,5	48,8	58

დიაგრამა 15. პრობლემების გადაჭრის უნარის ფლობა სქესის მიხედვით (საშუალო მაჩვენებლები)



მოსწავლეებში გამოჩნდა უარყოფითი კორელაცია პრობლემის გადაჭრის უნარსა და მხოლოდ ფსიქოტროპული წამლების მოხმარებას შორის - რაც უფრო კარგ შეფასებას აძლევს ახალგაზრდა პრობლემის გადაჭრის საკუთარ უნარს, მით ნაკლებია ფსიქოტროპული წამლების მოხმარების ალბათობა. სტუდენტებს შორის გამოჩნდა სუსტი უარყოფითი კორელაცია პრობლემის გადაჭრის უნარსა და ინექციური ნარკოტიკების მოხმარებას შორის. როგორც მოსწავლეებში, ასევე სტუდენტებში გამოიკვეთა უარყოფითი კორელაცია პრობლემის გადაჭრის უნარის შეფასებასა და ანტისოციალურ ქცევებს შორის.

ემოციური კეთილდღეობა: დეპრესიული განცდები

კვლევებით დადასტურებულია ახალგაზრდების დეპრესიასა და ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებას შორის მჭიდრო კავშირი (Esposito-Smythers & Spirito, 2004; Hallfors, et al., 2004; Light, Grube, Madden & Gover, 2003). ცხოვრებისეულმა სიძნელეებმა შეიძლება გამოიწვიოს სევდა, რაც ზოგიერთი ახალგაზდისთვის ნარკოტიკების მოხმარების დაწყების ფაქტორად იქცევა. „თვითმკურნალობის“ ეს ფორმა საკმაოდ გავრცელებულია მოზარდებში, რომელთა გუნება-განწყობის დაქვეითება შეიძლება კლინიკური დეპრესიის დონეს არ აღწევდეს, მაგრამ გარკვეული დეპრესიული სიმპტომები მაინც სახეზეა (Taylor, 2011).

იმ ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა, რომლებმაც დაადასტურეს დეპრესიული განცდების არსებობა, მოცემულია ცხრილში 37:

ცხრილი 37. ახალგაზრდების დეპრესიული განცდები, განათლების საფეხურის მიხედვით

დებულება	*სავსებით ვეთანხმები*		*ვეთანხმები*	
	მოსწავლეები (%)	სტუდენტები (%)	მოსწავლეები (%)	სტუდენტები (%)
ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ცხოვრება არ ღირს	14,2	11,5	23,9	21,3
გასულ წელს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ კარგად ვგრძნობდი თავს, უმეტესად ცუდ ხასიათზე/დეპრესიული ვიყავი	18,7	19	28,7	32
ხშირად ვფიქრობ, რომ არ ვვარგივარ	14	11,6	25,8	21,5

დიაგრამა 16. ახალგაზრდების დეპრესიული განცდები, განათლების საფეხურის მიხედვით (საშუალო მაჩვენებლები)



ცხრილი 38. ახალგაზრდების დეპრესიული განცდები, სქესის მიხედვით

დებულება	*სავსებით ვეთანხმები*		*ვეთანხმები*	
	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)
ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ცხოვრება არ ღირს	11,4	14	21,3	23,7
გასულ წელს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ კარგად ვგრძნობდი თავს, უმეტესად ცუდ ხასიათზე/დეპრესიული ვიყავი	20,8	15,7	30,3	32
ხშირად ვფიქრობ, რომ არ ვვარგივარ	12,3	12,5	21,9	24,6

დიაგრამა 15. ახალგაზრდების დეპრესიული განცდები, სქესის მიხედვით (საშუალო მაჩვენებლები)



ქალაქებს შორის ახალგაზრდების თვითშეფასება და გუნება-განწყობა არსებითად არ განსხვავადება, მაგრამ საყურადღებო განსხვავება გამოვლინდა ბათუმელ ვაჟებსა და გოგონებს შორის. დაბალი თვითშეფასების მქონე გოგონების რაოდენობა თითქმის ორჯერ აღემატება ვაჟებისას.

ცხრილი 39. ახალგაზრდების დეპრესიული განცდები სქესის მიხედვით, ბათუმი

დებულება	ვეთანხმები		არ ვეთანხმები	
	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)
ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ცხოვრება არ ღირს	29,7	56	70,3	43,9
გასულ წელს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ კარგად ვგრძნობდი თავს, უმეტესად ცუდ ხასიათზე/დეპრესიული ვიყავი	38,3	59,6	61,7	40,4
ხშირად ვფიქრობ, რომ არ ვვარგივარ	22,9	38,1	77,1	61,8

მოსწავლეებში კორელაცია დეპრესიულ განცდებსა და ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებას შორის არ გამოვლინდა; სტუდენტებს შორის გამოვლინდა კორელაცია დეპრესიასა და მარიხუანას/ფსიქოტროპული წამლების მოხმარებას შორის. დეპრესიულ განცდებსა და ანტისოციალურ ქცევებს შორის ასოციაციური კავშირი არ დაფიქსირდა.

ემოციური კეთილდღეობა: ემოციური თვითრეგულირება

თვითრეგულირება შეიძლება განისაზღვროს, როგორც აზრების და გრძნობების მართვა, რომელიც მიზნად ისახავს მიზანდასახული ქმედებების განხორციელებას, მათ შორის, იგულისხმება სკოლაში, ურთიერთობებსა და სამუშაო ადგილზე წარმატების მიღწევისათვის საჭირო სხვადასხვა სახის ქცევები. ახალგაზრდებში ემოციური თვითრეგულირების უნარის განვითარება ხელს უწყობს პრობლემური ქცევების შემცირებას, ნარკოტიკების მოხმარებისა და ძალადობის ჩათვლით.

ემოციური თვითრეგულირების უნარის შეფასებას ჩვენს კვლევაში ეთმობა 3 შეკითხვა (ცხრილი 40 და 41):

ცხრილი 40. ემოციური თვითრეგულირების უნარი ახალგაზრდებში, განათლების საფეხურის მიხედვით

დებულება	*სავსებით ვეთანხმები*		*ვეთანხმები*	
	მოსწავლეები (%)	სტუდენტები (%)	მოსწავლეები (%)	სტუდენტები (%)
ვიცი, როგორ მოვიხსნა დაძაბულობა	34,9	37,9	44,8	45
ყოველთვის შემიძლია, ვაკონტროლო ჩემი გრძნობები	33,9	32,4	42,2	45,6
ვიცი, როგორ დავწყნარდე, როცა ნერვებაშლილი ვარ	39,1	40,2	34,1	39,7

ცხრილი 41. ემოციური თვითრეგულირების უნარი ახალგაზრდებში, სქესის მიხედვით

დებულება	*სავსებით ვეთანხმები*		*ვეთანხმები*	
	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)
ვიცი, როგორ მოვიხსნა დაძაბულობა	40,7	34,8	45,8	44,4
ყოველთვის შემიძლია, ვაკონტროლო ჩემი გრძნობები	36,9	30,6	38,3	48,1
ვიცი, როგორ დავწყნარდე, როცა ნერვებაშლილი ვარ	40,8	39,3	35,6	39,2

დიაგრამა 18-19 გვიჩვენებს იმ ახალგაზრდების პროცენტულ რაოდენობას, ვისაც მიაჩნია, რომ ემოციური თვითრეგულირების უნარი გააჩნია:

დიაგრამა 18. ემოციური თვითრეგულირების უნარი ახალგაზრდებში, განათლების საფეხურის მიხედვით (საშუალო მაჩვენებლები)



დიაგრამა 19. ემოციური თვითრეგულირების უნარი ახალგაზრდებში სქესის მიხედვით (საშუალო მაჩვენებლები)



კორელაცია ემოციური თვითრეგულაციის უნარსა და ნარკოტიკების მოხმარებას შორის არ გამოვლინდა. ასევე, არ გამოვლინდა ასოციაციური კავშირი ემოციური თვითრეგულაციის უნარსა და ანტისოციალურ ქცევას შორის.

პოზიტიური სოციალური (პროსოციალური) ქცევის გამოცდილება

პროსოციალური ქცევები არის ნებაყოფლობითი ქმედებები, რომლებიც მიზნად ისახავს სხვა ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფების დახმარებას ან მათთვის სარგებლის მოტანას. ახალგაზრდების მონაწილეობა პროსოციალურ საქმიანობაში, პირველ რიგში, მათთვის არის სარგებლის მომტანი.

დამცავი ფაქტორი „შესაძლებლობები პროსოციალური ჩართულობისთვის“ იზომება 2 შეკითხვით. ცხრილი 42 წარმოგვიდგენს იმ ახალგაზრდების პროცენტულ რაოდენობას, ვისაც აქვს პროსოციალური ქცევის გამოცდილება.

ცხრილი 42. პროსოციალური ქცევის გამოცდილება ბოლო 12 თვის განმავლობაში, განათლების დონის მიხედვით

	შემთხვევების რაოდენობა ბოლო 12 თვის განმავლობაში							
	1-2		3-5		6-9		10 ან მეტჯერ	
	მოსწ. (%)	სტუდ. (%)	მოსწ. (%)	სტუდ. (%)	მოსწ. (%)	სტუდ. (%)	მოსწ. (%)	სტუდ. (%)
მონაწილეობდა სასწავლებლის აქტივობაში, კლუბის ან წრის მუშაობაში	40,9	40,3	10,3	14,4	7,6	4,6	15,2	10,9
საკუთარი სურვილით მიიღო მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმეში	36,2	35,2	13	23,7	3,6	5,7	5,1	8,5

ცხრილი 43. პროსოციალური ქცევის გამოცდილება ბოლო 12 თვის განმავლობაში, სქესის მიხედვით

	შემთხვევების რაოდენობა ბოლო 12 თვის განმავლობაში							
	1-2		3-5		6-9		10 ან მეტჯერ	
	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)
მონაწილეობდა სასწავლებლის აქტივობაში, კლუბის ან წრის მუშაობაში	40	40,8	11,7	13,9	4,2	6,4	16,9	9,6
საკუთარი სურვილით	34,6	36	17,8	21,5	4,5	5,3	10,6	5,5

მიიღო მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმეში								

კორელაცია პროსოციალურ ჩართულობასა და ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებას შორის არ არის; თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იმ მოსწავლეებს შორის, ვინც მონაწილეობდა სკოლის აქტივობაში და სკოლის კლუბის ან წრის მუშაობაში, მარიხუანა არასდროს მოუწევია 85,7%-ს. ხოლო მათგან, ვინც საკუთარი სურვილით მიიღო მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმეში, მარიხუანა არასდროს მოუწევია 79,3%-ს. ასევე, არ გამოვლინდა პროსოციალურ ჩართულობასა და ანტისოციალურ ქცევას შორის ასოციაცია.

გამოცდილება ცხოვრების სხვა სფეროებში

რელიგიურობა

ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასა და რელიგიურობაზე ჩატარებული კვლევის მონაცემები ჩვეულებრივ იმაზე მიუთითებს, რომ ახალგაზრდები, რომლებიც უფრო რელიგიურები არიან (მაგალითად, მიაჩნიათ, რომ რელიგია მათთვის მნიშვნელოვანია, ესწრებიან რელიგიურ მსახურებას), ნაკლები ალბათობით მოიხმარენ ნარკოტიკებს, ვიდრე მათი არარელიგიური თანატოლები (Gorsuch, 1995, Johnson et al. ., 2002; Wallace, Brown, Bachman & LaVeist, 2003) [11].

ჩვენი კვლევის მონაცემები გვიჩვენებს, რომ მოზარდებისა და ახალგაზრდების უმრავლესობისთვის რელიგიას მათ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. (ცხრილი 44).

ცხრილი 44. რელიგიის მნიშვნელობა, განათლების საფეხურის მიხედვით

რამდენად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რელიგიას შენს ცხოვრებაში?	მოსწავლეები		სტუდენტები	
	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)
ძალიან მნიშვნელოვანი	35,5	36,7	40,3	42,4
გარკვეულწილად მნიშვნელოვანი	38,3	42,5	35,8	38,9
ნაკლებად მნიშვნელოვანი	14,8	13,1	15,2	9,9
უმნიშვნელო	11,3	7,8	8,7	8,8

[11] John M. Wallace, Jr., Tony N. Brown, Jerald G. Bachman, and Thomas A. LaVeist. Religion, Race, and Abstinence from Drug Use Among American Adolescents. Institute for Social Research, University of Michigan. 2003

ცხრილი 45. რელიგიის მნიშვნელობა, სქესის მიხედვით

	მამრობითი (%)	მდედრობითი (%)	სულ (%)
ძალიან მნიშვნელოვანი	38.5	40.6	39.9
გარკვეულწილად მნიშვნელოვანი	36.7	40	38.8
ნაკლებად მნიშვნელოვანი	15	10.9	12.4
უმნიშვნელო	9.7	8.5	8.9

რაც შეეხება რელიგიურ მსახურებაში მონაწილეობას, ახალგაზრდების დაახლოებით მესამედი არასოდეს ესწრება და დაახლოებით ამდენივე წელიწადში რამდენიმეჯერ ესწრება რელიგიურ მსახურებას.

ცხრილი 46. მონაწილეობა რელიგიურ მსახურებაში

რამდენად ხშირად ესწრები ან/და მონაწილეობ რელიგიურ მსახურებაში?	მამრობითი (%)	მდედრობითი (%)	სულ (%)
არასოდეს	28.4	31.2	30.1
წელიწადში რამდენიმეჯერ	37.6	33,1	34,8
თვეში 1-2-ჯერ	12	17,5	15,5
კვირაში ერთხელ მაინც	15,8	14,4	14,9
თითქმის ყოველდღე	6,2	3,8	4,7

დიაგრამა 20. ახალგაზრდები, ვისთვისაც მნიშვნელოვანია რელიგია და ვინც მონაწილეობდა რელიგიური მსახურებაში (საშუალო მონაცემები)



მოსწავლეებშიც და სტუდენტებშიც გამოვლინდა უარყოფითი კორელაცია რელიგიურობასა და ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებას შორის, ანუ, იმ ახალგაზრდებში, ვისთვისაც მნშვნელოვანია რელიგია და ვინც მონაწილეობს რელიგიურ მსახურებაში, ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების მაჩვენებელი შედარებით დაბალია. რელიგიურობასა და ანტისოციალურ ქცევას შორის კორელაცია არ დადასტურდა.

თავისუფალი დრო

სპორტი და გართობა ახალგაზრდების განვითარების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილებია. ჩვენ გვაინტერესებდა, როგორ ატარებენ ახალგაზრდები თავისუფალ დროს. შეკითხვები ეხებოდა გართობას, დასვენებას, სპორტს და ფიზიკურ ვარჯიშს და სხვ.

როგორც მოსალოდნელი იყო, მოზარდებისა და ახალგაზრდების უმრავლესობა (მოსწავლეების 84.2% და სტუდენტების 85.8%) ყოველდღე სარგებლობს სოციალური ქსელებით და იყენებს ინტერნეტს მუსიკის მოსასმენად, თამაშებისთვის, ჩეთისთვის (მოსწავლეების 82.8%, სტუდენტების 77%).

ცხრილი 47. როგორ ატარებენ ახალგაზრდები თავისუფალ დროს, განათლების საფეხურის მიხედვით

	სიხშირე									
	არასოდეს		წელიწადში რამდენჯერმე		თვეში 1-2-ჯერ		კვირაში ერთხელ მაინც		ყოველდღე	
	მოსწ. (%)	სტუდ. (%)	მოსწ. (%)	სტუდ. (%)	მოსწ. (%)	სტუდ. (%)	მოსწ. (%)	სტუდ. (%)	მოსწ. (%)	სტუდ. (%)
ვკითხულობ მხატვრულ ლიტერატურას	6,2	7,1	31,5	43,6	23,1	21,2	21,8	16,8	17,5	11,3
დაკავებული ვარ სპორტით, ფიზიკური ვარჯიშით	12,8	22,1	22,8	22,6	13,7	17,5	18,4	17,2	32,4	20,6
დაკავებული ვარ ხელოვნებით (ხატვა, ცეკვა, მუსიკა და სხვ.)	32,3	30,3	15,4	17,8	8,8	11,3	19,2	15,5	24,3	25,2
საღამოს მივდივარ წვეულებებზე, კაფეში, ბარში ან კლუბში	26,1	16	32,8	25,9	23,3	27,9	14,3	22,6	3,5	7,6
ვიყენებ ინტერნეტს მუსიკის მოსასმენად, თამაშებისთვის, ჩეთისთვის	3,1	6,1	4,7	6,8	3,1	5,2	6,4	5,1	82,8	77
ვიყენებ ინტერნეტს საგანმანათლებლო მიზნებისთვის, ინფორმაციის მოსაპოვებლად	4,7	3,8	6,5	6,1	9,5	6,8	32	18,1	47	65,2
ვსარგებლობ სოციალური ქსელებით	2,8	4,8	4,2	2,6	1,3	1,3	7,6	5,4	84,2	85,8
გავდივარ უბანში და ვერთობი უბნის მეგობრებთან, მეზობლებთან ერთად	22,5	29,2	15,2	19,6	10,9	12,8	30,6	22,2	20,8	16,2
ვუყურებ ტელევიზორს	12,1	21,2	11,2	12,8	10	13,2	26,5	26,3	40,1	26,4
ვეხმარები ოჯახის წევრებს საოჯახო საქმეებში	4	5,9	8,7	8,2	7,4	10,9	32,4	20,5	47,5	54,6
დავდივარ კინოში, თეატრში, სპორტულ სანახაობებზე	8,8	10,4	32,4	24,6	35,9	36	16,7	19	6,2	10

ცხრილი 48. როგორ ატარებენ ახალგაზრდები თავისუფალ დროს, სქესის მიხედვით

	სიხშირე									
	არასოდეს		წელიწადში რამდენჯერმა		თვეში 1-2-ჯერ		კვირაში ერთხელ მაინც		ყოველდღე	
	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)
ვკითხულობ მხატვრულ ლიტერატურას	12,5	3,5	43,6	37,3	17	24,6	15,7	20,1	11,2	14,6
დაკავებული ვარ სპორტით, ფიზიკური ვარჯიშით	9,7	24,4	21,9	23,1	17,1	15,8	15.9	8,5	35,4	18,2
დაკავებული ვარ ხელოვნებით (ხატვა, ცეკვა, მუსიკა და სხვ.)	38,9	26,4	19,5	15,5	13,3	8,8	12,1	19,4	16,2	29,9
საღამოს მივდივარ წვეულებებზე, კაფეში, ბარში ან კლუბში	16	21,2	25,6	29,7	27,6	25,7	24,9	17	6	6,4
ვიყენებ ინტერნეტს მუსიკის მოსასმენად, თამაშებისთვის, ჩეთისთვის	7,3	3,7	8,6	4,6	7,6	2,7	8,9	3,5	67,7	85,4
ვიყენებ ინტერნეტს საგანმანათლებლო მიზნებისთვის, ინფორმაციის მოსაპოვებლად	6,5	2,7	8,8	4,7	12,7	4,9	26,8	20,4	45,2	67,3
ვსარგებლობ სოციალური ქსელებით	6,3	2,9	6,7	1,1	2,8	0,5	8,8	4,6	75,4	91
გავდივარ უბანში და ვერთობი უბნის მეგობრებთან, მეზობლებთან ერთად	14,5	34,1	18	18,2	13,6	11,4	26,2	24,3	27,6	12
ვუყურებ ტელევიზორს	20,6	16,8	14,5	11	11,1	12,8	21,4	29,2	32,4	30,1
ვეხმარები ოჯახის წევრებს საოჯახო საქმეებში	6,9	4,3	13,2	5,5	10	9,6	27,7	22,5	42,1	58,1
დავდივარ კინოში, თეატრში, სპორტულ სანახაობებზე	7,6	11,2	25,5	28,1	33,6	37,4	21,3	16,5	12	6,8

კვლევის შედეგების თანახმად, მოსწავლეების 12.8% და სტუდენტების 22.1% საერთოდ არ ვარჯიშობს; ყოველი მესამე მოსწავლე და ყოველი მეხუთე სტუდენტი ყოველდღეა დაკავებული სპორტით, ფიზიკური ვარჯიშით.

რეგულარულად სპორტით დაკავებული ვაჟების პროცენტული მაჩვენებელი ორჯერ აღემატება გოგონების პროცენტულ მაჩვენებელს. პასუხი „არასოდეს“ სპორტით დაკავებასთან დაკავშირებით გასცა გოგონების 24,4 პროცენტმა.

პასუხი არასოდეს ყველაზე ხშირია კითხვაზე „რამდენად ხშირად ხართ დაკავებული ხელოვნებით (ხატვა, ცეკვა, მუსიკა და სხვა)“. რეგულარულად ხელოვნებით დაკავებული არიან უფრო მეტად გოგონები.

ყოველდღიურად იყენებს ინტერნეტს ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა: მუსიკის მოსასმენად, თამაშებისთვის, ჩეთისთვის 78,9% (ვაჟების 67,7%, გოგონების 85,4%), საგანმანათლებლო მიზნებისთვის, ინფორმაციის მოსაპოვებლად 59,2% (ვაჟების 45,2% და გოგონების 67,3%), სარგებლობს სოციალური ქსელებით (ფეისბუქი, ინსტაგრამი და სხვ.) 85,3% (ვაჟების 75,4%, გოგონების 91%).

საოჯახო საქმეებში ყოველდღიურად ჩართულია ახალგაზრდების 52,2% (ვაჟების 42,1% , გოგონების 58,1%)

კინოში, თეატრში, სპორტული თამაშების და შეჯიბრების საყურებლად რეგულარულად დადის ახალგაზრდების დაახლოებით მესამედი.

ქალაქების მიხედვით მონაცემების შედარება რაიმე მნიშვნელოვან განსხვავებას არ იძლევა.

სკოლის მოსწავლეებში გამოჩნდა კორელაცია თავისუფალ დროს წვეულებებზე, კაფეებში და ბარებში სიარულსა და მაგარი სასმელების მოხმარებას შორის. სტუდენტების მონაცემებით გამოვლინდა საშუალოზე მაღალი უარყოფითი კორელაცია ინტერნეტის მოხმარებასა/საოჯახო საქმეებში მონაწილეობასა და ნარკოტიკების მოხმარება/ანტისოციალურ ქცევებთან.

როგორც თვისებრივ კვლევაში მონაწილე მასწავლებლებმა აღნიშნეს, მოზარდები ზედმეტად დიდ დროს უთმობენ ინტერნეტს, სოციალურ ქსელებს:

„თავისუფალ დროს ყველა ტელეფონშია. ეზოშიც არ უნდათ თამაში, პატარა ბავშვებსაც კი“ (ბათუმი);

„შეიძლება ღამის სამ საათამდე იჯდეს კომპიუტერთან ან ტელეფონით ხელში“ (თბილისი).

ბათუმელი მასწავლებლების აზრით, მათ ქალაქში მცხოვრებ ახალგაზრდებს ის უპირატესობა აქვთ, რომ ზღვისპირა ქალაქში ცხოვრობენ და მეტი შესაძლებლობა აქვთ ფიზიკური აქტივობისთვის: *„უფასო ზღვა აქვთ ზაფხულში. უფლის მადლობლები ვართ, რომ ბათუმში ვცხოვრობთ“ (ბათუმი).*

მასწავლებლებს მიაჩნიათ, რომ, მოსწავლეები არასწორი რეჟიმით ცხოვრობენ:

> *„გამოუძინებელი, დანევროზებული მოსწავლეები წამოვიდნენ იმაზე მეტი, ვიდრე ოდესმე იყო. აგრესია საიდან მოდის? უძილობა, მოუწესრიგებლობა. შეიძლება ღამის 3 საათამდე იჯდეს კომპიუტერთან ან ტელეფონით ხელში. 4 საათამდე თუ არ დაიძინებს ბავშვი, 8 საათზე როგორ უნდა ადგეს? ცხოვრების რეჟიმი აქვთ დაღვეული“(თბილისი);*
>
> *„ერთმა მეორეკლასელმა მითხრა, ღამის სამ საათზე ვიძინებო. ტელევიზორს ვუყურებო“ (ბათუმი).*

მასწავლებლები თვლიან, რომ თავისუფალ დროს გართობა ახალგაზრდებისთვის ალკოჰოლის მოხმარებით ხდება: *„ზედა კლასებში ბავშვები მიდიან საქეიფოდ, დასალევად ან ეს ლაუნჯები, სადაც გადაკრავენ ას გრამს და მერე მიდის მოწევა“ (თბილისი);*

მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოზარდებსა და ახალგაზრდებს აინტერესებთ კლუბური ცხოვრება და, ძირითადად, შეძლებული ახალგაზრდობა დადის კლუბებში, ხოლო მშობლები ამბობენ, რომ მოზარდები არ დადიან ღამის კლუბებში და არც ის გაუგიათ, რომ რომელიმე სკოლის მოსწავლე მოიხმარდეს კლუბურ ნარკოტიკებს.

მშობლები უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ბავშვები მთელი დრო ინტერნეტით არიან დაკავებული:

> *„დღეს 90% ერთობა თავისუფალ დროს ინტერნეტით. რას ეძებენ და რას უყურებენ, კაცმა არ იცის“ (ქუთაისი);*
>
> *ერთად რომ იკრიბებიან, „მაინც ტელეფონშია ჩამძვრალი ყველა. რატომ მიდიან რესტორანში, ვერ გავიგე. ბავშვების შეკრება იყო ახლახანს და ყველა ტელეფონში იყო. ყველა თავისთვის ერთობოდა“ (ქუთაისი);*
>
> *„ტელეფონთან მიჯაჭვულობაა ყველაზე დიდი პრობლემა. სახლში რომ მოვა ბავშვი, ტანსაცმელსაც არ გაიხდის, ეგრევე ტელეფონს იღებს. გვერდზე რომ ეჯდეს მეგობარი, იმასაც ემესიჯება“ (თბილისი).*

მშობლების აზრით, მოზარდები ერთობიან იმით, რომ ხანდახან იკრიბებიან დაბადების დღეებზე, კაფეებში, კარაოკე-ბარებში. ქუთაისელი მშობლები თვლიან, რომ ქალაქში არ არის იმის პირობები, რომ ახალგაზრდებს ჯანსაღი გართობის საშუალება ჰქონდეთ:

„არის თეატრი, არის კინო, მაგრამ ყველაფერი ეს ხარჯებთან არის დაკავშირებული და საშუალო შემოსავლის მქონე მშობელიც ვერ ახერხებს იმას, რომ შვილი ყოველთვის თეატრში და კინოში გაუშვას და როგორ მოახერხებს ის, რომელსაც პურის ფულის პრობლემა აქვს? სად გვაქვს ქუთაისში ისეთი ადგილი, თანხა რომ არ უნდა გადაიხადო და ჯანსაღად გაერთო?“ (ქუთაისი).

ცალკეული მშობლები ამბობენ, რომ მათ შვილებს მოსწონთ მშობლებთან ერთად თავისუფალი დროის გატარება:

„ქალაქგარეთ გავდივართ შაბათ-კვირას, სოფლის მეურნეობას ვეწევით და ეს სიამოვნებს ბავშვებსაც“ (ქუთაისი);

„კი. ტაძარში მე და ჩემი შვილი ყოველთვის ერთად დავდივართ ყოველ შაბათ-კვირას. თამაშების დროს სულ ერთად ვართ“ (თბილისი);

„თვითონაც კი შემოუთავაზებით, ერთად წავსულიყავით. კინო უყვართ განსაკუთრებით. უთხოვიათ, კინოში წავიდეთო“ (თბილისი).

მშობლების ნაწილი აღნიშნავს, რომ მოზარდებს თავის მეგობრებთან ერთად ურჩევნიათ გართობა *„უფრო დამოუკიდებლობა უჩევნიათ. მეგობრებთან უფრო უნდათ“ (თბილისი); „მას ურჩევნია თავის ტოლებთან წავიდეს, ვიდრე ოჯახთან“ (ქუთაისი).* ზოგი მშობლის აზრით, უფროსკლასელებს საერთოდ არ რჩებათ თავისუფალი დრო:

„ჩვენ ისეთი კატეგორიის და ისეთი ასაკის ბავშვების მშობლები ვართ, ვისაც არა აქვს თავისუფალი დრო. ყველა მშობელი ტყავიდან ძვრება, რომ ინგლისური ასწავლოს, თუნდაც საშუალო მოსწავლე იყოს. იქ სკოლა, მერე ცეკვაზე წავიდეს, მერე მათემატიკაზე, სპორტზე - ფასიანი იქნება თუ უფასო და აღარ რჩება დრო, რომ გაერთოს“. (ქუთაისი)

თბილისის ერთ-ერთი სკოლის დირექტორმა, რომელიც მონაწილეობდა ფოკუს-ჯგუფის დისკუსიაში, გაგვიზიარა ინფორმაცია სკოლის მოსწავლეებში გავრცელებული სახიფათო თამაშის შესახებ: *„დღეს, მაგალითად, საშინელი ინფორმაცია მივიღე. ექიმმა მოგვმართა, რომ ბავშვებმა დაიწყეს ეგრეთ წოდებული „სვანური თამაში“... მუხლებზე აყენებენ, ეუბნებიან, რომ ჯერ ააჩქაროს სუნთქვა და მერე შეაჩეროს და მერე მკერდის მიდამოებში აწვებიან და გონებას კარგავენ. ამ დროს თავსაც არტყამენ და...“*

„ექიმთან ერთად შევედი და ექიმმა აუხსნა ფიზიოლოგიის დონეზე, რა პროცესია, რატომ ხდება თავბრუსხვევა და რომ ნახეს, რომ ჩვენ იქ სადამსჯელოდ არ შევსულვათ და შევედით მბრუნველობით და ინფორმაციის მისაწოდებლად, თვითონაც ალაპარაკდნენ - აი, მე ეს რომ გამიკეთეს, თავი ჩამოვარტყი მერხს; არ გავაკეთე იმიტომ, რომ ჩემს ძმას მოუვიდა იგივე, თავი დაარტყა და ტვინის შერყევით მოიყვანესო“.

მშობლების ერთ-ერთ ჯგუფში ითქვა, რომ უფროსკლასელები არდადეგებზე მუშაობენ: *„ეს ბავშვები მუშაობასაც არ თაკილობენ. ჩემი შვილი ამ ზაფხულს მუშაობდა ნიკორაში. მე, მაგალითად, ვამაყობ და მიხარია, რომ ამ ასაკის ბავშვებში ეს ასე მოხშირდა“ (თბილისი).*

ფაქტორები ურთიერთობების დონეზე

ოჯახი

მრავალრიცხოვანი კვლევების თანახმად, ოჯახური ატმოსფერო და ოჯახური ურთიერთობები ძლიერ ზეგავლენას ახდენს ბავშვებსა და მოზარდებზე. საზოგადოების ყველა ფენაში ოჯახებს აქვს თავისი ძლიერი მხარეები და გამოწვევები და ყველა ოჯახს გააჩნია თბილი და სტაბილური ურთიერთობების პოტენციალი, რომელსაც შეუძლია, ხელი შეუწყოს ახალგაზრდების პოზიტიურ განვითარებას, თუნდაც რთულ ვითარებაში.

მშობლების დამოკიდებულება ნარკოტიკების მოხმარებისა და სხვა ანტისოციალური ქცევების მიმართ

ახალგაზრდები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მათი მშობლებისთვის არ არის მიუღებელი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება, უფრო მეტად ეტანებიან ამ ნივთიერებებს, მიუხედავად იმისა, მათი მშობლები მოიხმარენ თუ არა. (McDermott, 1984; Newman and Ward, 1989; Nolte, Smith, and O'Rourke, 1983). [12] ოჯახური კონტექსტის, როგორც ანტისოციალური ქცევების ჩამოყალიბების შესაძლო დამცავი გარემოს შესწავლის შედეგად, მკვლევარები (Jaureguizar and Ibabe, 2012) ვარაუდობენ, რომ მშობლების უარყოფითი დამოკიდებულება ანტისოციალური ქცევის მიმართ, შვილებში პროსოციალური განწყობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა და ოჯახური ფასეულობების პატივისცემა ამცირებს ბავშვებისა და მოზარდების ანტისოციალური ქცევის ალბათობას.[13]

როგორც კვლევის შედეგები აჩვენებს, მოსწავლეების აზრით, მშობლებს ნაკლები მიუღებლობა აქვთ მოზარდების მიერ ალკოჰოლური სასმელების ხანდახან მიღების მიმართ, რასაც მშობლებისა და მასწავლებლების თვისებრივი კვლევის შედეგებიც ადასტურებს (იხ. ქვემოთ).

[12] Kelly Musick et al., Neighborhood Norms and Substance Use among Teens. Soc Sci Res. 2008 March

[13] María del Mar Molero Jurado et al., Antisocial Behavior and Interpersonal Values in High School Students. Frontiers in Psychology, 2017.

ცხრილი 49. მშობლების დამოკიდებულება ნივთიერებების მოხმარებისა და სხვა ანტისოციალური ქცევების მიმართ, სკოლის მოსწავლეები

რამდენად მისაღები იქნება შენი მშობლებისთვის/ მეურვისთვის, თუ შენ:	სრულიად მიუღებელი		მიუღებელი		მისაღები		სავსებით მისაღები	
	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)
ფსიქოაქტიური ნივთიერებები								
ხანდახან დალევ ლუდს	21,9	28,4	36,1	30,1	37,8	36	4,3	5,5
ხანდახან დალევ ღვინოს	17,7	22,9	32,1	30,9	45,3	40,8	4,9	5,3
ხანდახან დალევ მაგარ ალკოჰოლურ სასმელს	33,2	36,5	38,6	34,9	26,7	25,5	1,6	3,1
თითქმის ყოველდღე დალევ 1-2 ჭიქა ალკოჰოლურ სასმელს	83,5	73,7	15,6	21,4	1	3	0	2
მოწევ სიგარეტს	70,2	59,8	25,1	29,5	4,6	8,2	0,1	2,5
მოწევ ელექტრონულ სიგარეტს	61,7	50,1	30,5	34,2	7,4	11,3	0,4	4,4
მოწევ მარიხუანას	81,5	71,1	17	21,7	1,3	3,4	0,2	3,8
მიიღებ ფსიქოტროპულ წამლებს ექიმის დანიშნულების გარეშე	84,7	73,7	14,4	22,8	0,9	1,7	0	1,8
მოიხმარ LSD-ს, ბიოს, ექსტაზის (MDMA), ამფეტამინს ან სხვა ნარკოტიკს?	87,9	77,6	11,7	19,3	0,4	1,9	0	1,2
ანტისოციალური ქცევები								
მოიპარავ რაიმეს	84,9	77,5	14,8	17,2	0,2	2	0	3,3
დახატავ ან დაწერ რაიმეს შენობის კედლებზე, ტრანსპორტში ან სხვა ადგილებში (მფლობელის ნებართვის გარეშე)	39,6	48,1	44,5	45,5	14,2	5,2	1,8	1,2
იჩხუბებ ვინმესთან	47	39,5	46,1	44,7	6,7	14,7	0,3	1,1
ითამაშებ ფულზე	83	70,9	16,2	24,8	0,7	2,7	0	1,6
ატარებ დანას ან სხვა ცივ იარაღს	86,9	76,9	12,4	19,3	0,7	1,5	0	2,3

მოსწავლეებში ნივთიერებების მოხმარების გამოცდილება კორელაციაშია მშობლების მიმღებლობასთან მოზარდის მიერ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების მიმართ; ასევე კორელაციაშია ნივთიერებების მოხმარება მშობლების მხრიდან ანტისოციალური ქცევების მიმღებლობასთან. მოზარდების ანტისოციალური ქცევების გამოცდილება კორელაციაშია მშობლების მხრიდან ანტისოციალური ქცევების მიმღებლობასთან და მშობლების მხრიდან არალეგალური ნივთიერებების მოხმარების მიმღებლობასთან.

სტუდენტებთან ნივთიერებების მოხმარების გამოცდილება კორელაციაშია მშობლების მიმღებლობასთან ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების მიმართ. გამოვლინდა კორელაცია არალეგალური ნარკოტიკების მოხმარების გამოცდილებასა და მშობლის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის ტარების მიმღებლობას შორის. ანტისოციალური ქცევების გამოცდილებასა და მშობლების მიმღებლობას შორის კორელაცია არ გამოვლინდა.

მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეების მიერ თამბაქოს მოხმარების დაწყებას ადრეულ ასაკში ხელს უწყობს ის, რომ მათი მშობლები ეწევიან და ბევრ ოჯახში ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება ბავშვებისთვის ცოტა ღვინის დალევა:

„სკოლაში ვეუბნებით, რომ. მავნებელია, არ შეიძლება, მაგრამ ბავშვი მიდის სახლში, დედამისი ეწევა, მამამისი 10 წლიდან ეწევა და ა.შ.“ (თბილისი).

„დაბადების დღე როცაა ან სხვა თავყრილობა ოჯახში, მცირე დოზით აძლევენ (ღვინოს), ნატურალურია და სასარგებლო - ამ მოსაზრებით“ (თბილისი).

მშობლების უმრავლესობა ამბობს, რომ მისი შვილი არ ეწევა. მხოლოდ რამდენიმემ აღნიშნა, რომ შეუჩნევია ერთეულ შემთხვევებში, რომ მისმა შვილმა სიგარეტი მოწია. ყველა მშობელი თვლის, რომ აკრძალვით და ჩხუბით არაფერი გამოვა და საჭიროა შვილებს აუხსნან, რა ზიანის მოტანა შეუძლია თამბაქოს. შეკითხვაზე, რა რეაქცია გექნებათ თუ თქვენი შვილი მოწევს თამბაქოს, პასუხები იყო:

„ყვირილი და ძალადობა მიუღებელია ჩემთვის, მაგრამ გასაგები ენით უნდა დაველაპარაკო და ავუხსნა, რა მავნებლობა მოაქვს თამბაქოს“ (თბილისი);

„დავსჯი ალბათ... კი... ეს დასჯა არ იქნება ცემა. თუნდაც ის, რომ მე არ დაველაპარაკები, მასზე ნაწყენი ვიქნები, ეს მასზე ძალიან იმოქმედებს და ვფიქრობ, რომ აღარ გააკეთებს, მაგრამ... ძალიან ცუდი რეაქცია გვექნება“ (თბილისი);

„აქ უკვე მეგობრულად უნდა მიუდგე შვილს, თორემ რაც უფრო მკაცრად დავუდგები, შეიძლება დამიმალოს“ (ბათუმი).

მასწავლებლები კი ფიქრობენ, რომ მათი მოსწავლეების ბევრი მშობელი შეგუებულია იმ აზრს, რომ მათი შვილი ეწევა თამბაქოს:

„როცა მშობელს უთხრეს, ჯერ ადრეა, 10-ე კლასშია ბავშვიო, იმან უპასუხა, მაგან კიდევ დააგვიანა, 9-ე კლასიდან ეწეოდა მამამისიო“ (ბათუმი);

„მშობელმა მითხრა, ვიციო, მე თვითონ ფულს ვაძლევ, მეშინია, „ბიჩოკები“ არ მოწიოს, დაავადება არ აიკიდოსო“ (თბილისი).

(მშობლები) „შეიძლება რეაგირებენ, მაგრამ უშედეგოა და მერე ხელს იქნევენ, იმიტომ, რომ ფაქტობრივად, არც იცის, როგორ უნდა მოგვარდეს ეს პრობლემა“ (თბილისი).

ის მშობლები, რომლებიც არ ეწევიან, თვლიან, რომ მათი პირადი მაგალითი დაიცავს მათ შვილებს თამბაქოს მოხმარების დაწყებისგან. *„პირად მაგალითს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს“; „ოჯახი არის მაგალითი“;, „ჩვენ ოჯახში არავინ არ ვეწევით, მაგრამ დაზღვეული მაინც არ ვარ ძალიან მეშინია“ (თბილისი).* იმ ოჯახებში, სადაც მშობლები ეწევიან, ბავშვებისთვის უფრო ხელმისაწვდომიც არის სიგარეტი და მშობლებსაც ნაკლები მორალური უფლება აქვთ, შვილებს მოწევა დაუშალონ:

„ყველა სახლში ყველა ეწევა და ძალიან მარტივად შეუძლიათ აიღონ და მოწიონ. ბავშვი თუ მოინდომებს, მოახერხებს ისე აღებას, რომ მშობელი ვერ მიხვდეს“ (თბილისი);

„ყველაზე მნიშვნელოვანია, როცა ოჯახში დედა ეწევა, მამა ეწევა. შენ ვეღარ ეტყვი შენ შვილს, შენ რატომ ეწევი“ (თბილისი).

მშობლებთან ალკოჰოლურ სასმელებზე საუბრისას ირკვევა, რომ მათთვის არაფერია უჩვეულო იმაში, რომ მოზარდმა 1-2 ჭიქა ღვინო დალიოს, თუმცა მიუღებლად მიაჩნიათ დათრობა:

„საქართველოში ყველას აქვს ოჯახში ღვინო და ბავშვები რომ იკრიბებიან, მაგალითად, დაბადების დღეზე, ზოგს ღვინოც გამოაქვს მათთვის.“ (ქუთაისი);

„კი, მეც გამიკეთებია, მაგრამ ზომიერების ფარგლებში... კონტროლის ქვეშ შეიძლება...“ (თბილისი);

„გინდა დააგემოვნო? კი ბატონო, ჩემთან ერთად“ (თბილისი).

„იმ მომენტში სიტუაციის მიხედვით მივხედავ თუ ზედმეტი მოუვიდა, მაგრამ ვაი მეორე დღის გათენებას. დავტუქსავ მეორე დღეს, მაგრამ იმ მომენტში ნასვამს მივხედავ თუ შეუძლოდ არის“ (თბილისი);

„ მე მაგალითად, მკაცრი დამოკიდებულება მექნება. ნუ, ხელით არ შევეხები, მაგრამ ძალიან მკაცრად მოვთხოვ, რომ მეორეჯერ არ განმეორდეს“ (თბილისი)

მასწავლებლების აზრით, ბევრი მშობელი ძალიან ადრეულ ასაკში აძლევს უფლებას შვილს, მიიღოს ალკოჰოლური სასმელი:

„6-ე კლასში დაბადების დღე გადაიხადეს სახინკლეში და მშობლებმა მსუბუქი ლიქიორიც მიიტანეს და 6-ე კლასში სადღეგრძელოებიც უთხრეს ერთმანეთს“ (თბილისი);

„ზოგ ოჯახში ისეთი დამოკიდებულებაც არსებობს, რომ 12-13 წლის ბავშვმა რომ ერთი ჭიქა დალიოს, არაფერი არ დაშავდება“ (თბილისი).

მშობლებისგან მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, საოჯახო ან რელიგიურ დღესასწაულებზე თითქმის ყველა ოჯახში მიღებულია, რომ მოზარდებმა შეიძლება ცოტაოდენი ღვინო დალიონ:

„ჩვენ, მაგალითად, ოჯახშიც გვქონია სიტუაცია, როცა რაღაც დღესასწაული გვაქვს და დავმჯდარვართ და ოჯახში დაგვილევია მეც და ბავშვებსაც, მაგრამ ყოველთვის არის რაღაც დოზა, რომლის იქითაც გადაბიჯება არ შეიძლება“ (თბილისი);

„დაბადების დღე იქნება თუ სხვა რამე, ძირითადად ხომ ოჯახში იკრიბებიან, რესტორნისთვის ჯერ პატარები არიან. ჰოდა, ოჯახი აკონტროლებს, რამდენი სასმელი გამოუტანოს სუფრაზე და რამდენს დალევენ. ძირითადად ასე ხდება“ (ქუთაისი).

ხშირად მშობლები იმიტომ აძლევენ შვილებს სუფრასთან ყოფნის და ღვინის დალევის უფლებას, რომ ქართული სუფრის წესები ასწავლონ:

„ჩვენ, მაგალითად, ტრადიცია გვაქვს, რომ აღდგომაა თუ რაღაც სხვა დღესასწაული, მამა ბიჭებს ერთ ჭიქას ასმევს მათი სადღეგრძელოს სამადლობელს...“ “.მადლობისთვის ჭიქას ჩვენც ვაძლევთ. დალევით ჯერ არ სვამს, პატარაა, მაგრამ 1 ჭიქას...“ (თბილისი).

როცა ოჯახში სუფრა იშლება, „იყოს ის ბავშვიც, უსმინოს. აუცილებელი ხომ არ არის სუფრასთან დაჯდეს. როცა ის ისმენს კარგ სადღეგრძელოებს... დალევა ის კი არ არის, რომ დათვრე... კარგმა ვაჟკაცმა კარგი სადღეგრძელოებიც უნდა თქვას, ამას თან კარგი ქცევაც უნდა ახლდეს. ეს მარტო დალევა ხომ არ არის. ვაჟკაცი ის არის, ვინც დალევს და მერე კარგად მოიქცევა. ეს უნდა ასწავლო ბიჭებს. რა უნდა აკეთონ, როცა დალევენ - თან კარგი სადღეგრძელო უნდა

თქვას, თან კარგად უნდა მოიქცეს. ამას თუ ისწავლის, მე მგონი, იმაზე მეტს არ დალევს, რაც შეუძლია“ (თბილისი).

მშობლებს წარმოდგენაც კი უჭირთ, რომ მათმა შვილმა შეიძლება მარიხუანა მოწიოს და ძალიან აშინებთ ამაზე ფიქრიც კი: *„(მარიხუანას) თუნდაც ერთი გასინჯვა ჩემთვის იქნება კატასტროფა“ (თბილისი); „ თავშიც ვერ ვუშვებ იმ აზრს, რომ მარიხუანა მოწიოს. სახლიდან გავაგდებ ალბათ ან მე წავალ სახლიდან“ (თბილისი, მამა).* ზოგისთვის ეს იმდენად წარმოუდგენელია, რომ არც კი უფიქრია, რა რეაქცია ექნება, თუ მისი შვილი მარიხუანას მოწევს: *„არ ვიცი, მართლა არ ვიცი როგორი რეაქცია მექნება“ (თბილისი); „ნორმალური რეაქცია ნამდვილად არ მექნება. როგორი მექნება იმ მომენტში, ნამდვილად არ ვიცი“ (თბილისი); „მე პირადად ძალიან დიდი შიში მაქვს და არ ვიცი რას გავაკეთებ“ (თბილისი).*

მშობლების მცირე ნაწილი ფიქრობს, რომ შეეცდება მშვიდად აუხსნას შვილს, რატომ არ უნდა მოწიოს მარიხუანა:

„მე ალბათ შევეცდები გავაგებინო, რომ არ არის კარგი“ (თბილისი);

„მე ვეცდები, თავი ხელში ავიყვანო და დაველაპარაკო, ვფიქრობ ვეცდები, რომ თუ შევძლებ, ეს პრობლემა მასთან ერთად მშვიდად მოვაგვარო“ (თბილისი);

„არ ვიცი, ალბათ, შევეცდები ავუხსნა ვიღაცის მაგალითზე, რომელიც ვიცით, რომ მოიხმარს და რა ფორმაშია ახლა“ (თბილისი);

„რატომ გადაწყვიტა, ამ მიზეზს გავარკვევდი პირველად და ამის შემდეგ უკვე დავგეგმავდი. თუ სტრესია, მაშინ ფსიქოლოგს ვურჩევდი. თუ გარემოა, გარემოს შეცვლაზე ვიფიქრებდი“ (ქუთაისი).

მშობლებმა არ იციან, როგორ უნდა მიხვდნენ, რომ მათმა შვილმა მარიხუანა მოიხმარა: *„უფ! თუ შევამჩნიეთ, კარგია!“ „მე არც ვიცი, რა ნიშნები აქვს“ (თბილისი).* ზოგმა მშობელმა აღნიშნა, რომ არ იცის, როგორ გამოიყურება მცენარე: *„არ მინახია არასოდეს და როგორ უნდა ვიცნო. ერთხელ რომ ვნახო, მერე შეიძლება დამამახსოვრდეს“ (თბილისი).* ერთმა მშობელმა ისიც კი თქვა, რომ თუ მოზარდი მის დარიგებებს უსიტყვოდ ისმენს, ეს იმის ნიშანია, რომ მარიხუანა არ გაუსინჯავს: *„როცა ბავშვს არა აქვს ასეთი რაღაცა გასინჯული, იმასთან საუბარი პრობლემა არ იქნება. თუ გასინჯული აქვს, შენ რომ ჭკუის დარიგებას დაუწყებ, ის იერიშზე გადმოვა. არ მოგისმენს.“ (თბილისი).*

ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებისა და სხვა ანტისოციალური ქცევის ოჯახური ისტორია

როდესაც ბავშვი იზრდება ოჯახში, სადაც მოიხმარენ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს და არის სხვა ანტისოციალური ქცევების გამოცდილება, იზრდება იმის ალბათობა, რომ ბავშვიც ჩაერთვება მსგავს ქცევებში.

დიაგრამა 21 გვიჩვენებს იმ ახალგაზრდების პროცენტულ რაოდენობას, რომელთა მშობლები ეწევიან სიგარეტს:

დიაგრამა 21. მშობლების მიერ თამბაქოს მოხმარება



მშობლების მიერ თამბაქოს მოხმარებასა და ახალგაზრდების მიერ თამბაქოს მოხმარებას შორის კორელაციური კავშირი არ გამოვლინდა.

კიდევ ერთი ოჯახური ფაქტორი არის და-ძმების ზეგავლენა. ახალგაზრდა, რომელსაც ჰყავს ანტისოციალური ქცევის მქონე დედმამიშვილი, ნარკოტიკების მოხმარების დაწყების უფრო მაღალი რისკის ქვეშ იმყოფება (Bahr, Hoffman, & Yang, 2005; Haynie & McHugh, 2003; Rowe & Gulley, 1992; Stormshak, Comeau, & Shepard, 2004). შეკითხვების შემდეგი ბლოკი ეხება ახალგაზრდების და-ძმების გამოცდილებას ნარკოტიკების მოხმარებასა და სხვა ანტისოციალურ ქცევებთან დაკავშირებით.

ცხრილი 50. და-ძმების გამოცდილება, განათლების საფეხურის მიხედვით

შენს რომელიმე ძმას ან დას ოდესმე თუ გაუკეთებია შემდეგი რამ:	არა		დიახ	
	მოსწ. %	სტუდ. %	მოსწ. %	სტუდ. %
ფსიქოაქტიური ნივთიერებები				
დამთვრალა ლუდით, ღვინით ან მაგარი სასმელით (არაყი, ვისკი ან კონიაკი)	61	50	39	50
მოუწევია მარიხუანა („პლანი“)	86,5	73,8	13,5	26,3
მოუწევია სიგარეტი	73,2	51,1	26,8	48,9
სხვა ანტისოციალური ქცევები				
სკოლაში მიუტანია დანა ან სხვა იარაღი	96,3	92	3,7	8
დროებით დაუთხოვიათ ან გაურიცხავთ სკოლიდან	96,2	87,2	3,8	12,8
გარეთ გასულა დანით	94,9	89	5,1	11
გაუყიდია ნარკოტიკი	98,7	96,3	1,3	3,8
მოუპარავს ან უცდია მანქანის ან მოტოციკლის, მოპედის, ველოსიპედის მოპარვა	98,4	96,2	1,6	3,8
მოუპარია რაიმე სხვა	93,4	92,9	6,6	7,1
დაუკავებია პოლიციას	96,9	93,4	3,1	6,6
სასწავლებელში მისულა ნასვამი ან ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ	97,1	97	2,9	3
განზრახ დაუზიანებია ან გაუნადგურებია სხვისი საკუთრება (არ ითვლება ოჯახის საკუთრება)	96,7	95	3,3	5
მაღაზიიდან მალულად წამოუღია რაიმე ფულის გადაუხდელად	94,7	95,3	5,3	4,7
უთამაშია ფულზე	90,4	81	9,6	19

მოსწავლეების 39% და სტუდენტების 50% ადასტურებს, რომ მისი და-ძმებიდან რომელიმე დამთვრალა. ასევე მაღალია და-ძმებს შორის თამბაქოს და მარიხუანას მოხმარების მაჩვენებლები. რაც შეეხება სხვა ანტისოციალურ ქცევებს, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს ფულზე თამაშს და რაიმეს მოპარვას.

ცხრილი 51 გვიჩვენებს იმ ახალგაზრდების პროცენტულ რაოდენობას, ვის ოჯახშიც ოდესმე ვინმეს ჰქონია სერიოზული პრობლემა ალკოჰოლის ან ნარკოტიკის მოხმარების გამო

ცხრილი 51. ნივთიერებათა მოხმარებასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები ახალგაზრდების ოჯახის წევრებში

	განათლების საფეხურის მიხედვით			
	დიახ		*არა*	
	მოსწავლეები (%)	სტუდენტები (%)	მოსწავლეები (%)	სტუდენტები (%)
შენს ოჯახში ოდესმე ვინმეს ჰქონია სერიოზული პრობლემა ალკოჰოლის ან ნარკოტიკის მოხმარების გამო?	10,4	12,5	89,6	87,5

არ გამოვლინდა ასოციაციური კავშირი ოჯახის წევრებში ნივთიერებათა მოხმარებასთან დაკავშირებულ სერიოზულ პრობლემებსა და ახალგაზრდების მიერ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებას შორის.

ოჯახური წესები და ნორმები

აღზრდა ისეთ ოჯახში, სადაც არის არაჯანსაღი ურთიერთობები, არათანმიმდევრული და არამკაფიო ქცევითი ნორმები და მშობლების არარეალისტური მოლოდინები, ზრდის მოზარდების მიერ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების და ანტისოციალურ ქცევებში ჩართვის რისკს. მშობლებისა და შვილების პოზიტიური ურთიერთობები - ღია კომუნიკაცია, ემოციური მხარდაჭერა, მშობლების ადეკვატური კონტროლი - ასოცირებულია ოჯახისადმი მიკუთვნებულობის გრძნობასთან, რომელიც ბავშვებსა და მოზარდებს იცავს პრობლემური ქცევებისგან (Saint-Jean, 2010; Kopak, et al., 2012).

მშობლების წესები და მოლოდინები ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან მიმართებით

კითხვარში წარმოდგენილი იყო კითხვა: „ჩემს ოჯახში მკაფიო წესებია ალკოჰოლური სასმელების მიღებასთან და ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებით.“ შეთავაზებული 4 სავარაუდო პასუხიდან, ახალგაზრდებს თითოეულ დებულებაზე უნდა შეერჩიათ ერთი პასუხი. შედეგები მოცემულია დიაგრამა 22-ში.

დიაგრამა 22. ოჯახში არსებობს მკაფიო წესები ალკოჰოლური სასმელების მიღებასთან და ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებით



ოჯახში მკაფიო წესები ალკოჰოლური სასმელების მიღებასთან და ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებით უარყოფით კორელაციაშია მაგარი სასმელის მოხმარებასთან.

ბავშვები, რომლებიც იზრდებიან ოჯახში, სადაც მოიკოჭლებს დისციპლინა და ოჯახური კონტროლი, ნარკოტიკების მოხმარებისა და სხვა ქცევით გადახრების რისკის წინაშე დგანან. ამას გარდა, კვლევებმა აჩვენა, რომ მშობლების მიერ მოზარდების ქცევაზე ყურადღების მიქცევამ და ამ ქცევებზე სხვადასხვა გზით დაკვირვებამ შეიძლება შეამციროს ახალგაზრდების მიერ ნარკოტიკების ავადგამოყენების ალბათობა (Chapple et al., 2005; Coombs and Landsverk. 1988).

ჩვენს კვლევაში, ფაქტორი „ოჯახის ორგანიზებულობა“ იზომება 4 დებულებით. ცხრილებში 52 და 53 ნაჩვენებია იმ ახალგაზრდების რაოდენობა, ვინც თითოეული დებულების გასწვრივ მონიშნა „არ ვეთანხმები“ ან „სრულებით არ ვეთანხმები“.

ცხრილი 52. ოჯახური კონტროლის ნაკლებობა, სკოლის მოსწავლეები

აღნიშნეთ,რამდენად ეთანხმებით ქვემოთ ჩამოთვლილ დებულებებს:	სკოლის მოსწავლეები					**სულ** (%)
	არ ვეთანხმები		***სრულებით არ ვეთანხმები***			
	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)		
როცა სახლში არ ვარ, ერთ-ერთმა მშობელმა მაინც იცის, სად და ვისთან ერთად ვარ	4,9	1,1	8,7	5,9		9,8
თუ დავლიე ლუდი, ღვინო ან მაგარი სასმელი (არაყი, ვისკი ან კონიაკი) მშობლების ნებართვის გარეშე, მშობლებს ეს არ გამოეპარება	14,4	10,6	12	7,1		24,1
თუ დანას ან სხვა ცივ იარაღს ვატარებ, ჩემს მშობლებს ეს არ გამოეპარება	10,4	7,8	15,5	9,4		20,9
თუ სკოლას გავაცდენ, ჩემს მშობლებს ეს არ გამოეპარება	14,2	12,3	9,9	8,1		22
ჩემს ოჯახში მკაფიო წესებია, მე ვიცი, რა არის მისაღები ჩემი ოჯახისთვის და რა - არა	2	4,5	5,6	4,4		8,3
სახლში მისვლა თუ მაგვიანდება, ვატყობინებ მშობლებს	14,8	6,8	9,5	3,3		16
მშობლები ინტერესდებიან, შევასრულე თუ არა საშინაო დავალება	13,8	12,5	8,7	8,5		21,7

ცხრილი 53. ოჯახური კონტროლის ნაკლებობა,სტუდენტები

აღნიშნეთ,რამდენად ეთანხმებით ქვემოთ ჩამოთვლილ დებულებებს:	**სტუდენტები**					**სულ** (%)
	არ ვეთანხმები		***სრულებით არ ვეთანხმები***			
	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)		
როცა სახლში არ ვარ, ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა მაინც იცის,	7,7	2,3	9	7,4		12,1

სად და ვისთან ერთად ვარ						
თუ დანას ან სხვა ცივ იარაღს ვატარებ, ჩემს მშობლებს ეს არ გამოეპარება	16,1	12	13,1	11		25,1
ჩემს ოჯახში მკაფიო წესებია, მე ვიცი, რა არის მისაღები ჩემი ოჯახისთვის და რა - არა	8,6	14,7	3,1	8,9		15,8
სახლში მისვლა თუ მაგვიანდება, ვატყობინებ ოჯახის წევრებს	21,6	10,4	9,4	5		20,7
ჩემი მშობლები ინტერესდებიან ჩემი აკადემიური მოსწრებით	21,1	11,7	4,2	2,4		17,9

როგორც დიაგრამა 24-ზე არის ნაჩვენები, იმ ახალგაზრდების პროპორცია, ვინც დაადასტურა, რომ მათ ოჯახში სუსტი კონტროლია და არ იცავენ წესებს, 9%-ის ტოლია (მოსწავლე ვაჟების 8.7% და გოგონების 7,4%):

დიაგრამა 23. ოჯახური კონტროლის ნაკლებობა,სკოლის მოსწავლეები (საშუალო მაჩვენებლები)



მოსწავლეებში მშობლების მხრიდან კონტროლი უარყოფით კორელაციაშია ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან. სტუდენტებში მშობლების მხრიდან კონტროლი უარყოფით კორელაციაშია მარიხუანას და სხვა არალეგალური ნარკოტიკების მოხმარებასთან. ანტისოციალური ქცევებიდან ოჯახურ კონტროლთან უარყოფით კორელაციაშია ქურდობა და ნარკოტიკის გაყიდვა.

ოჯახური კონფლიქტი

მჭიდრო კავშირი მშობლებსა და შვილებს შორის პოზიტიური სოციალური ნორმების ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ხშირი ოჯახური კონფლიქტები ასუსტებს ამ კავშირს და ზრდის ახალგაზრდების მიერ სხვადასხვა პრობლემური ქცევის განხორციელების ალბათობას, ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების დაწყების ჩათვლით. ოჯახური კონფლიქტების დონის შესაფასებლად, კვლევაში გამოყენებული იყო სამი დებულება (ცხრილები 54 და 55) :

ცხრილი 54. ოჯახური კონფლიქტი, სკოლის მოსწავლეები

აღნიშნეთ,რამდენად ეთანხმებით ქვემოთ ჩამოთვლილ დებულებებს:	მოსწავლეები სქესის მიხედვით					სულ (%)
	სავსებით ვეთანხმები		*ვეთანხმები*			
	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)		
ჩვენს ოჯახში სულ ვკამათობთ ერთსა და იმავე საკითხებზე	13,2	10,1	29,4	29,1		40,6
ჩემი ოჯახის წევრები ხშირად ჩხუბობენ ან უყვირიან ერთმანეთს	7,9	8,6	20,4	19,2		28
ჩემი ოჯახის წევრებს შორის სერიოზული უთანხმოებაა	13,5	8,4	17	18,2		16,1

ცხრილი 55. ოჯახური კონფლიქტი, სტუდენტები

აღნიშნეთ,რამდენად ეთანხმებით ქვემოთ ჩამოთვლილ დებულებებს:	სტუდენტები სქესის მიხედვით					სულ (%)
	სავსებით ვეთანხმები		*ვეთანხმები*			
	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)		
ჩვენს ოჯახში სულ ვკამათობთ ერთსა და იმავე საკითხებზე	12,1	11,2	30,1	28		40,2
ჩემი ოჯახის წევრები ხშირად ჩხუბობენ ან უყვირიან ერთმანეთს	14,6	6,2	15,8	17,2		15,7
ჩემი ოჯახის წევრებს შორის სერიოზული უთანხმოებაა	14,7	17,6	7,7	7,8		24,3

ცხრილი 56. ოჯახური კონფლიქტი, სქესის მიხედვით

აღნიშნეთ,რამდენად ეთანხმებით ქვემოთ ჩამოთვლილ დებულებებს:	სქესის მიხედვით					სულ (%)
	სავსებით ვეთანხმები		*ვეთანხმები*			
	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)		
ჩვენს ოჯახში სულ ვკამათობთ ერთსა და იმავე საკითხებზე	10,9	12,5	28,4	29,8		40,4
ჩემი ოჯახის წევრები ხშირად ჩხუბობენ ან უყვირიან ერთმანეთს	6,9	12,1	17,8	17,5		26,5
ჩემი ოჯახის წევრებს შორის სერიოზული უთანხმოებაა	14,8	14,2	7,2	6,7		21,6

დიაგრამა 24. ოჯახური კონფლიქტი (საშუალო მაჩვენებლები)



არ გამოვლინდა კორელაციური კავშირი ოჯახურ კონფლიქტსა და ახალგაზრდების მიერ ნარკოტიკების მოხმარებას/ანტისოციალურ ქცევებში ჩართვას შორის.

ოჯახთან სიახლოვე

მშობლებთან სიახლოვის ნაკლებობა ბავშვებსა და მოზარდებში ქცევითი გადახრების აღმოცენების ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევა (Bowlby 1944; Hirschi 1969). მშობლებთან სიახლოვის განცდა კი განიხილება, როგორც მოზარდებისა ახალგაზრდების მიერ ნივთიერებების მოხმარებისაგან დაცვის ფაქტორი (Kostelecky, 2005; van der Vorst et al., 2006).

ცხრილი 57. მშობლებთან სიახლოვე, განათლების საფეხურის მიხედვით

აღნიშნეთ,რამდენად ეთანხმებით ქვემოთ ჩამოთვლილ დებულებებს:	განათლების საფეხურის მიხედვით				სულ (%)
	სავსებით ვეთანხმები		*ვეთანხმები*		
	მოსწ. %	სტუდ. %	მოსწ. %	სტუდ. %	
სიამოვნებით ვატარებ დროს დედასთან	66,8	69,2	20,2	14,4	85,3
დედას ვუზიარებ ჩემს აზრებს და განცდებს	52,3	50,7	22,8	22,6	74,2
სიამოვნებით ვატარებ დროს მამასთან	53,7	53,9	23,2	19	74,9
მამას ვუზიარებ ჩემს აზრებს და განცდებს	35,8	37,7	23,5	22,5	59,8
პირადული პრობლემა თუ მექმნება, შემიძლია დახმარება ვთხოვო დედას ან მამას	59,4	57	22,4	17,2	78

ცხრილი 58. მშობლებთან სიახლოვე, სქესის მიხედვით

აღნიშნეთ,რამდენად ეთანხმებით ქვემოთ ჩამოთვლილ დებულებებს:	სქესის მიხედვით			
	სავსებით ვეთანხმები		*ვეთანხმები*	
	მამრ. %	მდედრ. %	მამრ. %	მდედრ. %
სიამოვნებით ვატარებ დროს დედასთან	54,1	76,7	22,7	12,6
დედას ვუზიარებ ჩემს აზრებს და განცდებს	38	58,9	23,9	22
სიამოვნებით ვატარებ დროს მამასთან	46,6	58	23,2	18,8
მამას ვუზიარებ ჩემს აზრებს და განცდებს	35,6	37,9	25,1	26,1
პირადული პრობლემა თუ მექმნება, შემიძლია დახმარება ვთხოვო დედას ან მამას	49,4	62,7	21,7	17,3

დიაგრამა 25. მშობლებთან სიახლოვე (საშუალო მაჩვენებლები)



მოსწავლეებთან ოჯახთან სიახლოვესა და ნივთიერებების მოხმარებას/ანტისოციალურ ქცევებს შორის კორელაცია არ არის. სტუდენტებთან გამოვლინდა დაბალი უარყოფითი კორელაცია მშობლებთან სიახლოვესა და მარიხუანა/ფსიქოტროპული წამლების მოხმარებასთან. მშობლებთან სიახლოვე დადებით კორელაციაშია საზოგადოებრივ საქმეში მონაწილეობასთან და უარყოფით კორელაციაშია ანტისოციალურ ქცევებთან.

ოჯახის შესაძლებლობები და წახალისება პროსოციალური ჩართულობისთვის

როდესაც ახალგაზრდას ეძლევა შესაძლებლობა, წვლილი შეიტანოს თავისი ოჯახის ცხოვრებაში და როდესაც ამისთვის ოჯახის წევრებისაგან შექებას იღებს, ეს კიდევ უფრო აძლიერებს ოჯახთან სიახლოვის განცდას და ხელს უწყობს ქცევის მკაფიო სტანდარტების ჩამოყალიბებას.

ცხრილი 59. ოჯახის ცხოვრებაში ჩართულობა და წახალისება განათლების საფეხურის მიხედვით

	განათლების საფეხურის მიხედვით			
	მოსწ. %	სტუდ. %	მოსწ. %	სტუდ. %
	სავსებით ვეთანხმები		*ვეთანხმები*	
შესაძლებლობები				
მნიშვნელოვანი ოჯახური	52,7	55,1	25,5	23,7

გადაწყვეტილებების მიღებამდე ჩემი მშობლები მეკითხებიან, რა აზრის ვარ.				
ხშირად ვერთობი მშობლებთან ერთად	44,8	45,2	25,8	25,2
წახალისება				
	ყოველთვის		*ხშირად*	
ჩემი მშობლები აღნიშნავენ, როცა რაიმეს კარგად ვაკეთებ	51,5	54,9	29,3	22
ჩემი მშობლები მაქებენ	24,2	25,4	41,1	36,2

ცხრილი 60. ოჯახის ცხოვრებაში ჩართულობა და წახალისება
სქესის მიხედვით

	სქესის მიხედვით			
	მამრ. %	მდედრ. %	მამრ. %	მდედრ. %
	სავსებით ვეთანხმები		*ვეთანხმები*	
შესაძლებლობები				
მნიშვნელოვანი ოჯახური გადაწყვეტილებების მიღებამდე ჩემი მშობლები მეკითხებიან, რა აზრის ვარ	50,9	56,2	23	25,1
ხშირად ვერთობი მშობლებთან ერთად	36,1	50,2	28,5	23,6
წახალისება				
	ყოველთვის		*ხშირად*	
ჩემი მშობლები აღნიშნავენ, როცა რაიმეს კარგად ვაკეთებ	48,5	56,9	26,1	23,4
ჩემი მშობლები მაქებენ	18,6	28,8	36,1	38,9

დიაგრამა 26. ოჯახის ცხოვრებაში ჩართულობა და წახალისება (საშუალო მაჩვენებლები)



მხოლოდ სტუდენტებში გამოვლინდა უარყოფითი კორელაცია ოჯახის პროსოციალურ შესაძლებლობებსა და ანტისოციალურ ქცევას შორის. მოსწავლეებშიც და სტუდენტებშიც შექება და წახალისება ოჯახში უარყოფით კორელაციაშია ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან და არ არის კორელაციაში ანტისოციალურ ქცევებთან.

თვისებრივი კვლევის მონაწილეები სამივე ქალაქში აღნიშნავდნენ, რომ მატერიალური პრობლემები აიძულებს ბევრ მშობელს, ქვეყნიდან წავიდეს ან მთელი დღე სამსახურში იყოს და ბავშვები უყურადღებოდ რჩებიან; მასწავლებლების აზრით, ბავშვებს აკლიათ მშობლების ყურადღება და სითბო, რადგან ბევრი მშობელი იმდენად დაკავებულია, რომ შვილისთვის არც დრო რჩება და არც ენერგია; ზოგი შეიძლება არც მუშაობდეს, მაგრამ ყოფითი პრობლემები შვილებთან ურთიერთობაზეც აისახება:

„ზოგი მშობელი რომ არის წასული და გადახვეწილი და არა აქვს საშუალება, რომ შვილს ყურადღება მიაქციოს, სითბო მიაწოდოს... ფული არ ყოფილა მთავარი... მთავარი ყოფილა დედის სიყვარული“ (ბათუმი);

„ის კონტაქტი აღარა აქვთ ბავშვებთან, მთელი დღე სამსახურში არიან. ბავშვი მთელი დღე სადღაც არის და რასაც უნდა, იმას აკეთებს. მობილურით დაურეკავ. კითხავს - სად ხარ? ამით თავრდება. ხომ უნდა იმუშაონ, რა უნდა ქნან?“ (თბილისი);

„მშობლებს არ სცალიათ შვილებისთვის. როცა ისინი სახლში მოდიან, იმ მდგომარეობაში არიან, რომ აღარც უნდათ ამ შვილებთან ლაპარაკი... რა ქენი შვილო, შეჭამე საჭმელი? ახლა დაიბანე და დაწექი. მეტი ურთიერთობა არ არის“ (თბილისი).

„ზოგჯერ შეიძლება სამსახურიდან მიხვიდე ისე გაღიზიანებული, რომ... ბევრჯერ ყოფილა, ბევრჯერ მინახია, რომ საკუთარი ბრაზი ბავშვზე გადმოუცლია“ (თბილისი).

„იმდენად სიდუხჭირეა ქვეყანაში, რომ მშობლებს აღარ სცალიათ თავიანთი შვილებისთვის. იმდენი პრობლემაა, იმდენად დამძიმებულები არიან, რომ ვეღარ აძლევენ იმ სიყვარულს, რაც ბავშვს უნდა მისცენ“ (თბილისი)

მასწავლებლები იმასაც აღნიშნავენ, რომ მშობლები ზედმეტ თავისუფლებას აძლევენ შვილებს:

„მშობელი რომ იძინებს, ბავშვები მერე გადიან სახლიდან“ (თბილისი);

„არის ოჯახები, ბავშვი დილის 6 საათზე მისულა სახლში. ეს არის მათთვის ჩვეულებრივი ამბავი... ჩვენ ვერ გავაკონტროლებთ ამას, მშობლებს აქვთ ძალიან დიდი როლი“ (ბათუმი).

მასწავლებლების ნაწილს მიაჩნია, რომ ოჯახის მხრიდან საჭიროა მეტი კონტროლი - რას აკეთებს და ვისთან მეგობრობს ბავშვი. ნაწილის აზრით კი, უფრო მნიშვნელოვანია *„ინტერესი ბავშვის მიმართ, მუდმივი კონტაქტი, რომ ბავშვმა იგრძნოს, რომ ის არის პიროვნება. მას მოეთხოვება, პასუხისმგებლობები აქვს. ეს ოჯახმა უნდა აგრძნობინოს უპირველეს ყოვლისა“ (თბილისი).*

შეკითხვაზე, რამდენად არიან ჩართული მოზარდები გადაწყვეტილებების მიღებაში, მშობლების უმრავლესობა ამბობს, რომ თვითონ მაქსიმალურად ცდილობენ, ჩართონ შვილები ოჯახისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში:

„როცა რამე გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ, ერთად ვსხდებით მე ჩემი ორი ვაჟი და მეუღლე და ვწყვიტავთ, იმიტომ, რომ თუ აკეთებ, ისე უნდა გააკეთო, რომ სუყველასთვის ნორმალური იყოს“ (თბილისი);

„კი, უკვე ვეკითხები. მათ ყოფასაც ხომ ეხება“ (ქუთაისი);

„ბევრჯერ მისი აზრი მომწონებია და დავფიქრებულვარ, ჩემ აზრს მისი ჯობდა“ (ბათუმი).

იყვნენ ისეთი მშობლებიც, რომლებიც მხოლოდ იმ საკითხებზე ეკითხებიან აზრს შვილებს, რომლებიც უშუალოდ მოზარდს ეხება. ეს აზრი უფრო მეტად ქუთაისელმა მშობლებმა გამოთქვეს: *„თუ რამე შესაძენია, ჩასაცმელი ან რამე, თუ არ ვკითხე, არ ჩაიცმევს და დამრჩა ისე. ამიტომ ვეკითხები ყველაფერს“ (ქუთაისი); „გადაწყვეტილების მიღებას? რა ვიცი...მაგრამ ჩასაცმელზე და მის რაღაცეებზე ვეკითხები“ (ქუთაისი).*

რაც შეეხება ოჯახის საქმეებში მონაწილეობას, ზოგი მშობელი ცდილობს, შვილი არ მოაცდინოს სწავლას და ამ მოსაზრებით თვითონვე არიდებს საოჯახო საქმეებს: *„ზოგჯერ რომ მითქვია ჩემი გოგოსთვის დაალაგე თქო და მისი კარადა გადმომიყრია, დაულაგებია, მაგრამ ამ დროს ის მის სამეცადინოს მოწყდა. ძალიან ბევრი სამეცადინო აქვს და ის კარადა ისე მაინც ვერ დაალაგა მე რომ მინდა და მივხვდი, რომ ზედმეტი გავაკეთე. ყველაფერს თავისი ასაკი აქვს. ყველაფერს ისწავლის...“(ქუთაისი).* ზოგი კი, პირიქით, მაქსიმალურად ცდილობს. მოზარდები მონაწილეობდნენ საოჯახო საქმიანობაში:

„მაგაზეც მაქვს პრეტენზია ბავშვებთან - ყველაფერი სასიამოვნო კი არ უნდა იყოს, რასაც აკეთებ, მაგრამ სხვას რომ ასიამოვნებ, ის უნდა გესიამოვნოს შენ. ეს შეგნება მინდა ჩაუჯდეთ“ (თბილისი);

„ჩვენთან მაქსიმალურად ჩართულები არიან. თუ მამას რაღაც საქმე აქვს - ან ღვინის დაწურვა ან სხვა რამ, არ არსებობს, უნდა დაეხმაროს. ყველაფერს გვერდზე გადადებს და თავის საქმეს მერე მიხედავს. საერთოდ, მეუღლე ცდილობს, რომ იყვნენ ტრადიციული ბავშვები. ოჯახი გინდა თუ გადაწყვეტილება, მაქსიმალურად რთავს“ (თბილისი).

წახალისება. მშობლების ერთი ნაწილი ამბობს, რომ ყოველთვის აღნიშნავს, როცა მის შვილს რაიმე კარგად გამოსდის და ამბობს, რომ შექება ბევრად უფრო კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს ბავშვებზე:

„მე წინა ჰლანზე ვაყენებ, როცა რამეს კარგად გააკეთებენ. და თუ რამე არ მომწონს, ვეუბნები - ასე ხომ არ ჯობია?“ (თბილისი);

„მე თითოეულ მათ წარმატებას აღვნიშნავ“ (თბილისი);

„ვცდილობ წავახალისო, შეიძლება ერთი კვირაც ვილაჰარაკო ამაზე, რომ უფრო უკეთესად გააკეთოს“ (ბათუმი).

მშობლების მეორე ნაწილი კი ამბობს, რომ უფრო ხშირად შენიშვნებს აძლევენ შვილებს:

„მე ნაკლებად ვაქებ ჩემ შვილებს და ყოველთვის მსაყვედურობენ - შენ არაფერი არ მოგწონს ჩემი გაკეთებულიო“ (თბილისი);

„მე, მაგალითად, ყოველთვის ვცდილობ, იმაზე უარესი წარმოვაჩინო. ყოველ შემთხვევაში, მის თვალში საკუთარი თავი... უარესი შეიძლება ცუდი სიტყვაა, მაგრამ ვცდილობ, რომ ნაკლებად ვაქო და მეტი ნაკლი მოვუძებნო“ (თბილისი;)

„მე, მაგალითად, შენიშვნებს უფრო მეტს ვაძლევ“ (ქუთაისი).

სკოლა/სხვა საგანმანათლებლო დაწესებულება

სკოლებში, პროფესიულ კოლეჯებსა და უმაღლეს სასწავლებლებში უსაფრთხო და მზრუნველი ატმოსფეროს შექმნა აუცილებელია მოსწავლეებისა და სტუდენტების აკადემიური და სოციალური წარმატების უზრუნველსაყოფად.

აკადემიური მოსწრება

სკოლაში/უნივერსიტეტში მაღალი შეფასებების მიღება ასოცირებულია როგორც ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებისა და სხვა სარისკო ქცევების დაბალ მაჩვენებლებთან, ასევე უკეთეს სოციალურ და სასწავლო უნარ-ჩვევებთან.

კითხვაზე „რა შეფასებებს იღებდი უფრო ხშირად გასულ სასწავლო წელს?“ მოსწავლეების 86.1%-მა და სტუდენტების 55.7%-მა უპასუხა, რომ მაღალი აკადემიური შეფასება ჰქონდათ; მოსწავლეების 13.9%-მა და სტუდენტების 44.7%-მა აღიარა აკადემიური წარუმატებლობა.

მოსწავლეებთანაც და სტუდენტებთანაც აკადემიური მოსწრება უარყოფით კორელაციაშია მარიხუანას მოხმარებასთან და დადებით კორელაციაშია პროსოციალურ ქცევებთან.

დამოკიდებულება სკოლის/საგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ

ახალგაზრდებისთვის სკოლაში სიამოვნებით ყოფნა, სკოლის საქმიანობაში ჩართულობა, სკოლისგან მხარდაჭერის გრძნობა და განათლების მიღების მზაობა ასოცირებულია პრობლემური ქცევების დაბალ ალბათობასთან.

სკოლისადმი/საგანმანათლებლო დაწესებულებისადმი მიკუთვნებულობა

სკოლისადმი მიკუთვნებულობის არარსებობა ნიშნავს, რომ ახალგაზრდა აღარ აღიქვამს მოსწავლის როლს პოზიტიურად, არ გრძნობს თავს ვალდებულად სკოლის წინაშე, რაც ზრდის სხვადასხვა პრობლემური ქცევის რისკს.

გაცდენები შეიძლება სკოლისადმი დაბალი მიკუთვნებულობის არაპირდაპირ მაჩვენებლად ჩაითვალოს. პასუხები კითხვაზე „ბოლო 4 კვირის განმავლობაში რამდენი დღე გააცდინე სკოლაში“ შემდეგნაირად გადანაწილდა (ცხრილები 61 და 62):

ცხრილი 61. სკოლის გაცდენა ბოლო 4 კვირის განმავლობაში, კომბინირებული ნიმუში

ბოლო 4 კვირის განმავლობაში რამდენი დღე გააცდინე სკოლაში:	გაცდენილი დღეების რაოდენობა				
	0	1-3	4-5	6-10	11 ან მეტი
ავადმყოფობის გამო	50,7	36,1	9,1	3,2	0,9
არ გინდოდა სკოლაში ყოფნა	71	21	3,8	1,7	1,8
სკოლიდან დროებით დაგითხოვეს დასჯის მიზნით	98	0,8	0,2	0	0,2
სხვა მიზეზით	55,1	34,6	6,5	2,6	1,1

ცხრილი 62. სკოლის გაცდენა ბოლო 4 კვირის განმავლობაში, სქესის მიხედვით

ბოლო 4 კვირის განმავლობაში რამდენი დღე გააცდინე სკოლაში:	გაცდენილი დღეების რაოდენობა									
	0		1-3		4-5		6-10		11 ან მეტი	
	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)
ავადმყოფობის გამო	56,5	46,5	30,7	40	7,6	10,2	4,3	2,4	0,8	0,9
არ გინდოდა	76,4	68,1	18,3	23,1	1,5	5,4	1,8	1,7	2	1,7

სკოლაში ყოფნა										
სკოლიდან დროებით დაგითხოვეს დასჯის მიზნით	41,9	58,1	1,4	0,3	0	0,3	0	0	0	0,4
სხვა მიზეზით	54,7	55,4	34,2	34,9	6,3	6,6	4	1,7	0,9	1,3

შეკითხვაზე „მიმდინარე სემესტრის განმავლობაში რა სიხშირით ესწრებოდით ლექციებს/სემინარებს“, სტუდენტების 53%-მა უპასუხა, რომ ყოველთვის ესწრებოდა, ხშირად ესწრებოდა 34,6%, ხანდახან - 7,5%, იშვიათად - 3,7%, თითქმის არასდროს - 1,3%. სტუდენტების უმრავლესობა - 87,6% ყოველთვის ან ხშირად ესწრებოდა ლექციებს/სემინარებს.

რისკ ფაქტორი „სასწავლებლისადმი დაბალი მიკუთვნებულობა“ კვლევაში ფასდება 4 შეკითხვით. ცხრილი 63 წარმოგვიდგენს იმ ახალგაზრდების ხვედრით წილს, რომლებიც სასწავლებლისადმი დაბალი მიკუთვნებულობის რისკის ქვეშ იმყოფებიან.

ცხრილი 63. სასწავლებლისადმი დაბალი მიკუთვნებულობა, განათლების საფეხურის მიხედვით

	განათლების საფეხურის მიხედვით			
	მოსწავლეები (%)	სტუდენტები (%)	მოსწავლეები (%)	სტუდენტები (%)
	ცოტა უინტერესო		***ძალიან უინტერესო***	
რამდენად საინტერესოა შენთვის ის საგნები, რომლებსაც სასწავლებელში სწავლობ?	20,5	5,9	5,2	0,9
	ნაკლებად მნიშვნელოვანი		***არ არის მნიშვნელოვანი***	
შენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია შენი მომავალი ცხოვრებისათვის ის, რასაც სასწავლებელში სწავლობ?	13	6,3	2,5	0,8
	იშვიათად		***არასდროს***	
რამდენად ხშირად გსიამოვნებდა სასწავლებელში ყოფნა	10	4,4	6,5	1,6
რამდენად ხშირად არ იშურებდი ძალას, რომ სასწავლებელში ყველაფერი კარგად გაგეკეთებინა	14,6	6,3	6,9	5,3

ცხრილი 64. სასწავლებლისადმი დაბალი მიკუთვნებულობა, სქესის და განათლების საფეხურის მიხედვით

	მოსწავლეები				სტუდენტები			
	მამრ. (%)	მდედრ (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)
	ცოტა უინტერესო		*ძალიან უინტერესო*		*ცოტა უინტერესო*		*ძალიან უინტერესო*	
რამდენად საინტერესოა შენთვის ის საგნები, რომლებსაც სასწავლებელში სწავლობ?	19,9	21	6,6	4,2	5,5	6,1	2,6	0
	ნაკლებად მნიშვნელოვანი		*არ არის მნიშვნელოვანი*		*ნაკლებად მნიშვნელოვანი*		*არ არის მნიშვნელოვანი*	
შენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია შენი მომავალი ცხოვრებისათვის ის, რასაც სასწავლებელში სწავლობ?	17,3	9,8	3,4	1,9	6,3	6,4	1,3	0,6
	იშვიათად		*არასდროს*		*იშვიათად*		*არასდროს*	
რამდენად ხშირად გსიამოვნებდა სასწავლებელში ყოფნა	11,8	8,7	6,9	6,3	3,2	5,1	2,5	1,2
რამდენად ხშირად არ იშურებდი ძალას, რომ სასწავლებელში ყველაფერი კარგად გაგეკეთებინა	17,4	12,6	6,6	7,1	9,2	4,7	7,1	4,4

როგორც დიაგრამა 27-ზეა ნაჩვენები, მოსწავლეებში ბევრად უფრო დაბალია სასწავლებლისადმი მიკუთვნებულობის განცდა, ვიდრე სტუდენტებში.

დიაგრამა 27. სასწავლებლისადმი დაბალი მიკუთვნებულობა (საშუალო მაჩვენებლები)



მოსწავლეებთან გამოჩნდა აშკარა უარყოფითი კორელაცია სკოლისადმი მიკუთვნებულობასა და ნივთიერებების მოხმარებას შორის და დადებითი კორელაცია სკოლისადმი მიკუთვნებულობასა და პროსოციალურ ქცევას შორის (მონაწილეობა სკოლის აქტივობებში, კლუბებში, წრეებში).

სტუდენტებში სასწავლებლისადმი მიკუთვნებულობის განცდა უარყოფით კორელაციაშია მაგარი ალკოჰოლური სასმელების, მარიხუანას და სხვა ნარკოტიკების მოხმარებასთან.

პასუხები კითხვაზე: "არის თუ არა შენს სკოლაში ადამიანი (პედაგოგი, ფსიქოლოგი, კონსულტანტი), რომელიც ესაუბრება მოსწავლეებს თამბაქოს, ალკოჰოლის და ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე" მოცემულია დიაგრამაზე ქვემოთ. სულ სკოლის მოსწავლეების 54.8%-მა დაადასტურა სკოლაში ასეთი ადამიანის არსებობა.

დიაგრამა 28. სკოლის კონსულტანტი ნივთიერებათა მოხმარების საკითხებზე



სტუდენტებმა უპასუხეს შეკითხვას „თქვენს უნივერსიტეტში/სასწავლებელში ჩატარებულა თუ არა რაიმე ღონისძიება (საჯარო ლექცია, კამპანია, დისკუსია) თამბაქოს, ალკოჰოლის და ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე“. უნივერსიტეტის სტუდენტების 56,45% ამბობს, რომ ჩატარებულა. პროფესიული სასწავლებლის სტუდენტების 23%-მა გასცა ამ კითხვას დადებითი პასუხი.

მასწავლებლების ყველა ჯგუფში ისმოდა საკუთარი სკოლის მხოლოდ პოზიტიური შეფასება.

„ასეთი სკოლები რომ ბევრი იყოს, როგორიც ჩვენია, გაცილებით ნაკლები პრობლემა იქნებოდა“ (ქუთაისი);

„ბევრი პროგრამა მუშაობს ჩვენთან. ჩვენი გამორჩეული სკოლაა. ჩვენც გვაქვს პრობლემები, მაგრამ რასაც ჩვენ პრობლემად ვთვლით, სხვა სკოლები იტყვიან, ეს არ არის პრობლემაო“ (თბილისი).

თუმცა, ისიც ითქვა, რომ *„ზოგადად სკოლა არ უყვართ ბავშვებს, მაგრამ სკოლაში გატარებული დრო კი მოწონთ“ (ბათუმი).*

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მასწავლებლებთან დისკუსიის დროს აღმოჩნდა, რომ წიგნის წაკითხვა მოსწავლეთა დასჯის ნაირსახეობას წარმოადგენს:

> *„საერთოდ, ჩვენთან მიღებულია ბიბლიოთეკაში ჩასვლა, რამის წაკითხვა და მერე ჩაბარება. ეს არის ბავშვისთვის დამსჯელობითი. კიდევ საკლასო ოთახის მოწესრიგება, ან ეზოს ან ყვავილების მოვლა, ან მერხების გაწმენდა; ყოფილა, რომ ცუდად მოქცევის გამო ბავშვი გაკვეთილიდან გამოუშვეს. ბიბლიოთეკაში მისცეს წიგნი 9 აპრილზე და გაიგო ყველაფერი 9 აპრილზე“ (თბილისი, კერძო სკოლა).*

ყველა სკოლის მასწავლებლები ამბობენ, რომ მათ სკოლაში თამბაქოს და ალკოჰოლის მოხმარების ფაქტები არ ყოფილა. თუმცა, ისიც აღინიშნა, რომ *„სკოლის შენობაში არა, მაგრამ იპარებიან გარეთ, ეწევიან და ბრუნდებიან უკან“ (თბილისი).* თქვეს, რომ თამბაქოს და ალკოჰოლის მოხმარების საკითხი მკაცრად კონტროლდება ყველა სკოლაში და არსებობს სანქციები სკოლის შინაგანაწესის დარღვევისთვის:

> *„მანდატური წერს ოქმს. ოქმზე რეაგირება სხვადასხვა სახით ხდება - სიტყვიერი გაფრთხილება, საყვედური, გაკვეთილების შემდეგ სკოლაში დატოვება და სკოლისთვის სასრგებლო საქმის შესრულება. მოსწავლესთან საუბრის ჩატარება“ (ქუთაისი);*
>
> *„(თუ დაფიქსირდა, რომ მოსწავლემ მოწია) ოქმი იწერება. დისციპლინურზე შეიძლება გავიდეს და მიიღებს საყვედურს. რა მერე?! არაფერი. ის კი არა, კანონით რომ არის დაშვებული, რომ 5 დღემდე დირექტორს შეუძლია გარიცხოს და 10 დღემდე სამეურვეო საბჭოს, ამაზე გვედავებიან ბავშვთა უფლებების დამცველები. ამით არღვევთო განათლების უფლებას“ (თბილისი);*

მასწავლებლების გადმოცემით, არ ყოფილა ცივი იარაღის სკოლაში მიტანის შემთხვევებიც. თუ მოსწავლეს ცივი იარაღი აღმოაჩნდა, *„ალბათ უნდა ჩამოვართვათ, ადმინისტრაციას, მანდატურს, პოლიციას შევატყობინებთ, რა თქმა უნდა“ (თბილისი).*

ასევე, ყველა მშობელი აღნიშნავს, რომ სკოლებში მკაცრი კონტროლია და ამით კმაყოფილები არიან:

> *„სკოლაში კონტროლია და ძალიან ვემადლიერები ამ სკოლას“ (თბილისი);*
>
> *„სკოლიდან ადრე ვერ გავა იმიტომ, რომ ძალიან ყურადღებით არის ყველა. ყველას ეშინია, რამე არ მოხდეს. გამონაკლისები შეიძლება იყოს, მაგრამ ესე*

მიდი-მოდი, როცა უნდა, არ არის“ (თბილისი);

„სკოლა რეაგირებს, როცა ფაქტი ხდება. დამრიგებელი, მანდატური, მერე მშობელს ატყობინებენ“ (ქუთაისი).

ყველა ჯგუფში მშობლები ერთხმად აღიარებენ, რომ სკოლის კედლებში მკაცრად კონტროლდება თამბაქოს და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება:

„სკოლაში კარგა ხანია ეს არ მომხდარა. ვინ გაბედავს სკოლაში. რაც მანდატურები შემოვიდა, აღარ ხდება. მანამდე უფრო გვესმოდა, რომ ხდებოდა და ახლა აღარ“ (ქუთაისი);

„აქამდე პლანის ან თამბაქოს პრობლემაზე არაფერი არ გამიგია. ყველაფერზე რეაგირება ხდება“ (თბილისი).

შესაძლებლობები და წახალისება პროსოციალური ჩართულობისთვის

როდესაც ახალგაზრდას ეძლევა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს სასკოლო აქტივობებში და ამისთვის აქებენ კიდეც, ეს აძლიერებს სკოლისადმი მიკუთვნებულობის გრძნობას, აადვილებს სასკოლო სტანდარტებისა და წესების მიმღებლობას.

ცხრილი 65. სკოლის შესაძლებლობები და წახალისება პროსოციალური ჩართულობისთვის, სქესის მიხედვით

	სქესის მიხედვით				სულ (%)	
	მამრ. (%)	მდედრ (%)	მამრ. (%)	მდედრ (%)		
შესაძლებლობები						
	დიახ		*არა*		*დიახ*	*არა*
ჩემს სკოლაში მოსწავლეებს ხშირად ეძლევათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ საკლასო აქტივობების დაგეგმვაში და სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში	74,7	80,5	25,3	19,5	78,1	21.9
	ბევრია		*არის, მაგრამ ცოტა*		*ბევრია*	*არის, მაგრამ ცოტა*
ჩემს სკოლაში არის შესაძლებლობა, რომ მოსწავლეები ჩაერთონ სპორტულ სექციებში, კლუბებში და სხვა კლასგარეშე აქტივობებში	26,3	27,4	60,3	58,8	27	59

	ყოველთვის		ხშირად		ყოველთვის	ხშირად
ჩემს სკოლაში მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, ცალკე პირისპირ ესაუბრონ მასწავლებელს	23,4	27,4	49,9	45,8	47,2	29,5
მოსწავლეებს გვაქვს საშუალება, მონაწილეობა მივიღოთ კლასის დისკუსიებში და აქტივობებში	47,1	57,9	36,5	28,4	53,4	31,8
წახალისება						
ჩემი მასწავლებელი (მასწავლებლები) ამჩნევს, როდესაც რაიმეს კარგად ვაკეთებ და მაქებს	23,4	27,1	49,9	45,8	25,5	47,5
მასწავლებელი ატყობინებს ჩემს მშობლებს, როდესაც რაიმეს კარგად ვაკეთებ	10	11,8	23,9	19,5	11	21

უნივერსიტეტების სტუდენტთა 55,2% მონაწილეობს უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებსა და კონფერენციებში. სტუდენტების 74,2% ამბობს, რომ მის სასწავლებელში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სასწავლებლისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში, მაგრამ ამ გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობას ადასტურებს სტუდენტების 32%.

დიაგრამა 32. სკოლის შესაძლებლობები და წახალისება პროსოციალური ჩართულობისთვის (საშუალო მაჩვენებლები)



როგორც მოსწავლეებთან, ისე სტუდენტებთან, სასწავლებელში პროსოციალური შესაძლებლობების არსებობა კორელაციაშია პროსოციალურ ქცევებთან. ასევე, შექება და წახალისება სკოლაში კორელაციაშია პროსოციალურ ქცევებთან.

ყველა სკოლაში მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ აქვთ მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანო და მოსწავლეებს საშუალება აქვთ, მიიღონ მონაწილეობა გარკვეული საკითხების გადაწყვეტაში.

> *„თვითმმართველობა გვაქვს... რაღაც რომ მოხდება, მეტნაკლებად ვრთავთ რომ იცოდნენ, ისინი არიან პასუხისმგებელნი ამა თუ იმ საქციელის გამო და მათაც ვეკითხებით. სრულუფლებიანი წევრები არიან გარკვეულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებაში“ (ბათუმი).*

მასწავლებლების გადმოცემით, მოსწავლეების მონაწილეობით ზოგიერთ სკოლაში ჩატარდა გარემოს დასუფთავების აქციები გარემოს დაცვის დღესთან დაკავშირებით; რამდენიმე სკოლაში მოსწავლეებმა საკუთარი ინიციატივით დაგეგმეს და განახორციელეს საქველმოქმედო აქციები უბედური შემთხვევის შედეგად დაშავებული თანასკოლელის დასახმარებლად, სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული დახმარების თხოვნის საპასუხოდ, მზრუნველობას მოკლებული ბავშვების დასახმარებლად:

> *„თავის ძალებით საათნახევრიანი კონცერტი გამართეს. მშობლები მოიწვიეს. მთელი სკოლის აქტივი ჩართეს ამაში, თემი ჩართეს... ოღონდ ყველაფერი თვითონ გააკეთეს. ერთ-ერთი მოსწავლე იყო, რომელსაც უნდა ემღერა და არ უნდოდა ეს - ვერ ვმღერიო და ბოლოს თქვა - კარგი, დაცინვასაც ავიტან, ოღონდ ეს გაკეთდესო“ (თბილისი).*

ერთ-ერთ კერძო სკოლაში უფროსკლასელები ეხმარებიან სწავლაში დაწყებითი კლასის მოსწავლეებს. *„ეხლა გვაქვს ასეთი „ისწავლე, ასწავლე“. უფროსკლასელები ამეცადინებენ პატარებს, რომლებსაც ახალი დაწყებული აქვთ კითხვა და ვისაც უჭირს, ეხმარებიან. მალე 12 ბავშვს, წახალისების მიზნით გადაეცემა სერტიფიკატი, რომ ასწავლეს ესა და ეს, წაუკითხეს ამდენი ზღაპარი და ა.შ.“ (თბილისი).*

მშობლების ნაწილი ამბობს, რომ სკოლაში ბავშვებს სოციალური აქტივობის შესაძლებლობა არ ჰქონიათ. ნაწილმა იცის, რომ ბავშვებს ფულადი დახმარება გაუწევიათ, შეუგროვებიათ ტანსაცმელი სოციალურად დაუცველებისთვის, მონაწილეობა მიუღიათ გარემოს დასუფთავებაში:

> *„ტანსაცმელი მოუტანიათ...“ „ფულადი დახმარებაც ხომ იყო, ვიღაც რომ ოპერაციას იკეთებდა“;*

„ჩვენთან არის ხოლმე, თავის კლასს რომ თვითონ ალაგებენ. ეგეც მომწონს...“ „ერთი პერიოდი აკრძალეს, დამლაგებლის საქმეაო, მაგრამ ეხლა ისევ არის. ბიჭებიც და გოგოებიც ალაგებენ...“ „სხვათა შორის, ყველა რჩება. მოსწონთ.“ „ეზო კარგად დაასუფთავეს, გულიანად“ (თბილისი).

მშობლებმა აღნიშნეს, რომ სკოლებში არის წრეები, მაგრამ არ არის ყველასათვის ხელმისაწვდომი:

„სკოლა ბევრ საშუალებას აძლევს, ჩაერთონ წრეებში - მათემატიკის, ხელოვნების... ბევრი რაღაც არის“ (ბათუმი);

„წრეები არის, როგორ არ არის? მაგრამ უკავშირდება მაინც ფინანსებს. ამიტომ შეიძლება ბევრს სურს, მაგრამ ფინანსების გამო ვერ ახერხებს“ (თბილისი);

„ყველასთვის არ არის ხელმისაწვდომი და რომ იყოს, ყველასათვის გაცილებით უკეთესი იქნება. შეიძლება ბავშვი აკადემიურად ვერ სწავლობდეს და სპორტში იყოს უნიკალური“ (თბილისი).

მასწავლებლები კარგად აცნობიერებენ წახალისების მნიშვნელობას და აღნიშნავენ, რომ ნებისმიერი, თუნდაც მცირე წარმატებისთვის აქვთ წახალისების სხვადასხვა ფორმები მაგალითად, პირად საქმეში შეტანა, სიტყვიერი შექება, სიგელები, კლასის წინაშე შექება, სკოლის ვებგვერდზე გამოქვეყნება, მშობლისთვის შეტყობინება:

„ნებისმიერი მოსწავლის წარმატება იდება სკოლის გვერდზე მაშინვე, უბრალო რამეც რომ გააკეთოს, თუნდაც თავისი ინიციატივით დაალაგა კლასი“;

„შევაქოთ, როგორც პიროვნება, დავაფასოთ, როგორც პიროვნება. ამ შემთხვევაში ბავშვისგან მეტი პოზიტივი მოდის“;

„ძალიან ცელქი ბავშვი როდესაც კარგად მოიქცა, კარგი რაღაცეები დავწერე ელექტრონულ ჟურნალში და ბავშვი იყო გაკვირვებული - მასწ, მადლობა როგორ დამიწერეო. მე ვუპასუხე, კარგი იყავი და როგორ არ უნდა დამეწერაო“; „ეს მოტივაციას უქმნის ბავშვს“.

მშობლების მოსაზრებები ამ საკითხებთან დაკავშირებით ცოტა განსხვავებულია: მათი ნაწილი თვლის, რომ მასწავლებლები არ ცდილობენ მოსწავლეების წახალისებას: *„მაგის დეფიციტი გვაქვს. მშობლის წინაშე რომ შვილი აღიარონ პედაგოგებმა, ამის დეფიციტი გვაქვს...ზოგი ფიქრობს, რომ ბევრი ქება არ შეიძლება“ (თბილისი); „სკოლას შეუძლია მარტო ის, რომ დაგირეკოს და გითხრას, რომ შენი შვილი ცუდად იქცევა“ (თბილისი),* და

აღნიშნავენ, რომ მათი შვილების წარმატებების შესახებ იგებენ მხოლოდ მშობელთა კრებებზე ან მაშინ, როცა თვითონ მიდიან სკოლაში მშობლის დღეს: *„მაგი კრებაზე მარტო... სპეციალურად არ ატყობინებენ“ (ქუთაისი). თუმცა არსებობს წახალისების ფორმები: „სიგელებსაც აძლევენ, სისტემაა აწყობილი, მაგრამ ყოველდღიური სახე არა აქვს“ (ქუთაისი).*

მხოლოდ ერთმა გაიხსენა, რომ მისი შვილი სკოლამ უფასოდ გაუშვა საზაფხულო ბანაკში: „ჩემი ბავშვი იყო წელს, სკოლიდან გაუშვეს ანაკლიაში. მაშინ უფასოდ იყო და ისეთი კმაყოფილი ჩამოვიდა, რომ ახლა თანხას გადავიხდი, რომ ისევ წავიდეს“ (ბათუმი).

თანატოლები

თანატოლებთან ურთიერთობა და შეხედულებები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფსიქოაქტიური ნივთიერებებისადმი და მათი მოხმარებისადმი მოზარდების განწყობების ფორმირებაში (Petraitis et al., 1995). ნივთიერებების მოხმარების მიმართ თანატოლების უარყოფითი დამოკიდებულება შეიძლება დამცავი ფაქტორი აღმოჩნდეს, ხოლო თანატოლების მიერ ნარკოტიკების მოხმარება მოზარდის მიერ ნარკოტიკების მოხმარების დაწყების უმნიშვნელოვანესი რისკ-ფაქტორია (Duncan et al., 1998; Jessor, Turbin, & Costa, 1998; Olds & Thombs, 2001; Windle, 2000)[14].

შეხედულებები, განწყობები

ახალგაზრდების პირადი შეხედულებებისა და განწყობების გარდა, სოციალური ნორმები - დაწერილი ან დაუწერელი წესები და მოლოდინები იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს მისაღებ ქცევად - ახდენს ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული არჩევანის ფორმირებას. ნარკოტიკების მოხმარებასა და სხვა დევიაციურ ქცევებთან დაკავშირებული განწყობები და ქცევა ხშირად თანატოლებთან ურთიერთობაში ყალიბდება. ამიტომ მოლოდინმა, თუ როგორი რეაქცია ექნება თანატოლების წრეს ამა თუ იმ ქცევაზე, შეიძლება განსაზღვროს მოზარდის არჩევანი.

როგორც ცხრილებიდან 66-67 ჩანს, ახალგაზრდები ფიქრობენ, რომ მათი თანატოლები ნაკლებად უარყოფითად აფასებენ (არც ისე ცუდია, სულაც არ არის ცუდი) თამბაქოს, ალკოჰოლისა და მარიხუანას მოხმარებას. გოგონებთან შედარებით ვაჟების მეტი რაოდენობა თვლის, რომ მათი თანატოლები შედარებით დადებითად აფასებენ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებას.

ცხრილი 66. თანატოლების დამოკიდებულება ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების მიმართ, განათლების საფეხურის მიხედვით

როგორ შეაფასებენ შენი მეგობრები, თუ შენ:	ძალიან ცუდია		ცუდია		არც ისე ცუდია		სულაც არ არის ცუდი	
	მოსწ. (%)	სტუდ. (%)	მოსწ. (%)	სტუდ. (%)	მოსწ. (%)	სტუდ. (%)	მოსწ. (%)	სტუდ. (%)
დალევ 1-2 ჭიქა ალკოჰოლურ სასმელს თითქმის	48	43,4	33,2	29	10,6	12,1	8,2	15,5

[14] Connell et al. Social-ecological influences on patterns of substance use among non-metropolitan high school students. Am J Community Psychol. 2010 March

ყოველდღე								
დალევ 1-2 ბოთლ ლუდს თითქმის ყოველდღე	62,9	47,8	28,3	32,5	5,9	13,7	2,9	6
ერთხელ მოწევ სიგარეტს	29,2	16,1	28,8	28,8	27,5	30,4	14,5	24,7
ხშირად მოწევ სიგარეტს	62,2	43,7	23,2	26,6	8,3	12,9	6,3	16,7
მოწევ ელექტრონულ სიგარეტს	30,1	24	28	25,5	27,8	28,9	4	21,6
მოწევ მარიხუანას (პლანს)	66,2	51	20,4	22,6	8,1	15,5	5,3	10,9
მიიღებ ფსიქოტროპულ წამლებს ექიმის დანიშნულების გარეშე	83,4	76,1	13,2	17,6	2,1	4,5	1,3	1,8
მოიხმარ LSD-ს, ბიოს, ექსტაზის (MDMA), ამფეტამინს ან სხვა ნარკოტიკს	87,1	79,1	8,1	13,3	2,7	5,4	2	2,3

სტუდენტებმა დამატებით უპასუხეს შეკითხვას საინექციო ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებით. პასუხები ასე გადანაწილდა: ძალიან ცუდია - 87%; ცუდია - 9,7%; არც ისე ცუდია -2,3%; სულაც არ არის ცუდი - 1%.

ცხრილი 67. თანატოლების დამოკიდებულება ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების მიმართ, სქესის მიხედვით

როგორ შეაფასებენ შენი მეგობრები, თუ შენ:	ძალიან ცუდია		ცუდია		არც ისე ცუდია		სულაც არ არის ცუდი	
	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)
დალევ 1-2 ჭიქა ალკოჰოლურ სასმელს თითქმის ყოველდღე	38,9	48,4	29,3	31,1	16,9	8,5	15	12
დალევ 1-2 ბოთლ ლუდს თითქმის ყოველდღე	43,9	57,9	30,8	31,3	17,9	7,2	7,3	3,6
ერთხელ მოწევ სიგარეტს	19,3	21	28,4	19	29,3	29,5	23	20,4
ხშირად მოწევ სიგარეტს	42,2	54,3	24,6	26	16,6	8,4	16,7	11,3
მოწევ ელექტრონულ სიგარეტს	22	28,3	21,3	29,3	32,2	26,4	24,4	16
მოწევ მარიხუანას (პლანს)	43,5	63,3	23,4	21	16,8	10,9	16,3	4,9
მიიღებ ფსიქოტროპულ	74,5	80,8	15,9	16,3	6,6	2,1	3	0,9

წამლებს ექიმის დანიშნულების გარეშე								
მოიხმარ LSD-ს, ბიოს, ექსტაზის (MDMA), ამფეტამინს ან სხვა ნარკოტიკს	74,8	85,8	13,2	10,6	8	2,5	4	1,2

მოსწავლეებთანაც და სტუდენტებთანაც გამოჩნდა კორელაცია თანატოლების მიერ როგორც ლეგალური, ისე არალეგალური ნივთიერებების მოხმარების მიმართ მიმღებლობასა და ამ ნივთიერებების მოხმარებას შორის. ანტისოციალურ ქცევებთან კორელაციაშია თანატოლების მიმღებლობა მარიხუანას, ფსიქოტროპული წამლებისა და ლსდ/ბიო/ექსტაზი/ამფეტამინის და სხვა ნივთიერებების მოხმარების მიმართ.

გამოცდილება ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან, სხვა ანტისოციალურ და პროსოციალურ ქცევებთან დაკავშირებით

ახალგაზრდები, რომლებიც პრობლემურ ქცევებში ჩართულ თანატოლებთან ურთიერთობენ, თავადაც იმყოფებიან ასეთი ქცევების განხორციელების რისკის ქვეშ. ცხრილი 68 გვიჩვენებს მოსწავლეებისა და სტუდენტების უახლოესი მეგობრების გამოცდილებას ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან, ანტისოციალურ და პროსოციალურ ქცევებთან დაკავშირებით. ამ საკითხის საკვლევად ახალგაზრდებმა უპასუხეს შეკითხვას: „გაიხსენეთ ყველაზე ახლო 4 მეგობარი. თქვენი ახლო მეგობრებიდან რამდენია, ვისაც ბოლო ერთი წლის მანძილზე...“

ცხრილი 68. მეგობრების გამოცდილება ნივთიერებების მოხმარებასთან, სხვა ანტისოციალურ და პროსოციალურ ქცევებთან დაკავშირებით, განათლების საფეხურის მიხედვით

ბოლო ერთი წლის მანძილზე შენი ახლო მეგობრებიდან რამდენია, ვისაც:	არც ერთი		ერთი		ორი		სამი ან ოთხი	
	მოსწ. (%)	სტუდ. (%)	მოსწ. (%)	სტუდ. (%)	მოსწ. (%)	სტუდ. (%)	მოსწ. (%)	სტუდ. (%)
მეგობრების მიერ ნარკოტიკების მოხმარება								
მოუწევია სიგარეტი	29,3	22,5	23,5	16,7	19,6	16,8	27,7	44
დაულევია ლუდი, ღვინო ან მაგარი სასმელი (არაყი, კონიაკი, ვისკი)	45,4	16,5	15,1	17,4	10,1	14,9	29,4	51,1
მოუწევია მარიხუანა	57,2	36	12,4	14,4	11,7	15,3	18,7	34,3
გაუსინჯავს LSD, ბიო, ექსტაზი, ამფეტამინი ან სხვა ნარკოტიკი	79,5	70,3	11,7	11,4	4,8	10	4,1	8,3
მიუღია ფსიქოტროპული წამლები ექიმის დანიშნულების გარეშე	90,8	82,5	6,8	7,6	0,9	5,2	1,5	4,6

ანტისოციალური ქცევის მქონე თანატოლებთან ურთიერთობა								
ატარებდა დანას	85,3	82,7	10,5	8,7	2,2	4,6	2	4
ყიდდა ნარკოტიკებს	93,6	94,5	5,4	3,1	0,3	0,8	0,8	1,7
თამაშობდა ფულზე	66,1	49,9	15,7	16,4	8,4	15,9	9,7	17,8
მოუპარავს მანქანა ან მოტოციკლი ან უცდია მათი მოპარვა	93,5	94,2	3,8	2,1	1,5	2,1	1,2	1,6
მოუპარავს მანქანის ნაწილები	93,5	92,9	5,1	1,9	0,3	3,4	1,1	1,8
მოუპარავს ფული, მობილური ან სხვა ნივთები	89,3	93,2	7,5	2,8	1,9	2,5	1,3	1,5
დაუკავებია პოლიციას	88,7	86,9	8,5	7,4	1,1	2,9	1,6	2,8
იყო ჯგუფის წევრი, რომლის ქცევაც ითვლება წვრილმან დანაშაულად ან საზოგადოებისთვის მიუღებლად	88,2	91,3	8,9	3,4	1,8	3	1,1	2,4
მაღაზიიდან მალულად წამოუღია რაიმე ფულის გადაუხდელად	75,2	81,9	14,2	9,5	5	5,4	5,6	3,2
განზრახ დაუზიანებია ან გაუნადგურებია სხვისი საკუთრება (არ ითვლება ოჯახის საკუთრება)	83,6	88,2	9,8	6,3	2,9	3,3	3,8	2,2
პროსოციალური ქცევის მქონე თანატოლებთან ურთიერთობა								
მონაწილეობდა სასკოლო/საუნივერსიტეტო აქტივობებში, კლუბებში და წრეებში	22	18,4	17	15	19,8	26,9	41,3	39,7
კარგად სწავლობდა	8,6	6	15,4	15,4	24,3	24,6	51,6	54,1
მოსწონდა სასწავლებელი	32,8	9,4	13,1	11,6	14,2	16,1	39,8	62,9
სისტემატურად ესწრებოდა რელიგიურ მსახურებას	54,3	57,4	22,2	19,9	14,9	13	8,7	9,7

სტუდენტებს უნდა დაესახელებინათ მეგობრების რაოდენობა, რომლებიც ატარებდნენ ცეცხლასროლ იარაღს. პასუხები ასე გადანაწილდა: არცერთი - 86,1%; ერთი - 8,3%; ორი - 2,2%; სამი ან ოთხივე - 3,4%. მოსწავლეებს უნდა დაესახელებინათ მეგობრების რაოდენობა, რომლებიც დაითხოვეს სკოლიდან. პასუხები ასე გადანაწილდა: არცერთი - 86,9%; ერთი - 8,5%; ორი - 2,1%; სამი ან ოთხივე - 2,4%.

მოსწავლეების 42,8% და სტუდენტების 64% აღნიშნავს, რომ მის რომელიმე მეგობარს მაინც მოუწევია მარიხუანა. LSD, ბიო, ექსტაზი, ამფეტამინი ან სხვა ნარკოტიკი გაუსინჯავს მოსწავლეების 20,5%-ის და სტუდენტების 29,7%-ის თუნდაც ერთ მეგობარს.

ანტისოციალური ქცევებიდან შედარებით მეტია იმ ახალგაზრდების რაოდენობა, ვის მეგობრესაც უთამაშიათ ფულზე ან მაღაზიიდან მალულად წამოუღიათ რაიმე ფულის გადაუხდელად. საკმაოდ მაღალია იმ ახალგაზრდების რაოდენობა, ვის მეგობრებსაც აქვთ პროსოციალური ქცევების გამოცდილება.

ცხრილი 69. მეგობრების გამოცდილება ნივთიერებების მოხმარებასთან, სხვა ანტისოციალურ და პროსოციალურ ქცევებთან დაკავშირებით, სქესის მიხედვით

ბოლო ერთი წლის მანძილზე შენი ახლო მეგობრებიდან რამდენია, ვისაც:	არც ერთი		ერთი		ორი		სამი ან ოთხი	
	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)
მეგობრების მიერ ნარკოტიკების მოხმარება								
მოუწევია სიგარეტი	11,9	32,2	17,9	19,5	17,2	18	53	30,2
დაულევია ლუდი, ღვინო ან მაგარი სასმელი (არაყი, კონიაკი, ვისკი)	22,8	27,9	16,8	16,6	13,3	13,3	47,2	42,1
მოუწევია მარიხუანა	30	50,5	11,1	15,3	14,2	14	44,8	20,2
გაუსინჯავს LSD, ბიო, ექსტაზი, ამფეტამინი ან სხვა ნარკოტიკი	62,6	79,5	11,5	11,5	11,9	6,1	14	2,9
მიუღია ფსიქოტროპული წამლები ექიმის დანიშნულების გარეშე	76,7	90,2	9,1	6,3	6,6	2,1	7,6	1,4
ანტისოციალური ქცევის მქონე თანატოლებთან ურთიერთობა								
ატარებდა დანას	70,1	91,4	15,1	5,9	6,5	2,3	8,3	0,5
ყიდდა ნარკოტიკებს	88,4	97,6	7,1	2	1,1	0,3	3,5	0,1
თამაშობდა ფულზე	37,6	65,4	13,8	17,5	19,8	9,7	28,8	7,3
მოუპარავს მანქანა ან მოტოციკლი ან უცდია მათი მოპარვა	87,6	97,7	4,7	1,5	4	0,7	3,8	0,1
მოუპარავს მანქანის ნაწილები	86	97,2	5	1,8	4,7	1	4,3	0
მოუპარავს ფული, მობილური ან სხვა ნივთები	86	95,3	5,4	3,7	4,7	0,9	3,9	0
დაუკავებია პოლიციას	77,7	93,1	11,7	5,5	5	0,7	5,6	0,6
იყო ჯგუფის წევრი, რომლის ქცევაც ითვლება წვრილმან დანაშაულად ან საზოგადოებისთვის მიუღებლად	82,7	94,6	7,9	3,6	5,9	0,7	3,5	1,1
მაღაზიიდან მალულად წამოუღია რაიმე ფულის გადაუხდელად	68,8	86	14,7	8,9	8,5	3,4	8	1,7
განზრახ დაუზიანებია ან გაუნადგურებია სხვისი საკუთრება (არ ითვლება ოჯახის საკუთრება)	79,1	91	8,8	6,6	5,8	1,6	6,2	0,7
პროსოციალური ქცევის მქონე თანატოლებთან ურთიერთობა								
მონაწილეობდა სასკოლო/საუნივერსიტეტო აქტივობებში, კლუბებში და წრეებში	18,5	20,2	16,9	15	20,5	26,9	44,1	38
კარგად სწავლობდა	10,8	4,6	18,3	13,7	26,5	23,3	44,4	58,3
მოსწონდა	22,4	14,1	14,4	10,7	17,4	14,4	45,7	60,8

სკოლა/სასწავლებელი								
სისტემატურად ესწრებოდა რელიგიურ მსახურებას	55,2	57,1	19,5	21,3	15,4	12,7	9,9	9

სქესის მიხედვით მონაცემების შედარება გვიჩვენებს, რომ გოგონებთან შედარებით მაღალია იმ ვაჟების რაოდენობა, ვის მეგობრებსაც მოუხმარიათ ნარკოტიკული ნივთიერებები და აქვთ ანტისოციალური ქცევების გამოცდილება.

უახლოესი მეგობრების მიერ ფსიქოატიური ნივთიერებების მოხმარება კორელაციაშია მოსწავლეებსა და სტუდენტებში ნივთიერებების მოხმარების გამოცდილებასთან. მოსწავლეებში უახლოესი მეგობრების მიერ ფსიქოატიური ნივთიერებების მოხმარება არ არის კორელაციაში ანტისოციალურ ქცევებთან, ხოლო სტუდენტებთან ეს კორელაცია გამოვლინდა.

მოსწავლეების შემთხვევაში, მეგობრების ზოგიერთი ანტისოციალური ქცევა (ფულზე თამაში და ქურდობა) კორელაციაშია მარიხუანას და სხვა არალეგალური ნარკოტიკების მოხმარებასთან; ხოლო სტუდენტების შემთხვევაში გამოვლინდა კორელაცია საინექციო ნარკოტიკების მოხმარებასა და მეგობრების ისეთი ანტისოციალური ქცევების გამოცდილებას შორის, როგორიცაა ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის ტარება, ქურდობა, სხვისი ქონების დაზიანება.

მეგობრების ანტისოციალური ქცევები ასევე კორელაციაშია მოსწავლეებისა და სტუდენტების ანტისოციალური ქცევების გამოცდილებასთან. სტუდენტებთან გამოიკვეთა ისეთი ქცევები, როგორიცაა ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის ტარება, ქურდობა, სხვისი ქონების დაზიანება და ნარკოტიკის გაყიდვა.

ანტისოციალური და პროსოციალური ქცევის წახალისება თანატოლების მხრიდან

როგორც ქვემოთ მოცემულ ცხრილებზე ჩანს (ცხრილები 70 და 71), მოსწავლე ვაჟების 16,6% და გოგონების 17,4% ფიქრობს, რომ საკმაოდ მაღალი შანსია იმისა, რომ გახდე პოპულარული თანატოლებში, თუ მოწევ სიგარეტს. მოსწავლეების მხოლოდ ნახევარი ფიქრობს, რომ მარიხუანას მოწევით პოპულარობის მიღწევის შანსი არ არსებობს. რაც შეეხება პროსოციალურ ქცევებს, მოსწავლეების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ თანატოლებში პოპულარობის მოპოვება შეიძლება კარგი სწავლით, თუმცა ყოველი მეოთხე მოსწავლის აზრით, ამის მცირე შანსი არსებობს. მსგავსი სურათია მოსწავლეებში ნარკოტიკზე უარის თქმის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

ცხრილი 70. ანტისოციალური და პროსოციალური ქცევის წახალისება თანატოლების მხრიდან, მოსწავლეები

რამდენად შესაძლებელია გახდე პოპულარული თანატოლებში, თუ:	ძალიან მაღალი შანსია		საკმაოდ მაღალი შანსია		მცირე შანსია		შანსი არ არსებობს	
	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)
ნივთიერებების მოხმარება								
მოწევ სიგარეტს	8,9	6,5	16,6	17,4	30,2	31	44,4	45,1
დაიწყებ ალკოჰოლური სასმელების დალევას რეგულარულად, თუნდაც თვეში ერთხელ ან ორჯერ	3,7	3,8	15	1,9	33,6	29,4	47,6	54,9
მოწევ მარიხუანას	8,6	8,8	15,9	16,2	24,8	20,6	50,7	54,4
ანტისოციალური ქცევა								
ატარებ დანას	7,6	5,1	12,1	13,8	19,2	18,6	61,1	62,5
ითამაშებ ფულზე	4,4	3,6	6,2	12	32	19,9	37,4	64,5
პროსოციალური ქცევა								
კარგად ისწავლი	29,9	36,2	32,9	39,2	25,8	21,5	11,4	3,2
დაიცავ ვინმეს, ვისაც შეურაცხყოფას აყენებენ სკოლაში	34,6	32,1	33,4	37,1	23,6	22	8,4	8,8
ჩაერთვები საზოგადოებრივ საქმიანობაში მოხალისედ	20,9	22,6	29,6	38,2	34,3	28	15,2	11,2
გადაწყვეტ, რომ არ გაეკარები ნარკოტიკს	28,1	24,2	22,5	23,6	24	22,9	25,3	29,3

ცხრილი 71. ანტისოციალური და პროსოციალური ქცევის წახალისება თანატოლების მხრიდან, სტუდენტები

რამდენად შესაძლებელია გახდე პოპულარული თანატოლებში, თუ:	ძალიან მაღალი შანსია		საკმაოდ მაღალი შანსია		მცირე შანსია		შანსი არ არსებობს	
	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)
ნივთიერებების მოხმარება								

მოწევ სიგარეტს	8,1	5,9	18,8	13,7	33,9	35,3	39,2	45,1
დაიწყებ ალკოჰოლური სასმელების დალევას რეგულარულად, თუნდაც თვეში ერთხელ ან ორჯერ	13,6	7,3	13,4	8,8	36,2	28,7	36,8	55,2
მოიხმარ LSD-ს, ბიოს, ექსტაზის (MDMA), ამფეტამინს ან სხვა ნარკოტიკს	16,8	5,1	6,9	5,8	20,5	19,8	55,8	69,3
მიიღებ ფსიქოტროპულ წამლებს ექიმის დანიშნულების გარეშე	10,9	2,4	3,8	5,3	23	19,1	62,2	73,2
მოწევ მარიხუანას	11,8	3,7	8,8	3,5	19,6	20,9	59,8	71,9
ანტისოციალური ქცევა								
ატარებ დანას	10,9	1,7	4,8	6,8	26,6	26	57,7	65,5
ითამაშებ ფულზე	6,2	4,4	7,3	9	36	27,9	50,5	58,6
ატარებ ცეცხლსასროლ იარაღს	8,9	4,6	6,3	8,3	26,4	20,2	58,4	66,9
ხშირად გამოიცვლი სქესობრივ პარტნიორს	20,9	10,1	21,8	16	36,7	19,4	20,5	54,5
პროსოციალური ქცევა								
კარგად ისწავლი								
დაიცავ ვინმეს, ვისაც შეურაცხყოფას აყენებენ	37,3	38,9	36,2	37,6	18,6	13,7	7,9	9,8
ჩაერთვები საზოგადოებრივ საქმიანობაში მოხალისედ	26,5	38,1	34,6	31,8	25,9	15,8	13,1	14,3
გადაწყვეტ, რომ არ გაეკარები ნარკოტიკს	35,2	23,3	17,8	26,7	24,6	22,3	22,4	27,7
დაკავებული ხართ სპორტით	42	31,6	31	40,4	19,8	17,1	7,2	10,9
ჩართული ხართ სტუდენტურ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში	30,9	33,4	25,1	37	28,7	19,5	15,4	10,1
მონაწილეობთ სასწავლებლის სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში	35,3	37,5	31,9	36	20,5	18	12,3	8,5

მხოლოდ სტუდენტებში გამოვლინდა კორელაცია მარიხუანას და კლუბური ნარკოტიკების მოხმარების „მოდურობასა“ და ამ ნივთიერებების მოხმარებას შორის. შეხედულება, რომ კლუბური და საინექციო ნარკოტიკების მოხმარებით შესაძლებელია თანატოლებში პოპულარობის მოპოვება, კორელაციაშია ანტისოციალურ ქცევებთან.

სტუდენტებში ასევე გამოვლინდა კორელაცია ცეცხლსასროლი იარაღის ტარებით პოპულარობის მოპოვებასა და ანტისოციალურ ქცევებს შორის. შეხედულება, რომ პროსოციალური ქცევით შესაძლებელია თანატოლებში პოპულარობის მოპოვება, კორელაციაშია პროსოციალურ გამოცდილებასთან.

მასწავლებლების აზრით, თანატოლების წრეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების დაწყებაში: *„ზოგს საერთოდ არა აქვს სურვილი, გასინჯოს, თუნდაც ჰლანი, მაგრამ რომ ჩავარდება იმ გარემოში, სადაც ყველა ეწევა, ამასაც არ უნდა, რომ გამონაკლისი იყოს“ (თბილისი).*

მასწავლებლები ამბობენ, რომ ახალგაზრდების წრეში ალკოჰოლური სასმელებიდან უფრო ლუდის მოხმარებაა მიღებული. მასწავლებლებიც და მშობლებიც თვლიან, რომ ახალგაზრდებს შორის მოდურია მარიხუანას მოწევა:

> *„მასიურად შემოვიდა, მოდაშია და იმიტომ...“; „სასირცხვილო აღარაა, ჰირიქით, მაგარი ტონია“ (მასწავლებლები, ბათუმი).*
>
> *„სასმელი აღარ არის მოდაში, სასმელი ჩაანაცვლა კანაფმა“ (მშობელი, ქუთაისი);*
>
> *„ქორწილში ვიყავი რამოდენიმე ხნის წინ. ალკოჰოლს არ ეტანება არცერთი. იმიტომ, რომ ეწევიან მარიხუანას. მანამდე ასეთი რამ არ ხდებოდა. ეს რაღაც მოდურ ჩვევად იქცა უკვე“ (მშობელი, ბათუმი);*
>
> *„ახლა ალკოჰოლით ისე არ არიან დაინტერესებული, როგორც აბებით და სხვადასხვა მედიკამენტებით. ალკოჰოლი უკვე დაბალი დონეა მაგათთვის“ (მშობელი, თბილისი).*

მასწავლებლებთან საუბრისას გამოითქვა აზრი, რომ ახალგაზრდების ნაწილში პოპულარულია ცხოვრების ჯანსაღი წესი:

> *„მაინც არის წამოსული ტენდენცია, რომ მოწევა არ არის კარგი და კარგია სპორტი. მე მყავს მოსწავლეები - ბიჭები, სპორტს ვინც მისდევს. ძალიან მაგარი ბიჭები არიან, ძალიან პოპულარულებიც, მაგრამ არ ეწევიან, იმიტომ, რომ უმრავლესობა დაკავებულია სპორტით“ (თბილისი).*

თანატოლების ზეგავლენასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა იყო მშობლებს შორის. უმეტესი ნაწილი თვლიდა, რომ თანატოლების წრეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოზარდის ქცევაში:

> *„ჩემი შვილი 11-ე კლასშია და გარშემო ისეთი კარგი ბავშვები ყავს, ამ პრობლემას ვერ ვხედავ“ (ბათუმი);*
>
> *„ჩემი შვილი 11 წლისაა. მოვიდა და მეუბნება, ამ ბავშვებთან აღარ ვიმეგობრებო, იქ სიგარეტს ეწევიანო... იქ რომ ერთხელ მივა, ორჯერ და*

სამჯერ, მერე უკვე იძულებული გახდება, ასეთი ბავშვების გავლენის ქვეშ მოექცევა“ (თბილისი);

„მე სამი ვაჟის დედა ვარ და ძალიან მეშინია. მეგობრებისაც მეშინია, ამხანაგებისაც და მეზობლებისაც. ჩემი შვილი არსაიდან არაა დაცული“ (ბათუმი).

მშობლების ნაწილი კი თვლის, რომ თუ ბავშვი *„არ არის დაინტერესებული, ვერც წრე ჩააგდებს იმ სიტუაციაში, რომ ცუდი მაგალითი გადაიღოს. არის ასეთი ნებისყოფის ბავშვებიც... ჩემი აზრი ასეთია - თუ უნდა ბავშვს, გააკეთებს, თუ არ უნდა, არ გააკეთებს და ვერავინ ვერ აიძულებს“ (თბილისი).*

მშობლები აღნიშნავენ, რომ მოზარდები მარიხუანას მოიხმარენ ისეთი გარემოებაში, როცა გასული არიან როგორც მშობლების, ისე სკოლის თვალთახედვის არიდან:

„სანამ სკოლაში წავლენ, 2-3 ბიჭი შეუკეთებენ... თუ რაც არის... მოწევენ და შემდეგ წავლენ სკოლაში“ (თბილისი);

„წელს ამთავრებს ჩემი შვილი სკოლას და პირველი კლასიდან რომ მეგობრობენ, გოგოები და ბიჭები წავიყვანე სოფელში, გურიაში დასასვენებლად. მე იქ გოგომ გამიკეთა!!!..პლანი მოწია! კიდევ მე გავუწიე ანგარიში და ჩემ ოჯახს ვეცი პატივი. მთელი სამეზობლო გაიგებდა და ჩემ შვილზე იტყოდა, რა ამხანაგი ყოლიაო. იმის მშობელს რომ კითხო, ისეთი შვილი ყავს... მართლა გადაყოლილია. ამიტომ ვამბობ, ვერ მომწყემსავ შვილს“ (ბათუმი).

ფაქტორები თემის/უბნის დონეზე

მრავალ ნაშრომში არის ხაზგასმული, რომ თემის/უბნის არაორგანიზებულობა, სამეზობლოში ნარკოტიკების მოხმარების მაღალი დონე, ნარკოტიკების ხელმისაწვდომობა ახალგაზრდების მიერ ნივთიერებების მოხმარების დაწყების რისკ ფაქტორს წარმოადგენს. არსებობს იმის მტკიცებულება, რომ თემის/უბნის ასეთი მახასიათებლები ასოცირებულია მოზარდების პრობლემურ ქცევებთან (Bond, Toumbourou, Thomas, Catalano, & Patton, 2005; Jessor et al., 2003; Jessor, Van Den Bos, Vanderryn, Costa, & Turbin, 1995)[15].

[15] Connell et al. Social-ecological influences on patterns of substance use among non-metropolitan high school students. Am J Community Psychol. 2010 March

ფსიქოაქტიური ნივთიერებების ხელმისაწვდომობა

ფსიქოაქტიური ნივთიერებების იოლად ხელმისაწვდომობის განცდა - მაშინაც კი, როცა ამ განცდას ობიექტური საფუძველი არ გააჩნია, დაკავშირებულია ნარკოტიკების მოხმარების ზრდასთან.

ახალგაზრდებს ვუსვამდით კითხვას: „თუ გინდა, იყიდო ... , რამდენად ადვილი იქნება შენთვის მისი შეძენა?“ , რასაც თან მოყვებოდა ნივთიერებათა ჩამონათვალი. თითოეული ნივთიერებისათვის პასუხების ვარიანტები ასეთი იყო: „ძალიან ადვილი“, „ადვილი“, „ძნელი“, „ძალიან ძნელი“ და „არ ვიცი“.

იმ ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა, ვინც ამ კითხვაზე გასცა პასუხი „ძალიან ადვილი“ და „ადვილი“, მოცემულია ცხრილში 72. ყოველ მეხუთე მოსწავლეს და ყოველ მეორე სტუდენტს მიაჩნია, რომ მარიხუანა ადვილად ხელმისაწვდომია; კლუბური ნარკოტიკების ადვილად ხელმისაწვდომობაზე მიუთითებს ყოველი მეათე მოსწავლე და ყოველი მესამე სტუდენტი. საძილე და დამამშვიდებელი აბების ადვილად ხელმისაწვდომობა დაადასტურა მოსწავლეების 12.6%-მა და სტუდენტების 36%-მა. მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანთათვის თამბაქოს და ალკოჰოლური სასმელების მიყიდვა აკრძალულია, ძალიან მაღალია იმ მოსწავლეთა რაოდენობა, ვინც ამბობს, რომ ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო მათთვის ადვილად ხელმისაწვდომია.

ცხრილი 72. ფსიქოაქტიური ნივთიერებების ხელმისაწვდომობა, სქესისა და განათლების საფეხურის მიხედვით
(ახალგაზრდების რაოდენობა, ვინც აირჩია პასუხი „ძალიან ადვილი“ და „ადვილი“)

თუ გინდა, იყიდო ქვემოთ ჩამოთვლილი ნივთიერებები, რამდენად ადვილი იქნება შენთვის მათი შეძენა?	მოსწავლეები				სტუდენტები		
	მამრ. (%)	მდედრ. (%)	სულ (%)		მამრ. (%)	მდედრ. (%)	სულ (%)
მარიხუანა	28	18,6	22		55,6	40,5	45,6
„ბიო“, LSD, ან ექსტაზი (MDMA)	16,7	6,7	10,9		43,7	23,5	30,4
ფსიქოტროპული მედიკამენტები	14,9	10,9	12,6		49,1	29,3	36
ალკოჰოლური სასმელები (ლუდი, ღვინო ან მაგარი სასმელები)	66,7	56,7	60,9		-	-	-
თამბაქო	62,2	56,5	58,9		-	-	-

მოსწავლეებშიც და სტუდენტებშიც ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება კორელაციაშია მათ ხელმისაწვდომობასთან.

მასწავლებლების აზრით, მიუხედავად იმისა, რომ თამბაქოსა და ალკოჰოლური სასმელების გაყიდვა არასრულწლოვნებზე კანონით აკრძალულია, ამ წესს ძირითადად იცავენ დიდ სუპერმარკეტებში. რაც შეეხება უბნის პატარა მაღაზიებს, ზოგან იცავენ ამ წესს, მაგრამ არის შემთხვევები, რომ მოზარდები თავისუფლად ყიდულობენ თამბაქოსაც და ალკოჰოლურ სასმელებსაც. ბევრგან ქუჩაში იყიდება ღერებით. ამას აღნიშნავენ ყველა ქალაქში:

„მე თვითონ მწეველი ვარ და მაქვს ეგ გამოცდილება, რომ უბნის მაღაზიაშიც კი, სადაც ჩემი მეზობელია და ნამდვილად იცის, რომ ჩემთვის ვაგზავნი, მაინც არ აძლევენ“ (თბილისი);

„ჩემთან ეზოში ბავშვებს აგზავნიან მაღაზიაში და ჩვეულებრივად ყიდულობენ ბავშვები თამბაქოსაც და სასმელსაც. ეს აბრა არის მხოლოდ აბრა“ (თბილისი);

„მეტროს ჩასასვლელებთან ძალიან ხშირად მინახია, რომ ღერებით იყიდება“ (თბილისი).

მასწავლებლების მსგავსად, მშობლებიც აღნიშნავენ, რომ მხოლოდ დიდ სუპერმარკეტებში იცავენ წესს, რომ არასრულწლოვნებისთვის თამბაქოს მიყიდვა აკრძალულია. უბნის ზოგიერთ მაღაზიაში მოზარდები თავისუფლად ყიდულობენ თამბაქოს; ამასთან ერთად, ყველა ჯგუფში ითქვა, რომ ქუჩაში ისევ იყიდება სიგარეტი ღერებით; მშობლებს ისიც შეუნიშნავთ, რომ არასრულწლოვნებისთვის უფროსი ასაკის ბიჭები ყიდულობენ სიგარეტს იმ მაღაზიებში, სადაც იცავენ აკრძალვებს:

„დიდ სუპერმარკეტებში, სადაც აკრძალულია, არ აძლევენ, მაგრამ მეტროებთან რომ ყიდიან, თავისუფლად შეგიძლია შეიძინო თამბაქო“ (თბილისი);

„ჩვეულებრივად ყიდულობს მაღაზიაში სიგარეტს. ეს არის მოსაწესრიგებელი. რომ არ იცავენ, ამაზეც უნდა იყოს ჯარიმები“ (ბათუმი).

„ამ წუთასაც აქვე, უნივერსიტეტთან ზის ქალი და იმას შეუძლია ღერებით მიყიდოს ბავშვებს“ (ქუთაისი);

„ღერებით რომ სიგარეტი იყიდება, ის ნამდვილად არ ჰკითხავს, რამდენი წლის ხარო“ (თბილისი);

„სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს ჩვენს დასახლებაში უპრობლემოდ შეუძლიათ ბავშვებს (სიგარეტის) შეძენა. ღერების შეძენა ყოფილა ისევ შესაძლებელი ჯიხურებში“ (თბილისი).

„ისეც ხდება, რომ უფროსები პატარებს ეგზავნებიან მაღაზიაში და ყიდულობენ მათთვის“ (თბილისი)

მასწავლებლები თვლიან, რომ მარიხუანა ყველასათვის ძალიან ადვილად ხელმისაწვდომია:

„რაც ლეგალიზაციაზე საუბარი დაიწყო, რომ გადავიხედავ აივნიდან,

ჩამწკრივებულია რამდენიმე ძირი“ (თბილისი);

„კანაფი, რომელიც შეიძლება საქართველოს ნებისმიერ კუთხეში მოიყვანო, ძალიან ხელმისაწვდომია“ (ქუთაისი);

„კანაფის მოპოვებას სულ არ უნდა ფული. ჩვენთან სოფელში მოყავთ პირდაპირ ეზოებში. მთელი სოფლის ახალგაზრდობა არის დამოკიდებული“ (ბათუმი).

მშობლები ყველა ჯგუფში ერთხმად აღნიშნავენ, რომ ბოლო ხანებში განსაკუთრებით თვალშისაცემია მარიხუანას ადვილად ხელმისაწვდომობა:

„გავრცელდა ის... პლანი... და ეს არის მართლა კატასტროფული... პატარა 5-6-ე კლასელი ბავშვები ეწევიან. ეს არ იყო არასდროს, არც ჩემ ბავშვობაში, არც 5-6 წლის უკან. ბოლო ერთი წელია, რაც ეს ხდება. ეს საშინელებაა“ (ბათუმი);

„მარიხუანა ძალიან ადვილად ხელმისაწვდომია. ყოველ მეორეს დათესილი აქვს. ინტერნეტშიც კი იყიდება. ყველგან არის. ყვავილების მაგივრად აივნებზე ყველგან ეგ არის“ (თბილისი);

„უნივერსიტეტებში ძალიან ბევრია. ყველა ასაკობრივი კატეგორიის შვილი მყავს და აქედან გამომდინარე ვიცი“ (თბილისი);

„სოფლებში სულ იყო. ბინებშიც იყო, უბრალოდ არ აჩენდნენ, ეშინოდათ. ახლა რომ მიეცათ უფლება, არ აქვს მნიშვნელობა, არასრულწლოვანს თუ სრულწლოვანს, იმათაც ზურგი მიეცათ - ვერავინ ვერაფერს მეტყვისო“ (ქუთაისი).

მოზარდების მიერ ფსიქოტროპული მედიკამენტების მოხმარებასთან და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით მასწავლებლებს უჭირთ კონკრეტული პასუხის გაცემა. ნაწილი თვლის, რომ ამ მედიკამენტებს მოიხმარენ მხოლოდ *„მოზრდილები, ჩამოყალიბებული ნარკომანი ვინც არის“(თბილისი),* ნაწილი კი ვარაუდობს, რომ აფთიაქში ბავშვებსაც თავისუფლად შეუძლიათ ფსიქოტროპული წამლების შეძენა:

„ჩემი ქუჩის კუთხეში არის ერთი აფთიაქი ფსიქოტროპული, სადაც თავისუფლად მიდიან და ყიდულობენ... ალბათ ბავშვებისთვისაც ხელმისაწვდომია“ (თბილისი).

რაც შეეხება კლუბურ ნარკოტიკებს, მასწავლებლები ამბობენ, რომ ღამის კლუბებში არ უშვებენ არასრულწლოვნებს, მაგრამ კლუბური ნარკოტიკების შეძენა შეუძლიათ

ინტერნეტით: *„მაგისთვის სულაც არ არის საჭირო კლუბი, გამოწერა შეიძლება“ (თბილისი); „აქტიურად მოიხმარენ ე.წ. კლუბურ ნარკოტიკებს. პირად საუბარში ყოველთვის საუბრობენ კლუბურ ნარკოტიკებზე“ (თბილისი).* მართალია, ღამის კლუბები მოზარდებისთვის მიუწვდომელია, მაგრამ არსებობს სხვა საფრთხეები - *„ბინას ქირაობენ და მუსიკა, ბიო, მსუბუქი ნარკოტიკები... იქ ცუდად რომ გახდე, ბევრად უფრო ნაკლებია მშველელი, იმიტომ, რომ ყველა ერთი ასაკის არიან და ძალიან საშიშია“ (ქუთაისი).*

მშობლებს არ აქვთ ინფორმაცია, რა ხდება მათ გარემოში ფსიქოტროპულ მედიკამენტებთან დაკავშირებით. ხოლო ვინაიდან ღამის კლუბებში არასრულწლოვნებს არ უშვებენ, ვარაუდობენ, რომ კლუბური ნარკოტიკები მოზარდებისთვის არ იქნება ხელმისაწვდომი.

გადასვლა და მობილობა

ახალგაზრდების ერთი სკოლიდან მეორეში, ან ერთი უბნიდან მეორეში გადასვლაც პრობლემური ქცევების აღმოცენების რისკ ფაქტორად ითვლება. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ძველ გარემოსთან ურთიერთობის გაწყვეტა, ახალ გარემოსთან შეგუებასა და ახალი ურთიერთობების დამყარებასთან დაკავშირებული პრობლემები. ახალგაზრდების ცხოვრების მანძილზე და ბოლო ერთი წლის მანძილზე გადასვლისა და მობილობის მაჩვენებლები მოცემულია ცხრილებში 73 და 74:

ცხრილი 73. გადასვლა და მობილობა ცხოვრების მანძილზე, განათლების საფეხურის მიხედვით

	სიხშირე									
	არცერთხელ		1-2-ჯერ		3-4-ჯერ		5-6-ჯერ		მეტჯერ	
	მოსწ. (%)	სტუდ. (%)	მოსწ. (%)	სტუდ. (%)	მოსწ. (%)	სტუდ. (%)	მოსწ. (%)	სტუდ. (%)	მოსწ. (%)	სტუდ. (%)
რამდენჯერ შეიცვალე საცხოვრებელი ადგილი საბავშვო ბაღის შემდეგ?	60,1	41,6	30,1	44,3	6,7	10,3	1,7	2,7	1,3	1,1
რამდენჯერ შეიცვალე სკოლა პირველი კლასიდან დღემდე?	53,7	-	37,3	-	6,5	-	0	-	2,6	-

ცხრილი 74. გადასვლა და მობილობა ბოლო წლის მანძილზე

	განათლების საფეხურის მიხედვით			
	მოსწ. (%)	სტუდ. (%)	მოსწ. (%)	სტუდ. (%)
	დიახ		*არა*	
ბოლო ერთი წლის განმავლობაში შეგიცვლია თუ არა საცხოვრებელი ადგილი?	6,8	29,1	91,6	70,9
ბოლო ერთი წლის განმავლობაში შეგიცვლია თუ არა სკოლა?	8	-	91,04	-

წესები და ნორმები ნარკოტიკების მოხმარებასთან და სხვა ანტისოციალურ ქცევებთან მიმართებით

თემის ნორმები - განწყობები და მიდგომა, რომლებიც არსებობს კონკრეტულ თემში ნივთიერებების მოხმარებასა და სხვა ანტისოციალურ ქცევებთან დაკავშირებით შეიძლება სხვადასხვა ფორმით იყოს გამოხატული - კანონებისა და მარეგულირებელი აქტების მეშვეობით, არაფორმალური სოციალური პრაქტიკის მეშვეობით, იმ მოლოდინებით, რომლებიც გააჩნია მშობლებსა და თემის სხვა წევრებს ახალგაზრდების მიმართ. თუ კანონი ან თემში არსებული სტანდარტები შემწყნარებლურია ნარკოტიკების მოხმარების, ძალადობის ან სხვა დანაშაულის მიმართ ან არ არის მკაფიო, ამან შეიძლება ხელი შეუწყოს ახალგაზრდებში პრობლემური ქცევების გავრცელებას (Bracht and Kingsbury, 1990). ამავე დროს, სამეზობლოში არსებულმა არაჯანსაღმა ატმოსფერომ შეიძლება რისკის ფაქტორის როლი შეასრულოს (Greydanus, Patel, & Pratt, 2003; Sussman & Ames, 2001).

კვლევის თანახმად, მოსწავლეების თითქმის ნახევარი არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ თუ მის უბანში არასრულწლოვანი ქუჩაში დალევს ლუდს, ღვინოს ან მაგარ სასმელს ან მოწევს მარიხუანას, პოლიცია სათანადო ზომებს მიიღებს. დაახლოებით ყოველ მესამე მოსწავლეს მიაჩნია, რომ მისი უბნის ახალგაზრდებისთვის მისაღებია, თუკი მოზარდი მოწევს თამბაქოს, მარუხუანას და დალევს ალკოჰოლურ სასმელს; ყოველი მეორე სტუდენტი კი ადასტურებს, რომ მისი უბნის ახალგაზრდებისთვის მისაღებია, თუკი მათი თანატოლი მიიღებს ზემოთ აღნიშნულ ნივთიერებებს; ყოველი მესამე სტუდენტის აზრით, მათი უბნის ახალგაზრდებისთვის ასევე მისაღებია „ბიოს“ და ფსიქოტროპული მედიკამენტების მოხმარება.

ცხრილი 75. წესები და ნორმები ნარკოტიკების მოხმარებასთან მიმართებით, მოსწავლეები

	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)
	საკმაოდ ეთანხმები		**ეთანხმები**		**არ ეთანხმები**		**სრულიად არ ეთანხმები**	
თუ ჩემს უბანში ვინმე ქუჩაში მოწევს მარიხუანას (პლანს), პოლიცია სათანადო ზომებს მიიღებს.	16,4	15,4	19,5	17,1	23,1	25,3	18,1	18
თუ ჩემს უბანში არასრულწლოვანი ქუჩაში დალევს ლუდს, ღვინოს ან მაგარ სასმელს (მაგალითად არაყს, ვისკის ან კონიაკს), პოლიცია სათანადო ზომებს მიიღებს	11,9	10,7	18,2	12,7	23,1	28,3	23,1	28,3
რას ფიქრობენ შენი უბნის ახალგაზრდები, რამდენად მიუღებელია, თუ შენი ასაკის მოზარდი:	**სრულიად მიუღებელია**		**მიუღებელია**		**მისაღებია**		**საკმაოდ მისაღებია**	
დალევს ალკოჰოლს	20,8	15,6	29,3	33,4	38,4	41	11,6	10
მოწევს სიგარეტს	23,6	22,3	32,7	32,4	35,2	37	8,5	8,3

მოწევს მარიხუანას (პლანს)	33,4	37,3	33,7	32,4	24,9	24,6	8	5,7
მიიღებს „ბიოს“	51,8	50,5	35,7	38,2	8,2	8,3	4,3	2,9
მიიღებს ფსიქოტროპულ წამლებს ექიმის დანიშნულების გარეშე	52	49,4	36,5	41,3	7,5	6,9	4	2,4
მოიხმარს LSD-ს, ბიოს, ექსტაზის (MDMA), ამფეტამინს ან სხვა ნარკოტიკს	53,4	56,7	31,8	33,1	10	6,8	4,9	3,3

ცხრილი 76. წესები და ნორმები ნარკოტიკების მოხმარებასთან მიმართებით, სტუდენტები

	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)
	სავსებით ვეთანხმები		**ვეთანხმები**		**არ ვეთანხმები**		**სრულიად არ ვეთანხმები**	
თუ ჩემს უბანში ვინმე ქუჩაში მოწევს მარიხუანას (პლანს), პოლიცია სათანადო ზომებს მიიღებს.	15,2	16,8	22	20,2	25,3	26,6	15,7	11,7
თუ ჩემს უბანში არასრულწლოვანი ქუჩაში დალევს ლუდს, ღვინოს ან მაგარ სასმელს (მაგალითად არაყს, ვისკის ან კონიაკს), პოლიცია სათანადო ზომებს მიიღებს	12,2	12,5	21	15,2	19,1	27,1	27,1	21,3
რას ფიქრობენ შენი უბნის ახალგაზრდები, რამდენად მიუღებელია, თუ შენი ასაკის მოზარდი:	**სრულიად მიუღებელია**		**მიუღებელია**		**მისაღებია**		**სავსებით მისაღებია**	
დალევს ალკოჰოლს	12,2	12,5	10,5	28,3	55,1	48,6	22,2	10,7
მოწევს სიგარეტს	12,4	15,1	15,9	29,4	50	45,8	21,7	9,7
მოწევს მარიხუანას (პლანს)	16,1	29,5	19,7	30,3	45,2	34,1	19	6,1
მიიღებს „ბიოს“	37,4	48,5	29,4	34,6	22,2	15,5	11	1,4
მიიღებს ფსიქოტროპულ წამლებს ექიმის დანიშნულების გარეშე	32,9	43,6	32,3	40,3	24,4	14	10,4	2,2
მოიხმარს LSD-ს, ბიოს, ექსტაზის (MDMA), ამფეტამინს ან სხვა ნარკოტიკს	38,3	48,9	29,8	33,4	21	15,7	11	2
მოიხმარს ჰეროინს, სუბუტექსს ან სხვა საინექციო ნარკოტიკს	45	50,5	31,1	35,6	14,1	12,5	9,8	1,4

ცხრილი 77. წესები და ნორმები ნარკოტიკების მოხმარებასთან მიმართებით, განათლების საფეხურის მიხედვით

	მოსწ. (%)	სტუდ. (%)	მოსწ. (%)	სტუდ. (%)	მოსწ. (%)	სტუდ. (%)	მოსწ. (%)	სტუდ. (%)
	სავსებით ვეთანხმები		**ვეთანხმები**		**არ ვეთანხმები**		**სრულიად არ ვეთანხმები**	
თუ ჩემს უბანში ვინმე ქუჩაში მოწევს მარიხუანას (პლანს), პოლიცია სათანადო ზომებს მიიღებს.	15,9	16,2	18,1	20,8	24,4	26,2	18	13
თუ ჩემს უბანში არასრულწლოვანი ქუჩაში დალევს ლუდს, ღვინოს ან მაგარ სასმელს (მაგალითად არაყს, ვისკის ან კონიაკს), პოლიცია სათანადო ზომებს მიიღებს	11,2	12,4	15	17,2	26,1	24,4	28,3	23,3
რას ფიქრობენ შენი უბნის ახალგაზრდები, რამდენად მიუღებელია, თუ შენი ასაკის მოზარდი:	**სრულიად მიუღებელია**		**მიუღებელია**		**მისაღებია**		**სავსებით მისაღებია**	
დალევს ალკოჰოლს	17,8	12,4	31,7	22,3	39,9	50,8	10,7	14,6
მოწევს სიგარეტს	22,8	14,2	32,5	24,8	36,3	47,2	8,4	13,8
მოწევს მარიხუანას (პლანს)	35,6	24,9	32,9	26,7	24,7	37,9	6,7	10,5
მიიღებს „ბიოს“	51	44,7	37,2	32,9	8,3	17,8	3,5	4,7
მიიღებს ფსიქოტროპულ წამლებს ექიმის დანიშნულების გარეშე	50,5	39,9	39,2	37,5	7,2	17,5	3,1	5
მოიხმარს LSD-ს, ბიოს, ექსტაზის (MDMA), ამფეტამინს ან სხვა ნარკოტიკს	55,2	45,3	32,6	32,2	8,2	17,5	4	5
მოიხმარს ჰეროინს, სუბუტექსს ან სხვა საინექციო ნარკოტიკს		48,6		34,1		13,1		4,2

უბანში ნარკოტიკების მოხმარებასთან და ანტისოციალურ ქცევებთან მიმართებით ნორმებსა და პრობლემურ ქცევებს შორის კორელაციური კავშირი არ გამოვლინდა.

ჩვენს კვლევაში რისკ ფაქტორი „თემის არაორგანიზებულობა“ იზომება 5 პუნქტისაგან შემდგარი ბლოკით. ახალგაზრდების დიდი ნაწილი დაცულად გრძნობს თავს თავის უბანში;

მოსწავლეების და სტუდენტების თითქმის ნახევარი ეთანხმება მოსაზრებებს: „ითვლება, რომ ჩემი უბნისთვის დამახასიათებელია ჩხუბები“ და „ითვლება, რომ ჩემი უბნისთვის დამახასიათებელია „საქმის გარჩევები“.

ცხრილი 78. თემის არაორგანიზებულობა, განათლების საფეხურის მიხედვით

	განათლების საფეხურის მიხედვით			
	მოსწ. (%)	სტუდ. (%)	მოსწ. (%)	სტუდ. (%)
	არ ვეთანხმები		*სრულიად არ ვეთანხმები*	
მე დაცულად ვგრძნობ თავს ჩემს უბანში	11,8	10,9	11,8	12
	ვეთანხმები		*სრულიად ვეთანხმები*	
ითვლება, რომ ჩემი უბნისთვის დამახასიათებელია კრიმინალი და/ან ნარკოტიკების გასაღება	10,3	16,9	7,2	9,6
ითვლება, რომ ჩემი უბნისთვის დამახასიათებელია „საქმის გარჩევები“	36,8	33,2	14,3	13,1
ითვლება, რომ ჩემი უბნისთვის დამახასიათებელია ჩხუბები	33,5	30,1	16,2	13,7
ითვლება, რომ ჩემი უბნისთვის დამახასიათებელია ბევრი ცარიელი და მიტოვებული შენობა	16,5	14,8	7,1	6,9

ცხრილი 79. თემის არაორგანიზებულობა, სქესის მიხედვით

	სქესის მიხედვით			
	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)
	არ ვეთანხმები		*სრულიად არ ვეთანხმები*	
მე დაცულად ვგრძნობ თავს ჩემს უბანში	10,6	12,3	14,5	7,4
	ვეთანხმები		*სრულიად ვეთანხმები*	
ითვლება, რომ ჩემი უბნისთვის დამახასიათებელია კრიმინალი და/ან ნარკოტიკების გასაღება	13,6	16,6	7,1	11,7
ითვლება, რომ ჩემი უბნისთვის დამახასიათებელია „საქმის გარჩევები“	29,4	34,2	13,7	16
ითვლება, რომ ჩემი უბნისთვის დამახასიათებელია ჩხუბები	32,3	38,1	13,3	14
ითვლება, რომ ჩემი უბნისთვის დამახასიათებელია ბევრი ცარიელი და მიტოვებული შენობა	11,6	21,8	6,1	8,5

დიაგრამა 30. თემის არაორგანიზებულობა (საშუალო მაჩვენებლები)



მოსწავლეებში გამოვლინდა კორელაცია თემის არაორგანიზებულობასა და ისეთ ანტისოციალურ ქცევას შორის, როგორიცაა რაიმეს მოპარვა; ხოლო სტუდენტებში თემის არაორგანიზებულობა ასოციაციურ კავშირშია ფსიქოტროპული მედიკამენტების და საინექციო ნარკოტიკების მოხმარებასთან.

რაც შეეხება უბანში ძალადობას, კვლევის მონაცემების თანახმად, მოსწავლეების 22.4%-მა და სტუდენტების 19.5%-მა აღიარა, რომ უბანში მიმართეს დამამცირებელი სიტყვით ან სახელით; მოსწავლეების 17.5%-ს და სტუდენტების 18.9%-ს დასცინეს ან უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდეს სხვების თანდასწრებით; ხოლო მოსწავლეების 5.9% და სტუდენტების 11.5% აიძულეს, მიეცა ფული, მობილური ან სხვა რამ.

ცხრილი 80. ძალადობა უბანში, განათლების საფეხურის მიხედვით

ყოფილა თუ არა, რომ უბანში ვინმემ:	ხშირად		ხანდახან		არასოდეს	
	მოსწ. (%)	სტუდ. (%)	მოსწ. (%)	სტუდ. (%)	მოსწ. (%)	სტუდ. (%)
მოგმართა დამამცირებელი სიტყვით ან სახელით	3,9	4,6	18,5	14,9	77,6	80,5

დაგცინა, შეგარცხვინა ან უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაგდო სხვების თანდასწრებით	2,6	3,7	14,9	15,2	82,5	81,2
დაგარტყა ან გცემა	1,9	2,7	6,3	9,6	91,8	87,7
იძულებით გაგაკეთებინა რამე	1	2,8	4,2	8,3	94,8	89
დაგემუქრა დანით ან სხვა იარაღით	1,2	2,4	4,7	9,1	94,1	88,5
გაიძულა მიგეცა ფული, მობილური ან სხვა რამ	1,7	3,1	4,2	8,4	94,1	88,5

ცხრილი 81. ძალადობა უბანში, სქესის მიხედვით

ყოფილა თუ არა, რომ უბანში ვინმემ:	ბევრჯერ		ხანდახან		არასოდეს	
	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)
მოგმართა დამამცირებელი სიტყვით ან სახელით	3	6,9	11	24,8	86	68,4
დაგცინა, შეგარცხვინა ან უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაგდო სხვების თანდასწრებით	2,2	5,3	13,4	17,9	84,4	76,7
დაგარტყა ან გცემა	1,1	4,6	4,6	15,2	94,3	80,1
იძულებით გაგაკეთებინა რამე	1,2	4	4,9	10,4	93,9	85,7
დაგემუქრა დანით ან სხვა იარაღით	0,5	4,5	5,3	11,8	94,2	83,7
გაიძულა მიგეცა ფული, მობილური ან სხვა რამ	1,5	4,6	4,4	11,4	94	84

სტუდენტებში გამოვლინდა კორელაციური კავშირი უბანში ძალადობასა და მარიხუანას, საინექციო ნარკოტიკების და ფსიქოტროპული მედიკამენტების მოხმარებას შორის. ასევე, დაფიქსირდა კორელაცია უბანში ძალადობასა და ისეთ ანტისოციალურ ქცევებს შორის, როგორიცაა ნარკოტიკის გაყიდვა და მანქანის/მოტოციკლის მოპარვა.

შესაძლებლობები და წახალისება პროსოციალური ჩართულობისთვის

ის ახალგაზრდები, ვისაც უბანში პოზიტიურ ურთიერთობებში ჩართვის შესაძლებლობა აქვთ, ნაკლებად ერთვებიან პრობლემურ ქცევებში; როდესაც მოზარდის პროსოციალური ქცევა სამეზობლოში წახალისებულია, მას უძლიერდება თემთან მიკუთვნებულობის განცდა (Arizona Criminal Justice Commission, 2004).

ცხრილი 82. თემის შესაძლებლობები და წახალისება პროსოციალური ჩართულობისთვის, განათლების საფეხურის მიხედვით

	მოსწ. (%)	სტუდ. (%)	მოსწ. (%)	სტუდ. (%)	მოსწ. (%)	სტუდ. (%)
შესაძლებლობები						
	დიახ		*არა*		*არ ვიცი*	
არის თუ არა შენს უბანში ხელმისაწვდომი შენი ასაკის ახალგაზრდებისთვის სპორტული სექციები?	55,9	54,3	31,1	35,2	12,9	10,6
არის თუ არა შენს უბანში ხელმისაწვდომი შენი ასაკის ახალგაზრდებისთვის წრეები ან კლუბები სხვადასხვა ინტერესების მიხედვით?	37,1	30,7	41,8	46,8	21,1	22,5
არის თუ არა შენს უბანში ხელმისაწვდომი შენი ასაკის ახალგაზრდებისთვის საცურაო აუზი?	29,6	35	58	53,2	12,4	11,8
არის თუ არა შენს უბანში ხელმისაწვდომი შენი ასაკის ახალგაზრდებისთვის ფიტნეს-ცენტრები?	48	49,5	41,3	39,8	10,7	10,7
წახალისება						
	სავსებით ვეთანხმები		*ვეთანხმები*			
ჩემს უბანში არიან უფროსები, ვისთანაც შემიძლია ვისაუბრო ჩემთვის მნიშვნელოვან თემებზე	34,2	34,4	16,7	19,9		
ჩემს სამეზობლოში/უბანში არიან ადამიანები, რომლებიც სტიმულს მაძლევენ, რომ მეტი კარგი საქმე ვაკეთო.	33,2	28	21	30,9		
ჩემს უბანში არიან ადამიანები, რომლებიც ამაყობენ ჩემით, როდესაც რამე კარგს ვაკეთებ	37,8	37,7	23,5	31,8		

ცხრილი 83. თემის შესაძლებლობები და წახალისება პროსოციალური ჩართულობისთვის, სქესის მიხედვით

	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)
შესაძლებლობები						
	დიახ		*არა*		*არ ვიცი*	
არის თუ არა შენს უბანში ხელმისაწვდომი შენი ასაკის ახალგაზრდებისთვის	55,2	54,2	34	33,5	10,8	12,2

სპორტული სექციები?						
არის თუ არა შენს უბანში ხელმისაწვდომი შენი ასაკის ახალგაზრდებისთვის წრეები ან კლუბები სხვადასხვა ინტერესების მიხედვით?	32	34,2	42,4	50	25,6	15,8
არის თუ არა შენს უბანში ხელმისაწვდომი შენი ასაკის ახალგაზრდებისთვის საცურაო აუზი?	33,6	32,6	53,9	56,3	12,5	11,1
არის თუ არა შენს უბანში ხელმისაწვდომი შენი ასაკის ახალგაზრდებისთვის ფიტნეს-ცენტრები?	51,4	44,9	37,5	44	10,6	10,7
წახალისება						
	სავსებით ვეთანხმები		*ვეთანხმები*			
ჩემს უბანში არიან უფროსები, ვისთანაც შემიძლია ვისაუბრო ჩემთვის მნიშვნელოვან თემებზე	30	41,8	17,3	21,3		
ჩემს სამეზობლოში/უბანში არიან ადამიანები, რომლებიც სტიმულს მაძლევენ, რომ მეტი კარგი საქმე ვაკეთო.	25	38	28,4	26,3		
ჩემს უბანში არიან ადამიანები, რომლებიც ამაყობენ ჩემით, როდესაც რამე კარგს ვაკეთებ	37,6	38,4	29,1	29,2		

უბანში უფროსებთან პოზიტიურ ურთიერთობებს და მათგან მხარდაჭერას და წახალისებას ბათუმსა და ქუთაისში უფრო მეტი ახალგაზრდა ადასტურებს, ვიდრე თბილისში.

მოსწავლეებთან და სტუდენტებთან უბანში პროსოციალურ შესაძლებლობებს და ნივთიერებების მოხმარებას/ანტისოციალურ ქცევებს შორის კორელაცია არ არის. მხოლოდ მოსწავლეებში გამოვლინდა კორელაცია უბანში პროსოციალურ შესაძლებლობებსა (ადამიანები, რომლებიც სტიმულს აძლევენ, მეტი კარგი რამ აკეთონ, არის საცურაო აუზები) და პროსოციალურ ქცევას შორის.

მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მათ უბნებში არის სპორტული კომპლექსები, მაგრამ ყველა სპორტული სექცია ფასიანია და მხოლოდ სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვისაა უფასო:

„ჩოგბურთი და ცურვა კარგია, მაგრამ მარტო ძალიან შეძლებულები ატარებენ ბავშვებს. ფეხბურთზე დადიან. მიზერული თანხაა, მაგრამ მაინც გადასახადია“

(ბათუმი);

„სპორტული ცენტრები ახლომახლო არის, მშვენიერი ცენტრებია, სკოლის გვერდით, ფასიანებია, მაგრამ სოციალურად დაუცველებისათვის უფასოა“ (თბილისი).

მშობლების ნაწილი კმაყოფილია იმით, რომ მათ უბანში არის წრეები და სპორტული სექციები ახალგაზრდებისთვის:

„საჯარო ბიბლიოთეკას აქვს ამერიკული კუთხე, სადაც უამრავი რაღაცეები კეთდება. სადაც ბავშვები ჩართული არიან უცხო ენაში, ხელგარჯილობაში, რაღაცეებს ასწავლიან. თუ ბავშვი ოდნავ დაინტერესებულია, ძალიან ბევრი აქტივობა აქვს საჯარო ბიბლიოთეკას. უფასოა და ნებისმიერ ბავშვს შეუძლია მივიდეს“ (ბათუმი).

ყველა მშობელი ამბობს, რომ წრეები ფასიანია და ყველასათვის ხელმისაწვდომი არ არის. ზოგი მშობლისთვის კი პრობლემას წარმოადგენს ის, რომ სასურველი წრეები მათ უბანში არ არის:

„გარდა იმისა, რომ ფასიანია, ყველა უბანში არ არის. არის ერთი წრე, რომელზეც ბავშვი ვერ დამყავს, იმიტომ, რომ საბურთალოზეა და მე დიდუბეში ვცხოვრობ. მაგალითად, ნორმალური საცურაო კომპლექსი დიდუბეში არ არის. ბევრ რაღაცაზე ვერ დამყავს, იმიტომ, რომ საცობია. ვერ დამყავს, მაგალითად, ლიტერატურულ კლუბში, იმიტომ, რომ ჩემ უბანში არ არის და არის მხოლოდ ცენტრალურ უბნებში“ (თბილისი).

დამოკიდებულება საკუთარი უბნის მიმართ

საკუთარი სამეზობლოს მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება იწვევს მოზარდების გაუცხოებას, დისკომფორტს, რაც შეიძლება დამატებითი რისკ-ფაქტორი აღმოჩნდეს ნარკოტიკების მოხმარების დაწყებისთვის.

ცხრილი 84. უბნისადმი დაბალი მიკუთვნებულობა, განათლების საფეხურის მიხედვით

	მოსწ. (%)	სტუდ. (%)	მოსწ. (%)	სტუდ. (%)
	არ ვეთანხმები		*სრულიად არ ვეთანხმები*	
მე მომენატრება ჩემი უბნელები, თუ გადავალ იმ უბნიდან, სადაც ახლა ვცხოვრობ	10,8	11,9	23,8	27,9

მე მომწონს ჩემი მეზობლები	13,3	17,2	16,5	16,1
მე დაცულად ვგრძნობ თავს ჩემს უბანში	11,8	10,9	11,7	12
	ვეთანხმები		*სავსებით ვეთანხმები*	
მე მინდა, გადავიდე ჩემი უბნიდან.	9,5	18,8	14,5	15

ცხრილი 85. უბნისადმი დაბალი მიკუთვნებულობა, სქესის მიხედვით

	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)
	არ ვეთანხმები		*სრულიად არ ვეთანხმები*	
მე მომენატრება ჩემი უბნელები, თუ გადავალ იმ უბნიდან, სადაც ახლა ვცხოვრობ	12	10,8	30,8	19,3
მე მომწონს ჩემი მეზობლები	16,5	14,8	17,8	13,5
მე დაცულად ვგრძნობ თავს ჩემს უბანში	10,6	12,3	14,5	7,4
	ვეთანხმები		*სავსებით ვეთანხმები*	
მე მინდა, გადავიდე ჩემი უბნიდან.	13,9	18,8	13,4	17,3

უბნისადმი მიკუთვნებულობის განცდა უფრო მაღალი აქვთ ბათუმელ და ქუთაისელ ახალგაზრდებს, ვიდრე თბილისელებს.

უბნისადმი მიკუთვნებულობის განცდასა და ნივთიერებების მოხმარებას/ანტისოციალურ ქცევებს შორის კორელაციური ურთიერთკავშირი არ გამოვლინდა.

თბილისის ცენტრში მცხოვრები მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ქალაქში არის ახალგაზრდების თავშეყრის ადგილები, სადაც არასრულწლოვნები ჯანმრთელობისთვის სახიფათო რაოდენობით მოიხმარენ ალკოჰოლს:

> *„მე ვცხოვრობ ფაბრიკის პირდაპირ და დღე არ გავა, რომ იქ ვინმე ცუდად არ გახდეს. იქ ვხედავ გოგონებს, ყველაზე პატარა 14-15 წლის და ყველაზე დიდი 25-28 წლის და სამწუხაროდ უმეტესობა ქართველები, ტურისტები ნაკლებად“ (თბილისი); „არის ადგილები ფაბრიკასთან, დედა ენის ბაღთან. მათ აქვთ ადგილები, სადაც იკრიბებიან. ეს არ ეხება ყველას...“ (თბილისი).*

რაც შეეხება გარეუბნებში მცხოვრებ მასწავლებლებს, აღნიშნავენ, რომ ცენტრისგან განსხვავებული გარემოა მათ უბანში:

> *„ჩვენ დაცულები ვართ...აქ ერთი სოფელივით ვართ და ყველა ერთმანეთისთვის ცდილობს“ (თბილისი); „ჩვენ რაღაცნაირი, უფრო ჯანსაღი ბავშვები გვყავს.*

ჩვენს მოსწავლეებს და ქალაქის ცენტრში მოსწავლეებს რომ ვუყურებ, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ჩვენი ბავშვები მოკრძალებულები არიან. არ ვიცი, კარგია თუ ცუდი . . . შეიძლება სითამამეც რომ აკლიათ, ესეც ცუდია“ (თბილისი).

ასეთივე დამოკიდებულება აქვთ თავისი ქალაქის მიმართ ქუთაისელ პედაგოგებს: *„თბილისისგან განსხვავებით ჩვენ გვაქვს ის კომფორტი და სიამოვნება, რომ უფრო სიმშვიდეში ვართ“ (ქუთაისი).* ქუთაისისგან განსხვავებით, ბათუმში ტურისტების სიმრავლე განაპირობებს იმას, რომ ბათუმელი ახალგაზრდები ჩამოსულ თანატოლებთან ერთად უფრო მეტად ხვდებიან სარისკო სიტუაციებში:

„ტურისტული ქალაქია, ზაფხულში უამრავი სტუმარია, თანატოლები არიან. შენი სტუმარი რომ მიდის, შენც მასპინძელი იძულებული ხარ გაყვე (ღამის კლუბში)... მანდ ხვდებიან ახალგაზრდები ერთმანეთს“ (ბათუმი);

„ქუჩაში ხდება ამ ბოლო დროს, რაც ხდება. ასე არ იყო 2-3 წლის წინ. მაინც სასირცხვილო იყო (მარიხუანას მოწევა)“ (ბათუმი).

მშობლების ნაწილს საკუთარი უბნის მიმართ აქვს დამოკიდებულება, რომ იქ ყველა დაცულად გრძნობს თავს. ასეთი დამოკიდებულებას განსაკუთრებით ხაზს უსვამენ გარეუბნის მცხოვრებლები:

„ჩვენი პატარა უბანია, ყველამ ყველაფერი იცის ერთმანეთის. პატარა სოფელივით ვართ. ყველა ყველას იცნობს და უფრო თბილი დამოკიდებულება აქვთ დიდებსაც და პატარებსაც. ასე მგონია“ (თბილისი, ლილოს დასახლება);

„ბედნიერი ვარ, რომ ვცხოვრობ გარეუნბანში. მე მიხარია, რომ აქ ცხოვრობენ ჩემი შვილები და უფრო დაცულები ვართ, ვიდრე ცენტრში“ (თბილისი. გლდანულა)

„ქუთაისში ყველა ყველას იცნობს“ (ქუთაისი)

მართლაც, თბილისის ცენტრალურ უბნებში მცხოვრები მშობლების ნაწილს ძალიან აშფოთებს მათ უბანში არსებული სიტუაცია, კერძოდ საქვეყნოდ და დაუფარავად ნარკოტიკების მოხმარება:

„არის ადგილები, სადაც ბიჭები იკრიბებიან და ოფიციალურად აკეთებენ ამას ყველაფერს. ეს ხელსაწყოებიც უკვე თვალნათლივ უდევთ. დღეს გავიარე ეზოში და რაღაც ბოთლები, ქაღალდები როა ფოლგის, ისიც მომზადებული

აქვთ, რომ მოვიდნენ, დაბოლდნენ და მერე ყველა თავის საქმეზე წავიდეს. ამას ხომ უყურებს მოზარდი, თუნდაც ჩემი შვილი?!“ (თბილისი);

„15 წლის ბავშვები ეზოში აღარ ჩანან. ყველა იმალება სადარბაზოებში, რომ მშობელმა არ დაინახოს და ეწევიან სიგარეტს და პლანს“ (თბილისი).

თავი 6. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

ძალადობა სკოლებში

ძალადობა სკოლებში ბავშვთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ფორმაა. სკოლაში ძალადობის მრავალგვარი განმარტება არსებობს. აქ წარმოდგენილი განმარტება ასახავს მკვლევარებს შორის კონსენსუსს, რომ ძალადობა სკოლაში მოიცავს წინასწარგანზრახული ქცევების სპექტრს, რომლებიც მიზნად ისახავს სხვებისთვის ზიანის მიყენებას სკოლის ტერიტორიაზე ან მის ირგვლივ (Astor, Benbenishty, & Estrada, 2009; Pitner, Astor, & Benbenishty, 2015). სკოლებში ძალადობა შეიძლება მრავალგვარი ფორმით გამოვლინდეს - ფიზიკური ძალადობით დაწყებული, ფსიქოლოგიურ ძალადობამდე; ხშირად გამოხატულია დამაშინებელი და რეპრესიული ქმედებებით. სკოლებში ძალადობა ქმნის დაუცველობისა და შიშის ატმოსფეროს, რომელიც უარყოფით ზეგავლენას ახდენს სასკოლო გარემოზე.

ბულინგი (ჩაგვრა) არასასურველი, აგრესიული სახის ქცევაა, რომელიც უმეტესად ვლინდება სკოლის ასაკის ბავშვებში. ის შეიძლება განიმარტოს, როგორც წინასწარგანზრახული, განმეორებადი აგრესიული ქმედება, რომელიც მიმართულია სხვათა საზიანოდ, რაც რეალური ან წარმოსახვითი უთანასწორობით შეიძლება იყოს გამოწვეული. მას ყოველთვის ჰყავს სამიზნე, რომლზედაც ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი ძალის დემონსტრირებას ცდილობს.

გამოყოფენ ბულინგის შემდეგ ტიპებს: ფიზიკური (თავდასხმა პიროვნებაზე ან მის ქონებაზე); სიტყვიერი (დამცინავი სახელით მიმართვა, სიტყვიერი შეურაცხყოფა, უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება სხვების თანდასწრებით); არაპირდაპირი (სოციალური იზოლაცია, ჭორების გავრცელება, მეგობრობით მანიპულირება), კიბერბულინგი, სექსუალური ბულინგი (ნებისმიერი ჩაგვრა, რომელიც ეფუძნება სექსუალობას ან სქესს) და ბულინგი, რომელიც ეფუძნება ადამიანების გარკვეული მარგინალიზებული ან მოწყვლადი ჯგუფის წევრის მიმართ მიკერძოებულ დამოკიდებულებას (Olweus, 1993; Dupper, 2013).

შიში და უსაფრთხოების განცდა

ძალადობაზე სუბიექტური რეაქციები, როგორიცაა შიში და დაცულობის გრძნობის დაკარგვა, ყურადსაღებია, რადგან შეიძლება გადაიზარდოს ნეგატიურ ქცევაში, როგორიცაა სკოლის გაცდენა ან საკუთარი თავის დასაცავად სკოლაში იარაღით მისვლა (Astor, Benbenishty, Meyer, & Rosemond, 2004; Furlong & Sharkey, 2006).

ამ თავში წარმოდგენილია ისეთი საკითხები, როგორიცაა ძალადობა სკოლებში, სკოლის მოსწავლეების მშობლებისა და მასწავლებლების ურთიერთობები; ასევე, გადმოცემულია მშობლებისა და მასწავლებლების თვისებრივი კვლევის შედეგად გამოვლენილი მოსაზრებები არსებული ნარკოპოლიტიკისა და ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების პროფილაქტიკის შესახებ.

განხილული საკითხები:

→ ძალადობა სკოლებში
→ სკოლის მასწავლებლებისა და მშობლების კომუნიკაცია
→ მასწავლებლებისა და მშობლების დამოკიდებულება ნარკოპოლიტიკის მიმართ
→ მასწავლებლებისა და მშობლების მოსაზრებები პრევენციასთან დაკავშირებით

ახალგაზრდებს დავუსვით კითხვები სკოლაში უსაფრთხოების განცდის შესახებ. ქვემოთ ჩამოთვლილი 4 კითხვიდან თითოეულისთვის შეთავაზებული იყო პასუხის ოთხი ვარიანტი: ხშირად, ზოგჯერ, იშვიათად, არასდროს. მოსწავლეების პასუხები წარმოდგენილია ცხრილში 86:

ცხრილი 86. მოზარდების უსაფრთხოების განცდა, სქესის მიხედვით

	ხშირად		ზოგჯერ		იშვიათად		არასდროს	
	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)
გიგრძნია თუ არა თავი კლასელებისგან გარიყულად?	5,6	7,6	6,9	11,7	24,8	20,7	62,7	60
გაგიცდენია სკოლა იმიტომ, რომ იქ საფრთხე გელოდა?	0,4	1	2,2	1,7	4,5	4,2	92,9	83,1
რამდენად ხშირად გრძნობ თავს უსაფრთხოდ სკოლაში?	86,3	82,5	6,7	7,7	3,2	7,4	3,6	2,4
რამდენად ხშირად გრძნობ თავს უსაფრთხოდ სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე?	78,5	72,5	9	15,2	5,5	7	7,2	5,4

ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჩაგვრა სკოლებში

მოსწავლეებს ვთხოვეთ, დაეფიქსირებინათ, ბოლო ერთი წლის განმავლობაში ხომ არ ყოფილან თანატოლების მხრიდან ჩაგვრის ობიექტები. მათი პასუხები შეჯამებულია ცხრილში 87.

ცხრილი 87. მოსწავლეების მხრიდან ფიზიკური და ფსიქოლოგიური ვიქტიმიზაცია ბოლო ერთი წლის განმავლობაში

ბოლო ერთი წლის განმავლობაში ყოფილა თუ არა, რომ სხვა მოსწავლემ:	ხშირად		ზოგჯერ		იშვიათად		არასდროს	
	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)
დაგცინა, შეგარცხვინა ან უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაგდო სხვების თანდასწრებით	1,8	5,8	9	8,3	18,6	21,8	70,6	64,1
დაგარტყა, გცემა და/ან ფიზიკურად გაგისწორდა სხვა ფორმით	1,8	1,1	1,3	0,7	5,3	6,4	91,5	91,8
იძულებით გაგაკეთებინა რამე	0,7	1	0,7	0,2	4,2	5,6	94,3	93,2
დაგემუქრა დანით ან სხვა იარაღით	0,9	0,2	0,7	0,3	0,4	0,9	97,9	98,6
გაიძულა მიგეცა ფული, მობილური ან სხვა რამ	1,1	0,5	0,1	0,2	1,8	2	97	97,3

სასკოლო ასაკის ბავშვებს შორის დაპირისპირებისგან განსხვავებით, "მასწავლებლების, სკოლის ადმინისტრაციისა და სკოლის სხვა თანამშრომლების მხრიდან, ხშირად დისციპლინის სახელით, განხორციელებული ბავშვების ვიქტიმიზაცია ნაკლებად განიხილება, როგორც მოსწავლეების ნეგატიური ქცევის, გაუცხოებისა და აგრესიის წინაპირობა"[16].

ცხრილი 88 წარმოგვიდგენს მასწავლებლების მიერ ჩვეულებრივ გამოყენებული დასჯის სახეობების სიხშირეს:

ცხრილი 88. მასწავლებლების მხრიდან უხეში მოპყრობა

ბოლო ერთი წლის განმავლობაში ყოფილა თუ არა, რომ მასწავლებელმა:	ხშირად		ზოგჯერ		იშვიათად		არასდროს	
	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)	მამრ. (%)	მდედრ. (%)
გიყვირა ძალიან ხმამაღლა და აგრესიულად	8,3	6,1	19,8	10,9	34,5	25,4	37,4	57,5
მოგმართა დამამცირებელი სიტყვით ან სახელით	4,4	4,7	11,1	6,6	22,5	15,3	61,9	73,3
გაგლანძღა	7,3	4,9	9,5	7	27,1	16,4	36,5	63,5
დაგცინა, შეგარცხვინა ან უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაგდო სხვების თანდასწრებით	3,8	3,9	9,1	6,2	20,7	19,7	66,4	70,2
დაგარტყა ან სხვა სახით მოგაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა	1,4	1,2	0,3	0,1	5,2	1,5	93,1	97,2

როგორც თვისებრივმა კვლევამ გამოავლინა, მასწავლებლები უარყოფენ სკოლაში ბულინგის არსებობას. საუბარში ირკვევა, რომ ბულინგად მიიჩნევენ მხოლოდ სერიოზულ ფიზიკურ ძალადობას. ჩაგვრის სხვა ფორმები შეუმჩნეველი რჩებათ ან არ მიაჩნიათ ჩაგვრად. მასწავლებლები უარყოფენ გამოძალვის შემთხვევებსაც.

როგორც აღმოჩნდა, მშობლებიც ბულინგში ძირითადად ფიზიკურ დაპირისპირებას გულისხმობენ, რასაც სკოლის დირექტორები, დამრიგებლები და მანდატურები დროულად აგვარებენ. რაც შეეხება ჩაგვრის სხვა გამოვლინებებს, მშობლებს არ აქვთ ამის შესახებ ინფორმაცია, ვარაუდებს გამოთქვამენ და თვლიან, რომ ეს ბულინგის მსუბუქი ფორმაა და არ არის მნიშვნელოვანი.

მასწავლებლების ჯგუფში გამოითქვა აზრი, რომ ზოგ შემთხვევაში ბავშვის აგრესიულობა წახალისებულია მშობლის მხრიდან:

[16] Irwin Hymana, Donna Peronea. The Other Side of School Violence: Educator Policies and Practices That May Contribute to Student Misbehavior. Journal of School Psychology. Volume 36, 1998

„მშობელი როდესაც თვლის, რომ უკეთესია, თუ მისი შვილი იქნება შემტევი, გაიტანს თავს თავისი აგრესიულობით, დაიმკვიდრებს თავს და გაიტანს თავისას... ზოგჯერ მშობელი ფიქრობს, რომ ეს კარგია“ (თბილისი).

კერძო სკოლების მშობლები თვლიან, რომ მათი შვილები უფრო დაცულები არიან საჯარო სკოლების მოსწავლეებთან შედარებით, რადგან პატარა სკოლაა და უფრო ადვილია ყველა ბავშვისთვის ყურადღების მიქცევა. თუმცა ერთმა მშობელმა, რომლის უფროსმა შვილმა უკვე დაამთავრა სკოლა და სტუდენტია, ასეთი რამ თქვა:

„ჩემმა უფროსმა შვილმაც ეს სკოლა დაამთავრა. ეხლა მეორე კურსზეა და იმდენად კომფორტულად გრძნობდა აქ თავს, რომ ძალიან გაუჭირდა უნივერსიტეტში პირველ კურსზე ამდენ ხალხში ურთიერთობა. მართლა შეეშინდა თავიდან, როგორ მოვერგოო და რამე რომ გამიჭირდეს, ვინ დამეხმარებაო. ვიფიქრე, რომ ცოტა ცუდიც არის, რომ ასე დავფოფინებთ. სათბურის პირობებიდან უცებ გავიდა და ბავშვი დაბნეული იყო. არ იცოდა რა ექნა“ (კერძო სკოლა. თბილისი).

ბულინგის თემაზე საუბრისას მშობლებს ძირითადად ახსენდებათ ისეთი შემთხვევები, რომლებიც სერიოზულ დაპირისპირებამდე და კონფლიქტამდე მივიდა. შევიწროვების, გარიყვის ან გამოძალვის შესახებ არ სმენიათ შვილებისგან. მხოლოდ ერთმა მშობელმა დაასახელა სოციალური ქსელი, როგორც ბულინგის საშუალება - *„არის კიდევ სოციალური ქსელი. რაღაც ჯგუფები ყალიბდება და ამოიჩემებენ ერთს და იმის დაცინვა, ზეწოლა ხდება“ (თბილისი).*

მშობლების უმრავლესობა თვლის, რომ მან უნდა იცოდეს, თუ მის შვილს ჩაგრავენ. ამბობენ, რომ თუ ასეთი რამ მოხდა, ჩაერევიან და ზოგი საკუთარი ძალებით, ზოგი მასწავლებლის და ფსიქოლოგის დახმარებით ეცდება სიტუაციის გამოსწორებას:

„ჩავეძიები სიღრმისეულად. აუცილებლად მივალ იმ გარემოში, მოვიკითხავ პასუხისმგებელ პირს და მივყვები ბოლომდე. თუ საჭირო გახდა, ყველა ინსტანციამდე მივალ“ (თბილისი);

„ჩემ შვილთან იყო ისეთი სიტუაცია, რომ კონფლიქტი ჰქონდა კლასში, მაგრამ დამრიგებელმა და მე ერთად მოვაგვარეთ“ (თბილისი).

თუ გაიგეს, რომ მათი შვილი ჩაგრავს სხვას, მშობლების უმრავლესობა საკუთარ შვილთან დალაპარაკებას ამჯობინებს:

„დასჯა გამორიცხულია, ჯერ უნდა დაელაპარაკო“ (ბათუმი);

მე ავუხსნი იმ ადამიანის მდგომარეობას, ვისაც ჩაგრავენ. ზოგადად დავუხასიათებდი, რას გრძნობს“ (თბილისი);

„პირველ რიგში, ჩემ შვილში მოვნახავდი პრობლემას - რამ გამოიწვია ეს“ (თბილისი).

იყვნენ მშობლები, რომლებმაც თქვეს, რომ უშუალოდ ჩაერევიან კონფლიქტურ სიტუაციაში და ასე შეეცდებიან მოგვარებას. გამოითქვა ისეთი მოსაზრებაც, რომ თუ ძალიან სერიოზული პრობლემა არ დგას, უმჯობესია, ბავშვებმა თვითონ მოაგვარონ უფროსების ჩარევის გარეშე:

„მე ვფიქრობ, ბავშვმა თვითონ უნდა მოაგვაროს, თუ დიდი და სერიოზული არ არის და მისი ფსიქიკა და მისი ჯანმრთელობა არ ზიანდება“ (ქუთაისი);

„ისეც ხდება, რომ მშობლები ჩაერევიან და ისე აბუქებენ... ბავშვები მერე მაინც ტკბილად არიან“ (ქუთაისი).

რამდენიმე მშობელმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ჩაგვრა ცხოვრების ნაწილია:

„ჩაგვრა ყოველთვის იყო...“ „ჩაგვრა ყოველთვის იქნება ძლიერისგან სუსტის“(თბილისი);

„ეგ ყოველთვის იქნება გარკვეულ ასაკში, ბიჭების დამკვიდრება“. მამა: „ეგ ყოველთვის არის და ზოგჯერ კარგიცაა. სწავლობს ბავშვი, ინდივიდუალურად გამოხატავს თავის თავს. სწორი მიმართულების მიცემა უნდა“ (თბილისი).

სკოლის მასწავლებლებისა და მშობლების კომუნიკაცია

მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ საკმაოდ ბევრი საშუალებაა მშობლებთან კომუნიკაციისთვის - სოციალური ქსელები, ელექტრონული ჟურნალები, სატელეფონო კავშირი და მოკლე ტექსტური შეტყობინებები, ყოველ პარასკევს მშობლებს შეუძლიათ სკოლაში მისვლა და მასწავლებლებთან შეხვედრა:

„ისეთი სიტუაცია არის ახლა, ელექტრონული ჟურნალები გვაქვს და ყველა დაინტერესებულ მშობელს შეუძლია, რომ თვალყური ადევნოს, რამდენად მივიდა ბავშვი სკოლაში, იყო გაკვეთილზე თუ არა, შეუძლია ყოველდღიურ რეჟიმში ხედავდეს და აკონტროლოს“ (ბათუმი);

„პარასკევი დღე არის მშობელთა დღე. არის მშობელთა კატეგორია ყოველ

პარასკევს მოდის“ (თბილისი).

მიუხედავად კომუნიკაციის ამდენი საშუალებისა, მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ზოგი მშობელი ნაკლებად ინტერესდება შვილის სასკოლო ცხოვრებით:

„ისევ წარჩინებული ბავშვების მშობლები არიან უფრო ჩართულები. პირიქით უნდა იყოს. ვისი შვილიც ზარმაცობს და არ სწავლობს, ისინი უფრო პასიურები არიან ნაცვლად იმისა, რომ გააქტიურდნენ“ (ქუთაისი);

„როგორ შეიძლება წელიწადში ერთი საათი ვერ გამონახო ბავშვისთვის?! თუ რამე შემთხვევა არ მოხდა და პოლიციის ძალით არ მოიყვანეს, დანაშაულის მცდელობამდე არ მივედით... რომ არ მოხვალ არცერთ კრებაზე ამდენი წერილის და შეტყობინების შემდეგ, სირცხვილია იმის თქმა, არ ვიცოდიო“ (ბათუმი).

მასწავლებლები საუბრობენ მშობელთან თანამშრომლობის აუცილებლობაზე:

„თუ მშობელს მასწავლებლის არ ესმის და მასწავლებელს მშობლის, ძალიან ძნელია. მე სხვას ვეუბნებოდე მოსწავლეს და ოჯახში სხვა ესმოდეს, ვერ ჩამოყალიბდება. ურთიერთჩართულობა უფრო იძლევა შედეგს“ (ბათუმი);

„რასაც მშობელი ვერ შეამჩნევს, იმას მასწვლებელი შეამჩნევს აუცილებლად და ამიტომ თანამშრომლობა და ნდობა არის უპირველესი“ (ბათუმი).

თითქმის ყველა ფოკუსჯგუფი ჩატარდა პარასკევს - მშობლების დღეს. შესაბამისად, დისკუსიებში მონაწილეობდნენ ის მშობლები, რომლებიც თავისი ინიციატივით დადიან სკოლაში და აქტიური კონტაქტი აქვთ მასწავლებლებთან. ისინი აღნიშნავდნენ, რომ არსებობს მასწავლებელთან ურთიერთობის ბევრი საშუალება:

„მაგ მხრივ არ არის შეზღუდვა - კომუნიკაცია არის. სოციალურ ქსელშიც არიან და ვკონტაქტობთ ყველა მასწავლებელთან“ (თბილისი);

„ელექტრონულმა მიმოწერამ კიდევ უფრო გაგვიადვილა, ახლო ურთიერთობა გვაქვს“ (ბათუმი);

„ჩემი შვილი 5-ე კლასში რომ იყო, დამრიგებელმა გამოგვიცხადა, რომელი საათიც უნდა იყოს, დამირეკეთ, როცა დაგჭირდებათო. ძალიან

მნიშვნელოვანია მასწავლებლის მიდგომა როგორც ბავშვებთან, ისე მშობლებთან“ (თბილისი);

„ბავშვზეც აისახება მშობლის ურთიერთობა მასწავლებელთან“ (თბილისი);

„მასწავლებელიც ვარ და შემიძლია ორივე მხრიდან ვილაპარაკო. არიან მშობლები, რომლებიც, წელი ისე გავა, არ ჩანს. ჩვენ ვართ ფხიზლად და ჩვენ გავდივართ კონტაქტზე, თორემ ზოგი მშობელი შეიძლება საერთოდ არ გამოგეხმაუროს წლიდან წლამდე. ძალიან ადვილია, რომ ხელი შეაწმინდო სკოლას, რომ სკოლამ არ ასწავლა, მაგრამ მშობლის როლიც მნიშვნელოვანია“ (თბილისი).

მასწავლებლებისა და მშობლების დამოკიდებულება ნარკოპოლიტიკის მიმართ

მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ კარგი შედეგი მოყვა დახურულ სივრცეში თამბაქოს მოწევის აკრძალვას:

„კანონი რომ შემოვიდა - შენობაში მოწევა რომ აკრძალულია და ისჯება, მიიღო ყველამ. დიდიც და პატარაც გადის შენობის გარეთ. ამ კანონმა განსაზღვრა საზოგადოების ქცევა“ (ბათუმი);

„რაც შემოვიდა ახალი კანონი თამბაქოს მოწევასთან დაკავშირებით, ნაკლებად ვხედავ, რომ ბავშვები ასე თავისუფლად ეწეოდნენ. ადრე უფრო იყო. ვაღიაროთ, რომ ამ რეგულაციებს მნიშვნელობა მაინც აქვს“ (თბილისი).

ასევე დადებითად აფასებენ არასრულწლოვნებისთვის თამბაქოს და ალკოჰოლის მიყიდვის შეზღუდვას, მაგრამ იმასაც აღნიშნავენ, რომ ეს კანონი ხშირად ირღვევა კონტროლის არარსებობის გამო.

რაც შეეხება მარიხუანასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო სიახლეებს, მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ეს ყველგან განხილვის და აზრთა სხვადასხვაობის საგნად იქცა: *„სადაც შევდიოდი, საუბრის თემა იყო კანონი მარიხუანასთან დაკავშირებით. მაღალ კლასებს აინტერესებდათ, როგორია უფროსის დამოკიდებულება ამის მიმართ. ეს თემა იყო განხილული. ვერ გეტყვით, რომ ერთი დიდი ღონისძიება მიეძღვნა მაგას, მაგრამ პირადი საუბრები, ჯგუფური საუბრები იყო“ (თბილისი).*

მასწავლებლების ნაწილი თვლის, რომ კანონის ლიბერალიზაცია ხელს უწყობს მოხმარების გავრცელებას:

„აკრძალვა უნდა იყოს, რადგან რომ არ არის აკრძალული, პროვოცირებას უწევს ბავშვებს. თვლიან, რომ მე ეს უკვე შემიძლია გავაკეთო... ახლა რადგანაც ლეგალიზაციაზე წავიდა საუბარი, ყველა გათამამდა“ (ქუთაისი);

„9-ე კლასის დამრიგებელი ვარ და ისე თავისუფლად მსჯელობდნენ რა მოხდა მერეო, არ ვიცი, როგორ უნდა ვებრძოლოთ ამას, ვიდრე არ აიკრძალება სახელმწიფოს მიერ“ (ბათუმი);

„11-ე კლასელმა ბავშვებმა - რას ჰქვია, კანაფი უნდა დაითესოსო, მარიხუანაო?! აღშფოთდნენ“ (ბათუმი).

მშობლების უმრავლესობა უკმაყოფილოა მარიხუანას მოხმარებასთან დაკავშირებული კანონის ლიბერალიზაციის გამო. მათი აზრით, ამან გამოიწვია ის, რომ არასრულწლოვნებს შორის გაიზარდა მარიხუანას მოხმარება. მშობლები თვლიან, რომ უნდა არსებობდეს სასჯელი:

„დავუშვათ მიიღო ბავშვმა ნარკოტიკი. რითი ისჯება? უნდა გამკაცრდეს აუცილებლად... მაგაზე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს... ანუ, ასაკობრივად შესაბამისი უნდა იყოს ის სასჯელი... ბავშვმა უნდა იფიქროს, რომ მე ამისთვის დამსჯიან“ (თბილისი).

თუმცა საუბარში ირკვევა, რომ მათ არ იციან მარიხუანას მოხმარების შეზღუდვების და აკრძალვების შესახებ, რაც კანონითაა გათვალისწინებული.

მასწავლებლებისა და მშობლების მოსაზრებები პრევენციასთან დაკავშირებით

ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების დაწყების მიზეზებს შორის მასწავლებლები, პირველ რიგში, ინტერესს ასახელებენ. ამასთან ერთად, ხელშემწყობი ფაქტორებია მშობლების უყურადღებობა ან არაჯანსაღი ატმოსფერო ოჯახში, თანატოლების გავლენა, ნივთიერებების ხელმისაწვდომობა, ინფორმაციის ნაკლებობა, თვითდამკვიდრების სურვილი:

„არიან ბავშვები, რომლებსაც ოჯახში არ დაედგომებათ და ურჩევნიათ, სხვა გარემოში იყვნენ“ (თბილისი);

„ხშირად პროტესტის გამო ეწევიან“(თბილისი);

„მშობლების არყოლა, უმეტესობა იზრდება ბებია-ბაბუებთან“ (თბილისი);

„ვერ აცნობიერებენ, რამდენად საფრთხეს შეიძლება უქმნიდეს მათ ნარკოტიკი“

(ქუთაისი).

რაც შეეხება მშობლებს, მათი უმრავლესობა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების დაწყების მიზეზებს შორის, პირველ რიგში, ასახელებს ინტერესს. შემდეგ მოდის, თბილისელი და ბათუმელი მშობლების აზრით, თანატოლების გავლენა, ხოლო ქუთაისელი მშობლების აზრით - მშობლების უყურადღებობა.

„ყველაზე დიდი მიზეზია ინტერესი" „მე რაც გამიგია, რომ ადრეული ასაკიდან ეწევა და გადამიხედია ოჯახისთვის, ან დედა არ არის, ან მამა არ არის. ან გაყრილები არიან ან სულ კამათია ერთმანეთში, კონფლიქტური სიტუაციაა" (ქუთაისი);

„პირველი პრობლემა მაინც უყურადღებოლდ მიტოვებული ბავშვები არიან. თავისუფლად გამოდიან, ქუჩაში არიან და ზოგი სიგარეტს მოწევს, ზოგი ნარკოტიკს გასინჯავს, სხვა რა უნდა იყოს ქუჩაში?" (ქუთაისი);

„მთავარი ხელშემწყობია, რომ სითბო არა აქვთ სახლში" (ქუთაისი);

„ალბათ დაბადების დღეებზე და შეკრებებზე იწყებენ თითო ჭიქით"(თბილისი);

„99 ბავშვი რომ ერთნაირად ფიქრობს და ერთი სხვანაირად, ძნელია მშობელმა რამე გააკეთოს" (თბილისი).

მასწავლებლებთან საუბარში ირკვევა, რომ სკოლებში არ არსებობს ფსიქოაქტიური ნივთიერებების ავადმოხმარების პრევენციის გეგმა. შეკითხვაზე, აქვს თუ არა სკოლას დაგეგმილი ჩაატაროს წლის განმავლობაში პრევენციული ღონისძიებები ნარკოტიკებთან დაკავშირებით, პასუხი იყო, რომ:

„როცა ბავშვებს უწევთ ამ საკითხის შესწავლა, მაშინ აკეთებენ ინფორმაციულ პოსტერებს და აცნობენ სხვა კლასებს" (ქუთაისი);

„მ: ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებით საუბარი შედის სადამრიგებლო გეგმაში? რ: არ შედის. ისე, შენ თვითონ დედა-შვილურად თუ დაელაპარაკები... ყველას თავისი ინდივიდუალური გეგმა აქვს." (ქუთაისი);

„მე რომ გაკვეთილზე შევდივარ, 40 წუთი მჭირდება ჩემი საგნისთვის და დროა საჭირო ამისთვის, დრო!" (ქუთაისი).

ნარკოტიკების მოხმარების პრევენცია პედაგოგების ნაწილისთვის მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებით შემოიფარგლება:

„სკოლის საქმე არის სწორი ინფორმაციის მიწოდება. ბიოლოგიის მასწავლებელი, სამოქალაქო განათლება“ (თბილისი); „საუბრები, ინფორმაციის სწორი მიწოდება - რა მავნებლობა აქვს, როგორ დავიცვა თავი“(ბათუმი); „ძირითადი, ჩვენ რაც შეგვიძლია, ეს არის მოსწავლეებთან საუბარი მავნებლობის შესახებ, რასაც ნარკოტიკის მოხმარება იწვევს“ (თბილისი).

ზოგიერთი მასწავლებელი უფრო შემოქმედებითად უდგება საკითხს *„ფილმებს ვაჩვენებთ და მერე იმართება დებატები“ (თბილისი) „მთელი წლის განმავლობაში ერთ-ერთ კლასს ვაჩვენებდი ფილმებს (ბულინგის თემაზე). მთელი წელი, მაისის ბოლომდე ფილმებს ვუჩვენებდი. იმდენად კმაყოფილი იყვნენ ბავშვები და იმდენი რაღაც გააანალიზეს...“ (თბილისი)*

ზოგ სკოლაში ყოფილა, რომ მოწვეულ სპეციალისტებს ჩაუტარებიათ მოსწავლეებისთვის ლექცია. მაგრამ სისტემატური, გეგმაზომიერი ღონისძიებების არსებობის შესახებ არცერთ ჯგუფში არ უსაუბრიათ.

მასწავლებლები თვლიან, რომ ამ საკითხებზე მოსწავლეებს შეიძლება ესაუბროს კლასის დამრიგებელი, ფსიქოლოგი, სკოლის ექიმი, ბიოლოგიის მასწავლებელი ან სამოქალაქო განათლების პედაგოგი ან *„უნდა იყოს სპეციალურად გადამზადებული მასწავლებელი, რომელიც თვეში ერთხელ ან ორჯერ ჩაატარებს სპეციალურად გაკვეთილს“ (ქუთაისი).*

გამოითქვა ისეთი აზრიც, რომ პრევენცია მრავალკომპონენტიანია და სხვადასხვა საშუალებით ხორციელდება. *„(ახალგაზრდებს იცავს) სპორტი. ოჯახი, ზნეობა, პირადი მაგალითი; სხვადასხვა აქტივობები, სოციალური პროექტები, სადაც ჩართული არიან ბავშვები, თვითონ მონაწილეობენ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. მეტ-ნაკლებად სკოლები ამას ახორციელებენ“ (თბილისი).*

ზოგიერთს არასწორად ესმის პრევენციის მნიშვნელობა. ისინი პრევენციად მიიჩნევენ მხოლოდ უკვე მომხდარ ფაქტებზე რეაგირებას. შეკითხვაზე, ტარდება თუ არა სკოლაში პრევენციული ღონისძიებები, ქუთაისის ერთ-ერთ სკოლაში იყო ასეთი პასუხები - *„თუ არ არის არავინ შემჩნეული, რა წინააღმდეგობა უნდა გაუწიო?!“, „თუ რამე პრობლემაა, თვითონ მანდატურები აგვარებენ ამ საქმეს“.*

ზოგიერთი პედაგოგი არ თვლის საჭიროდ მოსწავლეებთან ამ თემებზე საუბარს: *„მე მგონი, 7-8-ე კლასის მოსწავლეებს ნარკოტიკებზე ვერ დაელაპარაკები. ზედმეტი ინფორმაცია არ არის საჭირო“ (თბილისი).* თუ მოსწავლეს გაუჩნდა შეკითხვა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით, სკოლებში არ არის გამოყოფილი კონკრეტული კომპეტენტური პირი.

ზოგადად, მასწავლებლებს აკლიათ მოტივაცია, რადგან თვლიან, რომ მათი შრომა არ ფასდება სათანადოდ და დაკარგეს ავტორიტეტი:

„მშობლები და ბავშვები ისე არ გვენდობიან და არ გვიყურებენ, როგორც ადრე იყო... ჩვენ ამდენი შრომა გვიწევს, მაგრამ დაფასება არ გვაქვს ისე, როგორც

საჭიროა... მასწავლებლის პროფესია წინათ იყო პირველ ადგილზე“ (ბათუმი).

მასწავლებლები თვლიან, მხოლოდ სკოლა ვერ იტვირთავს ნარკოტიკების მოხმარებისა და სხვა ანტისოციალური ქცევების პრევენციას:

„კონცეფციას აყალიბებს სახელმწიფო, გარედან უნდა იყოს, ზემოდან უნდა იყოს... მე, როგორც რიგითმა პედაგოგმა, რა უნდა გავაკეთო“ (თბილისი);

„ძალადობა არა მარტო სკოლებში, საზოგადოებაშიც ნომერ პირველი პრობლემაა. ამიტომ მივიდა ხელისუფლება იმ დასკვნამდე, რომ მარტო სკოლა აქ ვერაფერს ვერ გააკეთებს. აქ უნდა ჩაერთოს ყველა შესაბამისი სტრუქტურა, ყველა ინსტიტუცია. რა თქმა უნდა, ლომის წილი აქ მაინც პედაგოგებს აქვთ და ეს უნდა გავითავისოთ“ (თბილისი).

მშობლებმა ყველა ჯგუფში აღნიშნეს, რომ, რომ ოჯახს პრევენციის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს:

„მაგალითს ხომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ოჯახის მაგალითი პირველია, განმსაზღვრელია მისი ფსიქიკის, ზნის და ჩვევების ჩამოყალიბებაში“ (თბილისი);

„მამები თუ ჩაერთვებიან ამ სიტუაციაში, უფრო მეტად მისასალმებელია. მამების როლი სულ სხვაა“ (თბილისი);

„როცა დედა ეწევა, ის ვერც გოგოს დაუშლის, ვერც ბიჭს“ (თბილისი).

„მარტო ოჯახმა შეიძლება ბევრი ვერაფერი ვერ გააკეთოს, მაგრამ ბავშვმა ოჯახში აუცილებლად უნდა მიიღოს ინფორმაცია“ (თბილისი).

ზოგი მშობელი, გარდა იმისა, რომ ელაპარაკება შვილს ამ თემაზე, ცდილობს მოიძიოს ინფორმაცია სხვადასხვა საშუალებით და გაუზიაროს შვილს:

„კონკრეტულად მარიხუანაზე ძალიან ბევრი საინტერესო კლიპია გადაღებული, კომპეტენტური აზრია გამოთქმული პროფესიონალების მიერ და როდესაც ვნახე ეს ვიდეორგოლი ორივე ჩემს შვილს გადავუგზავნე“ (თბილისი);

„ჩემ გოგონას ვაყურებინე - კანაფზე იყო ტელევიზორში, რა შედეგი შეიძლება მოყვეს. კარგად იყო გაკეთებული“ (ქუთაისი).

მშობლები თვლიან, რომ უფრო დაცული იქნებიან ბავშვები, თუ დაკავებული იქნებიან სპორტით ან სხვა ჯანსაღი საქმიანობით:

„ჩემი შვილი სერიოზულად არის დაკავებული ფეხბურთით და იცის, რომ ეს (თამბაქო) მისთვის არის შხამი“ (ბთუმი);

„ჩემი შვილი დადის ჭიდაობაზე. მამამისი ელაპარაკება, რა შედეგი შეიძლება გამოიწვიოს სიგარეტმა, როგორ შეუშლის ხელს წარმატებას. მაგალითები მოყავს, რამდენი სპორტსმენისთვის შეუშლია ხელი თუნდაც ალკოჰოლს“ (თბილისი).

მშობლების ნაწილი თვლის, რომ ბავშვებს საერთოდ არ უნდა ჰქონდეთ თავისუფალი დრო

„ჩემი აზრით ბავშვი უნდა იყოს ძალიან დასაქმებული და დაკავებული, არ ჰქონდეს არანაირი დრო სად წავიდეს, სად მოწიოს... თავისუფალ დროს თუ სპორტს დაუთმობს, ცეკვას დაუთმობს, რამე ისეთ წრეებს, დროც არ რჩება მაგისთვის“ (თბილისი);

„ჩვენ შვილებს არ უნდა ჰქონდეთ ბევრი თავისუფალი დრო - ან წიგნი წაიკითხოს ან რამეში დავიხმაროთ“ (თბილისი).

მშობლების ნაწილი ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევს შვილებთან ურთიერთობას, მათთან მეგობრულ დამოკიდებულებას, თვითონ ოჯახში აუცილებელია ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო:

„პირველ რიგში, ახლო ურთიერთობაში უნდა შევიდეთ შვილთან“; „თავისუფალი დრო ბავშვებთან გავატაროთ უფრო მეტად“ (ქუთაისი);

„მეგობრული ურთიერთობა უნდა ჩამოაყალიბო ბავშვებთან“; “ბავშვებს და მშობლებს შორის ხშირი კონტაქტი უნდა იყოს“ (ბათუმი).

„რაც მთავარია, ურთიერთობა და სიყვარული ოჯახში“; „ურთიერთპატივისცემა ოჯახში დედასა და მამას შორის, რომ ბავშვისთვის ეს მაგალითი იყოს“ (თბილისი);

„ჩავსულვართ და მანქანაში გვიჩხუბია მე და ჩემ მეუღლეს გარკვეულ თემაზე, რომ ბავშვებისთვის ეს არ ყოფილიყო ტრავმა“ (თბილისი).

მშობლების უდიდესი ნაწილი თვლის, რომ პირველ რიგში საჭიროა ამ საკითხებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ჩატარება. მხოლოდ გაკვეთილების ჩატარება არ არის საკმარისი:

> *„დღეს იმდენად აქტუალურია ნარკოტიკების თემა, რომ ეგ პროგრამული (გაკვეთილები) შედეგს ვერ მოიტანს“ (თბილისი);*
>
> *„უნდა მოვიდეს კომპეტენტური ადამიანი. მისგან უფრო დამაჯერებელია. მაგალითად, იგივე კანონების შესახებ ვინმე სამართალდამცავი, ამაზეც ინფორმაცია უნდა მიეწოდოს. პოლიცია, ფსიქოლოგები, ექიმები, ნარკოლოგები“ (თბილისი).*

მშობლების აზრით, კარგი შედეგი ექნება ამ თემებზე თვალსაჩინო მასალის (ფილმები, ვიდეორგოლები) დემონსტრირებას:

> *„თუნდაც თვეში ერთხელ რომ ტარდებოდეს, ვთქვათ, 10-ე კლასელებისთვის საუბრები, თუნდაც ვიდეორგოლები აჩვენონ, რა მოსდევს იმ ნარკოტიკების მოხმარებას. ვიზუალურად რომ უყურებენ, კიდევ სხვაა“ (თბილისი);*
>
> *„თვალსაჩინო უფრო კარგი იქნება, ვიდრე ლექციური ვარიანტი. ვიზუალურად რასაც დაინახავენ, ეს უფრო შთამბეჭდავია, ვიდრე უთხრა - ასე დაგემართებაო“ (ქუთაისი);*
>
> *„ფილმები ხომ არსებობს, ანტიპროპაგანდული ფილმები? მე, მაგალითად, ძალიან კარგად მახსოვს, 13 წლის ვიყავი და ვუყურე აბორტის შესახებ ფილმს. შიშისგან შევრჩი. ისეთი შოკი და სტრესი მივიღე, რომ აბორტი არ გამიკეთებია. რაღაც მსგავსი საზიზღრობები უნდა აჩვენონ. მე რომ წურბელას ვუყურე, რა მოუვიდა სიგარეტის კვამლში რომ ჩასვეს, ისეთი რაღაც დაემართა...ალბათ ფილმები იქნებოდა კარგი, რომ სკოლაში ეჩვენებინათ. კარგი ფილმები“ (თბილისი).*

სპეციალისტების გარდა, მშობლების აზრით, ბავშვებისთვის სასარგებლო იქნება შეხვედრები წარმატებულ ადამიანებთან, რომლებიც ცხოვრების ჯანსაღ წესს იცავენ.

> *„ცნობილი ადამიანებიც რომ მოდიოდნენ, ოღონდ ისეთი ცნობილები კი არა, პროპაგანდას რომ აკეთებენ...“ (ბათუმი);*
>
> *„საჭიროა მაგალითების ჩვენება, სპორტსმენის, მაგალითად, მისაბაძი*

ადამიანის მოყვანა“ (თბილისი).

ყველა ჯგუფში გამოითქვა სურვილი, რომ სკოლაში ბავშვებთან იმუშაოს ფსიქოლოგმა: *„თვითონ სკოლაში რომ იყოს ფსიქოლოგი, ჯობია. ერთი საათით რომ შევიდეს გაკვეთილივით და ესაუბროს ამ თემებზე, კარგი იქნება“ (თბილისი); „ჩემი აზრით ფსიქოლოგი იმით იქნება კარგი, რომ უკეთ იცის, ეს საკითხები რა კუთხით მიაწოდოს ბავშვებს“ (თბილისი);*

მშობლები გამოთქვამენ სურვილს, რომ სკოლაში იყოს შესაძლებლობა, ბავშვები დაკავდნენ სხვადასხვა წრეებში და ღონისძიებებში ინტერესების შესაბამისად და ეს ყველასათვის ხელმისაწვდომი იყოს:

„შემეცნებითი პროგრამები უნდა იყოს, რაღაცით უნდა ხალისდებოდნენ. შეჯიბრებები, სპორტით უნდა იყვნენ უფრო მეტად დაკავებული“ (ბათუმი);

„მეტი ღონისძიებები, მეტი გუნდურობით, უფრო მეტად ჩართულები რომ იყვნენ. ეს ღონისძიებები გასართობიც იყოს და საინფორმაციოც. თუნდაც, ერთმა კლასმა მოამზადოს საინფორმაციო ღონისძიება სხვა დანარჩენი კლასებისთვის. მეტ ინფორმაციას გაიგებენ და თავის თანატოლებისგან გაგებული ინფორმაციაც მათთვის უფრო საინტერესო იქნება“ (თბილისი);

„არის მოხალისეთა ორგანიზაციები, რომლებშიც სკოლის მოსწავლეებიც არიან გაწევრიანებული. დასუფთავება, სხვადასხვა აქტივობები, მოხუცთა თავშესაფარში მიდიან ბავშვები. თუნდაც სკოლაში რომ გაკეთდეს ამის ორგანიზება, კარგი იქნება“ (თბილისი).

გამოითქვა მოსაზრებაც, რომ სკოლის ფუნქცია არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ცოდნის გადაცემით:

„განათლება არ არის მხოლოდ ცოდნა, ეს არის ცოდნის, ღირებულებების და უნარების ერთიანობა. არა მარტო ცოდნის მიწოდება, სწორი ღირებულებების განვითარება. მე ვფიქრობ, რომ სკოლას ასევე გარეთ უნდა გაყავდეს ბავშვები, უნდა იყოს პრაქტიკული მეცადინეობები, რომ უნარები და საზოგადოებაში ქცევი სწესები განუვითაროს ბავშვებს“ (ბათუმი).

მშობლებს მოსწონთ, რომ მწვრთნელები ხშირად ესაუბრებიან ბავშვებს თამბაქოს მავნებლობაზე და სხვა პრობლემებზე, მაგრამ იმასაც აღნიშნავენ, რომ პირად მაგალითს ვერ აძლევენ:

“მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ როცა იგივე მწვრთნელი მერე იღებს და ეწევა, აქ მთავრდება ყველაფერი. მე მახსოვს, ჩემი შვილი რომ მოვიდა და მითხრა, დედა, ჩვენ კი გვითხრესო, მაგრამ თვითონ რატომ შვებიან ამასო“ (თბილისი);

“ერთი წლის წინ რაგბში მწვრთნელის თანაშემწე, ახალგაზრდა ბიჭი გარდაიცვალა ამ რაღაცით (ნარკოტიკით) და ეს იყო შოკი ამ ბავშვებისთვის. ხომ იციან, ხომ ეუბნებიან, მაგრამ მაგალითს არ აძლევენ. კი ესაუბრებიან, მაგრამ მაინც იმათ თვალწინ ეწევიან“ (თბილისი).

მშობლებისა და პედაგოგების ნაწილი თვლის, რომ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებისა და სხვა ანტისოციალური ქცევების პრევენციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს რელიგია. მშობლების ერთმა ნაწილმა გამოთქვა სურვილი, რომ სკოლაში დაბრუნდეს რელიგიის გაკვეთილები, ხოლო მეორე ნაწილს მიაჩნია, რომ პრევენციაში მნიშვნელოვანი როლის შეტანა შეუძლიათ სასულიერო პირებს:

„რელიგიის როლი იმიტომ იქნება ძალიან დადებითი, რომ ყოველთვის კარგს აჩვენებს, სწორ გზას აჩვენებს ბავშვს“ (მასწავლებელი, ბათუმი).

„მე ასე ვფიქრობ, რომ ორივე სარწმუნოება, რაკი ბათუმში ვართ, არც ერთი არ მოიწონებს, რომ ჩვენმა მომავალმა თაობამ მოწიოს. თუ შენს შვილს რწმენას ჩაუსახავ, მე მგონი ძალიან დიდ როლს თამაშობს სარწმუნოება“ (მშობელი, ბათუმი);

„ჩემს დროს სკოლაში ვსწავლობდით საღვთო სჯულს და ძალიან კარგი იყო. ბევრი რამე გავიგე და ვისწავლე იქიდან... ძალიან დიდი სურვილი იქნება ჩემი, რომ ჩატარდეს ასეთი გაკვეთილები“(მშობელი, ქუთაისი);

„აი, ჩვენს სკოლაში წინა კვირაში იყო მოსული მამაო. ბავშვები ისეთი კმაყოფილები მოვიდნენ. მე ძალიან მივესალმები ასეთი რაღაცეები თუ დაინერგება ჩვენს სკოლაში“ (თბილისი).

თითქმის ყველა ფოკუს ჯგუფში მშობლები ხაზგასმით აღნიშნავდნენ იმის საჭროებას, რომ პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია კომპლექსური მიდგომა:

„ეს არც მარტო სკოლის გადასაწყვეტია და არც მარტო მე უნდა დავდგე პირისპირ ამ პრობლემის წინაშე. მე, სკოლა და საზოგადოება, გარემო. ამ სამის კავშირი არ უნდა გაწყდეს - სკოლა, მშობელი, საზოგადოება“ (თბილისი);

„რაღაც სოციალური პასუხისმგებლობა უნდა ჰქონდეს ხალხს. ყველამ უნდა ავიღოთ სოციალური პასუხისმგებლობა - მე ჩემი შვილის სკოლაზე, თქვენ თქვენი შვილის ან ახლობლის სკოლაზე და ასე. იმიტომ, რომ სახელმწიფო ამას კაი ხანი რომ ვერ გააკეთებს, ზუსტად ვიცი“ (თბილისი);

„სწორად უნდა იყოს აღქმული. მშობელსაც შეიძლება არასწორად ესმის რაღაცა, სკოლაში არასწორი ინფორმაციაა, ქუჩაში არასწორი ინფორმაციაა და ბავშვი ვის ენდობა ამ შემთხვევაში?!“ (ბათუმი);

„ყველაზე პრიორიტეტული დღეს არის, რომ სახელმწიფომ ხელი მოკიდოს ამას, მოდაში უნდა შემოვიდეს ამ ასაკში, რომ სპორტსმენი იყოს, წარმატებული იყოს და არ იყოს ამხელა გადასახადები სპორტზე. მშობლებს არა აქვთ შესაძლებლობა, გადაიხადონ“ (თბილისი);

„ბავშვების ინტერესები სხვა კალაპოტში უნდა ჩაჯდეს. ინტერესი უნდა გაუჩნდეს ბავშვს სწავლის, განათლების, გაზრდის და არა იმის, რომ რაღაცეები მოწიოს და გაშტერდეს“ (თბილისი).

თავი 7. შეჯამება და რეკომენდაციები

საკმაოდ ფართოა ფაქტორების დიაპაზონი, რომლებიც ახალგაზრდების განვითარებაზე და პრობლემურ ქცევებზე ახდენენ გავლენას. სხვადასხვა ფაქტორები - გენეტიკით და ტემპერამენტით დაწყებული და სოციალური და ეკოლოგიური ზეგავლენით დასრულებული - ერთმანეთთან ურთიერთქმედებენ და ქმნიან რისკისა და დაცვის რთულ ბადეს.

ეს გახლავთ 14-24 წლის ახალგაზრდებს შორის ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებისა და სხვა პრობლემური ქცევების რისკ და დამცავი ფაქტორების პირველი ქართული კვლევა. შედეგებმა გამოავლინა მრავალრიცხოვანი გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოზარდებისა და ახალგაზრდების ცხოვრებაზე. ამ შედეგების წყალობით, ჩვენ მივიღეთ რისკისა და დამცავი ფაქტორების მყარი საბაზისო სურათი, რომლის საფუძველზეც მომავალში შესაძლებელი გახდება ეფექტური პროფილაქტიკური სტრატეგიების შემუშავება.

დასკვნები

ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება და სხვა პრობლემური ქცევები

1. თამბაქო. მაღალია თამბაქოს ცხოვრების მანძილზე მოხმარების და ბოლო თვეში რეგულარული მოხმარების მაჩვენებელი და **საკმაოდ მაღალია თამბაქოს ადრეულ ასაკში მოხმარების მაჩვენებელი**. ადრეულ ასაკში (14 წლამდე) სიგარეტი მოწეული აქვს ყოველ მეოთხე ახალგაზრდას, ხოლო 10 წლამდე ასაკში - ყოველ მეათეს.

ყოველი მეოთხე სკოლის მოსწავლე და სტუდენტების თითქმის ორი მესამედი ყოველდღე ეწეოდა სიგარეტს ბოლო ერთი თვის განმავლობაში; რაც შეეხება ბოლო ერთი თვის მანძილზე დღიურად მოხმარებული სიგარეტების რაოდენობას, თამბაქოს მომხმარებლებიდან **ყოველი მეხუთე მოსწავლე და თითქმის ყოველი მესამე სტუდენტი ყოველდღიურად ეწევა ნახევარ კოლოფ სიგარეტს ან მეტს.**

გამოვლინდა კავშირი თამბაქოს ბოლო თვეში ყოველდღიურ მოხმარებასა და თამბაქოს ყოველდღიური მოხმარების საფრთხის აღქმას შორის - იმ ახალგაზრდებში, ვინც თამბაქოს ყოველდღიურ მოხმარებას ნაკლებად საფრთხის შემცველად აღიქვამს, უფრო მაღალია ბოლო თვეში თამბაქოს რეგულარული მოხმარების მაჩვენებელი.

ამ კვლევამ საშუალება მოგვცა, წარმოგვედგინა პირველი ემპირიული მონაცემები ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებისა და სხვა პრობლემური ქცევების რისკ და დამცავი ფაქტორების შესახებ საქართველოს მოზარდებსა და ახალგაზრდებში. კვლევაში ჩართული იყო საქართველოს სამი დიდი საუნივერსიტეტო ქალაქის სკოლების, პროფესიული კოლეჯებისა და უნივერსიტეტების მოსწავლეები და სტუდენტები.

მოცემულ თავში წარმოდგენილია კვლევის შედეგების ანალიზის შედეგად გამოტანილი დასკვნები და შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც ორ ძირითად ნაწილად დავყავით:

1. რეკომენდაციები პოლიტიკასა და პრაქტიკასთან მიმართებით
და
2. რეკომენდაციები კვლევასა და მონაცემთა შეგროვებასთან მიმართებით.

2. **ალკოჰოლი.** ახალგაზრდების აბსოლუტურ უმრავლესობას მოუხმარია ესა თუ ის ალკოჰოლური სასმელი ცხოვრების მანძილზე.

მაღალია ბოლო თვეში სასმელის მიღებისა და გადამეტებული სმის მაჩვენებლები - ყოველმა მეოთხე მოსწავლემ დაადასტურა ზედიზედ 5 ან მეტი ჭიქა ალკოჰოლური სასმელის დალევა ბოლო თვეში ერთხელ ან ორჯერ, ხოლო ყოველ მეათე სტუდენტს ბოლო თვეში ჰქონდა 10 ან მეტი გადამეტებული სმის ეპიზოდი.

ალკოჰოლის ადრეულ (14 წლამდე) ასაკში მოხმარებას ადასტურებს ახალგაზრდების დაახლოებით ნახევარი, **10 წლამდე ასაკში ალკოჰოლური სასმელი დალეული აქვს ყოველ მეხუთე ახალგაზრდას და თითქმის ამდენივე ახალგაზრდას ალკოჰოლური სასმელების რეგულარული მიღება დაწყებული აქვს 14-17 წლის ასაკში.**

მოსწავლეების თითქმის ნახევარი თვლის, რომ მათი მშობლებისთვის მისაღებია, თუ ისინი ხანდახან ღვინოს დალევენ. მშობლებიც თვლიან, რომ მისაღებია მოზარდობის ასაკში უფროსებთან ერთად სუფრასთან მცირე რაოდენობით ღვინის დალევა, რადგან ღვინო ბევრი ტრადიციის შემადგენელი ნაწილია და ბავშვები სწავლობენ ამ ტრადიციებსაც და ალკოჰოლის ზომიერ მოხმარებასაც, თუმცა მიუღებლად მიაჩნიათ დათრობა.

3. მარიხუანა (კანაფი). **მარიხუანა გასინჯული აქვს თითქმის ყოველ მეხუთე მოსწავლეს, ხოლო სტუდენტებში ცხოვრების მანძილზე მოხმარების მაჩვენებელი მოსწავლეებისას ორჯერ აღემატება.**

ყოველ მეათე მოსწავლეს ბოლო თვის განმავლობაში 1-2-ჯერ მოუწევია მარიხუანა; ბოლო თვეში ყოველ მეხუთე სტუდენტს მოუწევია მარიხუანა, ხოლო ყოველ მეათეს ბოლო 30 დღის განმავლობაში მარიხუანა მოხმარებული აქვს 10-ჯერ ან მეტჯერ.

მარიხუანას პირველად მოხმარების ასაკად ყველაზე ხშირად დასახელდა **14-17 წელი.**

იმ მოსწავლეებსა და სტუდენტებში, ვინც მარიხუანას რეგულარულ მოხმარებას ნაკლებად საფრთხის შემცველად აღიქვამს, უფრო მაღალია ბოლო თვეში მარიხუანას მოხმარების მაჩვენებელი.

კვლევის თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში გამოკითხული მოსწავლეების მშობლების დიდი ნაწილი შეშფოთებულია მოზარდებს შორის მარიხუანას მოხმარების გავრცელებით. მშობლებს წარმოდგენაც კი უჭირთ, რომ მათმა შვილმა შეიძლება მარიხუანა მოწიოს და ძალიან აშინებთ ამაზე ფიქრიც კი. ზოგისთვის ეს იმდენად წარმოუდგენელია, რომ არც კი უფიქრია, რა რეაქცია ექნება, თუ მისი შვილი მარიხუანას მოწევს. მშობლებმა არ იციან, როგორ უნდა მიხვდნენ, თუ მათმა შვილმა მარიხუანა მოიხმარა.

ჩვენ შევადარეთ სკოლის მოსწავლეებს შორის მარიხუანას მოხმარების ჩვენს მიერ მიღებული მონაცემები ალკოჰოლის, თამბაქოსა და სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების შემსწავლელი ევროპის სკოლების კვლევის (ESPAD) 2016 წლის მონაცემებს. აღმოჩნდა, რომ **ბოლო ორ წელიწადში ორივე ინდიკატორი - ცხოვრების მანძილზე და ბოლო 30 დღეში მოხმარება გაიზარდა:** მოსწავლეებში მარიხუანას ცხოვრების მანძილზე მოხმარება 11%-დან 17,5%-მდე გაიზარდა, ხოლო **ბოლო 30 დღის განმავლობაში მოსწავლეებს შორის მოხმარების ინდიკატორი 2-ჯერ და მეტად გაიზარდა: იყო 4% და გახდა 9.3%.**

4. სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებები. ყველაზე გავრცელებული არალეგალური ნარკოტიკი მარიხუანაა. რაც შეეხება სხვა არალეგალური ფსიქოაქტიური ნივთიერებების

მოხმარებას, ვაჟებს ყველაზე მეტად მოუხმარიათ LSD, სპაისები („ბიო“) და ექსტაზი. გოგონებს - საძილე საშუალებები, LSD და ინჰალანტები.

როდესაც შევადარეთ სკოლის მოსწავლეებს შორის სხვადასხვა არალეგალური ნარკოტიკის ცხოვრების მანძილზე მოხმარების ჩვენს მიერ მიღებული მონაცემები ალკოჰოლის, თამბაქოსა და სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების შემსწავლელი ევროპის სკოლების კვლევის (ESPAD) 2016 წლის მონაცემებთან, აღმოჩნდა, რომ ბოლო ორ წელიწადში ეს მაჩვენებელი პრაქტიკულად არ შეცვლილა ექსტაზის შემთხვევაში, უმნიშვნელოდ გაიზარდა LSD-ს და „ბიოს“ შემთხვევაში; გაიზარდა საინექციო ნარკოტიკების მოხმარება და მკვეთრად შემცირდა ინჰალანტებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მოხმარება.

5. ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებული რისკის აღქმა. მოსწავლეები, ძირითადად, სწორად აფასებენ ფსიქოაქტიური ნივთიერებების სისტემატურ და ხშირ მოხმარებასთან დაკავშირებულ რისკებს. მაგრამ აღსანიშნავია, რომ **მოსწავლეების დიდი ნაწილი ადეკვატურად ვერ აფასებს იმ ნივთიერებების ეპიზოდური მოხმარების საფრთხეს, რომელთა ერთჯერადი მოხმარებაც კი მაღალი რისკის შემცველია (LSD, ბიო, ექსტაზი, ამფეტამინი).**

ასევე არასათანადოდ აფასებენ მარიხუანას მოხმარების საფრთხეს - **ყოველი მეხუთე მოსწავლე თვლის, რომ მარიხუანას ყოველდღიური მოხმარება არ არის სახიფათო.**

ანალიზის შედეგად გამოიკვეთა უკუპროპორციული დამოკიდებულება თამბაქოს, ალკოჰოლის, მარიხუანას და ფსიქოტროპული მედიკამენტების მოხმარების აღქმულ რისკსა და ამ ნივთიერებათა ბოლო თვეში მოხმარებას შორის როგორც მოსწავლეებში, ასევე სტუდენტებში; კერძოდ, რაც უფრო უსაფრთხოდ აღიქმება ამ ნივთიერებების მოხმარება, მით უფრო მაღალია ბოლო თვეში მათი მოხმარების მაჩვენებელი.

ასევე, **გამოვლინდა კავშირი ე.წ „კლუბური ნარკოტიკების“ მოხმარების საფრთხის ნაკლებად აღქმასა და ცხოვრების და ბოლო თვის მანძილზე მათ მოხმარებას შორის.**

6. ნარკოტიკების შესახებ ინფორმაციის წყაროები. სკოლის მოსწავლეებს ინფორმაცია ნარკოტიკების შესახებ ძირითადად მიუღიათ მშობლებისგან, მასწავლებლებისგან და თანაკლასელებისგან, ხოლო სტუდენტებს - თანაკურსელებისგან, მასწავლებლებისგან და მშობლებისგან.

ინფორმაციის საიმედოობისა და სანდოობის საკითხის განხილვის დროს, გასათვალისწინებელია ერთი საკითხი - მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდამ შეიძლება ისარგებლოს ინფორმაციის გარკვეული წყაროთი, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს წყარო ყველაზე სანდო ან დამაჯერებელია მისთვის. **მოსწავლეებთანაც და სტუდენტებთანაც ინფორმაციის ყველაზე სანდო წყაროდ დასახელდნენ მშობლები და მასწავლებლები/ლექტორები, ხოლო თანატოლებისგან მიღებულ ინფორმაციას ახალგაზრდები ნაკლებად ენდობიან.**

მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის წყაროდ ხშირად არ იყვნენ დასახელებული სპეციალისტები და ექიმები, საკმაოდ მაღალია მაჩვენებელი, რომლითაც ისინი მიიჩნევიან ინფორმაციის სანდო წყაროდ.

მშობლები მოზარდებისთვის ნარკოტიკების შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, მაგრამ აცნობიერებენ, რომ აკლიათ ინფორმაცია და არგუმენტები შვილებთან სასაუბროდ.

მასწავლებელებიც მიიჩნევენ, რომ ამ საკითხებზე სასაუბროდ არ ყოფნით კომპეტენცია. იმისათვის, რომ მასწავლებლებმა შეძლონ მოსწავლეებთან ნარკოტიკების მოხმარების პრობლემაზე საუბარი, ესაჭიროებათ გადამზადება. მასწავლებლებს არ ჰქონდათ ინფორმაცია, რომ მასწავლებლებისთვის განკუთვნილ ინტერნეტგვერდებზე გამოქვეყნებულია სახელმძღვანელოები პედაგოგებისთვის - როგორ იმუშაონ მოსწავლეებთან ცხოვრების ჯანსაღი წესის საკითხებზე, ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების კუთხით.

მასწავლებლებმა გაგვიზიარეს გამოცდილება, რომ არაფორმალურ გარემოში საკუთარ მოსწავლეებთან ახლებურ, უკეთეს კონტაქტს ამყარებენ და თვლიან, რომ ასეთ თემებზე საუბარი უფრო შედეგიანი იქნება, თუ ეს არ მოხდება ტრადიციული გაკვეთილის ფორმით.

7. ინფორმაციის მიღების გზები (საკომუნიკაციო არხები). მოსწავლეებისთვის ნარკოტიკების შესახებ ინფორმაციის მიღების ყველაზე ხშირად დასახელებული საშუალება ტელევიზიაა, თუმცა სასურველ წყაროდ ტელევიზიის დასახელების სიხშირე დაბალია. ასევე მაღალი სიხშირით დასახელდა ინფორმაციის მიღების გზად სოციალური ქსელები, თუმცა სასურველ საკომუნიკაციო არხებს შორის სოციალური ქსელების დასახელების სიხშირე კიდევ უფრო დაბალია.

საკმაოდ მაღალი აღმოჩნდა ინფორმაციის მიღების გზად გაკვეთილების და სკოლაში ჩატარებული აქციების/ტრენინგების დასახელების სიხშირე.

სასურველ გზებს შორისაც ყველაზე ხშირად დასახელდა სკოლაში ჩატარებული ტრენინგები/აქციები და გაკვეთილები. ასევე, დასახელდა ვებ-გვერდები, აუდიოვიზუალური მასალა (საგანმანათლებლო ვიდეოკლიპები), მობილური აპლიკაციები.

თვისებრივი კვლევის თანახმად, მასწავლებლები ერთხმად აღიარებენ, რომ მედია დიდ გავლენას ახდენს მოზარდების დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების მიმართ. განსაკუთრებით აღნიშნავენ ბოლო დროს მარიხუანასთან დაკავშირებულ აჟიოტაჟს და თვლიან, რომ მედია საშუალებებიდან ხშირად მოდის მცდარი და საზიანო ინფორმაცია.

მშობლების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მედიასაშუალებები არასწორ ინფორმაციას ავრცელებენ მარიხუანასთან დაკავშირებით და ეწევიან პროპაგანდას.

8. ანტისოციალური ქცევები. პრობლემურ ქცევებს შორის, როგორც მოსწავლეებთან, ისე სტუდენტებთან, **ყველაზე გავრცელებულია ფულზე თამაში. მოსწავლეებს შორის მეორე ადგილზეა რაიმეს მოპარვა, ხოლო სტუდენტებს შორის - სასწავლებელში მისვლა არაფხიზელ მდგომარეობაში.**

აზარტული თამაშების ყველაზე გავრცელებული ფორმა, რომელზეც გასული წლის განმავლობაში ახალგაზრდებმა ფული დახარჯეს, ყოველ მეოთხე სკოლის მოსწავლისთვის არის **ნიძლავი ფულზე** და თითქმის ყოველი მეოთხე სტუდენტისათვის - **ონლაინ კაზინო.**

მშობლების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მოსწავლეები არ დადიან კაზინოში ან ტოტალიზატორში, თუმცა თამაშობენ ონლაინ.

9. ნივთიერებათა მოხმარება და სხვა ანტისოციალური ქცევები. **ის ახალგაზრდები, რომელთაც ოდესმე მოუხმარიათ ფსიქოაქტიური ნივთიერებები, უფრო ხშირად**

აღნიშნავდნენ სხვა ანტისოციალურ ქცევებში ჩართვას, ვიდრე ისინი, ვინც უარყოფდნენ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებას.

მოსწავლეებში არალეგალური ნარკოტიკების მოხმარება კორელაციაშია ისეთ ანტისოციალურ ქცევებთან, როგორიცაა მანქანის ან მოტოციკლის მოპარვა, მაღაზიიდან ფულის გადაუხდელად მალულად რაიმეს წამოღება, ზიანის მიყენების მიზნით ვინმეზე თავდასხმა. სტუდენტებში მაღალი კორელაცია გამოვლინდა საინექციო ნარკოტიკების მოხმარებასა და ნარკოტიკების გაყიდვას/ ქურდობას შორის.

რისკ და დამცავი ფაქტორები

ფაქტორები ინდივიდუალურ დონეზე

→ შეხედულებები, განწყობები, გრძნობები → ქცევის მკაფიო სტანდარტები (მორალური ფასეულობები) → მეამბოხეობა → პრობლემების გადაჭრის უნარი → ემოციური კეთილდღეობა: დეპრესიული განცდები → ემოციური კეთილდღეობა: ემოციური თვითრეგულირება → პოზიტიური (პროსოციალური) ქცევის გამოცდილება → გამოცდილება ცხოვრების სხვა სფეროებში - რელიგიურობა, თავისუფალი დრო

10. ახალგაზრდების განწყობა ნივთიერებათა მოხმარებისა და სხვა ანტისოციალური ქცევების მიმართ. სკოლის მოსწავლეებისთვის მისაღებია, თუ მათი ასაკის ადამიანი ეწევა თამბაქოს ან ელექტროსიგარეტს; რეგულარულად, თუნდაც კვირაში ერთხელ სვამს ლუდს, ღვინოს. **ყოველი მეხუთე მოსწავლე ვაჟისთვის მისაღებია მარიხუანას მოწევაც. იგივე ქცევები მისაღებია სტუდენტების უფრო მეტი რაოდენობისთვის, მაგრამ ჩამონათვალს ემატება მაგარი სასმელების რეგულარული, კვირაში ერთხელ მოხმარება.**

ვაჟებს შორის უფრო გამოხატულია დადებითი განწყობები ანტისოციალური ქცევების მიმართ, ვიდრე გოგონებს შორის. **ვაჟებისთვის პრობლემურ ქცევებს შორის ყველაზე მისაღები აღმოჩნდა ხშირად ჩხუბი და სკოლის/სასწავლებლის უმიზეზოდ გაცდენა.**

მოსწავლეებშიც და სტუდენტებშიც გამოვლინდა ურთიერთკავშირი თითქმის ყველა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების მიმღებლობასა და ალკოჰოლური სასმელების, თამბაქოს და მარიხუანას მოხმარებას შორის. სტუდენტებში ასევე გამოიკვეთა ე.წ. კლუბური ნარკოტიკების მიმღებლობის კორელაცია ალკოჰოლის, მარიხუანას და სხვა არალეგალური ნივთიერებების მოხმარებასთან.

ასევე, გამოვლინდა კორელაცია ანტისოციალური ქცევების მიმღებლობასა და ანტისოციალური ქცევების გამოცდილებას შორის. მოსწავლეებში გამოიკვეთა რამდენიმე ანტისოციალური ქცევა, რომელთა მიმღებლობა უკავშირდება კითხვარში დასახელებული ყველა ანტისოციალური ქცევის გამოცდილებას. ეს ქცევებია მაღაზიიდან რაიმეს წამოღება ფულის გადაუხდელად და ფულის გამოძალვა ან ჩაგვრა. სტუდენტებში ანტისოციალური ქცევა ყველაზე მაღალ კორელაციაშია ისეთი ქცევების მიმღებლობასთან, როგორიცაა

ცეცხლსასროლი იარაღის ტარება, მანქანის მართვა ალკოჰოლის ან ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ, ნარკოტიკის გაყიდვა და ფულის გამოძალვა.

11. ქცევის მკაფიო სტანდარტები (მორალური ფასეულობები). ითვლება, რომ ახალგაზრდა, რომელსაც ჩამოყალიბებული აქვს სოციალურად მისაღები ქცევის მკაფიო სტანდარტები, უფრო ნაკლებად მოიხმარს ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს და ნაკლებად ერთვება ანტისოციალურ ქცევებში.

ჩვენი კვლევის თანახმად, ახალგაზრდების დაახლოებით მესამედი იზიარებს პოზიტიური ქცევის სტანდარტებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ **ყოველი მესამე ვაჟისთვის და ყოველი მეხუთე გოგონასთვის მისაღებია რაიმეს უკითხავად აღება**.

მორალურ ფასეულობებსა და ნარკოტიკების მოხმარებას შორის ურთიერთკავშირი არ გამოვლინდა, მაგრამ დადასტურდა კავშირი ფასეულობებსა და ანტისოციალურ ქცევას შორის - ახალგაზრდები, რომლებიც იზიარებენ მორალურ ფასეულობებს, ნაკლებად ერთვებიან ანტისოციალურ ქცევებში.

12. მეამბოხეობა. ყოველი მესამე ახალგაზრდა თვლის, რომ მეამბოხეა; როგორც გოგონების, ასევე ვაჟების ნახევარზე მეტისთვის მისაღებია წესების უგულებელყოფა და დაახლოებით ამდენივე ადასტურებს, რომ უყვარს გარისკვა. მოსწავლეებში გამოვლინდა კავშირი რისკიანობასა და ალკოჰოლური სასმელების მოხმარებას შორის.

13. პრობლემების გადაჭრის უნარი. ახალგაზრდების თითქმის ნახევარს მიაჩნია, რომ აქვს პრობლემების გადაჭრის უნარი. მოსწავლეებში გამოჩნდა კავშირი პრობლემის გადაჭრის უნარსა და ფსიქოტროპული წამლების მოხმარებას შორის - რაც უფრო კარგ შეფასებას აძლევს ახალგაზრდა პრობლემის გადაჭრის საკუთარ უნარს, მით ნაკლებია ფსიქოტროპული წამლების მოხმარების მაჩვენებელი, ხოლო სტუდენტებთან ასეთი კავშირი დაფიქსირდა ინექციური ნარკოტიკების მოხმარებასთან მიმართებით. როგორც მოსწავლეებში, ასევე სტუდენტებში გამოიკვეთა პრობლემის გადაჭრის უნარსა და ანტისოციალურ ქცევებს შორის უკუპროპორციული კავშირი.

14. ემოციური კეთილდღეობა: დეპრესიული განცდები. **ყოველი მეხუთე ახალგაზრდა ადასტურებს დეპრესიული განცდების არსებობას.**

საყურადღებო განსხვავება გამოვლინდა ბათუმელ ვაჟებსა და გოგონებს შორის. დეპრესიული განწყობის მქონე გოგონების რაოდენობა თითქმის ორჯერ აღემატება ვაჟებისას.

მოსწავლეებში დეპრესიულ განცდებსა და ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებას შორის კავშირი არ გამოვლინდა; სტუდენტებთან კი გამოვლინდა კავშირი დეპრესიასა და მარიხუანას/ფსიქოტროპული წამლების მოხმარებას შორის. დეპრესიულ განცდებსა და ანტისოციალურ ქცევებს შორის ასოციაციური კავშირი არ დაფიქსირდა.

15. რაც შეეხება პოზიტიური სოციალური, ანუ პროსოციალური ქცევების გამოცდილებას ბოლო ერთი წლის განმავლობაში, საკმაოდ მაღალია იმ ახალგაზრდების რაოდენობა, ვისაც აქვს ეს გამოცდილება, მაგრამ დაბალია ასეთი ქცევების სიხშირე.

კავშირი პროსოციალურ ჩართულობასა და ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებას შორის არ არის; თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ **იმ მოსწავლეებს შორის, ვისაც გააჩნია**

პროსოციალური ქცევის გამოცდილება, მარიხუანა არასდროს მოუწევია დაახლოებით 80%-ს.

16. რელიგიურობა. მოზარდებისა და ახალგაზრდების უმრავლესობისთვის რელიგიას მათ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. რაც შეეხება რელიგიურ მსახურებაში მონაწილეობას, ახალგაზრდების დაახლოებით მესამედი არასოდეს ესწრება და დაახლოებით ამდენივე წელიწადში რამდენიმეჯერ ესწრება რელიგიურ მსახურებას.

მოსწავლეებშიც და სტუდენტებშიც გამოვლინდა უკუპროპორციული კავშირი რელიგიურობასა და ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებას შორის, ანუ, იმ ახალგაზრდებში, ვისთვისაც მნიშვნელოვანია რელიგია და ვინც მონაწილეობს რელიგიურ მსახურებაში, ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების მაჩვენებელი შედარებით დაბალია. რელიგიურობასა და ანტისოციალურ ქცევას შორის კავშირი კვლევაში არ გამოვლინდა.

16. თავისუფალ დროს ყოველდღიურად ინტერნეტით გართობას და ონლაინ ურთიერთობას უთმობს დროს როგორც მოსწავლეების, ისე სტუდენტების უდიდესი ნაწილი. დაბალია მათი რაოდენობა, ვინც ყოველდღიურად კითხულობს ან რეგულარულად დადის კინოში, თეატრში და სპორტულ სანახაობებზე. ახალგაზრდების თითქმის ნახევარი ყოველდღიურად მონაწილეობს საოჯახო საქმეებში. ყოველი მესამე მოსწავლე და ყოველი მეხუთე სტუდენტი ყოველდღეა დაკავებული სპორტით, ფიზიკური ვარჯიშით. ყოველი მეოთხე გოგონა არასოდეს ვარჯიშობს. პასუხი „არასოდეს“ ყველაზე ხშირია კითხვაზე: „რამდენად ხშირად ხართ დაკავებული ხელოვნებით (ხატვა, ცეკვა, მუსიკა და სხვ.).“

როგორც თვისებრივ კვლევაში მონაწილე მასწავლებლებმაც და მშობლებმაც აღნიშნეს, მოზარდები ზედმეტად დიდ დროს უთმობენ ინტერნეტს, სოციალურ ქსელებს. მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ თავისუფალ დროს გართობა ახალგაზრდებისთვის ძირითადად ალკოჰოლის მოხმარებით ხდება. მშობლების აზრით, მოზარდები ერთობიან იმით, რომ ხანდახან იკრიბებიან დაბადების დღეებზე, კაფეებში, კარაოკე-ბარებში. ცალკეულ შემთხვევებში, უფროსკლასელები არდადეგებზე მუშაობენ.

სკოლის მოსწავლეებში გამოჩნდა კავშირი თავისუფალ დროს წვეულებებზე, კაფეებში და ბარებში სიარულსა და მაგარი სასმელების მოხმარებას შორის. სტუდენტების მონაცემებით, გამოვლინდა უკუპროპორციული დამოკიდებულება ინტერნეტის მოხმარება/საოჯახო საქმეებში მონაწილეობასა და ნარკოტიკების მოხმარება/ანტისოციალურ ქცევებს შორის.

ფაქტორები ურთიერთობის დონეზე

ოჯახი	→ მშობლების დამოკიდებულება ნარკოტიკების მოხმარებისა და სხვა ანტისოციალური ქცევების მიმართ → ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებისა და სხვა ანტისოციალური ქცევის ოჯახური ისტორია → მშობლების წესები და მოლოდინები ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან მიმართებით → ოჯახური კონფლიქტი → ოჯახთან სიახლოვე → ოჯახის შესაძლებლობები და წახალისება

	პროსოციალური ჩართულობისთვის
სკოლა/სხვა საგანმანათლებლო დაწესებულება	→ აკადემიური მოსწრება → სკოლისადმი/საგანმანათლებლო დაწესებულებისადმი მიკუთვნებულობა → შესაძლებლობები და წახალისება პროსოციალური ჩართულობისთვის
თანატოლები	→ შეხედულებები, განწყობები → გამოცდილება ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან, სხვა ანტისოციალურ და პროსოციალურ ქცევებთან დაკავშირებით → ანტისოციალური და პროსოციალური ქცევის წახალისება თანატოლების მხრიდან

17. მშობლების დამოკიდებულება ნარკოტიკების მოხმარებისა და სხვა ანტისოციალური ქცევების მიმართ. ახალგაზრდების დიდი ნაწილის აზრით, მათი მშობლებისთვის მიუღებელია, თუ მათი შვილები მოიხმარენ თამბაქოს, მარიხუანას და სხვა არალეგალურ ნარკოტიკებს, მაგრამ მისაღებია, თუ ხანდახან დალევენ ალკოჰოლს; ასევე მიუღებელია სხვადასხვა პრობლემური ქცევის განხორციელება; თუმცა, ყოველი მეათე მოსწავლე თვლის, რომ მისი მშობლებისთვის მისაღებია, თუკი ის ვინმესთან იჩხუბებს.

მშობლებთან ალკოჰოლურ სასმელებზე საუბრისას ირკვევა, რომ მათთვის არაფერია ცუდი იმაში, რომ მოზარდმა 1-2 ჭიქა ღვინო დალიოს, თუმცა მიუღებლად მიაჩნიათ დათრობა. მშობლები ასევე აღნიშნავენ, რომ საოჯახო ან რელიგიურ დღესასწაულებზე თითქმის ყველა ოჯახში მიღებულია, რომ მოზარდებმა შეიძლება ცოტაოდენი ღვინო დალიონ.

მოსწავლეებშიც და სტუდენტებშიც ნივთიერებების მოხმარების გამოცდილება კავშირშია მშობლების მიმღებლობასთან ახალგაზრდების მიერ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების მიმართ; ასევე, დადასტურდა ნივთიერებების მოხმარებასა და მშობლების მხრიდან ანტისოციალური ქცევების მიმღებლობას შორის ურთიერთკავშირი. მოსწავლეებში ანტისოციალური ქცევების გამოცდილება ასევე დაკავშირებულია მშობლების მხრიდან ანტისოციალური ქცევების მიმღებლობასთან და მშობლების მხრიდან არალეგალური ნივთიერებების მოხმარების მიმღებლობასთან.

18. ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებისა და სხვა ანტისოციალური ქცევის ოჯახური ისტორია. ყოველი მეათე ახალგაზრდა ადასტურებს, რომ მათი ოჯახის წევრს ჰქონია სერიოზული პრობლემები ალკოჰოლის ან ნარკოტიკის მოხმარების გამო, მაგრამ არ გამოვლინდა კავშირი ოჯახის წევრებში ნივთიერებათა მოხმარებასთან დაკავშირებულ სერიოზულ პრობლემებსა და ახალგაზრდების მიერ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებას შორის. ასევე, არ გამოვლინდა კავშირი მშობლების მიერ თამბაქოს მოხმარებასა და ახალგაზრდების მიერ თამბაქოს მოხმარებას შორის.

19. მშობლების წესები და მოლოდინები ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან მიმართებით. ყოველი ხუთი ახალგაზრდიდან ოთხი აღნიშნავს, რომ მათ ოჯახში არსებობს მკაფიო წესები ალკოჰოლური სასმელების მიღებასთან და ნარკოტიკის

მოხმარებასთან დაკავშირებით. თითქმის ყოველი მეხუთე მოსწავლე ადასტურებს მშობლების მხრიდან კონტროლის სისუსტეს. ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ **არსებობს უკუპროპორციული კავშირი ალკოჰოლური სასმელების მიღებასთან და ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებით ოჯახში მკაფიო წესების არსებობას/მშობლების მხრიდან კონტროლსა და მაგარი ალკოჰოლური სასმელის, მარიხუანას და სხვა არალეგალური ნარკოტიკების მოხმარებას შორის.**

20. ოჯახთან სიახლოვე. ახალგაზრდების სამმა მეოთხედმა აღნიშნა, რომ მშობლებთან ახლო ურთიერთობა აქვს. მშობლებთან სიახლოვის შეფასებისას გამოვლინდა, რომ ახალგაზრდებს მშობლებთან ყოფნა სიმოვნებთ, თუმცა ნაკლებად უზიარებენ მათ თავიანთ აზრებს და განცდებს. ამავე დროს, დედებთან მეტ დროს ატარებენ და უფრო დედებს უზიარებენ თავიანთ აზრებს და განცდებს, ვიდრე მამებს.

მოსწავლეებთან ოჯახთან სიახლოვესა და ნივთიერებების მოხმარებას/ანტისოციალურ ქცევებს შორის ურთიერთკავშირი არ არის. სტუდენტებთან გამოვლინდა უკუპროპორციული დამოკიდებულება მშობლებთან სიახლოვესა და მარიხუანა/ფსიქოტროპული წამლების მოხმარებას შორის. ასევე, გამოვლინდა პირდაპირპროპორციული კავშირი მშობლებთან სიახლოვესა და პროსოციალურ ქცევებს შორის და უკუპროპორციული კავშირი მშობლებთან სიახლოვესა და ანტისოციალურ ქცევებს შორის.

21. ოჯახის შესაძლებლობები და წახალისება პროსოციალური ჩართულობისთვის. მხოლოდ სტუდენტებში გამოვლინდა უკუპროპორციული დამოკიდებულება ოჯახში პროსოციალურ შესაძლებლობებსა და ანტისოციალურ ქცევას შორის. მოსწავლეებშიც და სტუდენტებშიც შექება და წახალისება ასევე უკუპროპორციულ კავშირშია ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან; არ გამოიკვეთა ურთიერთკავშირი შექებას/წახალისებასა და ანტისოციალურ ქცევებს შორის.

მშობლების ერთი ნაწილი ამბობს, რომ ყოველთვის აღნიშნავს, როცა მის შვილს რაიმე კარგად გამოსდის და ამბობს, რომ შექება ბევრად უფრო კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს ბავშვებზე; მშობლების მეორე ნაწილი კი ამბობს, რომ უფრო ხშირად შენიშვნებს აძლევენ შვილებს. რაც შეეხება ოჯახის საქმეებში მონაწილეობას, ზოგი მშობელი ცდილობს, შვილი არ მოაცდინოს სწავლას და ამ მოსაზრებით თვითონვე არიდებს საოჯახო საქმეებს.

22. ახალგაზრდების აკადემიური მოსწრება. მოსწავლეებთანაც და სტუდენტებთანაც გამოიკვეთა უკუპროპორციული კავშირი აკადემიურ მოსწრებასა და მარიხუანას მოხმარებას შორის და დადებითი ურთიერთკავშირი აკადემიურ მოსწრებასა და პროსოციალურ ქცევებს შორის.

23. ახალგაზრდების დამოკიდებულება სკოლის/საგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ. საკმაოდ მაღალია იმ მოსწავლეების რაოდენობა, ვისაც სიამოვნებს სკოლაში ყოფნა და შედარებით ნაკლებია იმ მოსწავლეების რიცხვი, ვინც თვლის, რომ საინტერესოა ის, რაც სკოლაში ისწავლება. **ყოველ მეათე მოსწავლეს არ სიამოვნებს სკოლაში ყოფნა; ყოველმა მეოთხემ აღნიშნა, რომ ბოლო თვის განმავლობაში სკოლა გააცდინა იმიტომ, რომ არ უნდოდა სკოლაში ყოფნა; ამდენივესთვის არ აღმოჩნდა საინტერესო ის, რასაც სკოლაში სწავლობს.** მოსწავლეებთან შედარებით, ბევრად მეტია იმ სტუდენტების რიცხვი, ვისთვისაც სასიამოვნოა სასწავლებელში ყოფნა და საინტერესოა ის, რასაც სწავლობს.

მოსწავლეებთან გამოჩნდა, რომ არსებობს უკუპროპორციული კავშირი სკოლისადმი მიკუთვნებულობასა და ნივთიერებების მოხმარებას შორის და ეს მიკუთვნებულობა ხელს

უწყობს მოზარდების ჩართვას პროსოციალურ ქცევებში. სტუდენტებში სასწავლებლისადმი მიკუთვნებულობის განცდა უკუპროპორციულ კავშირშია მაგარი ალკოჰოლური სასმელების, მარიხუანას და სხვა ნარკოტიკების მოხმარებასთან.

24. მშობლებისა და მასწავლებლების მოსაზრებები სკოლასთან დაკავშირებით. მასწავლებლების ყველა ჯგუფში ისმოდა საკუთარი სკოლის მხოლოდ პოზიტიური შეფასება, თუმცა ისიც აღნიშნეს, რომ **„ზოგადად სკოლა არ უყვართ ბავშვებს, მაგრამ სკოლაში გატარებული დრო კი მოსწონთ“.** მასწავლებლებმა თქვეს, რომ თამბაქოს და ალკოჰოლის მოხმარების საკითხი მკაცრად კონტროლდება ყველა სკოლაში და არსებობს სანქციები სკოლის შინაგანაწესის დარღვევისთვის. ასევე, **ყველა მშობელი აღნიშნავს, რომ სკოლებში მკაცრი კონტროლია და ამით კმაყოფილები არიან.** მასწავლებლებთან დისკუსიის დროს აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ სკოლაში წიგნის წაკითხვა მოსწავლეთა დასჯის ნაირსახეობას წარმოადგენს.
*

25. სკოლის/სასწავლებლის შესაძლებლობები და წახალისება პროსოციალური ჩართულობისთვის. მოსწავლეების საკმაოდ დიდმა რაოდენობამ აღნიშნა, რომ სკოლაში არის შესაძლებლობა, მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღონ საკლასო აქტივობების დაგეგმვაში და სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში. რაც შეეხება სპორტულ სექციებში, კლუბებში და სხვა კლასგარეშე აქტივობებში ჩართვას, სკოლებში ამის შესაძლებლობა ნაკლებადაა.

მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეების ნახევარზე მეტი ამბობს, რომ მასწავლებლები ამჩნევენ და აღნიშნავენ მათ წარმატებებს, გაცილებით ნაკლები ამბობს, რომ ამ წარმატების შესახებ მასწავლებლები მშობლებსაც ატყობინებენ. მშობლების მოსაზრებები ამ საკითხებთან დაკავშირებით ცოტა განსხვავებულია - ისინი თვლიან, რომ სკოლა არ ზრუნავს მოსწავლეების წახალისებაზე. როგორც მოსწავლეებთან, ისე სტუდენტებთან გამოჩნდა, რომ **სასწავლებელში პროსოციალური შესაძლებლობების არსებობა, ასევე, შექება და წახალისება ხელს უწყობს პროსოციალურ ქცევებს.**

26. თანატოლების შეხედულებები, განწყობები. ყოველი მეათე მოსწავლე და ყოველი მეოთხე სტუდენტი მიიჩნევს, რომ მისი მეგობრებისთვის მისაღებია, თუ ის მოწევს მარიხუანას; ასევე, თითქმის ყოველი მეხუთე მოსწავლე ფიქრობს, რომ მისი მეგობრებისთვის მისაღებია, თუ ის ყოველდღე დალევს 1-2 ჭიქა ალკოჰოლურ სასმელს.

მოსწავლეებთანაც და სტუდენტებთანაც გამოიკვეთა, რომ **თანატოლების მიერ როგორც ლეგალური, ისე არალეგალური ნივთიერებების მოხმარების მიმართ მიმღებლობასა და ამ ნივთიერებების მოხმარებას შორის პირდაპირპროპორციული დამოკიდებულებაა.** ანტისოციალურ ქცევებთან კავშირშია თანატოლების მიმღებლობა მარიხუანას, ფსიქოტროპული წამლებისა და LSD/ბიო/ექსტაზი/ამფეტამინის და სხვა ნივთიერებების მოხმარების მიმართ.

27. თანატოლების გამოცდილება ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან, სხვა ანტისოციალურ და პროსოციალურ ქცევებთან დაკავშირებით. **მოსწავლეთა ნახევარზე ცოტა ნაკლები ამბობს, რომ მისი უახლოესი 4 მეგობრიდან თუნდაც ერთს მოუწევია მარიხუანა და ყოველი მეხუთე მოსწავლის მეგობარს გაუსინჯავს ე.წ. კლუბური ნარკოტიკები.** რაც შეეხება მეგობრების სხვა ანტისოციალურ ქცევებში ჩართულობას, ყველაზე ხშირად დასახელდა მეგობარი, რომელსაც უთამაშია ფულზე და მალულად წამოუღია მაღაზიიდან რაიმე ფულის გადაუხდელად. **ყოველ მეოთხე მოსწავლეს ჰყავს მეგობარი, რომელსაც მაღაზიიდან მალულად წამოუღია რაიმე ფულის გადაუხდელად.**

მეგობრების პროსოციალური ქცევებიდან ყველაზე ხშირად დასახელდა სასკოლო აქტივობებში, კლუბებში და წრეებში მონაწილეობა, რელიგიურ მსახურებაში მონაწილეობა. ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებთანაც და სტუდენტებთანაც **არსებობს ურთიერთკავშირი ახალგაზრდების პრობლემურ ქცევებში მონაწილეობასა და მათი მეგობრების მიერ ნივთიერებების მოხმარების/ანტისოციალური ქცევების გამოცდილებას შორის, ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების ჩათვლით.**

28. ანტისოციალური და პროსოციალური ქცევის წახალისება თანატოლების მხრიდან. **მოსწავლეების ნახევარზე მეტი თვლის, რომ მარიხუანას მოწევამ შეიძლება ხელი შეუწყოს პოპულარობას თანატოლებს შორის.** სტუდენტებში გამოვლინდა ურთიერთკავშირი მარიხუანას და კლუბური ნარკოტიკების მოხმარების „მოდურობასა“ და ამ ნივთიერებების მოხმარებას შორის.

ფაქტორები თემის/უბნის დონეზე

→ ფსიქოაქტიური ნივთიერებების ხელმისაწვდომობა → გადასვლა და მობილობა → წესები და ნორმები ნარკოტიკების მოხმარებასთან და სხვა ანტისოციალურ ქცევებთან მიმართებით → შესაძლებლობები და წახალისება პროსოციალური ჩართულობისთვის → დამოკიდებულება საკუთარი უბნის მიმართ

29. ფსიქოაქტიური ნივთიერებების ხელმისაწვდომობა. **ყოველ მეხუთე მოსწავლეს და ყოველ მეორე სტუდენტს მიაჩნია, რომ მარიხუანა ადვილად ხელმისაწვდომია;** კლუბური ნარკოტიკების ადვილად ხელმისაწვდომობაზე მიუთითებს ყოველი მეათე მოსწავლე და ყოველი მესამე სტუდენტი. საძილე და დამამშვიდებელი აბების ადვილად ხელმისაწვდომობა დაადასტურა ყოველმა მერვე მოსწავლემ და სტუდენტების მესამედზე მეტმა.

მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანთათვის თამბაქოს და ალკოჰოლური სასმელების მიყიდვა აკრძალულია, ძალიან მაღალია იმ მოსწავლეთა რაოდენობა, ვინც ამბობს, რომ ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო მათთვის ადვილად ხელმისაწვდომია.

მოსწავლეებშიც და სტუდენტებშიც ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება კავშირშია მათ ხელმისაწვდომობასთან.

მასწავლებლებიც და მშობლებიც ერთხმად აღნიშნავენ, რომ ბოლო ხანებში განსაკუთრებით თვალშისაცემია მარიხუანას ადვილად ხელმისაწვდომობა. მასწავლებლები ამბობენ, რომ არასრულწლოვნებს ე.წ. კლუბური ნარკოტიკების შეძენა შეუძლიათ ინტერნეტით.

30. წესები და ნორმები ნარკოტიკების მოხმარებასთან და სხვა ანტისოციალურ ქცევებთან მიმართებით. მოსწავლეების თითქმის ნახევარი არ იზიარებს მოსაზრებას, რომ თუ მის უბანში არასრულწლოვანი ქუჩაში დალევს ლუდს, ღვინოს ან მაგარ სასმელს ან მოწევს მარიხუანას, პოლიცია სათანადო ზომებს მიიღებს.

დაახლოებით **ყოველ მესამე მოსწავლეს მიაჩნია, რომ მისი უბნის ახალგაზრდებისთვის მისაღებია, თუკი მოზარდი მოწევს თამბაქოს, მარიხუანას და დალევს ალკოჰოლურ სასმელს;** ყოველი მეორე სტუდენტი კი ადასტურებს, რომ მისი უბნის ახალგაზრდებისთვის მისაღებია, თუკი მათი თანატოლი მიიღებს ზემოთ აღნიშნულ ნივთიერებებს; **ყოველი მესამე სტუდენტის აზრით, მათი უბნის ახალგაზრდებისთვის ასევე მისაღებია „ბიოს“ და ფსიქოტროპული მედიკამენტების მოხმარება**.

ყოველი მეხუთე ახალგაზრდა არ გრძნობს თავს დაცულად თავის უბანში; მოსწავლეების და სტუდენტების თითქმის ნახევარი ეთანხმება მოსაზრებებს: „ითვლება, რომ ჩემი უბნისთვის დამახასიათებელია ჩხუბები“ და „ითვლება, რომ ჩემი უბნისთვის დამახასიათებელია „საქმის გარჩევები“.

რაც შეეხება უბანში ძალადობას, ყოველმა მეოთხე მოსწავლემ და ყოველმა მეხუთე სტუდენტმა აღიარა, რომ უბანში მიმართეს დამამცირებელი სიტყვით ან სახელით და თითქმის ყოველ მეხუთე ახალგაზრდას დასცინეს ან უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდეს სხვების თანდასწრებით.

მოსწავლეებში გამოვლინდა ურთიერთკავშირი თემის არაორგანიზებულობასა და ისეთ ანტისოციალურ ქცევას შორის, როგორიცაა რაიმეს მოპარვა; ხოლო სტუდენტებში თემის არაორგანიზებულობა კავშირშია ფსიქოტროპული მედიკამენტების და საინექციო ნარკოტიკების მოხმარებასთან. სტუდენტებში გამოვლინდა კავშირი უბანში ძალადობასა და მარიხუანას, საინექციო ნარკოტიკების და ფსიქოტროპული მედიკამენტების მოხმარებას შორის. ასევე, დაფიქსირდა ურთიერთკავშირი უბანში ძალადობასა და ისეთ ანტისოციალურ ქცევებს შორის, როგორიცაა ნარკოტიკის გაყიდვა და მანქანის/მოტოციკლის მოპარვა.

31. უბნის შესაძლებლობები და წახალისება პროსოციალური ჩართულობისთვის. ახალგაზრდების ნახევარზე მეტი აღნიშნავს, რომ მათ უბანში ხელმისაწვდომია სპორტული სექციები, მაგრამ რაც შეეხება საცურაო აუზს, სხვადასხვა კლუბებსა და წრეებს, ფიტნეს ცენტრებს, ეს დაწესებულებები ნაკლებად ხელმისაწვდომია.

მოსწავლეებისა და სტუდენტების დააახლოებით ნახევარი აღნიშნავს, რომ მათ უბანში არიან უფროსები, ვისთანაც შეუძლიათ, ისაუბრონ მნიშვნელოვან თემებზე, რომლებიც სტიმულს აძლევენ, რომ მეტი კარგი საქმე აკეთონ და რომლებიც ამაყობენ მათით, როდესაც რამე კარგს აკეთებენ.

მოსწავლეებში გამოვლინდა კავშირი უბანში პროსოციალურ შესაძლებლობებსა (ადამიანები, რომლებიც სტიმულს აძლევენ, მეტი კარგი რამ აკეთონ, არის საცურაო აუზები) და პროსოციალურ ქცევას შორის. მოსწავლეებთან და სტუდენტებთან უბანში პროსოციალურ შესაძლებლობებს და ნივთიერებების მოხმარებას/ანტისოციალურ ქცევებს შორის ურთიერთკავშირი არ აღმოჩნდა.

მასწავლებლები და მშობლები აღნიშნავენ, რომ სპორტული კომპლექსები და წრეები კიდეც რომ იყოს მათ უბანში, ფასიანია და ყველასთვის ხელმისაწვდომი არ არის.

32. ძალადობა სკოლებში. **მოსწავლეების უმრავლესობა სკოლაში თავს უსაფრთხოდ გრძნობს.** მოსწავლეების დიდი უმრავლესობა უარყოფს სკოლაში თანატოლების მხრიდან ძალადობას ბოლო ერთი წლის მანძილზე; თანატოლების მხრიდან ძალადობის ყველაზე ხშირი ფორმა, რომელიც ყოველმა მესამე მოსწავლემ დაასახელა, არის: „დამცინა, შეარცხვინა ან უხერხულ მდგომარეობაში ჩამაგდო სხვების თანდასწრებით“.

მასწავლებლების მხრიდან მოსწავლეებთან უხეში მოპყრობის გამოვლინებებიდან ყველაზე ხშირად დასახელდა ყვირილი ძალიან ხმამაღლა და აგრესიულად, დამამცირებელი სიტყვით ან სახელით მიმართვა და გალანძღვა. მოსწავლე ვაჟების ორი მესამედი ადასტურებს, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში მასწავლებელს უყვირია მისთვის და გაულანძღავს, ხოლო ერთი მესამედი აღიარებს, რომ მასწავლებელმა მიმართა დამამცირებელი სიტყვებით.

როგორც თვისებრივმა კვლევამ გამოავლინა, მასწავლებლები უარყოფენ სკოლაში ბულინგის არსებობას. საუბარში ირკვევა, რომ ბულინგად მიიჩნევენ მხოლოდ სერიოზულ ფიზიკურ ძალადობას. ჩაგვრის სხვა ფორმები შეუმჩნეველი რჩებათ ან არ მიაჩნიათ ჩაგვრად.

33. სკოლის მასწავლებლებისა და მშობლების კომუნიკაცია. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ საკმაოდ ბევრი საშუალებაა მშობლებთან კომუნიკაციისთვის - ელექტრონული ჟურნალები, სოციალური ქსელები, სატელეფონო კავშირი და მოკლე ტექსტური შეტყობინებები, ყოველ პარასკევს მშობლებს შეუძლიათ სკოლაში მისვლა და მასწავლებლებთან შეხვედრა. მიუხედავად კომუნიკაციის ამდენი საშუალებისა, მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ზოგი მშობელი ნაკლებად ინტერესდება შვილის სასკოლო ცხოვრებით და საუბრობენ მშობელთან თანამშრომლობის აუცილებლობაზე.

34. მასწავლებლებისა და მშობლების დამოკიდებულება ნარკოპოლიტიკის მიმართ. მასწავლებლები დადებითად აფასებენ არასრულწლოვნებისთვის თამბაქოს და ალკოჰოლის მიყიდვის შეზღუდვას, მაგრამ იმასაც აღნიშნავენ, რომ ეს კანონი ხშირად ირღვევა კონტროლის არარსებობის გამო. მშობლების და მასწავლებლების უმრავლესობა უკმაყოფილოა მარიხუანას მოხმარებასთან დაკავშირებული კანონის ლიბერალიზაციის გამო. მათი აზრით, ამან გამოიწვია ის, რომ არასრულწლოვნებს შორის გაიზარდა მარიხუანას მოხმარება.

35. მასწავლებლებისა და მშობლების მოსაზრებები პრევენციასთან დაკავშირებით. მასწავლებლებთან საუბარში ირკვევა, რომ **სკოლებში არ არსებობს ფსიქოაქტიური ნივთიერებების ავადმოხმარების პრევენციის გეგმა.** ნარკოტიკების მოხმარების პრევენცია პედაგოგების ნაწილისთვის მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებით შემოიფარგლება; ზოგიერთს არასწორად ესმის პრევენციის მნიშვნელობა - ისინი პრევენციად მიიჩნევენ მხოლოდ უკვე მომხდარ ფაქტებზე რეაგირებას.

ზოგიერთი მასწავლებელი უფრო შემოქმედებითად უდგება საკითხს - აჩვენებენ ფილმებს და შემდეგ მიმდინარეობს დისკუსია, რაც ბავშვებს ძალიან მოსწონთ. ზოგ სკოლაში ყოფილა, რომ მოწვეულ სპეციალისტებს ჩაუტარებიათ მოსწავლეებისთვის ლექცია. მაგრამ სისტემატური, გეგმაზომიერი ღონისძიებების არსებობის შესახებ არცერთ ჯგუფში არ უსაუბრიათ.

თუ მოსწავლეს გაუჩნდა შეკითხვა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით, სკოლებში არ არის გამოყოფილი ერთი კონკრეტული კომპეტენტური პირი. გამოითქვა ისეთი აზრიც, რომ პრევენცია მრავალკომპონენტიანია და სხვადასხვა საშუალებით უნდა განხორციელდეს. ზოგიერთი პედაგოგი არ თვლის საჭიროდ მოსწავლეებთან ამ თემებზე საუბარს. ზოგადად, მასწავლებლებს აკლიათ მოტივაცია, რადგან თვლიან, რომ მათი შრომა არ ფასდება სათანადოდ და დაკარგეს ავტორიტეტი.

მასწავლებლები თვლიან, რომ მხოლოდ სკოლა ვერ იტვირთავს ნარკოტიკების მოხმარებისა და სხვა ანტისოციალური ქცევების პრევენციას. მშობლებმა აღნიშნეს, რომ ოჯახს პრევენციის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მშობლების უდიდესი

ნაწილი თვლის, რომ პირველ რიგში საჭიროა ამ საკითხებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ჩატარება. მშობლების აზრით, კარგი შედეგი ექნება ამ თემებზე თვალსაჩინო მასალის (ფილმები, ვიდეორგოლები) დემონსტრირებას. **მშობლები ხაზგასმით აღნიშნავდნენ იმის საჭიროებას, რომ პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია კომპლექსური მიდგომა.**

რისკ და დამცავი ფაქტორების და პრობლემური ქცევების ურთიერთდამოკიდებულება

კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მეშვეობით შეფასდა რისკ და დამცავი ფაქტორების კავშირი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან და სხვა ანტისოციალურ ქცევებთან. შესწავლილი 40 ფაქტორიდან, გამოვლინდა 22 ფაქტორის ასოციაციური კავშირი ნივთიერებების მოხმარებასთან და 17 ფაქტორის კავშირი ანტისოციალურ ქცევებთან.

შედეგები წარმოდგენილია ცხრილში:

Y - გამოვლინდა დადებითი კორელაციური კავშირი (პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება)

χ - გამოვლინდა უარყოფითი კორელაციური კავშირი (უკუპროპორციული დამოკიდებულება)

ფაქტორები	ფსიქოაქტიური ნივთიერებები		ანტისოციალური ქცევები		პროსოციალური ქცევები	
	მოსწ.	*სტუდ.*	*მოსწ.*	*სტუდ.*	*მოსწ.*	*სტუდ.*
ფაქტორები ინდივიდუალურ დონეზე						
ნივთიერებების მოხმარების გამოცდილება			Y	Y		
ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებული რისკის აღქმა	χ	χ				
ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების მიმღებლობა	Y	Y				
ანტისოციალური ქცევების მიმღებლობა			Y	Y		
ქცევის მკაფიო სტანდარტები (მორალური ფასეულობები)			χ	χ		
მეამბოხეობა	Y					
პრობლემების გადაჭრის უნარი	χ	χ	χ	χ		
ემოციური კეთილდღეობა: დეპრესიული განცდები		Y				
ემოციური კეთილდღეობა: ემოციური თვითრეგულირება						
პოზიტიური სოციალური (პროსოციალური) ქცევის გამოცდილება						
რელიგიურობა	χ	χ				
თავისუფალ დროს წვეულებებზე, კაფეებში და ბარებში სიარული	Y					
თავისუფალ დროს ინტერნეტის მოხმარება/საოჯახო საქმეებში მონაწილეობა		χ		χ		
ფაქტორები ურთიერთობების დონეზე						
ოჯახი						

მშობლების მიმღებლობა ახალგაზრდის მიერ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების მიმართ	Y	Y	Y	Y		
მშობლების მხრიდან ახალგაზრდის ანტისოციალური ქცევების მიმღებლობა	Y	Y	Y			
მშობლების მიერ თამბაქოს მოხმარება						
ნივთიერებათა მოხმარებასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები ოჯახის წევრებში						
ოჯახში მკაფიო წესები ალკოჰოლური სასმელების მიღებასთან და ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებით	χ	χ				
მშობლების მხრიდან კონტროლი	χ	χ	χ	χ		
ოჯახური კონფლიქტი						
მშობლებთან სიახლოვე		χ		χ	Y	Y
ოჯახის შესაძლებლობები პროსოციალური ჩართულობისთვის				χ		
ოჯახში წახალისება პროსოციალური ჩართულობისთვის	χ	χ				
სკოლა/სხვა საგანმანათლებლო დაწესებულება						
აკადემიური მოსწრება	χ	χ			Y	Y
სკოლისადმი/საგანმანათლებლო დაწესებულებისადმი მიკუთვნებულობა	χ	χ				
შესაძლებლობები პროსოციალური ჩართულობისთვის					Y	Y
წახალისება პროსოციალური ჩართულობისთვის					Y	
თანატოლები						
თანატოლების მიმღებლობა ნივთიერებების მოხმარების მიმართ	Y	Y	Y	Y		
მეგობრების მიერ ფსიქოატიური ნივთიერებების მოხმარება	Y	Y		Y		
მეგობრების მიერ ანტისოციალური ქცევის განხორციელება	Y	Y	Y	Y		
ნივთიერებათა მოხმარების წახალისება თანატოლების მხრიდან		Y		Y		
ანტისოციალური ქცევის წახალისება თანატოლების მხრიდან				Y		
პროსოციალური ქცევის წახალისება თანატოლების მხრიდან					Y	Y
ფაქტორები თემის/უბნის დონეზე						
ფსიქოაქტიური ნივთიერებების ხელმისაწვდომობა	Y	Y				
გადასვლა და მობილობა						
წესები და ნორმები ნარკოტიკების მოხმარებასთან და სხვა ანტისოციალურ ქცევებთან მიმართებით						
თემის არაორგანიზებულობა		Y	Y			
უბანში ძალადობა			Y	Y		
უბანში პროსოციალური შესაძლებლობები					Y	
დამოკიდებულება საკუთარი უბნის მიმართ						

რეკომენდაციები

პოლიტიკა და პრაქტიკა

ახალგაზრების მიერ ნარკოტიკების მოხმარებასა და ანტისოციალურ ქცევებთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად, პოლიტიკა და პროგრამები მიმართული უნდა იყოს ამ პრობლემების გამომწვევ უშუალო მიზეზებზე.

პოლიტიკა და პროგრამები ზემოქმედებს რისკისა და დამცავ ფაქტორების სხვადასხვა დონეებზე, მათ შორის, თემის, ოჯახის, სკოლის და პიროვნულ დონეზე. ოჯახის, თემის ან პიროვნულ დონეზე განხორციელებული მიზანმიმართულ პროგრამებთან ერთად, გამოყენებული უნდა იყოს უფრო ფართომასშტაბიანი ჩარევა მთელი მოსახლეობის დონეზე, რათა ეფექტურად მოხერხდეს კონკრეტული რისკ-ფაქტორების შემცირება და დამცავი ფაქტორების გაძლიერება.

გარკვეულმა რისკ ფაქტორებმა შეიძლება გამოიწვიოს ქცევითი გადახრის ნებისმიერი ფორმა, მათ შორის, ნარკოტიკების მოხმარებაც. აქედან გამომდინარე, მხოლოდ ნარკოტიკებზე მიმართულ პროფილაქტიკას შეიძლება შედეგად მოჰყვეს ის, რომ "დაძაბულობამ" სხვა გამოსასვლელი "არხი" იპოვოს. დევიაციური ქცევა მიიღებს არა ნარკომანიის, არამედ სხვა ფორმას (აგრესიული, სუიციდური, იმპულსური ქცევები და ა.შ.). პრევენცია ფართო გაგებით ყველა ფორმის ქცევითი გადახრის პროფილაქტიკას გულისხმობს. არსებობს მყარი რისკის ფაქტორები, რომელთა შეცვლა შეუძლებელია პრევენციული პროგრამებით, მაგრამ შესაძლებელია ინდივიდზე მათი ზეგავლენის შემცირება მათდამი დამოკიდებულების შეცვლის, მათთან გამკლავების უნარ-ჩვევების სწავლების და დაცვითი ფაქტორების გაძლიერების გზით.

ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების პირველადი პრევენცია - ეს არის სოციალური, საგანმანათლებლო და სამედიცინო-ფსიქოლოგიური ღონისძიებების კომპლექსი; შესაბამისად, პრევენციული სტრატეგიების შემუშავებასა და დანერგვაში უნდა მონაწილეობდეს სპეციალისტების მულტიდისციპლინური გუნდი - განათლების სფეროს წარმომადგენელი, პრევენციაში გამოცდილების მქონე ექიმი-ნარკოლოგი და ფსიქოლოგი.

1. უნდა შეიქმნას სკოლასა და თემზე მიმართული პრევენციული პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ეროვნული სტანდარტები, რათა მოხერხდეს ამ პროგრამების მთელი ქვეყნის მასშტაბით დანერგვა. ამისათვის სასურველია სამუშაო ჯგუფის შექმნა განათლების სფეროსა და პრევენციის სპეციალისტების მონაწილეობით, რომელსაც დაევალება: *1. პრევენციული საქმიანობის მინიმალური სტანდარტების შემუშავება; 2. ასაკობრივი თავისებურებების შესაბამისი პრევენციული პროგრამების შექმნა და პილოტირება; 3. სკოლის პერსონალისათვის საგანმანათლებლო ტრენინგ-პროგრამების მომზადება; 4. ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის მომზადება; 5. პროფილაქტიკური ღონისძიებების მონიტორინგისა და ეფექტურობის შეფასების სისტემის შემუშავება.*

2. მიზანშეწონილია, დაინერგოს კომპლექსური პრევენციული პროგრამები ინტეგრაციული მიდგომის გამოყენებით, რომელიც გულისხმობს პროფილაქტიკური სტრატეგიების (კომპონენტების) სხვადასხვა კომბინაციებით გამოყენების ვარიანტებს: 1. *ფაქტობრივი ინფორმაციის მიწოდება;* 2. *პრევენციული განათლება* - ფსიქო-სოციალური უნარ-ჩვევების სწავლება ინტერაქტიური მეთოდების გამოყენებით. ახალგაზრდების მიერ იმ უნარ-ჩვევების ათვისება, რომლებიც ხელს უწყობს მათი თვითშეფასების ამაღლებას, გადაწყვეტილების მიღების, კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციური და სხვა უნარების

განვითარებას; *3. პოზიტიური ალტერნატივების შეთავაზება* - სახალისო, სტრუქტურირებული აქტივობები უფროსების მონაწილეობით, გართობასთან და დასვენებასთან ერთად; *4. მშობლებზე მიმართული პრევენციული სტრატეგიები* ეფექტური პრევენციული პროგრამების მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. ასეთი პროგრამები მშობლებს მიაწვდის სათანადო ინფორმაციას ალკოჰოლისა და ნარკოტიკების შესახებ და ასწავლის, როგორ დაიცვან საკუთარი შვილები ნარკოტიკების მოხმარების რისკისაგან.

3. პრევენციული სტრატეგია ბევრად უფრო ეფექტურია, თუ წინმსწრებ ხასიათს ატარებს - მყარი, სასურველი განწყობების ჩამოყალიბება შესაძლებელია იმ მომენტამდე, სანამ მოზარდი დაიწყებს ამა თუ იმ პრობლემური ქცევის განხორციელებას. იმის გათვალისწინებით, რომ კვლევის მონაცემებით მაღალია ადრეულ ასაკში თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარების დაწყების მაჩვენებელი, სასურველია, ლეგალურ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით (თამბაქო, ალკოჰოლი, მედიკამენტები) ბავშვებთან პრევენციული მუშაობა დაიწყოს 10 წლის ასაკამდე. უნდა შემუშავდეს ამ ასაკობრივ ჯგუფზე მიმართული პრევენციული პროგრამები ასაკობრივი და კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით.

4. კვლევამ გამოავლინა, რომ მოსწავლეებშიც და სტუდენტებშიც მაღალია გადამეტებული სმის მაჩვენებელი. ალკოჰოლის მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემების პრევენცია უნდა ითვალისწინებდეს კულტურულ ფაქტორებს და მიმართული უნდა იყოს ალკოჰოლის ზომიერი და უსაფრთხო მოხმარების მნიშვნელობაზე.

5. მოსწავლეებში მარიხუანას ბოლო თვეში მოხმარების (აქტიური მოხმარება) მაჩვენებელი უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ორჯერ და მეტჯერ გაიზარდა. მშობლებიც და მასწავლებლებიც შეშფოთებული არიან მოზარდებს შორის მარიხუანას მოხმარების გავრცელებით. სასურველია სკოლებში მარიხუანას მოხმარებასთან დაკავშირებული პრევენციული მუშაობის გაძლიერება და გეგმაზომიერი, მიზანმიმართული მასობრივი საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვა და განხორციელება.

6. ის ახალგაზრდები, რომელთაც ოდესმე მოუხმარიათ ფსიქოაქტიური ნივთიერებები, უფრო ხშირად აღნიშნავდნენ სხვა ანტისოციალურ ქცევებში ჩართვას. სხვა პრობლემურ ქცევებს შორის ახალგაზრდებში ყველაზე გავრცელებულია აზარტული თამაშები. ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, 16-24 წ ასაკობრივ ჯგუფში აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების ჩამოყალიბების რისკი სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით ორჯერ უფრო მაღალია [17]. ქიმიური და ქცევითი დამოკიდებულების პრევენციის კომპლექსურ პროგრამებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აზარტული თამაშების თემას.

7. კვლევით დადასტურდა, რომ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება კორელაციაშია, ერთი მხრივ, ამ ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებული რისკის არასათანადოდ აღქმასთან, და, მეორე მხრივ, მათი მოხმარების მიმღებლობასთან. ახალგაზრდებთან პრევენციული მუშაობის დროს, ფაქტობრივი ინფორმაციის მიწოდებასთან ერთად, მნიშვნელოვანია თვალსაჩინო, ემოციური ზემოქმედების მქონე მასალის და პრონარკოტიკული განწყობების შეცვლაზე მიმართული ინტერაქტიური მეთოდების გამოყენება.

8. მიუხედევად იმისა, რომ ახალგაზრდებმა ნარკოტიკების შესახებ ინფორმაციის მიღების ყველაზე სანდო წყაროდ მშობლები და პედაგოგები დაასახელეს, მშობლები აღიარებენ, რომ აკლიათ სათანადო ინფორმაცია, ხოლო მასწავლებლები ამბობენ,

[17] G. Meyer. Problem Gambling in Europe: challenges, Prevention and Interventions. 2009

რომ ესაჭიროებათ გადამზადება. უნდა შემუშავდეს მშობლებზე მიმართული და მასწავლებლებზე მიმართული პრევენციული სტრატეგიები.

9. მნიშვნელოვანია გარემოზე ფოკუსირებული, ანუ საზოგადოებრივ პოლიტიკაზე ორიენტირებული პრევენციული სტრატეგიების განხორციელება. ნარკოტიკებთან დაკავშირებული სასკოლო პოლიტიკის შექმნა და განხორციელება სკოლებში ნარკოტიკების მოხმარების თავიდან აცილების ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ ინსტრუმენტს და წარმატებულ პრევენციულ სტრატეგიას წარმოადგენს. ნარკოტიკებთან დაკავშირებული სკოლის პოლიტიკის მიზანია სასკოლო გარემოში ისეთი ატმოსფეროს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ნარკოტიკების მოხმარებისადმი აქტიურად ნეგატიური პოზიციის ჩამოყალიბებას.

10. მოსწავლეებშიც და სტუდენტებშიც ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება კავშირშია მათ ხელმისაწვდომობასთან. მშობლებისა და მასწავლებლების აზრით, მიუხედავად იმისა, რომ თამბაქოსა და ალკოჰოლური სასმელების გაყიდვა არასრულწლოვნებზე კანონით აკრძალულია, ამ წესს ყველა არ იცავს და არის შემთხვევები, რომ მოზარდები თავისუფლად ყიდულობენ თამბაქოსაც და ალკოჰოლურ სასმელებსაც; ბევრგან სიგარეტი ქუჩაში იყიდება ღერებით. სასურველია არსებული საკანონმდებლო რეგულაციების აღსრულების მონიტორინგის მექანიზმების გაძლიერება.

11. ახალგაზრდებში აქტუალურია შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ტელევიზია, სკოლაში/სასწავლებელში ჩატარებული ტრენინგები და აქციები.

მედია აქტივობების კომბინირება სხვა პრევენციულ სტრატეგიებთან დაგვეხმარება ნარკოტიკების შესახებ ახალგაზრდების ცოდნის, შეხედულებებისა და დამოკიდებულების შეცვლაში.

ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებაზე და სხვა პრობლემურ ქცევებზე მიმართული პრევენციული მუშაობის დროს ეფექტურია მეთოდები, რომლებიც დაფუძნებულია ინტერაქტიურ საშუალებებზე – ურთიერთობის დიალოგურ სტილზე, მეცადინეობების აგების ჯგუფურ პრინციპზე და ცხოვრებისეული უნარების ფორმირების ფსიქოტექნიკურ მეთოდებზე.

12. სასურველია თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული პრევენციული ჩარევების დანერგვა. ჩარევა, რომელიც იყენებს კომპიუტერულ, მობილურ და ვებ-ტექნოლოგიებს, მიმზიდველია ახალგაზრდებისთვის და ნაკლებ დანახარჯებს მოითხოვს. დღეისათვის საქართველოში ახალგაზრდების აბსოლუტურ უმრავლესობას აქვს მობილური ტელეფონი და ინტერნეტთან წვდომა. ჩვენი კვლევის შედეგების თანახმად, ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა ყოველდღე სარგებლობს ინტერნეტით და სოციალური ქსელებით. პრევენციული გზავნილებისა და აუდიოვიზუალური მასალის (მაგალითად, საგანმანათლებლო ვიდეორგოლების) გავრცელება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით დაგვიზოგავს დროსაც და ფულსაც.

13. პროსოციალური ქცევა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც მოზარდებს ნარკოტიკების მოხმარებისა და სხვა ანტისოციალური ქცევებისაგან იცავს. ეფექტური პრევენციული პროგრამები ეხმარება ახალგაზრდებს პროსოციალური ქცევების ფორმირებაში. სასწავლებლებმა უნდა გააძლიერონ ძალისხმევა, რათა გაიზარდოს ახალგაზრდების მოხალისეობა და პროსოციალური ქცევების განხორციელების სურვილი. კვლევამ გამოავლინა, რომ ოჯახშიც, სკოლაშიც და

თემშიც მოზარდებს ნაკლებად ეძლევათ შესაძლებლობა, რომ აქტიურად ჩაერთონ პროსოციალურ საქმიანობაში და პოზიტიურად გაატარონ თავისუფალი დრო. ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია ახალგაზრდული კლუბების ქსელის შექმნით, სადაც ახალგაზრდები მოსინჯავენ თავიანთ შესაძლებლობებს, ისწავლიან სიძნელეებთან გამკლავებას, დაამყარებენ პოზიტიურ ურთიერთობებს და შეიძენენ სხვადასხვა უნარ-ჩვევებს.

14. მშობლების და მასწავლებლების ნაწილს არასწორად ესმის პრევენციის მნიშვნელობა. ნარკოტიკების მოხმარების პრევენცია პედაგოგების ნაწილისთვის მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებით შემოიფარგლება; ზოგიერთი კი მხოლოდ უკვე მომხდარ ფაქტებზე რეაგირებას მიიჩნევს პრევენციად. მშობლების, მასწავლებლების და მთლიანად საზოგადოების ინფორმირება პირველადი პრევენციის არსის, მნიშვნელობისა და ეფექტურობის შესახებ ხელს შეუწყობდა პრევენციული პროგრამების ფართომასშტაბიან დანერგვას.

კვლევა

თავიდან რომ ვგეგმავდეთ ამ კვლევას, გარკვეულ ცვლილებებს შევიტანდით. პირველ რიგში, ეს ეხება კვლევის ჩატარებაზე გამოყოფილ დროს, რომელიც არ აღმოჩნდა საკმარისი ასეთი მასშტაბური კვლევისთვის და მუდმივი ცაიტნოტის მდგომარეობაში ამყოფებდა მკვლევართა ჯგუფს. ამას გარდა, შევამცირებდით კითხვარის მოცულობას, თუმცა ზოგიერთ საკითხს უფრო ჩაღრმავებულად შევისწავლიდით: მაგ., მორალური ფასეულობები, მოსწავლეების აზრი მანდატურების სამსახურზე.

მიუხედავად განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სრული მხარდაჭერისა და დახმარებისა, ზოგიერთი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელობა შეშფოთებით, ზოგი კი გულგრილად შეხვდა ჩვენს თხოვნას და უარი თქვა კვლევაში მონაწილეობაზე. უარის მიზეზები სხვადასხვა იყო: „ჩვენთვის ეს საკითხები არ არის აქტუალური“, „ამ თემებზე ჩვენს ბავშვებთან საუბარი არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად“, „ჩვენი მოსწავლეების მშობლებს ეს არ მოეწონება (კერძო სკოლები)“, „ჩვენს სტუდენტებს ბევრი საქმე აქვთ და ვერ მოიცლიან კვლევაში მონაწილეობისთვის“ და ა.შ. ასეთი დამოკიდებულება კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ მიუხედავად იმისა, რომ დღეს ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ნარკომანიის პრობლემაზე, საზოგადოება მაინც ვერ აცნობიერებს ბოლომდე როგორც ამ პრობლემის, ასევე მსგავსი კვლევების აქტუალობას და მნიშვნელობას.

1. აუცილებელია რისკისა და დამცავი ფაქტორების ცვლილების დინამიკის შესწავლა, რაც საშუალებას იძლევა, გავაფრთხილოთ გადაწყვეტილების მიმღები პირები სიტუაციის გაუარესების შემთხვევაში, ან, პირიქით, წარვუდგინოთ მტკიცებულებები, რომ პრევენციული ღონისძიებები მუშაობს. ამისთვის საჭიროა მსგავსი კვლევების გარკვეული პერიოდულობით გამეორება მომავალში.

2. სამომავლოდ, უნდა დაიგეგმოს კვლევები, რომელთა საფუძველზე შემუშავდება ახალი პრევენციული მიდგომები როგორც პოლიტიკის, ასევე პროგრამულ დონეზე, და შეფასდება არსებული მიდგომების ეფექტურობა.

გამოყენებული ლიტერატურა

Generation in Transition. Youth Study 2016 – Georgia. Friedrich-Ebert-Stiftung

The European School Survey on Tobacco, Alcohol and Other Drugs. ESPAD Report 2016. National Centre for Disease Control and Public Health

Population Size Estimation of People who Inject Drugs in Georgia 2016. Study Report. Prepared by: Bemoni Public Union (BPU) Curatio International Foundation (CIF). 2017

Javakhishvili, J., Otiashvili, D., Tabatadze, M., Bergen-Cico, D., The Drug Situation in Georgia, Annual Report 2014, Tbilisi, 2016

2016 Florida Youth Substance Abuse Survey. Florida Department of Children & Families

Michael W. Arthur, J. David Hawkins, Richard F. Catalano. Student Survey of Risk and Protective Factors and Prevalence of Alcohol, Tobacco and other Drug Use. 2000

Michael W. Arthur, J. David Hawkins, John A. Pollard, Richard F. Catalano, A.J. baglioni JR. Measuring Risk and Protective Factors for Substance Use, Deliquency, and other Adolescent Problem behaviors. Evaluation Review. Vol. 26. 2002

2016 Montana Prevention Needs Assessment Survey. Montana Department of Public Health and Human Services

Gassman, R., Jun, M., Samuel, S., Agley, J. D., Lee, J., & Wolf, J. (2018). Indiana Youth Survey – 2018. Bloomington, IN: Institute for Research on Addictive Behavior

Derrick Ssewanyana et al. Socio-ecological determinants of alcohol, tobacco, and drug use behavior of adolescents in Kilifi County at the Kenyan coast. Journal of Health Psychology, 2018

Pennsylvania Youth Survey State Report 2015. Pennsylvania Commission on Crime and Delinquency, Pennsylvania Department of Drug and Alcohol Programs, Pennsylvania Department of Education.

The Communities That Care Youth Survey Guide. Australia, 2010

Mafalda Ferreira, Margarida Gaspar De Matos, José Alves Diniz. The Influence of Risk and Protective Factors on Tobacco, Alcohol and Drugs in Adolescence. Promlems of Psychology in the 21st Centyry. Volume 6, 2013

Risk and Protective Factors for Adolescent Substance Use (and other Problem Behavior). Alaska Division of Behavioral Health, 2011

Gordon E. Barnes, Wayne Mitic, Bonnie Leadbeater, and Mandeep K. Dhami. Risk and Protective Factors for Adolescent Substance Use and Mental Health Symptoms. Canadian Journal of Community Mental Health Vol. 28, 2009

Mackenzie Whitesell, Annette Bachand, Jennifer Peel, andMark Brown. Familial, Social, and Individual Factors Contributing to Risk for Adolescent Substance Use. Journal of Addiction, Volume 2013

Richard Muscat, Thóroddur Bjarnasson, Francois Beck & Patrick Peretti-Watel. Risk factors in adolescent drug use: evidence from school surveys and application in policy. Council of Europe, 2007

Hall, J., Smith, R., & Toumbourou, J. (2015). 2015 Communities That Care Youth Survey Report. Supplement report: Northern Bay College. Geelong: Deakin University.

Bettina F. Piko, Eszter Kovács. Do parents and school matter? Protective factors for adolescent substance use. Addictive Behaviors 35 (2010).

Mark E. Feinberg. Community Epidemiology of Risk and Adolescent Substance Use: Practical Questions for Enhancing Prevention. American Journal of Public Health, Vol 102, No. 3. (2012)

Jody Brook, Graham G. Rifenbark, Aaron Boulton, Todd D. Little, Thomas P. McDonald. Risk and Protective Factors for Drug Use Among Youth Living in Foster Care. Child and Adolescent Social Work Journal, April 2015.

El Kazdouh et al. Adolescents, parents and teachers' perceptions of risk and protective factors of substance use in Moroccan adolescents: a qualitative study. Substance Abuse Treatment, Prevention, and Policy (2018)

Golden SD, Earp JA. Social ecological approaches to individuals and their contexts: twenty years of health education & behavior health promotion interventions. Health Educ. 2012.

Centers for Disease Control and Prevention. School Connectedness: Strategies for Increasing Protective Factors Among Youth. Atlanta, GA: U.S. Department of Health and Human Services; 2009.

Hodder RK, Freund M, Wolfenden L, et al. Systematic review of universal school-based resilience interventions targeting adolescent tobacco, alcohol or illicit drug use: review protocol. BMJ Open, 2014

Building on Strengths: Main Findings on Protective Factors and Programs. SAMHSA's Center for the Application of Prevention Technologies, 2016

Michael J. Cleveland, Mark E. Feinberg, Daniel E. Bontempo, and Mark T. Greenberg. The Role of Risk and Protective Factors in Substance Use across Adolescence. J Adolesc Health. 2008 August.

Catalano, RF.; Hawkins, JD. The Social Development Model: a theory of antisocial behavior. In: Hawkins, JD., editor. Delinquency and Crime: Current Theories. New York: Cambridge University Press; 1996.

Sheryl A. Hemphill, Jessica A. Heerde, Todd I. Herrenkohl, George C. Patton, John W. Toumbourou, and Richard F. Catalano. Risk and protective factors for adolescent substance use in Washington State, United States and Victoria, Australia: A longitudinal study. J Adolesc Health. 2011 September

B. K. Elizabeth Kim, Sabrina Oesterle, Richard F. Catalano, and J. David Hawkins. Change in Protective Factors Across Adolescent Development. J Appl Dev Psychol. 2015.

Beatrice Wamuyu Muchiri and Monika M. L. dos Santos. Family management risk and protective factors for adolescent substance use in South Africa. Substance Abuse Treatment, Prevention, and Policy. (2018)

Veonna Goliath, Blanche Pretorius. Peer risk and protective factors in adolescence: Implications for drug use prevention. Social Work/Maatskaplike Werk · July 2016.

The Prevention of Substance Use, Risk and Harm in Australia: a review of the evidence. The National Drug Research Centre and the Centre for Adolescent Health. 2004.

Bronzeville Communities that Care: Youth Survey. Chicago Center for Youth Violence Prevention. 2015

Risk and Protection Factors for Substance Use Among Young People. A Comparative Study of Early School-Leavers and School-Attending Students. National Advisory Committee on Drugs, 2010.

Risk and Protective Factors report, University of Chicago, 2016

2012 New Jersey Middle School Risk and Protective Factor Survey. Bloustein Center for Survey Research, 2013

Nebraska Risk and Protective Factor Student Survey Results for 2016. Nebraska Department of Health and Human Services, Division of Behavioral Health

Moira Maguire & Brid Delahunt. Doing a Thematic Analysis: A Practical, Step-by-Step Guide for Learning and Teaching Scholars. AISHE-J, Autumn 2017

Carmen Messerlian et al. Gambling, Youth and the Internet: Should We Be Concerned? The Canadian Child and Adolescent Psychiatry Review. February 2004

Ruth Hayward and Clare Sharp. Young people, crime and antisocial behavior: findings from the 2003 Crime and Justice Survey. 2nd edition. The Research, Development and Statistics Directorate. 2005

Young People & Gambling 2018. A research study among 11-16 year olds in Great Britain. Gambling commission 2018

The Global Assessment Programme on Drug Abuse. Toolkit Module 3: Conducting School Surveys on Drug Abuse. United Nations Office on Drugs and Crime. 2003

Youth attitudes on drugs. Analytical report. European Commission. 2011

Kari Lancaster, Alison Ritter & Francis Matthew-Simmons. Young people's opinions on alcohol and other drugs issues. Australian National Council on Drugs, 2013

Connell et al. Social-ecological influences on patterns of substance use among non-metropolitan high school students. Am J Community Psychol. 2010 March

John M. Wallace, Jr., Tony N. Brown, Jerald G. Bachman, and Thomas A. LaVeist. Religion, Race, and Abstinence from Drug Use Among American Adolescents. Institute for Social Research, University of Michigan. 2003

Moore et al. An Exploratory study of the relationship between parental attitudes and behaviour and young people's consumption of alcohol. Substance Abuse Treatment, Prevention, and Policy 2010

The Youth Voice Student Survey Report. Results from a Survey of Students in the Itasca Area. Prepared by Search Institute. 2014

Zachary P. Hohman, William D. Crano, Jason T. Siegel, and Eusebio M. Alvaro. Attitude Ambivalence, Friend Norms, and Adolescent Drug Use. Prev Sci. 2014 February

Isaac C. Rhew, J. David Hawkins, and Sabrina Oesterle. Drug use and risk among youth in different rural contexts. Health Place. 2011 May

Kelly Musick et al., Neighborhood Norms and Substance Use among Teens. Soc Sci Res. 2008 March

O. D. Taylor. Adolescent depression as a contributing factor to the development of substance use disorders. Journal of Human Behavior in the Social Environment, vol. 21, 2011.

Gordon Capp, Hadass Moore, Ronald Pitner, Aidyn Iachini, Ruth Berkowitz, Ron Avi Astor, and Rami Benbenishty. School Violence. Oxford Research Encyclopedia of Education. 2017

Natoya H. Haskins. The School Counselor's Role with Students At-Risk for Substance Abuse. American Counselling Association. Ideas and Research You Can Use: VISTAS 2012, Volume 1.

Fletcher, Adam (2008) Young people's experiences of school and drug use: systematic review and case-study research. PhD thesis, London

Toumbourou, J.W., Hall, J., Varcoe J., and Leung R. (2014) Review of key risk and protective factors for child development and wellbeing (antenatal to age 25). Australian Research Alliance for Children and Young People.